კვირის პალიტ
გზა
N28(109) 11/VII.-17/VII.2002.
ფასი 60 თ.

1168
2002



# დათო დოიაშვილი: „ვექვიანობ აბსოლუტურად ყველაფერზე...“

## რატომ შესძულდა ჯუნა დავითაშვილს თბილისი



გოგიჩას ტყუპის გასაჩენად კრედიტი სჭირდება



ვინ არის შოთა თინიკაშვილი



გვ. 15

*თამუნა ამონაშვილი:*

„... რაც ლამაზი გაქვს, ის უნდა გამოაჩინო. მე არ მაქვს საუბარი მთლიანად სიშიშვლეზე, მაგრამ დოგმა არ უნდა არსებობდეს... მე ძალიან მჯერა ჩემი გემოვნების. ვიცი, რომ ძალიან კარგი გემოვნება მაქვს და ვერავინ შემედავება..."

კვირის პალიტრა
გზა
№28 (109)
11 - 17 ივლისი 2002
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ბუშტი გასკდა, ხმა გავარდა! 3
ერთი კითხვა 4
სკანდალი
ვინ არის ბიულეტენების გატაცებაში ეჭვმიტანილი შოთა თინიკაშვილი 6
ოჯახი
რისთვის სჭირდება გოგიჩას კიდევ ერთი კრედიტი 9
კრიმინალი
• „გამოცდილი პატიმარი“ რუსეთიდან საგანგებოდ გაქცევის ორგანიზებისთვის გადმოიყვანეს?! 12
• სამხედრო აკადემიის კურსანტის მკვლელობაში ბრალდებულები უზენაესმა სასამართლომ გაამართლა 14
გემოვნება
„რაც ლამაზი გაქვს, ის უნდა გამოაჩინო...“ 15
ფსიქო-ემოციური პორტრეტი
ღვინის მოტრფიალე დავით გამყრელიძე კრივის ილეთებს კარგად ფლობს 18
ტესტი
ერთგული მკითხველი 20
შემოქმედი
აზიატმა დოიმ მეუღლის მსახიობურ ნიჭს გზა გადაუღობა 22
ტკივილი
რატომ სძულს ჯუნა დავითაშვილს თბილისი? 24
პოეზია
„ამ კედლებს იმდენი რამ ახსოვს: მარტო ზვიადთან საუბრები რად ღირდა!..“ 27

## ვინ არის ბიულეტენების გატაცებაში ეჭვმიტანილი შოთა თინიკაშვილი



დამიწყეს ახსნა, რომ ჩემი ალიარება საჭირო იყო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ ამის შემდეგ მამალაძეს გააგდებდნენ სამსახურიდან და ტყეშელაშვილი და მისი მეგობრები მიაღწევდნენ ჩემს გათავისუფლებას და კარგ სამსახურშიც გადამიყვანდნენ.

6

## რისთვის სჭირდება გოგიჩას კიდევ ერთი კრედიტი

– მარტო ადგილები კი არა, ტანსაცმელიც დასწრებაზეა. დილით ადრე თუ არ ავდექი, შეიძლება, ჩემი 8 წლის დისშვილის შარვლით მომიწიოს სახლიდან გასვლამ... უკვე მერევა, ვინ ვინ არის, ვინ სად უნდა წავიყვანო: ზოგჯერ შვილი სამსახურში მიმყავს, ცოლი კი – სკოლაში.



9

## გამოძიების ამ ვერსიას განსასჯელი კატეგორიულად უარყოფს



უფის აეროპორტში შეხვდა ნათესავს, რომელსაც ჩეჩენი, აფხაზი და ერთიც ქართველი ახლდა. მათ კონსტანტინოვკაში წაყვანა უთხოვიათ. როგორც გაირკვა, ოჯახი დაუყაჩაღებიათ და დიდი რაოდენობის თანხაც წაუღიათ. ძიების შედეგად, ხვიჩას „კამაზის“ შესახებ შეიტყვეს. ასე მიაგნეს კიდეც...

12

## რატომ სძულს ჯუნა დავითაშვილს თბილისი?

თუნდაც ოდნავ რომ ეგრძნო ჯუნას შეუძლოდ თავი, ვახტანგი არავის დაანებებდა დედის მოვლას. ძალიან მიჭირს იმის წარმოდგენა, როგორ სუნთქავს ჯუნა შვილის გარეშე. მე მგონია, რომ ჯუნა დავითაშვილისთვის ეს სამყარო აღარ არსებობს...



24

**სალონი**

„ახალი „ფიროსმანებითაა“ თბილისი სავსე, ოღონდ მათ სხვა „კიბის ქვეშ“ სძინავთ“ 30

**სამყარო**

როგორ დავიცვათ თავი უფროსის რისხვისგან? 32

**ტრადიციები**

სატალავრე კიდობნიდან გუგულის მოფრენამდე 34

**მუნდიალი**

- ინგლისელების მიერ მოგებული „დაკარგული თასი“ 36
- მუნდიალის „ჰიტ-აღლუმი“ 37

**ვარსკვლავი**

ცხოვრება ნიკიტამდე და ნიკიტას შემდეგ 41

**რომანი**

რუსუდან ბერიძე. ლანდების ცეკვა (გაგრძელება) 44

**ავტო** 48

**საუკუნეების სიღრმიდან**

ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე 50

**აქეთური-იქითური** 52,54

**ჯანმრთელობა**

- თუ ტკივილი გაუსაძლისია... 57
- დიასახლისის კუთხე 58
- კითხვა-პასუხი 60

**სკანვორდი** 61

**ჰოროსკოპი**

კვირის (15-21 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

როგორი ხასიათი გაქვთ? 63

**კალეიდოსკოპი**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64


## „ამ კედლებს იმდენი რამ ახსოვს: მარტო ზვიადთან საუბრები რად ღირდა!..“



– გახსოვთ სიტყვები: „იყვნენ და ყველას გამოვეთხოვე, აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“?.. ცხადია, ეს ისე, ნახევრად ხუმრობით... სხვათა შორის, მე მეუღლე მყავდა, მაგრამ მერე... მერე იმდენად შევეჩვიე ჩემს დამოუკიდებლობას, რომ...

27

## აზიატმა დოემ მეუღლის მსახიობურ ნიჭს გზა გადაუღობა

ვეჭვიანობ აბსოლუტურად ყველაფერზე, იმიტომ კი არა, რომ საბაბს მაძლევენ, უბრალოდ, ბუნებით ვარ ეჭვიანი. განსაკუთრებით, სამეგობროში ვარ ეჭვიანი. ურთიერთობაში, პატარა ნიუანსებსაც კი ვაქცევ ყურადღებას.



22

## ცხოვრება ნიკიტამდე და ნიკიტას შემდეგ



ახლა პარიოს არ უყვარს დელონის გახსენება, რადგან მაშინ, ალენმა ანს, იმედები არ გაუმართლა. სასიყვარულო დრამით მიყენებული ტრავმის მოშუშება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა მსახიობის ცხოვრებაში რეჟისორი ლიუკ ბესონი გაჩნდა.

41

## ლანდების ცეკვა

ლუკას პიჯაკში და, რაც მთავარია, ხელებში წუთით ჩამთბარი ანი ისევ ფეხზე წამოხტა:

– ვაჟკაცი რომ იყოთ, ამ უსიამოვნო პროცედურას ნამდვილად ამაცილებდით! თუმცა, ვაჟკაცი კი არა, ნამდვილი სადისტი ხართ!



44

გარეკანზე: გიორგი ქორქოლიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# ბუშტი გასკდა, ხმა გავარდა!



თბილისში და საერთოდ — საქართველოში, ზაფხული — ცხელი იცის. ეს ისე — ზოგადად, თორემ გამონაკლისები, ცხადია, ჩვენშიც ხდება. წლევანდელი ზაფხულიც თითქმის ასეთი გამონაკლისივით დაიწყო — წვიმა, ქარი, წყალდიდობა, ისევ ქარი, ისევ წვიმა, ხანდახან სეტყვაც... ერთი სიტყვით — ციოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ისე არ ცხელოდა, რომ საგნებს, მაღალი ტემპერატურის გამო, ფორმა შეეცვალა ან სულაც დახეთქილიყო, მაგალითად — ბუშტებს.

მაგრამ, აგერ ათი დღეა, ამინდს „გაახსენდა“, რომ თბილისში — თბილ ქვეყანაში „იმყოფება“ და დააჭირა, მაგრამ რა დააჭირა! ჰოდა, ბუშტებიც გასკდა...

თუმცა, ამჯერად მხოლოდ ერთ ბუშტზე მინდა გესაუბროთ — სიყვარულის ბუშტზე, რომელიც ერთ „უცნაურ“ ადამიანს გაუსკდა.



დიახ! — საქართველოს პრეზიდენტს სიყვარულის ბუშტი გაუსკდა! (ხომ გაგიგონიათ ასეთი გამოთქმა?) ვეღარ გაუძლო ამდენ სითბოსა და სიყვარულს და გასკდა! გასკდა და წამოვიდა ღვარად სათნოება, სიკეთე და მთელი ყველაფერი, მოეფინა მთელ ქვეყანას და ციხის ბნელ საკნებშიც შეაღწია — რამდენიმე კაცი, რომელზეც „პაწა ნაწყენი“ იყო პრეზიდენტი (დიდი კი არაფერი — ისე, „მინი-ტერაქტის“ მოწყობას უპირებდნენ), ისევ შეუყვარდა და...

— აუჰ, თქვენ კიდევ აქ ზიხართ, კაცო?! რაა ახლა ეგი! გამოდით, გამოდით, ჩქარა! ღმერთო კი მომკალი, რაფერ დამავიწყდით, სიკვდილსამც დავიწყებიხართო!..

ადგა, ძმაო და გამოუშვა ეს ხალხი ციხიდან!

ახლა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით — რომელ თქვენგანს გაქვთ იმხელა ბუშტი, რომ ასეთი რამე გაგეკეთებინათ? მე, გულწრფელად ვამბობ, ვერ „გავქაჩავდი“! ეგ კი არა, მეორე ლოყის მიშვერა ვერ ვისწავლე ქრისტიანმა კაცმა...

მაგრამ ოხრებს, მამაძაღლებსა და პროვოკატორ-ინტრიგანებს რა გამოლევს?! — პირჯვრის გადაწერა არ იცის სწორადო? ერთხელ, ახალაშენებული ეკლესიის გახსნაზე ზარებს რომ ჩამოჰკრეს, მაგან ტაში დაუკრაო; ერთხელ, უწმინდესს, შეეშალა და — „უსპეტაკესი“ უწოდაო... მოკლედ, შარზე იყოს კაცი, თორემ საბაბს რა დაულევს?! არადა, ქრისტიანობა ხომ სიყვარულია, პირველ რიგში! მერე, ვინ გამოდის უკეთესი ქრისტიანი და მიმტევებელი?! აგე, რომის პაპი — ყველა წესი ზეპირად იცის, იცის კი არა — თვითონ აწესებს რაღაც-რაღაცებს და დედამიწაზე ღმერთის მოადგილედ მიიჩნევს მსოფლიოს ნახევარზე მეტი! მერე?! — ესროლა ვიღაც თურქმა ორიოდე ტყვია, გაასკვანჩინა და დააბერა ციხეში! მსოფლიოს პრესას ერთი ამბავი ჰქონდა ატეხილი — რომის პაპმა ალი აღჯა (ის თურქი) საკანში ნახა და თავზე ხელი გადაუსვაო! ნახა, თორემ თან გამოიყოლა! ეგრეა, რა — ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს და ზოგისა კაკალიც არაო!

თუმცა, მსოფლიო პრესასა და საზოგადოებას როგორ უნდა დაემდურო კაცი, როდესაც „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ — აგერ, მისმა გამოზრდილმა „ბალნებმა“ (რაც მართალია, მართალია — პირჯვარს სწორად იწერენ) გნიასი ატეხეს: რატომ გამოუშვაო? ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებაო, ისევ იმ 102 მილიარდს გაგვიხსენებსო, 102 მილიარდი რა ჩემი ფეხებიაო, ესაო, ისაო... ჰო, კიდევ ის თქვეს — ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს გადასარევი პირობები ჰქონდა ციხეში, მხოლოდ შუბლის ძარღვი ამოაჭრესო — აბა, შუბლის ძარღვი და ნამუსი რომ შერჩენოდა, პრეზიდენტს მადლობას როგორ ეტყოდაო!..

შურმა და ბოღმამ დაღუპა ქვეყანა და ახლაც ასეთი პირი უჩანს. აბა, ამათ გაუსკდებათ სიყვარულის ბუშტები?! აქვთ კი?! ამათ მხოლოდ ნაღვლის და შარდის ბუშტები აქვთ და კიდევ ის ბუშტები, საარჩევნო კამპანიისას რომ ურიგებდნენ ბავშვებს, წარწერით: „ჩვენ კარგები ვართ, სხვები — ცუდები! მოგვეცით ხმა და ჩვენ უფრო კარგები გავხდებით, სხვები — უფრო ცუდები!“

... სიცხე კი აჭერს და აჭერს — „გაფართოებული“ სიყვარული ავსებს ქვეყანას!

და საერთოდ — ყველამ თავის ბუშტს მიხედოს!

**P.S.** „ცინცხალ“ ანეკდოტს მოგიყვებით, სიყვარულზეა (პა-ა-ტარა უხამსობისთვის — ბოდიში!): ქალი და კაცი ლოგინში წვანან და მიდის „მთელი ამბავი“.

შუა „პროცესისას“ ქალი უცებ ეკითხება „პარტნიორს“:

— ძვირფასო, გიყვარვარ?

კაცს გულწრფელად გაუკვირდა:

— აბა, შენი აზრით, ახლა რას ვაკეთებ?!

*პროვოკატორი*

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „ლევან ბერძენიშვილის დუელში გაყვანას არ ვაპირებ“



— ვანო ჩხარტიშვილის სარჩელის საფუძველზე, ლევან ბერძენიშვილს სასამართლომ მოსთხოვა, უკან წაეღო თავისი სიტყვები: „ვანო ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი მოიპარა“. ახლა ბერძენიშვილის განცხადება ასე გაჟღერდა: „ვანო ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი არ მოიპარა“. აკმაყოფილებს თუ არა მოსარჩელე მხარეს ბრალდების ასეთი ფორმით უარყოფა?

**ვანო ჩხარტიშვილი:**

— მე ლევან ბერძენიშვილის დუელში გაყვანას არ ვაპირებ, მაგრამ ვაცხადებ, რომ სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილების ასეთი იგნორირება სამარცხვინოა. ეს რომ ვინმეს ამერიკაში გაეკეთებინა, გარწმუნებთ, რომ სასამართლო დარბაზიდან მისი გამოსვლისთანავე, კვლავ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა. როდესაც სარჩელი შევიტანე, მინდოდა შემექმნა თუნდაც ერთი პრეცედენტი იმისა, რომ დაუსაბუთებელი და უპასუხისმგებლო განცხადებებისა და ცილისწამებისათვის შესაძლებელია, ადამიანს ცივილური მეთოდით მოსთხოვო პასუხი, მაგრამ თუ სხვა საქმეებიც ისევე დასრულდება, როგორც ეს საქმე, თუ ყველაფერი ქილიკის დონეზე დარჩება, გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში არანაირი სამოქალაქო საზოგადოება არ შეიქმნება და არანაირი ნათელი წერტილი არ არსებობს. კიდევ ერთხელ შევახსენებ ყველას, განსაკუთრებით კი ლევან და დავით ბერძენიშვილებს: ის ბოღმა და რადიკალიზმი, რომელიც მათში დევს და ცილისწამებლური განცხადებებით ჩვენზე ვრცელდება, არავის მოუტანს სიკეთეს. ■



## „რწმუნებულები ანტიხალხურ პოზაში დგანან“

— როგორ ფიქრობთ, ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად, მიიღებს თუ არა პარლამენტი უახლოეს მომავალში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმების გადაწყვეტილებას?

**ვალერი გელბახიანი**, *პარლამენტარი:*

— ბოლოდროინდელ მოვლენებში ალბათ მამალაძესთან დაკავშირებულ ინციდენტს გულისხმობთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ეყოფა ვაჟკაცობა იმისათვის, რომ გადადგეს. ამ ნაბიჯით, ის საზოგადოებისადმი პატივისცემას გამოხატავდა. ამ ხელისუფლების მეთოდი საყოველთაოდ ცნობილია: როდესაც „მავრი“ თავის ფუნქციას შეასრულებს, ის უნდა წავიდეს. მამალაძემ შესანიშნავად შეასრულა მავრის ფუნქცია. ეს შემთხვევა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ რწმუნებულის



აპარატმა თავისი როლი და ფუნქცია არა მარტო შეასრულა და ბოლომდე ამოწურა, არამედ ხალხს თავიც კი მობეზრა და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბა. პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი, როგორც ტვირთი, ისე აწევს რეგიონებს და რაიონებს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ პარლამენტში რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმებაზე უფრო აქტიურად ალაპარაკდებიან. ხელისუფლებამ არჩევნების დროს, სწორედ ამ ინსტიტუტის საშუალებით ჩაიდინა მთელი რიგი დარღვევები. დღეს კი, როდესაც დაინახა, რომ რწმუნებულები ანტიხალხურ პოზაში დგანან, აუცილებელი გახდა მათი დანაშაულებრივი ქმედებებიდან რაღაც გამოკვეთილიყო. აი, ამიტომ იკადრა და პროკურატურას დაავალა ამ საქმის ობიექტურად გამოძიება. თუმცა, ამ პრეცედენტმაც არა მგონია, საერთო ფონი შეცვალოს. ■

## „მამალაძეს ვურჩევ: ადვოკატის გარეშე არაფერი თქვას...“



— „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პრეზიდენტისადმი წაყენებული 10-დღიანი ულტიმატუმის ვადა 15 ივლისს იწურება. ლევან მამალაძე კი ჯერჯერობით თავის თანამდებობაზეა. რა მოხდება 15 ივლისის შემდეგ?

**კობა დავითაშვილი**, *პარლამენტარი:*

— თუ 15 ივლისს დღის 12-ის ნახევარზე ლევან მამალაძე კვლავ თანამდებობაზე იქნება, ჩვენ ავუსრულებთ პრეზიდენტს იმას, რასაც დავპირდით: დავიწყებთ მასობრივ სახალხო გამოსვლებს, როგორც რუსთავში, ასევე მთლიანად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. როდესაც პრეზიდენტის რწმუნებული ბანდიტიზმს სჩადის და ის ამისათვის პასუხს არ აგებს, პოლიტიკურ ოპოზიციას, ასეთი რადიკალური მოთხოვნების გარდა, სხვა გზა არ დარჩენია. ლევან მამალაძე კრიმინალია იმიტომ, რომ კრიმინალურ საქმიანობას ეწევა და ამის შემდეგ მას ვურჩევ: ადვოკატის გარეშე ერთი სიტყვაც არ თქვას. ის დიდი ხანია, ციხეში უნდა იჯდეს — თუნდაც მიწების გაყიდვისათვის, ქონების დატაცებისათვის. და მხოლოდ მაშინ შეიძლება ეშველოს ამ ქვეყანას, როდესაც ასეთი მაღალი თანამდებობის პირის დასჯის პრეცედენტი შეიქმნება. ■

## „მე ადრეც ხშირად მიფიქრია თანამდებობიდან წასვლაზე"

**— იმ შემთხვევაში, თუ თქვენ თანამდებობაზე დარჩებით, „ნაციონალური მოძრაობა" მასობრივი გამოსვლებით იმუქრება. რას აპირებთ?**

***ლევან მამალაძე**, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული:*

— დიდი ხანია, რაც „ნაციონალური მოძრაობა" გამოსვლების ინსპირირებისთვის მიზეზს ეძებდა და ახლა, ამ მიზნის განსახორციელებლად, ამ მოვლენის გამოყენება სურს. ადამიანთან, რომელმაც თითქოს ნებაყოფლობითი აღიარებითი ჩვენება მისცა, არ უშვებდნენ ადვოკატს. არავინ იცის — ის დამწვარი ბიულეტენები როდის აღმოჩნდა იმ ადგილზე, სადაც ნაპოვნი იქნა. მოკლედ, ამ პროცესთან დაკავშირებით უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს. რაც შეეხება იმ კითხვას, ვაპირებ თუ არა ამ თანამდებობიდან წასვლას — მე ადრეც ხშირად მიფიქრია თანამდებობიდან წასვლის შესახებ. თანამდებობას ნამდვილად არ გამოვეკიდები, მაგრამ არსებობს პრინციპი — პრინციპი, რომლის დროსაც უკან დახევა არ შეიძლება... რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს — მათ აღელვებთ მხოლოდ ის, რომ ისინი ჩვენ საბიუჯეტო თანხების მითვისებაში, გრანტების შეჭმაში და სპეცსამსახურებთან კავშირში ვამხილეთ... ■



## რა ღირს ლელა წურწუმიას ფოტო?

**— ლელა, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მოაწერეთ ხელი „არტ-იმედთან" კონტრაქტს. რა შეიცვალა ამით თქვენს ცხოვრებაში და მართალია თუ არა, რომ ამიერიდან ჟურნალს, რომელიც გარეკანზე თქვენი ფოტოს დაბეჭდვას ისურვებს, საამისოდ 20 დოლარის გადახდა მოუწევს?**

***ლელა წურწუმია**, მომღერალი:*

— „არტ-იმედთან" კონტრაქტს ხელი ხანგრძლივი მოლაპარაკებების მერე მოვაწერე, მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ეს წინადადება ჩემთვის მომგებიანია. ჩემს ცხოვრებაში შეიცვალა ის, რომ მამულიჩას მუქარა ავუსრულე და სამსახურიდან დავითხოვე. ამიერიდან, ჩემი მენეჯერი იქნება პიროვნება, რომელიც „არტ-იმედმა" შემომთავაზა. ეს არის ჭიჭიკო ქადაგიძე. ის ძალიან შრომისმოყვარე ადამიანია და ვფიქრობ, მასთან ჩემი თანამშრომლობა წარმატებული იქნება. რაც შეეხება მასმედიასთან ჩემ შემდგომ ურთიერთობას — ამას „არტ-იმედის" პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ნინო ცაგარელი მოაგვარებს. მოარულ ხმებთან დაკავშირებით კი — თითქოს ჩემი ფოტო 20 დოლარი ეღირება, გეტყვით: ძალიან გთხოვთ, ასეთ ინფორმაციებს ჩემ შესახებ ნუ დაეყრდნობით. გარეკანზე დაბეჭდილ ფოტოში გამომცემლობები 20 დოლარს არა, მაგრამ გარკვეულ თანხას კი გადაიხდიან. ეს იქნება ფოტოები, რომელსაც „არტ-იმედის" ფოტოკორესპონდენტები დაბეჭდავენ და „არტ-იმედი" გაყიდის. რაც შეეხება იმ ფოტომასალას, რომელიც „არტ-იმედთან" ხელშეკრულების დადებამდეა გადაღებული და რედაქციის არქივებშია დაცული — ისინიც, გამოქვეყნებამდე, „არტ-იმედთან" უნდა იყოს შეთანხმებული, რომ უხარისხო ფოტო ჟურნალში არ მოხვდეს. ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს: მე ამ კომპანიაში გაერთიანებამდეც, მასმედიასთან ისეთივე ურთიერთობა მქონდა, როგორიც მომავალში მექნება. გამოქვეყნებამდე ყოველთვის ვკითხულობდი მასალას და ვეცნობოდი ფოტოებს. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ საკუთარი ფოტოები, მე თვითონ მიყიდია. კონტრაქტის ხუთწლიანი ფინანსური მხარე გასაიდუმლოებულია. ვფიქრობ, „არტ-იმედი" წარმატებით მოაგვარებს იმ პრობლემებს, რაც მე და ჩემს კოლეგებს აქ გაწევრებამდე გვქონდა. ■



## „ვამკვიდრებთ პრინციპებს, რომლის განმტკიცებასაც ვერავინ შეაჩერებს..."

**— ამ ბოლო დროს თავისუფლების ინსტიტუტი ძალიან ხშირად, პოლიტიკოსთა და არა მარტო პოლიტიკოსთა სამიზნედ გვევლინება. რით არის ეს გაღიზიანება გამოწვეული?**

***დავით ზურაბიშვილი**, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი:*

— არის საკითხები, რომელზეც ჩვენ ერთნაირი პოზიცია არ გვაქვს. დღეს შეიმჩნევა, რომ ძალიან ფართო ტენდენცია მიიღო საზოგადოების ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებად დაყოფის მცდელობამ. და ეს ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები არ არის საბოლოოდ ფორმირებული. ლაპარაკობენ, რომ არის მასონების შემოსევა, საქართველო სავსეა დაქირავებული ხალხით, ილუპება საქართველო, ებრძვიან ქრისტიანობას და ა.შ. გამოდის, რომ დღეს მართლმადიდებლობას მასწავლიან ის ადამიანები, რომლებიც ადრე, მე რომ ეკლესიაში შევდიოდი, კართან იდგნენ და მეკითხებოდნენ — რატომ შედიხარო? ის ხალხი, ვინც ისტერიკულად გაჰკივის, რომ ჩვენ საქართველოს მტრები ვართ, რეალურად, ეთნიკურ-რელიგიური შუღლის გაღვივების კამპანიაშია ჩართული. თავისუფლების ინსტიტუტს ებრძვიან, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ ვამკვიდრებთ პრინციპებს, რომლის განმტკიცებასაც ვერაფერი და ვერავინ შეაჩერებს. ■

*მოამზადა ნანა ქიბიშაური*



# ვინ არის ბიულეტენების გატაცებაში ეჭვმიტანილი შოთა თინიკაშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ პოლიციამ გუბერნატორ ლევან მამალაძის დაცვის ყოფილი წევრი, შოთა თინიკაშვილი დააკავა. დაკავებულმა აღიარებითი ჩვენება მისცა და სამართალდამცველები ბიულეტენების განადგურების ადგილას მიიყვანა. როგორც რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა განაცხადა, დამწვარ ბიულეტენებზე შესაძლებელი გახდა წარწერის — „მეოცე საარჩევნო უბანი" ამოკითხვა. თუმცა, როგორც თავად ლევან მამალაძე აღნიშნავს, რუსთავის ბიულეტენების საკითხი ჯერჯერობით გარკვეული არ არის და შესაძლებელია, ამ საქმეში ის ადამიანები იყვნენ გარეულები, ვინც გაყალბებაზე ყველაზე მეტს საუბრობს...**

ლელა ჭანკოტაძე

*რუსთავის საარჩევნო ბიულეტენები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, 2 ივნისს 07.20 საათზე სოფელ ფონიჭალასთან გაიტაცეს. „ფორდ-ტრანზიტის" მარკის მიკროავტობუსს, რომლითაც ბიულეტენები გადაჰქონდათ, პოლიციელები თამაზ რამაზაშვილი და მამუკა გელაშვილი აცილებდნენ. მიკროავტობუსში იმყოფებოდა რუსთავის საოლქო კომისიის წევრი ავთანდილ კარანაძე. მიკროავტობუსს შეიარაღებული ბანდა დაესხა თავს... ამ ამბიდან ერთი თვის თავზე დააკავეს შოთა თინიკაშვილი.*



შოთა და თინათინ თინიკაშვილები

*გენერალური პროკურორისა და სახალხო დამცველის სახელზე გაგზავნილი,* ***შოთა თინიკაშვილის*** *განცხადებიდან:*

„2002 წლის 28 ივნისს მე მობილურ ტელეფონზე დამირეკა შს სამინისტროდან ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილემ მურთაზ ჭაფოძემ. მითხრა ვინც იყო და მთხოვა, მივსულიყავი შსს-ში მასთან გასაუბრებაზე ნახევარი საათით. მე გაკვირვებულმა შევეკითხე, თუ რაში იყო საქმე, რაზედაც მან მიპასუხა, რაღაც რუსთავში მომხდარ საქმესთან დაკავშირებით და რომ მივიდოდი, დაწვრილებით მაშინ გავიგებდი ყველაფერს. ჩვენ შევთანხმდით, რომ დავრეკავდი შაბათს ან კვირას და ისე მივიდოდი. 29 ივნისს შაბათ დღეს ჩემი მობილურით დავრეკე ჭაფოძის მობილურზე, ველაპარაკე მას და ნახევარ საათში ვიყავი შს სამინისტროში, სადაც ჩემს სახელზე დაშვებული იყო საშვი. ქვემოთ შესასვლელში დამხვდა ახალგაზრდა ბიჭი და ამიყვანა მე-6 სართულზე ჭაფოძესთან, რომელმაც დამკითხა რუსთავში მომხდარ საარჩევნო ბიულეტენების გატაცების ფაქტზე. მე მას ვუთხარი სრული სიმართლე, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით არავითარი კავშირი არ მქონდა. ამის შემდეგ ჭაფოძესთან მოვიდა პროკურატურის გამომძიებელი თ. კვარაცხელია, რომელმაც გამომკითხა, თუ სად ვიმყოფებოდი 2 ივნისის დილის 7 საათზე. მე განვუმარტე, რომ ვიყავი სახლში და მეძინა. არავითარი შეხება საარჩევნო ბიულეტენებთან არ მქონია".

*დაახლოებით იმავეს ამბობს შოთა თინიკაშვილის მეუღლე* ***ქეთინო აგზიანიძე:***

— უწყება არ მოსვლია. მე მგონი, ტელეფონით გამოიძახეს. მითხრა: წავალ, გავარკვევ, რა ხდებაო. წავიდა და იმ საღამოს სახლში აღარ მოვიდა. მეორე დღეს სამსახურში დავურეკე, მითხრეს: დააკავესო. შემდეგ მოვიდნენ ჩხრეკაზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან. მაჩვენეს ჩხრეკის ორდერი და მაცნობეს: თქვენს მეუღლეს ბიულეტენების დაწვაში ედება ბრალიო. სახლში ეძებდნენ „ლიმონკას", თოფებს და ბიულეტენების შეკვრებს. ვერაფერი ვერ იპოვეს. მხოლოდ ტაბელური იარაღი ნახეს, რომელიც მე თვითონ გავატანე. ძალიან ბევრი უკანონობაა შოთას დაკავების დღიდან. ვერაფრით ვხვდები, რატომ უნდა ეთქვა მას, არჩევნების დღეს ბიულეტენები დავწვიო. ის ხომ სახლში იყო.

*შინაგან საქმეთა სამინისტროში იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა კავშირი თინიკაშვილს გატაცებულ ბიულეტენებთან, სცადეს ამოცნობით. ამოცნობა ჩატარდა იმავე დღეს, ამის შესახებ* ***შოთა თინიკაშვილი*** *საქართველოს გენერალური პროკურორის, ბატონი ნუგზარ გაბრიჩიძის სახელზე დაწერილ განცხადებაში წერს:*

„საათ-ნახევრის შემდეგ ჩაატარეს ამოცნობა. ამოსაცნობად წარდგენილმა პირებმა არ მოუწერეს ხელი, გამომძიებელი იძულებული გახდა, მოეყვანა სხვა პირები და

ჩატარდა ამოცნობა. ამოცნობის დროს, ჩემთვის უცნობმა პირებმა განაცხადეს, თითქოს მნახეს ბიულეტენების გამტაცებელ პირებთან ერთად, რაც აშკარა სიცრუეა. ეტყობა, ეს პირები ვიღაცამ მოისყიდა რაღაც მიზნებისთვის. ამოცნობის შემდეგ მე დამაპირისპირეს მითითებულ პირებთან. მე ამოცნობაზეც და დაპირისპირებაზეც ვითხოვდი, რომ მოეცათ შესაძლებლობა, დამერეკა ადვოკატთან, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს".

**გიორგი ყაველაშვილი,** *შოთა თინიკაშვილის ადვოკატი:*

— პირველი ამოცნობა როცა ჩატარდა, ერთ-ერთმა მოწმემ, მაჭარაშვილმა უარი თქვა ამოცნობაზე. ამის დამადასტურებელი ოქმი საქმეში დევს. საქმეში დევს ახალი ოქმიც, რომელშიც გამომძიებელი წერს: მაჭარაშვილმა ამოცნობაზე უარი იმიტომ თქვა, რომ თინიკაშვილი მას დაემუქრაო... თუ უყვირა, დაემუქრა და ძიებას ხელი შეუშალა, ეს ახალი სისხლის სამართლის დანაშაულია და ამის გამო სხვანაირი რეაგირება უნდა მოეხდინა გამომძიებელს.

*შაბათს, 6 ივლისს საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი, რომელიც ასევე დარღვევებზე ალაპარაკდა.*

**ალეკო ალადაშვილი,** *ადვოკატი:*

— გარდა ამისა, არის სხვა დარღვევებიც. არა მარტო მაჭარაშვილი, არამედ სხვა პირებიც, ვინც ამოცნობაში მონაწილეობდნენ, ოქმს ხელს არ აწერენ. დღემდე არ მომცეს საშუალება, გავეცნო აღიარებით ჩვენებას, რისი გაცნობის უფლებაც მაქვს. ბევრი რამ ჩემს დაცვაში მყოფის სასარგებლოდაა, ამიტომ მეშინია, არ გაყალბდეს ფაქტები.

— **კონკრეტულად კიდევ რა დარღვევებზეა საუბარი?**

— საქმე დანომრილია ფანქრით, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს ამოშალო ფანქრით ნაწერი, ხელახლა გადანომრო მთელი საქმე და ჩადო შიგ ახალი ფურცლები. მინდა დავაფიქსირო ერთი რამ: დაჰკითხეს კარანაძე (2-3 ივნისს), რომელიც წერს, არც ერთი დამნაშავე პირის ამოცნობა (საუბარია იმათზე, ვინც ბიულეტენები გაიტაცა), მე არ შემიძლიაო. ეს არის ჩვენება 5.7. ამის შემდეგ, 1 ივლისს ჩატარდა ამოცნობა, კარანაძემ დაივიწყა თავისი ჩვენება და თქვა: თინიკაშვილი ის პიროვნებაა, რომელიც იქ იყოო... ამასთან ყველა ამოცნობაში, რომელიც პოლიციელებმა ჩაატარეს, არის დარღვევები. ერთგან წერია: თინიკაშვილს ეცვა მწვანე პერანგი, მეორეში — შავი, მესამეში — ლურჯი.

— **სტამბიდან ბიულეტენების გატანის ოქმი თუ არის შედგენილი?**

— ხელთ ჩამივარდა ერთი საბუთიც. სტამბიდან საარჩევნო ბიულეტენები წამოვიდა 07 სთ-სა და 30 წთ-ზე. ხელს აწერს ვინმე გვარჯალაძე. ეს არის უტყუარი დოკუმენტი, რომელიც დაფიქსირებულია ვიდეოკამერებითაც. ფონიჭალამდე 15 წუთი მაინც დაჭირდებოდა მიკროავტობუსს ე.ი. 07 სთ-სა და 20 წთ-ზე ამ ბიულეტენებს ფონიჭალიდან ვერ გაიტაცებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ჩანს — ეს იყო პოლიტიკური დაკვეთა, — მე პოლიტიკაში არ ვერევი და ვსაუბრობ, მხოლოდ როგორც იურისტი. ფაქტია, რომ უდანაშაულო კაცი გაწირეს. აღიარებითი ჩვენება დააწერინეს კანონის დარღვევით, უარი უთხრეს ადვოკატზე. 4 ივლისს თინიკაშვილი მიიყვანეს კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოში. მან პროცესზე მოსამართლეს განუცხადა, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ არ დაუჯერს და დააპატიმრეს. ამის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ის მეხუთე საპყრობილეში გადაეყვანათ, დააბრუნეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს იმით ახსნეს, რომ არ ჰყავდათ გადასაყვანი მანქანა. ამასთან, მასთან საკანში შეუშვეს „ნასედკა". ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად, არ ჰქონდათ ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროში თინიკაშვილის გადაყვანის უფლება.

*თინიკაშვილი განცხადებაში წერს:* „დამიწყეს ლაპარაკი იმის თაობაზე, ვკითხულობ თუ არა გაზეთებს, ვუყურებ თუ არა ტელევიზორს და ხომ ვიცი, ამ საქმეზე რა ამბავია ატეხილი. ისინი მეუბნებოდნენ და მარწმუნებდნენ, რომ მათ არ უნდოდათ ამ საქმის გამოძიება, მაგრამ პროკურატურა აიძულებს, რამდენიმე წერილიც მიწერეს ამის თაობაზე და თუ არ შეასრულებდნენ პროკურორის მითითებებს, შემდგომში დიდი უსიამოვნება შეექმნებათ..."

*ორთაჭალის ციხეში გადაყვანის შემდეგ*

ადვოკატი ალეკო ალადაშვილი





ადვოკატი გიორგი ყაველაშვილი

*შოთა თინიკაშვილმა აღიარებითი ჩვენება შეცვალა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ფსიქოლოგიურ ტერორში დაადანაშაულა. აღიარებითი ჩვენების თანახმად, თინიკაშვილს შუაღამისას დაურეკეს და დილით ის ბიულეტენების გასატაცებლად სახლიდან გავიდა. თუმცა, გატაცებაში აქტიურად არ მონაწილეობდა; მას გამტაცებლების მანქანაში ჩაეძინა; მაშინ გამოეღვიძა, როცა ბიულეტენებს ფონიჭალაში წვავდნენ. თანამზრახველებს ის არ ასახელებდა, რადგანაც ამბობდა, რომ მათ არ იცნობდა. თინიკაშვილის განცხადებაში კი ამის თაობაზე ნათქვამია:*

„ამის შემდეგ ოთახში შემოვიდა რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც დამიწყეს ახსნა, რომ ჩემი აღიარება საჭირო იყო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ ამის შემდეგ მამალაძეს გააგდებდნენ სამსახურიდან და ტყეშელაშვილი და მისი მეგობრები მიაღწევდნენ ჩემს გათავისუფლებას, დამაბრუნებდნენ ჩემს სამსახურში, შემდგომში მომცემდნენ ოფიცრის წოდებას და კარგ სამსახურშიც გადამიყვანდნენ. მე უარი ვთქვი ამაზე...

მითხრეს: თუ არ მივცემდი მათთვის სასურველ ჩვენებას, ჩემ მიმართ გამოიყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ასეთი ჩვენების მისაღებად. ე.ი. მცემდნენ, შემაერთებდნენ დენებზე,ააწიოკებდნენ უპატრონოდ დარჩენილ ჩემს ოჯახს და ა.შ. ჩემი ასეთი დამუშავება გრძელდებოდა რამდენიმე საათი და რომ ვერ მიაღწიეს მიზანს, შემოიტანეს შავი ფერის „რუჩკიანი" ტელეფონი და მითხრეს, მოვემზადებულიყავი დენში ჩასართავად..."

*შოთა თინიკაშვილის დაკავება პოლიტიკურ სკანდალად იქცა. კანცელარიის კულუარებში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ლევან მამალაძეს, რომელმაც შევარდნაძეს მოქალაქეთა კავშირი „დაუბრუნა", წყალი შეუყენეს. ამას ავთანდილ ჯორბენაძის ნართაული ნათქვამიც ადასტურებს: „ნუ*

გავაიგივებთ პარტიას გვარებთან და სახელებთან". პოლიტიკურ სპექტრში გუბერნატორთა ინსტიტუტის გაუქმებაზეც საუბრობენ. პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ლევან მამალაძე კი დიდგორობის დღესასწაულისთვის (12 აგვისტო) ემზადება... ისეთ სიტუაციაში, როცა ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვას ცდილობს, დიდგორობის აღნიშვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანიაო — განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა.

შოთა თინიკაშვილს ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ის პროკურატურისთვის ყოველგვარი ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს, სანამ არ იქნება განხილული იმ პირთა საქმე, ვინც მას არასწორი ჩვენების დაწერა აიძულა.

მაშ, ვინ არის შოთა თინიკაშვილი? საიდან გადაიკვეთა მისი და ლევან მამალაძის გზები? რატომ მიაჩნია ბევრს, რომ მასზე იმიტომ შეაჩერეს არჩევანი, რადგან ბიოგრაფიაში რაღაც შავი ლაქები აქვს? როგორც ადვოკატი ალეკო ალადაშვილი აცხადებს, დაკავება მისთვის ისეთი მოულოდნელი და მძიმე აღმოჩნდა, რომ სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდა. თინიკაშვილის ოჯახის წევრები გამორიცხავენ რაიმე კავშირს, რომელიც თინიკაშვილს შესაძლებელი იყო, არჩევნებთან ჰქონოდა.

შოთა თინიკაშვილი, მეუღლე ქეთინო აბზიანიძე და მათი რვა წლის გოგონა თინათინი თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე, ქეთინოს ბებიის ერთოთახიან ბინაში ცხოვრობენ.

შოთა თინიკაშვილი დაიბადა 1971 წელს თბილისში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა დაზვერვის დეპარტამენტში, 1995-96 წლებში იყო ლევან მამალაძის დაცვის წევრი. შემდეგ გარდაბანში რუბეროიდის ქარხანაში, თავისი სპეციალობით მუშაობდა. ბოლო სამი წელია, მუშაობს მარნეულში დაცვის პოლიციაში.

თინიკაშვილისა და ლევან მამალაძის ახლობლობის ფაქტს ოჯახის წევრები უარყოფენ.



ცოლ-შვილთან ერთად

**ქეთინო აბზიანიძე:**

— მე არ ვიცნობ მამალაძეს. არც ის მოსულა არასდროს ჩვენთან და არც ჩვენ ვყოფილვართ მასთან. მე მგონი, მათ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ. მაშინ, როცა შოთა მასთან მუშაობდა.

— **აცხადებდნენ, რომ შოთა თინიკაშვილი მამალაძის დაცვის უფროსი იყოო. ეს ინფორმაცია არასწორია?**

— არანაირი კავშირი ბოლო პერიოდში შოთას ლევან მამალაძესთან არ ჰქონია. ის მამალაძის არათუ დაცვის უფროსი, დაცვის წევრიც კი არ არის. შოთა მარნეულის პოლიციის უფროსის მძღოლია.

— **მერაბ ტყეშელაშვილსა და შოთას რა აკავშირებთ ერთმანეთთან?**

— შოთასგან ხშირად გამიგონია ტყეშელაშვილის სახელი, როცა ის მამალაძის დაცვაში მუშაობდა ტყეშელაშვილთან მეგობრობდა. რამდენადაც ვიცი, მათ ურთიერთობა არც მას შემდეგ გაუწყვეტიათ.

— **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თუ მონაწილეობდით?**

— არა. მე არჩევნებზე არ წავსულვარ. შოთაც სახლში იყო. სტუმრები გვყავდა. საღამოს კი დედაჩემთან წავედით სტუმრად. შოთამ დალია. შინ რომ დავბრუნდით, ღამის ორი საათი იყო. დაწვა და დაიძინა. მეორე დღეს, შუადღემდე ეძინა.

— **როცა ტელევიზიით იყო საუბარი რუსთავში არჩევნების ჩაშლაზე და ბიულეტენების გაყალბებაზე, მას რა რეაქცია ჰქონდა?**

— ჩვენ არ ვართ დაინტერესებულები პოლიტიკით. შოთა სახლში პოლიტიკაზე არასდროს საუბრობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ გამოიძახეს, ძალიან გაუკვირდა.

— **როგორი იყო თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა?**

— შოთას ასი ლარი ჰქონდა ხელფასი. ხელზე ძირითადად, ოთხმოც ლარს იღებდა. სხვა შემოსავალი ჩვენ არ გვქონდა.

— **მას შემდეგ, რაც შოთა დააკავეს, ლევან მამალაძე თუ დაგიკავშირდათ?**

— არა, ჩვენთან არავინ მოსულა.

— **აქვს თუ არა შოთას ბიოგრაფიაში რაიმე შავი ლაქები?**

— არა. მას არასდროს ცუდი არაფერი ჩაუდენია. სუფთა ცხოვრებით იცხოვრა, მისგან წყენა ალბათ, არავის ახსოვს. რბილი და დამთმობი ხასიათი აქვს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ თუ მამალაძესთან შეკრული იქნებოდა, მას არავითარ შემთხვევაში არ გასცემდა. შოთა ასეთი არ არის...

— **როდის გაიცანი შოთა? როგორ შეუღლდით?**

— შოთა უშიშროებაში მუშაობდა, მე კრწანისში, უშიშროების სამმართველოში ვმუშაობდი მდივნად. ერთმანეთი იქ გავიცანით. გაცნობიდან ხუთ თვეში შევუღლდით. უკვე რვა წლის გოგონა გვყავს. ცხოვრებაში ბევრჯერ გაგვიჭირდა, ბევრი სიძნელე გადავლახეთ კიდეც. შემიძლია ვთქვა, რომ მატერიალურად ყოველთვის გვიჭირდა. შვილი რომ შეგვეძინა, მაშინ შოთა უმუშევარი იყო. არაფერი ჰქონდა. დედაჩემი რომ არ დაგვხმარებოდა, ჯოჯოხეთურ გაჭირვებას თავს ვერ დავაღწევდით.

— **ყველაზე მძიმე პერიოდი შოთას ცხოვრებაში როდის იყო?**

— მისთვის საშინელებად იქცა მამის გარდაცვალება. ბავშვივით ტიროდა. შოთა მანამდეც დედით ობოლი იყო: ათი წლისას გარდაეცვალა დედა სიმსივნით. სამი დედმამიშვილი — შოთა, მისი და ლელა და ძმა ვახტანგი ობლები დარჩნენ. მამამ სხვა ცოლი ითხოვა. მაშინ ლელა სამი წლის იყო, ვახტანგი — რვის. სამმა ბავშვმა დედინაცვალი დედასავით შეიყვარა. სამივენი დედინაცვალს დედას ეძახიან.

***ვახტანგ თინიკაშვილი**, შოთას ძმა:*

— მთელი ცხოვრების მანძილზე შოთა ჩემი დასაყრდენი იყო, ბავშვობაში ხშირად ვჩხუბობდით. მარტო თუ დავრჩებოდით, ერთმანეთს ვაშინებდით. შოთა სულ იძახდა: დიდი პოლიციელი გამოვალ, ყაჩაღებს დავიჭერო. გმირობაზე ოცნებობდა. გაოცებული ვარ ამ ამაზრზენი ფაქტით. რატომ გაწირეს შოთა, ჩემთვის გაუგებარია. რატომ მაინცდამაინც შოთაზე შეაჩერეს არჩევანი?!.

**ქეთინო აბზიანიძე:**

— ოცდაორ აგვისტოს დაბადების დღე აქვს. არასდროს გადაუხდია — ამის საშუალება არ გვქონდა... არც ჩვენს შეუღლებასთან დაკავშირებით გაგვიშლია სუფრა, ეს შოთას ძალიან აღარდებდა. იმდენი იშრომა ფიზიკურად, ძლივს შეაკოწიწა რაღაც თანხა, რომ რამდენიმე მეგობარი დაეპატიჟა. თეთრი კაბაც მიყიდა. თერთმეტი სექტემბერი იყო... ის კაბა დღემდე შენახული მაქვს. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ასეთ გაუგებრობაში გავეხვეოდით. თავი სიზმარში მგონია... ■



# რისთვის სჭირდება გოგიჩას კიდევ ერთი კრედიტი

ნანა ქიბიშაური

***გიორგი გოგიჩაიშვილი და ნათია ბანძელაძე 14 წელია ერთად არიან. მათ მხიარულ და მრავალრიცხოვან ოჯახში ძალიან უყვართ სტუმარი და თითქმის ყოველ საღამოს, სახლიდან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, სიცილის ხმა და ხალისიანი ჟრიამული ისმის. როგორც გიორგი და ნათია ამბობენ, ჰარმონიას ხელს უწყობს ის, რომ ოჯახის თორმეტივე წევრს საუცხოო იუმორის გრძნობა აქვს. ყოველი მათგანი მუშაობს და თავისი წვლილი შეაქვს საერთო ბიუჯეტში. ნათია ახლახან დანიშნეს რადიო „ფორტუნას" საინფორმაციო სამსახურის უფროსად. გოგიჩა კი, კვლავ „მხიარულ კარუსელს" ატრიალებს. პარალელურად, სხვა შემოთავაზებებზეც არ ამბობს უარს. მაგალითად, ისეთზე, როგორიცაა ფილმის გახმოვანება, სარეკლამო კლიპში მონაწილეობა. როგორც ბევრი მშობელი აღნიშნავს, საყვარელი ტელეწამყვანის ხათრით, ბავშვები მხოლოდ „მხიარულ კარუსელს" კი არა, ამინდის პროგნოზსა და ლუდის რეკლამასაც კი სიამოვნებით უყურებენ. ალბათ, ამ ინტერვიუსაც წაიკითხავენ, თუმცა, გოგიჩას პატარა ფანების უმრავლესობამ ჯერ კითხვა არ იცის. სამწუხაროდ, ჩვენს „კარუსელში" გოგიჩაიშვილების ოჯახის თორმეტივე წევრი ვერ ჩავსვით. შეკითხვებს მხოლოდ გოგიჩა, ნათია და მათი თორმეტი წლის ქალიშვილი — ნანუკა უპასუხებენ.***

**— რა ხდება თქვენს ოჯახში? ალბათ, ძალიან დიდ სახლში ცხოვრობთ — ისეთში, თქვენც რომ ეტევით და თქვენი სტუმრებიც!**

გოგიჩა:

— ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ოჯახში ვცხოვრობ, სადაც ყველა ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემითაა გამსჭვალული. ოჯახში, სადაც ბევრი სტუმარი მოდის და, რაც მთავარია, ზღურბლს გადმოაბიჯებენ თუ არა, ისეთი ატმოსფერო ხვდებათ, რომ სახლში დაბრუნება ავიწყდებათ. ეს ჩემი სიმამრის სახლია და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ აქ ყველასათვის არის ადგილი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორ მოახერხა ეს. ფოკუსნიკი უნდა იყოს კაცი, კორპუსის ერთოთახიანი ბინა ისე „გასწი-გამოსწიოს" და „გაჭიმოს", რომ ორსართულიან სახლად აქციოს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ახლა ხუთოთახიან ბინაში ვცხოვრობთ. ჩვენთან ვინც მოდის, სახლიდან არარავის ვუშვებთ: ზოგს იატაკზე სძინავს, ზოგს კარადის თავზე, ზოგს უჯრაში — თუ ჩაეტია, — და ასე შემდეგ. მიხარია, რომ ჩემი შვილები ასეთ გარემოში იზრდებიან, ბებიებისა და ბაბუების გარემოცვაში. ჩემს სამსახურშიც ასეთივე ოჯახური ატმოსფეროა შექმნილი. იქაც ისევე მიხარია მისვლა, როგორც ოჯახში. შეიძლება ითქვას, რომ არც ვიღლები. სამსახურიდან შინ რომ მივდივარ, ვისვენებ. სახლიდან სამსახურში — იქაც ვისვენებ. მოკლედ, სულ დასვენებული ვარ. მარტო დღეს ვარ დაღლილი: უმცროსი გოგონა, ნინი აგარაკზე სიმამრის მანქანით წავიყვანე და დავრწმუნდი, რომ ჩემი სიმამრი მარტო ფოკუსნიკი კი არა, კასკადიორიც ყოფილა: ისეთ მანქანას მართავს, რომელსაც არც ერთი პედალი არ აქვს თავის ადგილზე, ყველაფერი სხვადასხვა მხარეს აქვს...

ნათია:

— ჩვენი ოჯახი არის ერთი დიდი იუმორის კერა. სერიოზული პრობლემაც კი, იუმორის დახმარებით ძალიან ადვილად წყდება. თუ არ გადაწყდა, ვაღწევთ იმას, რომ ამ პრობლემის გამო ვიცინით. 14 წელია უკვე, რაც გოგიჩაიშვილების რძალი ვარ. 18 წლიდან გიორგის მშობლებს ვიცნობ. ისინი მსახიობები არიან — იმიტაციის საოცარი უნარი აქვთ. ისეთ ხალისიან გარემოს ქმნიან და ისე იზიდავენ ადამიანებს... ყოველი საღამო პატარა სპექტაკლს ჰგავს, რომელსაც იმდენი ხალხი ესწრება, ბილეთები რომ გავყიდოთ, კრედიტს დავფარავთ. გიორგის მშობლები რომ არ მედგნენ მხარში, ვერაფერს მივაღწევდი. მათი დამსახურებაა, დღეს ჩემი საქმე რომ მაქვს. ჩემი შვილები ბებიას, დედასთან აიგივებენ. ძალიან მადლიერი ვარ მისი და ძალიან მიყვარს ეს ქალი. ჩვენს ოჯახში ყველა ერთი ჭკუისაა. ალბათ ამიტომ, არასოდეს არავის გაჩენია სურვილი ცალკე ცხოვრებისა.

გოგიჩა:

— ცალკე ცხოვრება? ისე ცოტა ხანს ცოცხლობს ადამიანი, ცალკე ყოფნას მერეც მოესწრება.

ნათია:

— ოქტომბერში გადავალთ ბინაში, რომელიც კრედიტით ვიყიდეთ. ცალკე იცხოვრებთ? — მეკითხებიან მეგობრები. იქ რა გაგვაძლებინებს?! — სადაც წავალ, იქ მთელი ჩემი შემადგენლობით გადავალ-მეთქი, — ვეუბნები და ვატყობ, რომ მათ გაოცებულებს ვტოვებ.

**— ამ ბინაში ალბათ ყველამ იცის თავისი ადგილი — ვინ სავარძელში, ვინ დივნის კუთხეში, ვინ ტელევიზორთან — ასეა, არა?**

ნათია:

— არა, რას ამბობთ? რა თავისი ადგილი? ჩვენთან ადგილები დასწრებაზეა.

გოგიჩა:

— მარტო ადგილები კი არა, ტანსაცმელიც დასწრებაზეა. დილით ადრე თუ არ ავდექი, შეიძლება, ჩემი 8 წლის დისშვილის შარვლით მომიწიოს სახლიდან გამოსვლამ... ყველას ერთმანეთის ტანსაცმელი ერგება. უკვე მერევა, ვინ ვინ არის, ვინ სად უნდა წავიყვანო: ზოგჯერ შვილი სამსახურში მიმყავს, ცოლი კი — სკოლაში.

**— როგორ მოქმედებს ნათიაზე დაწინაურება? ხასიათი ხომ არ შეეცვალა?**

გოგიჩა:

— ახლა ისეთი რამე მკითხეთ, რუსული კინო მახსენდება. რატომ უნდა შეუცვალოს ხასიათი დაწინაურებამ? მთავარი, თანამდებობა არ არის. სადაც არ უნდა იყოს ადამიანი, თავისი საქმე ისე უნდა აკეთოს, რომ სიკეთე მოუტანოს ადამიანებს, ხალხის სიყვარული

დაიმსახუროს. ნათია არ შეცვლილა. შეიცვლება და დარჩება მარტო თავისი თანამდებობით...

— **დიდი ხანი არ არის, რაც მანქანა და სახლი შეიძინეთ. ვინ და როგორ ანაწილებს თქვენს საოჯახო ბიუჯეტს?**

გოგიჩა:

— ადამიანს ფული რამდენიც არ უნდა მისცე, მაინც არ ეყოფა. ამიტომ ვეშხრობი გამონათქვამს, რომ კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს. მე ფული ზუსტად იმდენი მაქვს, რამდენსაც ვიმსახურებ. ალბათ, ასე არიან სხვებიც. მანქანაც და ბინაც ბანკებიდან აღებული კრედიტებით ვიყიდე. ამ კრედიტებს დაფარვა ხომ უნდა. ამიტომ, ისეთ წინადადებაზე, როგორზეც ადრე უარს ვიტყოდი, დღეს ვთანხმდები. ორი ბანკის ვალი მაქვს და ათჯერ უფრო მეტს ვმუშაობ.

ნათია:

— ვერ ვიტყვი, ჩემი საქმიანობით, საოჯახო ბიუჯეტში იმდენი თანხა შემქონდეს, რომ უფლება მქონდეს, ის ერთპიროვნულად გავანაწილო. ამ ეტაპზე, ისე ჩავერთე მუშაობაში, რომ ფინანსები ნაკლებად მაინტერესებს. ფული არასდროს ყოფილა ჩემთვის მთავარი და გადამწყვეტი — არც ოჯახში და არც სამსახურში. ჩემთვის მთავარი ადამიანები არიან. ის, თუ როგორ არიან ისინი ჩემ მიმართ განწყობილნი. „ფორტუნაში" ისეთი აურა ტრიალებს და ისე თბილად მიმიღო ყველამ, რომ ერთადერთი რამ მინდა — წარმატებით გავართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ფული ხან იქნება, ხან არა, ამაზე ფიქრით არ ღირს დროის დაკარგვა.

— **პოპულარობის მიუხედავად, ორივე იმდენად მოკრძალებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, რომ ეტყობა, ვარსკვლავური სენი ჯერ არ შეგყრიათ.**

გოგიჩა:

— ღმერთმა დაგვიფაროს! დღეს ყოველი მეორე, ვინც ტელევიზიაში ან ესტრადაზე ფეხი შედგა, საკუთარ თავს ვარსკვლავს უწოდებს. მე რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში გავიზარდე და ყოველ საღამოს, კულისებიდან ვუყურებდი ნამდვილ ვარსკვლავებს: კოტე მახარაძეს, გივი ბერიკაშვილს, სოფიკო ჭიაურელს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, კახი კავსაძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს — აი, ის არის ჩემთვის მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი. ქართულ ესტრადაზე ნანი ბრეგვაძეა ნამდვილი ვარსკვლავი. და რაც ყველაზე მთავარია, ნამდვილი ვარსკვლავები, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოკრძალებული ადამიანები არიან. საქართველოში ნიჭიერ ხალხს რა გამოლევს, მაგრამ „ვარსკვლავი" არ შეიძლება მხოლოდ ნიჭიერ ადამიანს უწოდო — ამისთვის კიდევ სხვა რაღაც არის საჭირო. ის სხვა რაღაც, რაც, მაგალითად, ოდრი ჰეპბერნს ჰქონდა.

— **როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

ნათია:

— ეს იყო პეტერბურგში...

გოგიჩა:

— არა, სჯობს, მე მოგიყვეთ. ჯარიდან ჩამოვედი და პირველი ქალი, ვინც დავინახე, იყო ნათია. შევხედე თუ არა, თვალთ დამიბნელდა, მუხლი მომეკვეთა და დავეცი. ეს მოხდა თეატრში (ნათიამ თეატრალური ინსტიტუტის მეორადი ფაკულტეტი დაამთავრა). ამის შემდეგ, ის ჩემი პარტნიორი გახდა და ისე კარგად ითამაშა თავისი როლი, რომ აღფრთოვანებული ვფიქრობდი: ერთი ასეთი მსახიობი კაცს აუცილებლად უნდა ჰყავდეს სახლში-მეთქი, — და წამოვიყვანე. მოვიტაცე.

ნათია:

— თეატრში რომ მივედი, დამხვდა ლეგენდა გოგიჩასა და ბაბუცას (გოგა ბაბუციძე) შესახებ. ყველა მათ სახელებს ახსენებდა. სულ მაინტერესებდა: ერთი დამანახვა, ვინ არის ან ეს გოგიჩა ან ის ბაბუცა-მეთქი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, თეატრში ვიღაც წვერიანი ბიჭი შემოვიდა და კედელთან აიტუზა. უი, გოგიჩა ჩამოსულა ჯარიდანო, — იკივლეს და მთელი თეატრი მას შემოეხვია გარს. აი, ასე გავიცანი გოგიჩა. თავიდან, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული დავრჩი. მერე კი, მხოლოდ მისი და მისი მეგობრების გარემოცვაში ვიყავი. 6 თვის შემდეგ კი მომიტაცა.

— **იკივლე, იტირე, მაგრამ არაფერი გამოგივიდა არა?**

ნათია:

— არა, ვერ ვიკივლე. მანქანაში იჯდა ხუთი ბიჭი, რომელიც ხელისგულზე მატარებდა, თან სულ ხუმრობდნენ და იცინოდნენ. ვიფიქრე — იქნებ მეჩვენება, იქნებ ხუმრობენ და მე რომ ეს სერიოზულად მივიღო, არ მითხრან: რას ამბობ, გოგო, ვისთვის გიტაცებთ, შენ ვინ წაგიყვანს, ვის რაში სჭირდები?!. თავი ამათი სასაცილო არ გავიხადო-მეთქი, — ვფიქრობდი. მერე, როგორც იქნა, მივხვდი, რომ მართლა მოტაცებული ვიყავი, მაგრამ ახლა იმას ვერ ვხვდებოდი — ვისთვის. ტირილი დავაპირე თუ არა, ძმაკაცებმა გიორგი გარეთ გაიყვანეს: ისეთი გული აქვს, ჩემი ცრემლი რომ ენახა, თხუთმეტ წუთში შინ გავჩნდებოდი. მე კი არა, ჭიანჭველა რომ შეხვდეს გზაზე, აიყვანს და სახლში წამოიყვანს — ვინმემ ფეხი არ დაადგასო. ერთი ჭია გვყავს ასე შემოხიზნული, 14 წელია ჩვენთან ცხოვრობს, ჭერში. ხანდახან ჩამოვარდება ხოლმე, გოგიჩა აიყვანს ხელში და ისევ ჭერში ასვამს.

— **ნანუკა რომ მოიტაცონ, რას იზამს?**

ნათია:

— რას ამბობთ? — ასფალტს შევჭამთ და მაინც ვიპოვით.

გოგიჩა:

— მანქანა ხომ ვიყიდე კრედიტით. გამოვიტან კიდევ ერთ კრედიტს და ტანკს ვიყიდი. მე რომ მოვიტაცე ნათია, მაშინ სხვა დრო იყო. ბიჭებმა მითხრეს — მოვიტაცოთო და უკან ხომ არ დავიხევდი? — თორემ, რა პრობლემა იყო ოჯახში მისვლა. მე და ბაბუცა სულ ნათიას სახლის სახურავზე ვისხედით ხოლმე, ფანჯრიდან ვუყურიდით ყვავილებს და მშობლებთან მისვლა გამიჭირდებოდა?

— **თემა, რომელზეც ორივე სიამოვნებით საუბრობთ?**

გოგიჩა:

— ნათია შინ რომ მოდის, საუბარს ასე იწყებს ხოლმე: იცი, დღეს რა ინტერვიუ ჩავწერე?.. მისი საყვარელი სასაუბრო თემაა პოლიტიკა და პოლიტიკოსები. მთელი ღამე შეუძლია ამაზე ილაპარაკოს.

ნათია:

— გიორგი კი, მთელი დღე და ღამე ბავშვებზე საუბრობს: იცი, დღეს რა მაგარი ბავშვი ჩავწერე?.. მთელი დღე და ღამეც!

— **კი მაგრამ, მთელ ღამეებს პოლიტიკასა და „კარუსელზე" საუბარში ატარებთ? მესამე შვილზე არ ფიქრობთ?**

გოგიჩა:

— მე ვფიქრობ. უფრო სწორად — მინდა ტყუპი მყავდეს. ძალიან მიყვარს ტყუპები.

ნათია:

— მეც მინდა ტყუპი, მაგრამ ეს ისეთი პასუხისმგებლობაა!.. ვართ კი მზად კიდევ ორი შვილისთვის?

გოგიჩა:

— რა პრობლემაა? — კიდევ ერთ კრედიტს გამოვიტან...

— **ნანუკა, შენ რას გვეტყვი?**

ცოლ-შვილთან ერთად



ნანუკა:

– მე ძმა მინდა.

— **რატომ მაინცდამაინც ძმა? შენ და შენი დაიკო ხომ არ ჩხუბობთ ხოლმე?**

– კი, ხანდახან ვჩხუბობთ.

გოგიჩა:

– ხანდახან? ხანდახან კი არა – სულ ჩხუბობენ, ბუზღუნებენ, სულ რაღაცას ვერ იყოფენ.

— **საინტერესოა, დასჯის რა მეთოდს მიმართავენ გოგიჩა და ნათია.**

ნანუკა:

– ჩემი მშობლები არასოდეს ყვირიან. როცა რაღაც არ მოსწონთ, უბრალოდ მიგვანიშნებენ, რომ ასე აღარ მოვიქცეთ.

— **მერე?**

გოგიჩა:

– მერე, ესენი მაინც ისე იქცევიან, როგორც თვითონ უნდათ.

— **გული ხომ არ გწყდება, რომ მშობლები ხშირად შინ არ არიან?**

ნანუკა:

– არა. პირიქით. ასე მირჩევნია.

გოგიჩა:

– რატომ, შვილო, რას გიშლით?

ნანუკა:

– როცა სახლში ხართ, მამეცადინებთ ხოლმე.

— **გოგიჩა, როცა ნათია ცუდ გუნებაზეა, როგორ ცდილობთ განწყობა გამოუკეთოთ?**

გოგიჩა:

– ამ პრობლემას ისე კარგად ვაგვარებ მიწის თხილით, რომ დანარჩენი სხვა აღარაფერია საჭირო. რა ბედნიერებაა, რომ მყავს მეუღლე, რომელსაც ყველაზე მეტად ის უხარია, შინ მიწის თხილი რომ მომაქვს ხოლმე. არა, განა უფრო არ გაუხარდება, მანქანა რომ ვაჩუქო? მაგრამ იცის, რომ ამ ეტაპზე, მიწის თხილის მოტანა უფრო ადვილად შემიძლია. იცის – საშუალება რომ მექნება, ერთ სატვირთო მანქანა მიწის თხილს მოვუტან.

ნათია:

– ჩვენ ისე კარგად გვაქვს ერთმანეთის შესაძლებლობები შესწავლილი, რომ არასოდეს მოვთხოვთ ერთმანეთს იმას, რისი შესაძლებლობაც არ გვაქვს. რასაკვირველია, მინდა, ისეთი ქმარი მყავდეს, დაბადების დღეზე საწოლში მანქანის გასაღებს რომ ჩამიცურებს, მაგრამ...

გოგიჩა:

– ნათია, შენ თუ გასაღების ლოგინში ჩაცურება გაგახარებს, იმდენი გასაღები გვაქვს სახლში...

ნათია:

– აი, ასე ვცხოვრობთ...

გოგიჩა:

– ჰო, აი, ასე. ჩვენ შეგვიძლია, რომელიმე მეგობართან ან ჩვენს პატარა აგარაკზე (ჰო, მართლა, ნათია, ჩვენი აგარაკიდან აივანი მოუხსნიათ და მოუპარავთ...) ისე გავატაროთ დრო, რომ ბევრი ვენეციასა და პარიზშიც ვერ გაერთობა...

— **ნათია, წონისა და ფორმის შენარჩუნებას ბევრ დროს უთმობთ?**

გოგიჩა:

– ამ კითხვაზე მე გიპასუხებთ რა. იმ დღიდან, რაც ნათია გავიცანი, სულ დიეტაზეა და სასურველ წონამდე სულ 2 კილოს დაკლება უკლია. ამას წინათ, მე და ჩემმა ძმაკაცმა ნათია და მისი დაქალები დავპატიჟეთ. როცა ვკითხეთ, თქვენთვის რა ავიღოთ-თქო, სამივემ ქულების ფურცელი ერთდროულად დაამრო. რა არის ეს ქულების ფურცელი? – ეს არის დიეტის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი – ფურცელი, სადაც ჩამოწერილია, რა საჭმელი თუ სასმელი რამდენ კალორიას შეიცავს... არა, ნაყინი არ გვინდა – ნაყინი 12 ქულაა. – აბა, ლუდი ნახე რამდენია?.. – აი, ასეთი საუბარი გააჩაღეს კაფეში. ამ დროს, ამის დაქალები როგორები არიან, არ იკითხავთ? – ჩხირებივით!

— **ნანუკა და ნინი რითი ერთობიან ხოლმე? ალბათ, ბევრ დროს ატარებენ ტელევიზორთან.**

გოგიჩა:

– ჩემს გადაცემას, მგონი, საერთოდ არ უყურებენ და ამ დროს სხვა არხზე აქვთ ტელევიზორი გადართული. ნანუკას ჰობია ხატვა. ძალიან კარგად ხატავს, მაგრამ ჯერ არ შემყავს ხატვაზე: სჯობს, ჯერ თვითონ განვითარდეს და მერე დახვეწოს ტექნიკა. ისეთ კაბებს ხატავს და ისე აცმევს მოდიკინცა გოგოებს... არ გაგიკვირდეთ, „მოდიკინცა" – ეს ბავშვების ტერმინია და ჩვენც უკვე მათ ენაზე ვლაპარაკობთ. ვფიქრობ, ის დიზაინერი გამოვა და პარიზში გახსნის მაღაზია-ბუტიკს „ფეშენ გოგიჩას ნანა".

ნათია:

– ნინი ჯერ პატარაა და ის უფრო საგრძნობლად განიცდის დედის დეფიციტს. რომელსაც უცხო ბავშვს გაიცნობს, ეკითხება ხოლმე: დედაშენი მუშაობს? თუ ეტყვიან – კიო, – პასუხობს: გილოცავ! თუ ეტყვიან – არაო, უფრო გახარებული ეუბნება: გილოცავო!

— **მთელი საბავშვო რეპერტუარი ზეპირად გეცოდინებათ. ალბათ ძილის წინ ზღაპრებს მაინც თქვენ უყვებოდით შვილებს?**

გოგიჩა:

– არა. ბავშვებს ბებიები უყვებოდნენ ზღაპრებს. დედაჩემი მათ 3 წლის ასაკიდან უკითხავს შექსპირს.

— **შექსპირს?! ქართულმა ხალხურმა ზღაპრებმა რა დაგიშავათ?**

გოგიჩა:

– როგორ გითხრათ... საერთოდ, ზღაპარი დიდი კულტურის მიმანიშნებელია. არის ერები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ თავიანთი ზღაპრები. მაგრამ მას შემდეგ, რაც „კომბლეს" ძველი და სრული ვარიანტი წავიკითხე, გული გამიტყდა. ისეთი საშინელია, ალბათ ამიტომ ასწავლიან ახლა „კომბლეს" „დამონტაჟებულ" და შეკვეცილ ვარიანტს: ძველ ვარიანტში წერია, როგორ მოუკვდა კომბლეს ცოლი, როგორ მიაყუდა მიცვალებული კედელზე, მერე, როგორ დააბრალა დილით მასპინძელს – ჩემი ცოლი შენ მოკალიო, მერე სახლი გადაუწვა, მგელს თავი გაუხეთქა, სისხლმა გასხა... ახლა მითხარით – არ სჯობს ამას შექსპირის უწყინარი სონეტები? ან ეს „წიქარა" რა არის? – რქები დამარხე, ვაშლი ამოვა, მერე საწყალს თავი მოაჭრეს... ცოდოა ბავშვი. ალბათ ბევრი არ დამეთანხმება, მე მათთან დავას ნამდვილად არ ვაპირებ – უბრალოდ, მინდა, ბავშვებმა უსისხლო ზღაპრები მოისმინონ.



გიორგი და ნათია

— **პროტექციას ბევრი გთხოვთ ალბათ. მაინც რა არის საჭირო, ბავშვი „მხიარულ კარუსელში" რომ მოხვდეს?**

ნათია:

– სადაც არ უნდა მივიდე, ჩემთან საუბარს ყველა ამ შეკითხვით იწყებს. ისეთ დღეში ვარ, ლამის არის, პრესკონფერენცია მოვაწყო და გამოვაცხადო, რომ „კარუსელში" მოსახვედრად არანაირი პროტექცია და ნაცნობობა არ არის საჭირო. უბრალოდ, იქ არის რიგი.

გოგიჩა:

– ერთ-ერთ რაიონში მითხრეს: გავიგეთ, ერთი ბავშვის გამოსვლისთვის 500 დოლარს იღებთო. არა, როგორ გეკადრებათ-მეთქი? – როგორ არა – ასეა, შენ რა იციო, – მიპასუხეს...

— **ბოლო კითხვა: თქვენი სურვილი...**

ნათია:

– მინდა ძალიან დიდი სახლი მქონდეს, იმხელა, რომ ჩვენთან რამდენი სტუმარიც მოვა, ყველა კომფორტულად დავაძინოთ. და კიდევ... მე პროფესიონალი მოცურავე ვარ. აუზი არის ჩემი ოცნება. მინდა, გოგიჩამ ისეთი სახლი ამიშენოს, რომელსაც კარგი აუზი ექნება.

გოგიჩა:

– რა პრობლემაა? – ავიღებ კიდევ ერთ კრედიტს და...

■

**პატიმარი ხვიჩა მანჩხავა, რომელსაც პროკურატურა რამდენიმე მძიმე დანაშაულში სდებს ბრალს, სამართალდამცავებს პროტესტს უცხადებს. მისი თქმით, პროკურატურა მას ბრალდებებს უკანონოდ უყენებს, ის მოწმეები კი, რომელთაც მისი უდანაშაულობის დადასტურება შეუძლიათ, დასაკითხად განგებ არ მოჰყავს. ამას გარდა, ხვიჩა მანჩხავა აცხადებს, რომ იგი მძიმე ავადმყოფია. დაავადების სტადიის გასარკვევად, ის სამედიცინო გამოკვლევას მოითხოვს.**




# „გამოცდილი პატიმარი“ რუსეთიდან საგანგებოდ გაქცევის ორგანიზებისთვის გადმოიყვანეს?!

## გამოძიების ამ ვერსიას განსასჯელი კატეგორიულად უარყოფს

*მეგი ცანავა*

*„ადრე, სათანადო ექსპერტიზაც ჩაუტარეს და ჰეპატიტის განვითარების საშუალო დონე დაუდგინეს, მაგრამ ახლა თავს გაცილებით ცუდად გრძნობს. ამიტომაც მოითხოვს განმეორებით სამედიცინო გამოკვლევას, მის თხოვნას კი ყურს არავინ უგდებს, რადგან არ სურთ, ხვიჩას საქმეში რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება აღმოაჩინდეს“,* — აცხადებს პატიმრის ადვოკატი.

ხვიჩა მანჩხავას საქმეს ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს. განსასჯელმა თავისი პროტესტი თხუთმეტდღიანი შიმშილობითაც კი გამოხატა, თუმცა პროკურატურა, ისევე როგორც სასამართლო, მიიჩნევს, რომ ისეთი მძიმე ავადმყოფი არ არის, საქმის განხილვის პროცესს რომ ვერ დაესწროს. ამის დასადასტურებლად, მათ ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექიმ-სპეციალისტის ჩვენება მოჰყავთ.

ხვიჩა მანჩხავას პროკურატურა ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენაში, ტარებასა და გადაზიდვაში, ორი ადამიანის განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობასა და ამ დანაშაულის წამქეზებლობაში სდებს ბრალს. გარდა ამისა, სამართალდამცავები მას 2000 წლის 1 ოქტომბერს გურამ აბსანძესთან, ლოთი ქობალიასა და სხვა პატიმრებთან ერთად, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გათხრილი გვირაბის მეშვეობით გაქცევაშიც ადანაშაულებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ 1997 წლიდან 2000 წლის მაისამდე ის სასჯელს რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში იხდიდა. მანჩხავა იქ ყაჩაღობის მუხლით გაასამართლეს, დამნაშავედ ცნეს და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

როგორც ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, ხვიჩა მანჩხავა საქართველოში თავისივე თხოვნით ჩამოიყვანეს. სურდა, დარჩენილი სასჯელი აქ მოეხადა, რადგან, მისივე თქმით, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, ოჯახის წევრები მის სანახავად რუსეთში ჩასვლას ვერ ახერხებდნენ. ამ მოთხოვნისას, მანჩხავამ, როგორც თავად აღნიშნავს, ისიც იცოდა, რომ საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს მასზე 1994 წლიდან ჰქონდათ ძებნა გამოცხადებული. *„აქ ჩამოსვლის არ შემეშინდა, რადგან სინამდვილეში, არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია და ფიქრობდა, რომ მისი სახელი საქმეებში რაღაც გაურკვევლობის გამო ფიგურირებდა“,* — დასძენს განსასჯელის მხარე.

ხვიჩა მანჩხავას მიმართ საქართველოში აღძრული სისხლის სამართლის საქმეები გაერთიანდა, გამოძიება კი სამხედრო პროკურატურამ აწარმოა. თავად მანჩხავა სამხედრო პირი არ გახლავთ, მაგრამ რადგანაც დანაშაულში, რაშიც მას ბრალი ედება, დანარჩენ ბოროტმოქმედებად სწორედ სამხედროები გვევლინებიან, სამართალდამცავებმა მიიჩნიეს, რომ საქმეები უნდა გაერთიანებულიყო. განსასჯელის ადვოკატი საქმეთა ასეთ გაერთიანებას უკანონოდ მიიჩნევს. მისი თქმით, ამ და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, პროკურატურამ უხეშად დაარღვია საპროცესო ნორმები.

განსასჯელი ჩადენილ დანაშაულთაგან მხოლოდ ციხიდან გაქცევას აღიარებს. რაც შეეხება სხვა ბრალდებებს — 1993 წლის მაისში, სეირან ბერიტაშვილის დაყაჩაღების, კერძოდ, მისთვის ავტომანქანის, ფულისა და პირადი დოკუმენტების გატაცების ფაქტსა და 1993 წლის 12 ივლისს, მამა-შვილ ბიჭიკაშვილების განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობას — მანჩხავა კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, იმ პერიოდში იგი საქართველოში არ ყოფილა, რუსეთში ცხოვრობდა და იქვე მუშაობდა, პროკურატურამ კი მისი ეს ალიბი არ გადაამოწმა.

ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ვრცლად „გზის“ 2002 წლის №18-ში მოგითხრობდით. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მამა-შვილ — ვლადიმერ და ივანე ბიჭიკაშვილების მკვლელობაში თანამონაწილეებად პროკურატურის მიერ, ალექსი ბექაური, ზაზა გოგოლაძე, კახაბერ ღარიბაშვილი, ქართლოს ჩილინდრიშვილი და ზურაბ თარაშვილი სახელდებიან. აღნიშნული ბრალდების გამო, ზოგმა სასჯელი უკვე მოიხადა, ბექაური კი, რომელიც უშუალოდ ბიჭიკაშვილების მკვლელობაშია დამნაშავედ ცნობილი, ამჟამად სასჯელს რუსთავის კოლონიაში იხდის. წინასწარ გამოძიებაში, ხსენებულ პირთაგან ყველამ, მათ შორის ბექაურმაც, დაასახელა ხვიჩა მანჩხავა, როგორც მამა-შვილის მკვლელობის წამქეზებელი.

ალექსი ბექაური ხვიჩა მანჩხავას ნათლულის ძმაა. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში იგი დეტალურად აღწერს ჩადენილ მკვლელობასა და მანჩხავას მოქმედებებსაც — თუმცა, ამ უკანასკნელის საქმის განხილვისას, როცა უზენაეს სასამართლოში მოწმედ დაკითხვისას, 1993 წლის 12 ივლისის მოვლენები სულ სხვაგვარად აღწერა. ახლა ბექაურმა უჩვენა, რომ პიროვნება, რომელმაც იმ დღეს თბილისის ზღვაზე ბიჭიკაშვილების საქმე გაარჩია და მათი მკვლელობის გადაწყვეტილება მიიღო, აწ გარდაცვლილი მამამისი გახლდათ. როგორც ბექაურის ამჟამინდელი ჩვენებით ირკვევა, მან მამის დანაშაული დაფარა და მის ნაცვლად, სხვა ნათესავი — ხვიჩა მანჩხავა დაასახელა. *„...მამა ძალიან განიცდიდა იმას, რომ მის მაგიერ ხვიჩა იყო მოხსენიებული*

გამოძიების მასალებშიც და სამხედრო სასამართლოშიც", — დასძინა ჩვენებისას ბექაურმა.

დანაშაულში მანჩხავას მონაწილეობა, სასამართლოში თარაშვილმაც უარყო. რაც შეეხება დაზარალებულს, ჯიმშერ ბიჭიკაშვილს — საქმის მასალების მიხედვით, შემთხვევის დღეს ის მამა-შვილ ბიჭიკაშვილებთან ერთად ჩაუჯდა ბოროტმოქმედებს მანქანაში. ყველანი ერთად საქმის გასარჩევად თბილისის ზღვაზე წავიდნენ. მკვლელობაც სწორედ იქ მოხდა და ამ ფაქტს ჯიმშერიც ესწრებოდა. წინასწარი გამოძიებისას მან დაადასტურა ხვიჩა მანჩხავას, როგორც „კანონიერი ქურდის" მონაწილეობა საქმის გარჩევასა და მისი ნათესავების — მამა-შვილ ივანე და ვლადიმერ ბიჭიკაშვილების განზრახ მკვლელობაში. თუმცა, სასამართლოში აღნიშნა, რომ ხვიჩა მანჩხავას სახელი და გვარი პირველად მან გამოძიების პეროდში, ძიებასთან დაკავშირებული პირებისგან შეიტყო. ამიტომ, თავადაც მიიჩნია, რომ ის პიროვნება, ვინც საქმე გაარჩია, მანჩხავა იყო.

**ვილერ წოწორია,** განსასჯელის ადვოკატი:

*„მთელმა დარბაზმა გაიგონა, როგორ განუცხადა დაზარალებულმა ჯიმშერ ბიჭიკაშვილმა სასამართლოს, — განსასჯელს დღეს ცხოვრებაში პირველად ვხედავო. გასათვალისწინებელია თარაშვილის და ბექაურის ჩვენებებიც. სხვათა შორის, ბექაურის მამა, საქართველოში მანჩხავას ჩამოყვანიდან თვე-ნახევარში გარდაიცვალა. ფაქტია, როცა შეიტყო მისი ჩამოსვლის შესახებ, ძალიან განიცადა, რადგან კარგად იცოდა, დამნაშავე იმ მკვლელობაში თავად რომ იყო. მანჩხავამ შეიტყო, რომ იძებნებოდა, თორემ მის წინააღმდეგ ამ შეთქმულების შესახებ საქართველოში ჩამოსვლამდე არაფერი იცოდა. ბექაურის მამა ამაზე ნერვიულობამ სიკვდილამდე მიიყვანა. გამოძიება რატომღაც ამ ფაქტით არ დაინტერესდა.*

*აღსანიშნავია, ყაჩაღობის ეპიზოდში დაზარალებულ სერან ბერიტაშვილის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებაც. მისი თქმით, მას სამხედრო ფორმაში ჩაცმულები დაესხნენ თავს. მანჩხავა კი არასოდეს ყოფილა რომელიმე სამხედრო ფორმირების წევრი ან თუნდაც მოხალისე. დაზარალებულმა სხდომაზე გარკვევით აღნიშნა, რომ განსასჯელს პირველად ხედავს".*

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა სერან ბერიტაშვილმა საქმის წინასწარი გამოძიებისას ხვიჩა მანჩხავას, როგორც ერთ-ერთ დამყაჩაღებელს, ხელი დაადო. საქმეში ფიგურირებენ სხვა ძირითადი მოწმეებიც, რომელთაც მანჩხავას დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მნიშვნელოვანი ჩვენებების მიცემა შეუძლიათ. ესენი მკვლელობის თანამონაწილეები — ღარიბაშვილი, გოგოლაძე და პროკურატურის მიერ ერთ დროს მკვლელობის წამქეზებლობაში (მანჩხავას ნაცვლად) ბრალდებული ჩილინდრიშვილი გახლავან. სახელმწიფო ბრალმდებელმა ხსენებულ მოწმეთა სასამართლოში მოყვანა დღემდე ვერ უზრუნველყო. მისი თქმით, ისინი საქართველოში ფიზიკურად არ იმყოფებიან. განსასჯელი პროკურორის ამ სიტყვებს ეწინააღმდეგება. მისი თქმით, მან შეიტყო, რომ დასახელებული პირები, მათ შორის ჩილინდრიშვილიც, თბილისში არიან და ტაქსებზე მუშაობენ. მანჩხავა ამ მოწმეთა დაკითხვამდე, ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს.

**მანანა მანჩხავა,** განსასჯელის და:

*„ჩემი ძმა ამ ადამიანებმა კი არა, ცხოვრებამ დაჩაგრა. დღეს თავისი სიმართლის დამტკიცებას ცდილობს, მაგრამ მისი არავის ესმის. უფრო მეტიც, სრულიად დაუმსახურებლად შეურაცხყოფენ... ხვიჩას რუსეთში წასვლა ოჯახში შექმნილმა დაძაბულმა მდგომარეობამ განაპირობა. იქ სამუშაოდ წავიდა და ორი მცირეწლოვანი შვილი და ხანში შესული, ავადმყოფი დედ-მამა იმის იმედით დატოვა, რომ რუსეთიდან დროდადრო ფულს გამოუგზავნიდა და ამით მათ, ძალიან ბევრ პრობლემას მოუგვარებდა. რუსეთში, ქალაქ უფაში ცხოვრობდა. საკუთარი სატვირთო მანქანა ჰყავდა და სამსახურის გამო, ხშირად მუშების დაქირავებაც უწევდა. ერთ დღეს, უფის აეროპორტში შეხვდა თავის ნათესავს, რომელსაც თან ერთი ჩეჩენი, ერთი აფხაზი და ერთიც ქართველი ახლდა. ხვიჩა მათ ადრე არ იცნობდა. მათ ჩემი ძმისთვის სოფელ კონსტანტინოვკაში წაყვანა უთხოვიათ. მასთან მყოფები ერთ-ერთი მოსახლის — როგორც შემდეგ დადგინდა, ლოსევის — ოჯახში შევიდნენ, უთქვამთ — რაღაც საქმე გვაქვს მოსაგვარებელი და რამდენიმე წუთში დავბრუნდებითო. ხვიჩა მანქანაში დარჩენილა. სახლიდან ყვირილი და კივილი შემოესმა თურმე, მაგრამ იმ ჩეჩენსა და აფხაზს აუხსნიათ — ჩხუბი დაგვიწყეს და ოჯახის უფროსი იარაღით გამოგვეკიდაო. მაშინვე მანქანაში ჩამსხდარან და უკან წასულან. ხვიჩას ისინი სოფელ იაზიკოვოში დაუტოვებია, თავად კი უფაში, შინ წასულა. რამდენიმე დღის შემდეგ, ხვიჩა მილიციამ დააკავა. როგორც გაირკვა, იმ ჩეჩენს, აფხაზსა და ვიღაც ქართველს ლოსევების ოჯახი დაუყაჩაღებიათ და იქიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხაც წაუღიათ. მილიციამ მათ შესახებ არაფერი იცოდა. ძიების შედეგად, თანამშრომლებმა ხვიჩას „კამაზის" შესახებ შეიტყვეს. ასე მიაგნეს კიდეც და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილად ცნეს. ბოლოს, ბრალიც მიუყენეს. ჩემმა ძმამ თავის პრინციპებს არ უღალატა. დანაშაული არ აღიარა, არც ნამდვილი დამნაშავეები, გარეთ თავისუფლად რომ დასეირნობდნენ, არ გასცა. დაზარალებულებმაც, რომლებმაც დანაშაულის დღეს დამყაჩაღებლები პირისპირ ნახეს, გამომძიებლის წინაშე სულ სხვა ფიზიკური მონაცემების ადამიანები აღწერეს. ამან ვერაფერი უშველა ხვიჩას. იქ პატრონი არავინ ჰყავდა, ამიტომაც დანაშაული დაუდასტურეს. აი, ასე, სრულიად უდანაშაულოდ მოხვდა იგი პირველად ციხეში. ამასობაში, საქართველოში მისი ძებნის შესახებაც შევიტყვეთ. მიუხედავად ამისა, დარჩენილი სასჯელის აქ მოხდა გადაწყვიტა. მანდ არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია, რაღაც გაუგებრობაა და გაარკვევენო, — ამბობდა. მისი ჩამოყვანის შესახებ თხოვნით გენერალურ პროკურატურას ჯერ მე მივმართე. ეს 1998 წელს იყო. პასუხი წერილობით არ გაუციათ, მხოლოდ ტელეფონით, სიტყვიერად მითხრეს: პროკურატურას იმის სახსრები არა აქვს, პატიმრები რომ რუსეთიდან ჩამოვიყვანოთო. ამის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროში დავწერე განცხადება. მერე იგივე მოთხოვნა ხვიჩამაც დაწერა, იქ სათანადო უწყებებს მიმართა და 2000 წლის მაისში, როგორც იქნა, მისი ჩამოყვანაც მოხერხდა. ნამდვილი დამნაშავე რომ ყოფილიყო და იმ საშინელ მკვლელობაში მონაწილეობა მართლაც მიეღო, აქ თავისი სურვილით ხომ არ ჩამოვიდოდა? ან თუ ასეთი საშიში კრიმინალი იყო, რატომ თავად პროკურატურამ არ იზრუნა მის ჩამოყვანაზე? ფაქტია, რომ აქაურ სამართალდამცავთათვის მთავარი იყო, დანაშაული ჩემი ძმისთვის მიეწერათ, თორემ სად იყო, ან როდის გაასამართლებდნენ, მათთვის სულერთი გახლდათ. ეს ეჭვი დაახლოებით ერთი თვის წინ, გენპროკურატურიდან მიღებულმა ცნობამაც დამიდასტურა. ცნობაში წერია: ხვიჩა მანჩხავას რუსეთიდან საქართველოში ექსტრადიცია ვერ მოხერხდება, რადგან კანონის შესაბამისად, მან დარჩენილი სასჯელი იქ უნდა*

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„მაგთი", „ჯეოსელი",
„მეგაკომი" — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.



*მოიხადოსო. გამოდის, გენპროკურატურამ ისიც კი არ იცოდა, რომ ჩემი ძმა კარგა ხანია, უკვე საქართველოშია და რომ მას უზენაესი სასამართლო ასამართლებს. პატიმარი ჯერ კიდევ რუსეთში ეგულებოდა".*

განსასჯელის და აცხადებს, რომ მანჩხავას საქართველოდან გაქცევის დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ არასდროს გამოუყენებია. მისივე თქმით, ციხიდან გაქცეულს ხელში რუსეთის პასპორტი ეჭირა და გალისკენ გზაც ხსნილი ჰქონდა. როგორც ამბობდნენ, გვირაბიდან გაქცევის შემდეგ, პატიმრები სწორედ გალის გავლით აპირებდნენ სამშვიდობოზე გასვლას. პროკურატურის ბრალდებით, ხვიჩა მანჩხავამ ციხის სავადმყოფოდან გვირაბის გათხრაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და სამისოდ საჭირო იარაღებიც კი დაამზადა. უფრო მეტიც, ძიებისას, გავრცელებული ვერსიით, მანჩხავა, რომელიც სასჯელს ქ. უფაში იხდიდა, როგორც „გამოცდილი პატიმარი", გაქცევის ორგანიზებისთვის რუსეთის ციხიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს. ამ ფაქტს, ისევე როგორც, გვირაბის გათხრაში აქტიურ მონაწილეობას, ხვიჩა მანჩხავა კატეგორიულად უარყოფს. თუმცა, ის თავად გაქცევის ფაქტს აღიარებს და აღნიშნავს, რომ მას იმ სიტუაციაში სხვა გზა არ ჰქონდა.

**ვილერ ჭოჭორია:**

*„გაქცევაში მანჩხავა თავს დამნაშავედ ცნობს, მაგრამ მისი ჩვენებიდან და საქმის მასალებში ასახული მოვლენებიდან გამომდინარე ჩანს, რომ გაქცევა მან დანაშაულებრივი მიზნების გარეშე ჩაიდინა. გვირაბის გათხრაში მას მონაწილეობა არ მიუღია და ვერც მიიღებდა, რადგან მაშინ ძალიან მძიმე გახლდათ ავად და ფიზიკური ძალა, რაც მიწის გათხრას ესაჭიროებოდა, მას არ შესწევდა. უფრო მეტიც, მას ამ გაქცევის სურვილიც კი არ ჰქონდა. თუმცა, მისი იქ დარჩენაც შეუძლებელი იყო. მანჩხავამ ნათლად წარმოიდგინა, თუ რა მოელოდა პალატაში მარტოდ დარჩენილს, აზსანძის, ქობალიასა და სხვათა გაქცევის ფაქტის გამოვლენის შემდეგ, როგორც ადმინისტრაციის, ისე გაქცეული პატიმრების მხრიდან. მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა და თვითონაც გაიპარა. მართალია, მისი მოქმედება ფორმალურად სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულს მოიცავს, მაგრამ სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ მანჩხავა მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებდა. გაქცევა — დანაშაული მან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩაიდინა".*

ხვიჩა მანჩხავას ბრალდების საქმეზე სასამართლო გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. როგორც ადვოკატი აცხადებს, ძიების დამთავრებისთანავე, ის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს და განსასჯელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს. ■

# სამხედრო აკადემიის კურსანტის — ვიქტორ ბიჩუკის მკვლელობაში ბრალდებულები უზენაესმა სასამართლომ გაამართლა

*მეგი ცანავა*

2002 წლის 8 ივლისს უზენაესმა სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ შვიდ პატიმარს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. განსასჯელებს — 22 წლის ვარლამ აფხაძეს, 22 წლის კონსტანტინე გვენეტაძეს, 24 წლის შოთა წულეისკირს, 24 წლის ზაზა ფაილოძეს, 23 წლის ნუკრი ვაშაკიძეს, 20 წლის ოთარ კუჭავასა და 22 წლის კობა დანელიას პროკურატურა სამხედრო აკადემიის კურსანტის — 22 წლის ვიქტორ ბიჩუკის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებდა. განსასჯელთაგან ზოგი სამხედრო აკადემიაში სწავლობდა, ხოლო ზოგი სამხედრო მოსამსახურე გახლდათ. ფაილოძე და კუჭავა კი ბიჩუკის თანაკურსელები იყვნენ.



ვიქტორ ბიჩუკი

ამ საქმის შესახებ ვრცლად „გზის" №20-ში მოგითხრობდით, ამიტომ მოკლედ შეგახსენებთ მის არსს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაული 2000 წლის ივნისში მოხდა. ბიჩუკი ზემოთ ხსენებულ პირებთან ერთად „ფოთი-თბილისის" მატარებლით მგზავრობდა. ზესტაფონის სადგურთან მიახლოებისას, მათ ერთმანეთში შელაპარაკება მოუხდათ და ნასვამმა ბიჭებმა ბიჩუკი სცემეს. ჩხუბისას, როცა ისინი მატარებლის ღია კართან იდგნენ, ბიჩუკს ხელს ჰკრეს და ვაგონიდან გადააგდეს. ამის შემდეგ, ზესტაფონის სადგურში მატარებლიდან თავადაც ჩამოვიდნენ და ბიჩუკის ძებნა დაიწყეს. როცა აღმოაჩინეს, რომ ის უკვე მკვდარი იყო, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, გვამი ხეზე ჩამოჰკიდეს და ბიჩუკის სახელით წერილიც დაწერეს — თითქოს ვიქტორმა თავი მოიკლა.

ხეზე დაკიდული ბიჩუკის გვამი ხუთი თვის შემდეგ მატარებლის მგზავრებმა შემთხვევით შენიშნეს. გვამს, სხვადასხვა დაზიანების გარდა, თავის ქალაც გატეხილი ჰქონდა...

ბრალდებულები თავს დამნაშავეებად არ ცნობდნენ და განზრახ მკვლელობის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ. სასამართლო გამოძიების შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელთათვის 24 და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. თუმცა, მოსამართლემ — გიორგი ქოიავამ ბრალდების პოზიცია უარყო და როგორც განაჩენის გამოცხადებისას აღნიშნა, განსასჯელთა დანაშაულის დამადასტურებელი რეალური მტკიცებულებები საქმეში არ აღმოჩნდა. ბიჩუკის ტანსაცმელში ნაპოვნი წერილის გამოკვლევის შედეგად (გამოკვლევა სასამართლო გამოძიებისას მეორედ ჩატარდა), ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ის ბიჩუკის მიერ იყო დაწერილი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ვიქტორ ბიჩუკის თვითმკვლელობის ფაქტი დადგენილად ცნო.

მოსამართლის ასეთი განაჩენის გამო აღშფოთება გამოთქვეს დაღუპულის ნათესავებმა.

**ლუბა სტარიკოვა**, გარდაცვლილის ნათესავი:

„სასამართლო აშკარად ტენდენციური და განსასჯელთა მხარისგან დაინტერესებული აღმოჩნდა. ეს სასამართლო პროცესის დასაწყისშივე ვიგრძენით. ასეთი განაჩენის შემდეგ, ყველაფრის იმედი და რწმენა დავკარგე. აღარც ჩივილის სურვილი მაქვს. როგორ შეეძლო ვიქტორს თავი მოეკლა, როცა გვამის აღმოჩენისას და დათვალიერებისას, ექსპერტებმა მის სხეულზე უამრავი დაზიანება — მოტეხილობები დააფიქსირეს. ვიქტორი თავს არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა. შემთხვევამდე რამდენიმე კვირით ადრე, უკრაინაში ძმისშვილი შეეძინა და შვებულებას სულმოუთქმელად ელოდებოდა, რათა მის სანახავად წასულიყო. უსაზღვროდ ბედნიერი იყო ამ მოლოდინით. თვითმკვლელობის მიზეზი იმ პერიოდში მას ნამდვილად არ გააჩნდა". ■



**თამუნა ამონაშვილის ბინაში უამრავი საინტერესო ნივთის აღმოჩენა შეიძლება. თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისთვის ყველაზე ძვირფასი, ფოტოსურათებია.**

# „რაც ლამაზი გაქვს, ის უნდა გამოაჩინო...“

ლელა ჭანკოტაძე

*თამუნა ამონაშვილს დახვეწილი გემოვნება აქვს. მას ხშირად ჰბაძავენ, მისი გულშემატკივრები და ფანები არა მარტო მის სიმღერებს მღერიან, არამედ იცვამენ კიდეც ისე, როგორც თამუნა. როცა აქტიურად აღარ ვიდგები სცენაზე, ან სიმღერა აღარ მომინდება, მოდის სფეროში დავიწყებ მუშაობასო, — გამიმხილა. თამუნა არაჩვეულებრივ აქსესუარებს ქმნის. ხშირად თავისი ხელით გაკეთებული აქსესუარები უკეთია კიდეც, თუმცა, არც უცხოურ ნაწარმზე ამბობს უარს...*

*მისი დღე ძალიან დაძაბული და დატვირთულია, ზოგჯერ ამოსუნთქვის საშუალებაც არა აქვს. მის სიმღერას „მოვა“ დიდი წარმატება ხვდა. ახლა თამუნა ახალ პროგრამაზე მუშაობს და თავის ფანებს უკეთეს სიმღერებს ჰპირდება...*

*თავად თამუნა თითქმის ყველაფერს უსმენს, როკის გარდა. ყველაზე დიდ სიამოვნებას მას სოული და პოპი ანიჭებს. უყვარს კინო და თეატრი. ქაოსური ცხოვრების გამო, არანაირი კონტაქტი აღარ აქვს თეატრთან, მიუხედავად იმისა, რომ თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა. იყო პერიოდი, როცა კვირაში სამ დღეს თეატრში ატარებდა.*

— **ცნობილია, რომ თამუნა ამონაშვილს კარგი გემოვნება აქვს. შენ თუ ხარ თავდაჯერებული და ყოველთვის თუ ეყრდნობი საკუთარ გემოვნებას?**

— კარგი გემოვნება ალბათ, ღვთის საჩუქარია. თუ გემოვნება შინაგანად არ გაქვს, ისევე როგორც შინაგანი კულტურა, მას ვერ შეიძენ. გემოვნება უნდა განავრცო და დახვეწო.



— **ყოველთვის გეცვა ისე, როგორც გინდოდა? ბავშვობაშიც გამოამჟღავნე საკუთარი სტილი?**

— ყოველთვის ვიცვამდი ისე, როგორც მინდოდა. მახსოვს, რომ ბავშვობიდან ვქმნიდი ტანსაცმელს, ასევე ვაკეთებდი ნივთებს, რადგან მქონდა ფანტაზია. თუ ფანტაზია არ გაქვს, ვერაფერს შექმნი. უამრავი ქსოვილი და ძაფი მაქვს გაფუჭებული. ალბათ, ბევრი მასალა უნდა გააფუჭო, რომ ისწავლო, როგორ კეთდება კარგი რამ.

— **ჩემი რესპონდენტების უმრავლესობა აღიარებს, რომ შეიძლება გემოვნებიანი იყო ჩაცმულობაში, მაგრამ ამავე დროს, არ გქონდეს კარგი მუსიკალური გემოვნება. შენ როგორ ფიქრობ?**

— როცა გემოვნება გაქვს, ყველაფერში ისეთ მარცვალს იჭერ, რომელიც შენი გემოვნებიდან გამომდინარეობს. გემოვნება მხოლოდ ჩაცმულობაში არ ვლინდება, მაგრამ ჩაცმულობიდან ბევრი რამ გამომდინარეობს. არ შეიძლება ადამიანს ეცვას ძალიან კარგად და ის „კაიფობდეს“ ბაზრობის მუსიკაზე. შეიძლება არ უსმენდეს რთულ და პროფესიონალურ მუსიკას, პირიქით — იყოს მარტივი მუსიკის მსმენელი, მაგრამ ეს მარტივი მუსიკაც იყოს გემოვნებით და ხარისხიანად შექმნილი. აქედან გამომდინარე, გემოვნებაზე არ დაობენ.

— **გემოვნებიანი ადამიანი პრეტენზიულიცაა?**

— აუცილებლად. როცა გემოვნება გაქვს, კარგის და ცუდის აღქმის უნარითაც გამოირჩევი. გაღიზიანებს პრიმიტიულობა ჩაცმულობაშიც, მუსიკაშიც და ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

— **მომღერლისთვის აუცილებელია, მოდას რომ გაუსწროს?**

— არა. მოდას კი არ უნდა გაუსწრო, მოდას წინ უნდა დახვდე. როცა შემოდის, უნდა დახვდე. მომღერალს ჰბაძავენ — იცვამენ ისე, როგორც მას აცვია. ეს ბუნებრივიცაა. ნებისმიერ ადამიანს სურს იმას მიჰბაძოს, ვინც უყვარს. ცნობილ მოდელიერებს, ვინც მე მომწონს, ვბაძავ კიდეც.

— **რომელი დიზაინერები მოგწონს?**

— დოლჩე და გაბანა, იამამოტო და სხვები. ყოველთვის არ მაქვს იმის საშუალება, რომ ყველაფერი ერთი მოდელიერის კოლექციიდან მქონდეს შეძენილი. მთავარია, მეცვას ნორმალურად და განსხვავებულად. ვცდილობ, არ ვიყო ჩვეულებრივი. მინდა ვიყო სხვანაირი და განსაკუთრებული. თბილისში არის რამდენიმე მაღაზია. იქ ნამდვილად ისეთი პროდუქცია იყიდება, რომელიც სულ ორი ცალია, ან სამი.

— **მოდების ჩვენებაზე თუ**



**შეგირჩევია და შეგიძენია ტანსაცმელი?**

— თბილისში ძირითადად, მაკა ასათიანი და ავთო ცქვიტინიძე ატარებენ ჩვენებებს. ძალიან ხშირად დამირეკავს და მითქვამს მათთვის: ესა თუ ის კაბა გადამიდეთ-მეთქი. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჩასაცმელი ძალიან მომწონებია, ერთხელ ჩამიცვამს და შემდეგ სხვისთვის მიჩუქნია.

— **შენი სტილი როგორია?**

— ჩემი სტილი სხვადასხვანაირია. ჩემი პროფესია მოითხოვს, რომ ვიყო ისეთი, როგორ სიტუაციაშიც მიწევს გამოსვლა. ზოგან კლასიკური ტანსაცმელი მაცვია, ზოგან — სპორტული. ძალიან სპორტულად ჩაცმული არ დავდივარ.

— **ყველანაირი ფერის ტანსაცმელს იცვამ?**

— დიახ. ჩემი კანის ფერს ყველანაირი ფერი უხდება. ზაფხულში, ფაქტობრივად უარვყოფ შავს: საშინლად ცუდ ხასიათზე მაყენებს ზაფხულში შავი ფერის ტანსაცმელი.

— **მოსკოვში განსხვავებული გარდერობი გაქვს?**

— ისეთ მდგომარეობაში არ ვარ, რომ მოსკოვში სხვა გარდერობი მქონდეს და აქ — სხვა. წესით, ასეც უნდა იყოს. რაც აქ ძალიან მომწონს, მოსკოვშიც მაცვია და პირიქით.

— **მოდა რუსეთში უფრო ცვალებადი და თამამია?**

— ძალიან თამამია იქ მოდა და ცვალებადიც, რადგან მოსკოვი გაცილებით დიდი ქალაქია. ბევრი რამ ჩემთვის მიუღებელია. თბილისი „ჩამცმელი“ ქალაქია. თბილისში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაცმულობას, რაც მოსკოვში იშვიათად ხდება. ჩვენთან ყველა სიტუაციაში იგრძნობა, რომ ჩაცმა აქტუალურია. პირადად მე იმ ადამიანისადმი, რომელსაც კარგად აცვია, თავიდანვე დადებითი განწყობა მექმნება. ძალიან დიდ მნიშველობას ვანიჭებ ჩაცმის კულტურას, მანერას, გემოვნებას.

— **ხომ არ მიგაჩნია, რომ ჩვენს მამაკაცებს შედარებით უგემოვნოდ აცვიათ?**

— ქართული დოგმა მამაკაცებში უფრო მყარია და მკვეთრად შეიმჩნევა, ქალებში შეზღუდვები უფრო მოიხსნა. ადრე თუ ბიუსტჰალტერის სალტე გიჩანდა, ეს არ შეიძლებოდა, ახლა პირიქითაა — უნდა გიჩანდეს. ახლა მოდა შეიძლება ითქვას, არეულია. ყველაფერია მოდაში, გააჩნია, როგორ ჩაიცვამ და სხვადასხვანაირ ტანსაცმელს როგორ შეათავსებ ერთმანეთთან.

— **რატომ ფიქრობენ ქართველი მომღერლები, რომ შიშველი ადგილების გამოჩენა ვულგარულობაა? ეს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ფოტოებიდანაც ჩანს.**

— მე არ მიმაჩნია ასე. უნდა მოერიდო იმას, რაც ცუდად გამოიყურება. რაც ლამაზი გაქვს, ის უნდა გამოაჩინო. მე არ მაქვს საუბარი მთლიანად სიშიშვლეზე, მაგრამ დოგმა არ უნდა არსებობდეს. რაც ლამაზია, ის უნდა გააკეთო... მე ძალიან მჯერა ჩემი გემოვნების. ვიცი, რომ ძალიან კარგი გემოვნება მაქვს და ვერავინ შემედავება. იმდენად მრავალფეროვანი გარდერობი მაქვს, რომ ყოველთვის ვარჩევ, სად რა ჩავიცვა.

— **ვარცხნილობასაც მხოლოდ საკუთარი გემოვნებით არჩევ?**

— ძალიან კარგი ხარისხის თმა მაქვს. ვცდილობ, რომ შევინარჩუნო. არ დაგიმალავთ და ნამდვილად ვუვლი თმასაც და კანსაც. დღეს იმდენად დაბინძურებულია გარემო, რომ ჰაერი და წყალიც კი აფუჭებს კანსაც და მთელ სხეულსაც.

— **თმისა და კანის მოვლის რაიმე შენეული საიდუმლო თუ გაქვს?**

— ყოველთვის ვეცნობი ლიტერატურას ისეთ დონეზე, რომ გავარკვიო, რა შემადგენლობისაა ესა თუ ის პროდუქტი და რომელი ნივთიერებებია ზიანის მომტანი. ყველაფერი შეიცავს ქიმიას, მაგრამ მაინც ვახერხებ ბუნებრივ ექსტრაქტებზე დამზადებული პარფიუმერია ვიხმარო.

— **ვარცხნილობას იშვიათად იცვლი?**

— ყოველდღიურად, თითქმის ერთნაირი ვარცხნილობა მაქვს. როცა კონცერტი მაქვს ან ახალ ალბომს ვადგენ, ასეთ დროს ვცდილობ, ვარცხნილობა რადიკალურად შევიცვალო. ახლა ვაკეთებ ახალ ალბომს და ვცდილობ, ყველაფერი შევიცვალო — გამომეტყველებაც კი.

— **თამუნა, სუნამოსაც ხშირად ცვლი?**

— ერთსა და იმავე სუნამოს დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვხმარობ, ამიტომ არასდროს ვყიდულობ დიდ „ფლაკონს“. იშვიათად ხდება, რომ ნაჩუქარი სუნამო მომეწონოს. უფრო ხშირად, ამ სუნამოს სხვას ვაჩუქებ ხოლმე.

— **ხასიათიც თუ გაქვს ასეთი ცვალებადი?**

— ხუთ წუთში ხასიათი სამჯერ შეიძლება შემეცვალოს.

— **ცხოვრების შეცვლასაც თუ**

**გენიალური ფრაზები**



გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, ოღონდ — შემთხვევით გამვლელს მეტისმეტად ნუ დაუახლოვდები.

*ლუის ბილი*



„მეორე არხის“ ტელეწამყვანთან, გია გუმბერიძესთან ერთად

**ცდილობ?**

— ყველა ადამიანი ცდილობს მრავალფეროვანი ცხოვრებით იცხოვროს. მაგრამ ცხოვრება ძალიან რთულია და ძალიანაც რომ ეცადო, შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო რაღაც შეცვალო. ალბათ, შვილის გარდა, ყველაფერი მოსაბეზრებელია, ამიტომ, სულ უნდა ეცადო, რომ ცვლილებები განახორციელო.

— **საჩუქარს რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში?**

— ძალიან მიყვარს და მახარებს საჩუქარი, მაგრამ ათასჯერ უფრო მეტ სიხარულს განვიცდი, როცა მე ვაჩუქებ. საჩუქარს ვარჩევ იმის მიხედვით, თუ ვინ არის, რა უყვარს, როგორი ბუნების არის. არასდროს მიჩუქებია სხვისთვის ისეთი რაღაც, რაც ჩემთვის უვარგისია და გადასაგდები. ყოველთვის უნდა აჩუქო ადამიანს ისეთი რაღაც, რაც შენთვის ძვირფასია და არა გადასაგდები.

— **თამუნა, შინ როგორი ხარ?**

— გარეთ ძალიან ვიღლები, ამიტომ შინ რომ ვბრუნდები, ვცდილობ, ჩუმად ვიყო და მაქსიმალურად დავისვენო. თუ ჩემთვის სასურველი აურა არ ტრიალებს, ასეთ ადგილას, ხუთ წუთზე მეტს ვერ გავჩერდები. ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ გარემოში ვიცხოვრებ. ჩემთვის სახლს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა ნივთი საყვარელია, შემიძლია იატაკზე დავწვე და ისე დავისვენო.

— **ხშირად ცვლი დიზაინს?**

— არა. ამის დრო არ მრჩება.

— **ეს სათამაშოები ბავშვობის დროინდელია?**

— არა. მე არ შემიძლია, ათი წლის ან უფრო დიდი ხნის განმავლობაში მქონდეს ერთი და იგივე სათამაშო. ეს დიდი სათამაშოებიც ალბათ, მომბეზრდება და ვაჩუქებ იმას, ვისაც მოსწონს და უნდა, რომ ჰქონდეს.

— **ძველ ფოტოსურათებს თუ ინახავ?**

— ძალიან მიყვარს ფოტოსურათები. სადაც დავდივარ, თითქმის ყველგან დამაქვს ფოტოაპარატი და ჩემთვის სასურველ ადამიანებთან ვიღებ სურათებს. სურათების დათვალიერება ძალიან მიყვარს და ძალიან მამშვიდებს. უამრავი სურათი მაქვს. სხვას არაფერს ვაგროვებ. სახლში ისეთი არაფერი მაქვს, რაც არ მჭირდება.

— **სამზარეულოში ხშირად თუ ტრიალებ?**

— არა. თითქმის არ შევდივარ და შემიძლია ვთქვა, რომ სამზარეულოში უმოქმედო ვარ.

— **როგორი კერძები გიყვარს?**

— ყველანაირ კერძს მივირთმევ, მაგრამ ტკბილეული უფრო მიყვარს, ვიდრე მწარე და მჟავე.

— **ამის გამო, წონის პრობლემა არ გექმნება?**

— არა. თან ორი დღე — ოთხშაბათსა და პარასკევს ვმარხულობ, რათა როგორც ჩემი სხეულის, ასევე სულის განტვირთვაც მოხდეს.

— **სპორტული თუ ხარ?**

— რა თქმა უნდა. მთელი ცხოვრება ვვარჯიშობ. ბოლო ერთი წელია, რაც სავარჯიშოდ ველარ დავდივარ, ამიტომ ვცდილობ, სახლში მაინც ვივარჯიშო თხუთმეტი-ოცი წუთი.

— **რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში მაკიაჟს? ამბობენ, რომ მას ყველა ქალის გადარჩენა შეუძლია.**

— მარტო მაკიაჟი არაფერს გიშველის, თუ არ ივარჯიშე და ცოცხალი, სუფთა საკვები არ ჭამე. აუცილებლად უნდა დალიო ბევრი წყალი, რასაც ადრე არ ვაკეთებდი და ასევე — წითელი ან შავი ღვინო სადილად. ვარჯიშის გარეშე არაფერი გამოვა, სახის კანი ჩამოჭკნება. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ კარგი ნელსაცხებელიც აუცილებელია. უნდა კითხულობდე უამრავ ლიტერატურას. საკუთარი თავისთვის ქალი ყველაფერს უნდა აკეთებდე. ნახევარი საათი მაინც უნდა დაუთმო თავის მოვლას. როცა ბევრს კითხულობ, ხვდები რომელი ნივთიერებაა ცუდი და შესაბამისად შეგიძლია ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული კრემი შეარჩიო.

— **ქალმა რომ გარეგნობაზე იზრუნოს, საჭიროა ის მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს...**

— დიახ. მართლა ძალიან ძნელია უფულოდ თავის მოვლა, მაგრამ თვეში ერთხელ კარგი მკვებავი მალამო მაინც უნდა გქონდეს. კანი თუ არ კვებე, ის მალე დაბერდება.

— **თამუნა, სხვების რჩევებს თუ ითვალისწინებ?**

— რა თქმა უნდა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას, მაინც ჩემი სურვილით ვიღებ.

■




ჩვენ მივაღწიეთ ამას!
საერთო წონის დაკლება 31 კგ!!!





წონის დაკლების და ჯანმრთელობის კონტროლის ახალი სისტემის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ ახალგაზრდული იერი და ჯანმრთელობა!

დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.

დაგვირეკეთ: 957067 (17 სთ-მდე); 227756; 382374 (17 სთ-ის შემდეგ); 893345008 ანდრო, ნატა



პარლამენტარი დავით გამყრელიძე მემარჯვენეობას — ანუ მარჯვენა ხელ-ფეხის მიზანმიმართულ ხმარებას ბავშვობიდან არის ჩვეული. ტაშის დაკვრის დროსაც მარჯვენა ხელს არტყამს მარცხენას, ძილის დროსაც მარჯვენა გვერდზე წევს, ჩხუბის დროსაც კი — მართალია, დიდი ხანია მუშტი-კრივი აღარ გაუმართავს, მაგრამ ახსოვს — უპირატესი დატვირთვა მარჯვენა კიდურებს ჰქონია... მოკლედ, დავადგინე, რომ დავით გამყრელიძე სულით-ხორცამდე „მემარჯვენეა“. „ლევი“ აზრები არ აწუხებს და არც საკუთარ პრინციპებს ღალატობს. ღალატით, როგორც თავად ამბობს, მხოლოდ მეცნიერებას უღალატა. აკადემიკოსების ოჯახში აღზრდილმა, ჯერ ბიზნესში, შემდეგ კი პოლიტიკაში შედგა ფეხი. ვერ გეტყვით, როგორ დაცადა პოლიტიკამ მისი 43,5 ზომა მარჯვენა კიდური, მაგრამ თავად „პრავი“ ბატონი, თუ მის სხვა ფიზიკურ მონაცემებსაც — 1,87 მ სიმაღლეს და 84 კგ წონას — გავითვალისწინებთ, ალბათ, „მაგრად გაქაჩავს“.

# ღვინის მოტრფიალე დავით გამყრელიძე კრივის ილეთებს კარგად ფლობს

მაია შაშიაშვილი

— მეცნიერთა ოჯახში გავიზარდე. მამაჩემი — ერეკლე გამყრელიძე გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსია. ბაბუაც პროფესიით გეოლოგი, აკადემიკოსი იყო. მე, ასე ვთქვათ, მეცნიერებას ვუღალატე და ჯერ ბიზნესში, შემდეგ კი პოლიტიკაში შევდგი ფეხი. დედა — ია გობრონიძე, დიასახლისია. ჩემს აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი მას მიუძღვის.



**— რომელი ასაკიდან დაიწყეთ თქვენი გემოვნებით ჩაცმა?**

— პატარაობისას, რა თქმა უნდა, დედას ვუჯერებდი. მის გემოვნებას ვენდობოდი. მერე, უკვე, დაახლოებით 15-16 წლის ასაკიდან, საკმაოდ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოვყალიბდი. ჩემი გემოვნებითაც ვიცვამდი და თუ რაღაცას ვიტყოდი, ჩემთან დავას აზრი არ ჰქონდა — მაინც აღარ გადავთქვამდი. ასე, ყოველგვარი კარნახის გარეშე ავირჩიე პროფესია, ასე, დამოუკიდებლად გადავწყვიტე დაოჯახება, ექიმობისთვის თავის დანებება და მერე, ბიზნესიდან პოლიტიკაში წასვლა. ამავე დროს, მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა და მათი მხრიდან, ჩემი პიროვნებისადმი პატივისცემას ყოველთვის ვგრძნობდი.

**— თუმცა, მაინც გედავებოდნენ, რაზე, ვერ მეტყვით?**

— რა ვიცი, რაღაც ტრადიციულ ვალდებულებებზე. მაგალითად, ხშირი ვიზიტები ნათესავებთან ან მშობლების მეგობრების შვილებთან, ჩემს პროტესტს იწვევდა ხოლმე. ერთადერთი, რაც შემიძლია გავიხსენო, ამასთან დაკავშირებით ვკამათობდით ხოლმე... თუმცა, ძალიან კმაყოფილი ვარ და მშობლებს ვუმადლი, რომ მეგობრული თუ ნათესაური ურთიერთობის ტრადიციები, სამშობლოსადმი და საკუთარი ქალაქისადმი დამოკიდებულება, სწორად ჩამოყალიბდა ჩემში.

**— როგორ გარემოში გრძნობთ თავს კომფორტულად?**

— სადაც მხვდება ის საზოგადოება, რომელთანაც ერთნაირი ხედვა მაკავშირებს. სადაც შემეძლება ახალი, საინტერესო რამ გავიგო და მეც, ჩემი ხედვა წარმოვაჩინო.

**— ვინმემ თქვენი მასპინძლობა რომ გადაწყვიტოს, რა უნდა დაგხვდეთ იქ აუცილებლად?**

— შეიძლება ითქვას, რომ გურმანად ვითვლები, მაგრამ ჭამა მიყვარს, როცა სუფრა ლამაზად არის გაფორმებული, კერძებიც ლამაზად მორთმეულია და როცა ეს ყველაფერი კარგი ღვინით და სასიამოვნო სიმღერით არის შეზავებული... ასე რომ, თუ ქეიფზეა საუბარი, აი, ასეთ ფორმაში... რაც შეეხება მეგობარ-ახლობლებთან ან საქმიან ვიზიტს — მოკრძალებული სტუმარი ვარ და ჩაით ან ყავით ვკმაყოფილდები.

**— ცუდი სიმთვრალე ხომ არ გაქვთ?**

— არა. პირიქით, კარგ ხასიათზე ვარ ხოლმე. ამ დროს ცეკვა მიყვარს...

**— განსაკუთრებით — რომელი?**

— რა ვიცი, ყველაფერს ვცეკვავ — ,,ქართულს‘‘, თანამედროვეს. გაჩნია სასმლის დოზას.

**— ბატონო დავით, სრულიად ფხიზელს, ქუჩაში მოულოდნელად ვინმე რომ დაგეჯახოთ, როგორი რეაქცია გექნებათ?**

— ინსტინქტურად ბოდიშს მოვუხდი — მიუხედავად იმისა, თუ ვისი მიზეზით

მამუკა ხაზარაძესთან ერთად

მოხდა ეს შეჯახება.

— **მან რომ ბოდიშის ნაცვლად, ჩხუბი დაგიწყოთ და შეგაგინოთ?**

– მე მგონი, რასაც ვიზამ, ამას ახსნა არ სჭირდება. მე ისეთ გარემოში გავიზარდე, სადაც კაცობასა და ღირსებას თავისი ფასი აქვს. არასოდეს დამიხევია უკან... ჩემი დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ვცდილობ, კონფლიქტებს თავი ავარიდო, იმიტომ, რომ შეიძლება, ასეთი სიტუაცია სკანდალში გადაიზარდოს და მე, როგორც პარლამენტის წევრი, დებოშიორად და ქუჩის მოჩხუბრად წარმომაჩინონ.

— **ამ კონკრეტულ სიტუაციას თავს როგორ აარიდებთ? ხელი მაინც არ „გაგექცევათ“ გასარტყმელად?**

– გააჩნია პიროვნებასაც. თუ ნასვამია, აჯობებს, ყურადღებაც არ მიაქციო. თავის შეკავება გარკვეულ ზღვრამდე შემიძლია. იმის იქით, უკვე ძნელია.

— **თუ მუშტს მოგიქნევთ, მაშინ გამოხვალთ წონასწორობიდან?**

– ამ მუშტს უპასუხოდ ნამდვილად არ დავტოვებ! ჯერ ერთი, ვეცდები, რომ არ მოვიხვედრო, მეორეც... მინდა ყველა გავაფრთხილო, რომ საკმაოდ კარგად ვფლობ კრივის ილეთებს...

— **სპორტის სხვა რომელ სახეობას ფლობთ?**

– ბავშვობიდან ჩოგბურთით და თხილამურებით ვარ გატაცებული. ორივეს საკმაოდ ნორმალურად ვფლობ. ჩემი დასვენებაც სწორედ თხილამურებით სრიალი და ჩოგბურთის თამაშია.

— **ბატონო დავით, ეი. თქვენზე ფიზიკურად დიდ ადამიანსაც შეებრძოლებით წესების გარეშე?**

– იცით, ახლა, თქვენს კითხვაზე ცნობილი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, „რეკორდი“ მახსენდება. რა მოტივაციაც არ უნდა გქონდეს, შეიძლება, ის შემართება და ძალა არ აღმოგაჩნდეს, რომ რაღაცას მიაღწიო, მაგრამ არსებობს ისეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, როცა ყველაფერს დაძლევ. თუ იმ ზღვარს გადასცდა, სიკვდილამდე ვიომებ.

— **ასეთ რისკზეც წახვალთ?**

– მთელი ცხოვრება რისკზე მივდიოდი. მე მიყვარს, საერთოდ, რისკი.

— **შამპანურიც?**

– შამანურიც და... კარგი ღვინოც.

— **ეს ყველაფერი გასაგებია... თქვენი მეუღლე როდისღა შეგიყვარდათ?**

– ჩემს მეუღლეს, მარინა მადიჩს, პრინციპში, ბავშვობიდან ვიცნობდი. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს – ბორჯომში, ლიკანში, ერთად ვისვენებდით ხოლმე, მაგრამ ახლო ურთიერთობა არასდროს გვქონია. ორივე, სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდით. ერთმანეთს რომ შევხვდით, მე მესამე კურსზე ვიყავი, ის – პირველზე. როგორც იტყვიან ხოლმე, თვალი დავადგი და ძალიან მალე, 6 თვეში, ჩემი მეუღლე გახდა.

— **ხომ არ ჯიუტობდა?**

– ჩემთან ჯიუტობა ცოტა ძნელია.

— **ეს — მარტო მეუღლისთვის?**

– არა, სხვებისთვისაც... შეიძლება, მეც გავჯიუტდე და...

— **მერე, რა არის მოსალოდნელი?**

– უბრალოდ, ვერ შედგეს ის საქმე ან შეთანხმება, რომლისთვისაც 2 ადამიანი იბრძვის.

— **ქალის „მოსაპოვებლად“ ფული თუ გადაგიხდიათ?**

– ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა... თუმცა, მიმაჩნია, რომ არ შეიძლება, ადამიანმა ფულის გულისთვის, ისეთი ურთიერთობა დაამყაროს, რასაც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ჰქვია. მე არ ვცნობ, საერთოდ, ასეთ ურთიერთობას.

— **ანუ, თამამად შეგიძლიათ თქვათ, რომ მეუღლისთვის არ გიღალატიათ?**

– არა. მე მეუღლემდეც მქონდა ცხოვრება და... ახალგაზრდა ვიყავი – 21 წლის, ცოლი რომ მოვიყვანე, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ თავისუფალი მამაკაცის რეჟიმში ცხოვრება მოვასწარი.

— **ეი. არ გიღალატიათ...**

– არ მიღალატია.

— **„ც“ რომ წამოგცდათ?**

– არა, ანუ მამაკაცი ვიყავი მანამდეც და „ც“ მაგიტომ წამომცდა. საკმაოდ ერთგული მეუღლე ვარ და ეს, შეგიძლიათ საზოგადოებაში იკითხოთ.

— **ეს თქვენი პირადი ცხოვრებაა... მე მაინტერესებს, როდის კარგავთ იუმორის გრძნობას?**

– რა თქმა უნდა, არის მდგომარეობა, როცა ადამიანი იუმორს ვეღარ აკონტროლებს... როცა ეს პირადულს ეხება ან ძალიან მგრძნობიარე თემას, მაშინ შეიძლება, იუმორის გრძნობა დავკარგო.

— **ახლა, დაკარგეთ?**

– არა. არ დამიკარგავს, არავითარ შემთხვევაში!

— **პირადულს შევეხე და...**

– არა, მე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები თავისუფალი მედიის დამცავი, სიტყვის თავისუფლების და მაქსიმალური გამჭვირვალობის მომხრე, მაგრამ ყოველთვის უნდა დავუტოვოთ ადამიანს რაღაც პირადული, ინტიმური, რომელშიც ალბათ იმ პიროვნების გარდა, არავინ უნდა ჩაძვრეს.

— **ეი. ჩვენ გვაქვს უფლება კითხვა დავსვათ და რესპონდენტს — პასუხი არ გაგვცეს.**



## ტესტი

# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

*1. ვისი მიბაძვით დაიწყო დაკვრა დათო ოძელაშვილმა?*



ა) უჩა კორძაიას;
ბ) ომარ კელაპტრიშვილის;
გ) ბენი გუდმენის.

*2. რომელი როლის შესრულება დარჩა განუხორციელებელ ოცნებად ეროსი მანჯგალაძეს?*



ა) დათა თუთაშხიას;
ბ) ოტელოს;
გ) გვადი-ბიგვას.

*3. ბადმინტონის სამშობლოა:*



ა) ინგლისი;
ბ) ირლანდია;
გ) ინდოეთი.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

## ფსიქო-ემოციური პორტრეტი

**რამეში? დავუშვათ, თუ პერანგი არ არის კარგად გაუთოებული...**

— ოო, ეგ ცუდია, ე.ი. ცუდად იწყება ჩემი დილა... მაგრამ ეს იშვიათად ხდება. თან, მე არც იმას ვთაკილობ, რომ თვითონ გავიუთოო პერანგი, შარვლის გაუთოებაც შემიძლია — მამამ მასწავლა ექსპედიციებში ყოფნის დროს, — საჭმლის გაკეთებაც შემიძლია და სარეცხის გარეცხვაც.

— **მჯერა, რომ გადასარევი მეუღლე ბრძანდებით...**

— ...თუმცა, მომთხოვნიც ვარ.

— **რას მოითხოვთ ხოლმე?**

— ვითხოვ გემრიელ საჭმელს და სითბოს, რომელიც არ მაკლია.

— **რადგან მოითხოვთ, ე.ი. გაკლიათ...**

— არა, ვითხოვ — არა, უბრალოდ, არ მჭირდება მოთხოვნა, მაგრამ ეს უკვე იმდენად აუცილებელი ატრიბუტია ჩემთვის, რომ თუ მომაკლდება, ნამდვილად დეფიციტი გამიჩნდება. ეს სითბო არც ცოლშვილისგან, არც მშობლებისგან და არც მეგობრებისგან არ მაკლია.

— **ბატონო დავით, წარმოიდგინეთ: თანამდებობა, რომელზეც ოცნებობთ, ვაკანტურია. პრეტენზია, თქვენთან ერთად, სხვასაც აქვს. როგორ მოიქცევით?**

— გააჩნია, ვინ არის ის „სხვა“: თუ ჩემი მეგობარია და მიმაჩნია, რომ ის ღირსეულია, უპრობლემოდ დავუთმობ. ისე, სიმართლე გითხრათ, არც ერთ თანამდებობაზე არ ვოცნებობ. უბრალოდ, ხშირად, გამოცდას ვუწყობ ხოლმე ჩემს თავს, მაინტერესებს — სად გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი და რამდენად მოვახერხებ ამა თუ იმ წინააღმდეგობის დაძლევას. ეს ინტერესი იდო ჩემს პოლიტიკაში მოსვლაშიც: როდესაც მივიჩნიე, რომ ბიზნესში სერიოზულ წარმატებას მივაღწიე, დამაინტერესა, უფრო დიდ ასპარეზზე, იგივე პოლიტიკაში შემემოწმებინა ჩემი თავი, რა შემეძლო გამეკეთებინა ქვეყნის საკეთილდღეოდ... ახლა, ამ ფაზაში ვარ.

— **ამ ფაზაშიც რომ დარწმუნდეთ — საქმის სწორად და კარგად წარმართვა შეგიძლიათ და სხვაგან მოგინდეთ ძალების მოსინჯვა... რა შეიძლება იყოს ის „სხვა“?**

— არ ვიცი. ახლა, ხელოვნებაში დიდი ნიჭი არ მაქვს. რომ გითხრათ, ან ვხატავ, ან ვმღერი, ან სხვა მუსიკალური მონაცემები მაქვს-მეთქი — არა; სპორტშიც, ჩემს ასაკში, უკვე წარმატებას ველარ აღწევენ...

— **დარჩა ისევ პოლიტიკა?**

— ისევ პოლიტიკა დარჩა. პოლიტიკაში წინსვლა ის იქნება, რომ პარტია, რომლის შექმნაშიც მე სერიოზული ენერგია და შრომა ჩავდე, გამარჯვებული იყოს და ის ნდობა მოიპოვოს საზოგადოებაში, რომელიც ყველა პოლიტიკური ძალისთვის ხელისუფლებაში მოსასვლელად არის საჭირო.

— **ამ ფაზაში დავით გამყრელიძე რისგან არის დაზღვეული, რა გარანტიები აქვს?**

— მე დაზღვეული მაქვს ყველაფერი, რაც მაქვს — ჩემი სიცოცხლე: მე რომ მოვკვდე, ჩემი ოჯახი სოლიდურ თანხას მიიღებს. დაზღვეულები არიან ჩემი ოჯახის წევრებიც. დაზღვეული მაქვს ჩემი სახლები, მანქანა, პასუხისმგებლობა — მოკლედ, ყველაფერი, რისი დაზღვევაც შეიძლება. დაზღვეული ვარ კიდევ ერთი რამით: დარწმუნებული ვარ, რომ უმუშევარი არასდროს დავრჩები. ყოველთვის ვიპოვი იმ სამსახურს, სადაც ჩემი შრომით და გარკვეული გამოცდილებით შევძლებ შესაბამისი ანაზღაურება მივიღო და ოჯახი ვარჩინო.

— **რისგან არ ხართ დაზღვეული?**

— წარუმატებლობისგან საქმეში — ბიზნესი იქნება ეს თუ პოლიტიკა. იმის გარანტია არავის აქვს, რომ აუცილებლად წარმატებას მიაღწევს. არ ვარ დაზღვეული იმისგან, რომ ხვალ რაიმე ხიფათი არ შემემთხვევა და, როგორც თქვენ თქვით, ვილაც არ გადამეყრება და არ შემაგინებს...

*P.S. „ალდაგში“ დაზღვეული დავით გამყრელიძე, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ცოტა წინასწარმეტყველურ უნარსაც ფლობს: როგორც ამბობს, მოსალოდნელია, ვინმე გადაეყაროს და შეაგინოს. პრინციპში, ეს ადვილი შესაძლებელიცაა, იმიტომ, რომ შემთხვევითობისგან დაზღვეული არავინ არის, მით უმეტეს — პოლიტიკოსი. პოლიტიკოსები ხომ ლანძღვა-გინების ხელოვნებასაც ზედმიწევნით კარგად ფლობენ. მაგრამ... დავით გამყრელიძის გინების მოსურნეს წინდახედულება მართებს, რადგან „ახალი მემარჯვენე“, რისკთან ერთად, კრივის ილეთებსაც კარგად ფლობს. ისე, უნდა ითქვას, რომ ბატონი დავითი კონფლიქტური ბუნების ადამიანი სულაც არ არის, ამიტომაც ამჟღავნებს კომპრომისებისათვის მზადყოფნას. მართალია, გაღიზიანებული, ემოციებს ვერ მალავს და უშუალოდ ავლენს ხოლმე, მაგრამ... ჩანს, მისი იმპულსურობაც დაზღვეულია.*

*...თუ მან საკუთარი ოპტიმიზმი, ფულის მართვის უნარი და გამოცდილებაც დააზღვია, მაშინ კი „ნაღდად გაქაჩავს“.*

■

LABORATOIRE INNOTECH INTERNATIONAL

ლაბორატორია ინოტექ ინტერნასიონალი —

ზრუნვა ქალის ჯანმრთელობაზე



# პოლივალენტური (კომპლექსური) მკურნალობის ეფექტი

ქალები ხშირად თავს არიდებენ გინეკოლოგთან ვიზიტს და ცდილობენ, თავად მოაგვარონ ქალური პრობლემები. გთავაზობთ სპეციალისტის რჩევას ქალურ დაავადებათაგან ყველაზე გავრცელებული — ინფექციურ-ანთებითი დაავადების, ანუ ვულვოვაგინიტების შესახებ, რაც დაგეხმარებათ გაერკვეთ ამ დაავადების ნიუანსებში და მისი განკურნების თანამედროვე საშუალებებში.

## სპეციალისტის კომენტარი:

გინეკოლოგისთვის თითოეული ქალის ორგანიზმი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. დღესდღეობით საშოს ინფექციებს პირველი ადგილი უჭირავს სასქესო ორგანოების დაავადებებს შორის. სასქესო ორგანოების ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, ანუ ვულვოვაგინიტები 50-60%-ით შერწყმულია სოკოვან ინფექციასთან და გარდა დიდი რაოდენობით გამონადენისა, მას ახასიათებს წვის, ქავილისა და ტკივილის შეგრძნება. ასეთი სახის ვულვოვაგინიტი საჭიროებს ორმაგ თერაპიას: ანტიბიოტიკოთერაპიასა და სოკოს საწინააღმდეგო თერაპიულ მკურნალობას. ამის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: ადგილობრივი, მეზობელი ორგანოების დაავადებები, ან ზოგადი დაავადებები: დიაბეტი, ინფექციური დაავადებები, ასთენია, ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, აგრეთვე დასუსტებულ ქალებში, ორსულებში, ნაწლავთა დისბაქტერიოზისა და განმეორებითი აბორტების დროს. ვულვოვაგინიტები ხშირად აღენიშნებათ ქალებს სქესობრივი აქტივობის პერიოდშიც.

ვულვოვაგინიტების მკურნალობისათვის რეკომენდებულია ისეთი გამოცდილი ვაგინალური პრეპარატის მიღება, როგორიცაა „პოლიჟინაქსი“. რომელსაც გინეკოლოგიური კაფსულების სახით აწარმოებს „ლაბორატორია ინოტექ ინტერნასიონალი“. „პოლიჟინაქსი“ კომპლექსური პრეპარატია და მოქმედებს როგორც ეფექტური პოლივალენტური თერაპიული საშუალება. „პოლიჟინაქსის“ ანთების საწინააღმდეგო ეფექტი შვებას ჰგვრის პაციენტს პირველივე კაფსულის შემდეგ. რბილი კაფსულა, რომელიც არ საჭიროებს წინასწარ დასველებას, საშოს სიმშრალის დროს ადვილი შესაყვანია და არ აღიზიანებს საშოს ლორწოვანს. მკურნალობის სრული კურსი მოიცავს 12 კაფსულას.

საკმაოდ ხშირად გვხვდება ბავშვთა ვულვოვაგინიტები და მისი მკურნალობა ექიმისთვის სიძნელეს წარმოადგენს. „ლაბორატორია ინოტექ ინტერნასიონალი“ გვთავაზობს „პოლიჟინაქსის“ ნაირსახეობას: „პოლიჟინაქს-ვირგო“ — გოგონებისა და ქალიშვილებისათვის. დღესდღეობით ფარმაცევტულ ბაზარზე იგი ამ ტიპის ერთადერთი პრეპარატია.

მკურნალობის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა ჩაიტაროთ გამოკვლევა, რათა დარწმუნდეთ სრულ გამოჯანმრთელებაში. ასე რომ, თუ თქვენ შეამჩნიეთ რაიმე დისკომფორტი, მათ შორის უჩვეულო გამონადენი, ნუ დაკარგავთ დროს და მიაკითხეთ ექიმს. შეგახსენებთ, წამალი ყველა შემთხვევისათვის არ არსებობს და ჯანმრთელმა ქალმა წელიწადში თუნდაც ერთხელ აუცილებლად უნდა მიაკითხოს გინეკოლოგს.

®

ლაბორატორია ინოტექ ინტერნასიონალი

იკითხეთ „პსპ“-ს აფთიაქებში

სერტიფიცირებულია



# აზიატმა დოიმ მეუღლის მსახიობურ ნიჭს გზა გადაუღობა

**ჩემი რესპონდენტი მრავალი სპექტაკლის, მათ შორის — სკანდალური „ჯინსების თაობის“, პანკისის ხეობაში გამართული, მაკა ასათიანის ჩვენების, არაერთი კლიპისა და ორი პოპულარული მომღერლის: ლელა წურწუმიას და მაია ჯაბუას სოლო კონცერტების დამდგმელი რეჟისორია. დათო დოიაშვილს სასაუბროდ შინ ვეწვიე. ხელი ჩამომართვა და გამეცნო: „დოი“. მე როგორ მოგმართო-მეთქი? — ვკითხე და — დათოს თითქმის აღარავინ მეძახის, ამიტომ შენც დოი დამიძახეო, — მიპასუხა...**

*ხათუნა ჰაპახიშვილი*

**— დოი, რამ განაპირობა პროფესიის არჩევა?**

— სხვა პროფესიაზე არასდროს მიფიქრია და მიოცნებია. შეიძლება, შორეულ ბავშვობაში მინდოდა კოსმონავტობა და მზარეულობა, რადგან ძალიან მიყვარს საჭმელი, მაგრამ უკვე 5-6 წლის ასაკიდან, თეატრის რეჟისორობაზე ვოცნებობდი. მიხარია, რომ ასეც მოხდა და ბედნიერი ვარ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში, მიშა თუმანიშვილის ჯგუფში მოვხვდი.

**— მარჯანიშვილის თეატრში, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მიხვედი?**

— სადიპლომო სპექტაკლი ბატონი მიშას თეატრში *(კინომსახიობის თეატრში. — ავტ.)* დავდგი; ეს იყო იაპონელი მწერლის — აკუტაგავას „ცხოვრება იდიოტისა“. სრულიად შემთხვევით, ჩემს მეგობარს, სიმონ მაჩაბელს გავუარე მარჯანიშვილის თეატრში. იქ შემხვდნენ გაიოზ კანდელაკი *(თეატრის დირექტორი. — ავტ.)* და ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომლებსაც მანამდე არც ვიცნობდი. მათ მითხრეს, რომ ნანახი ჰქონდათ ჩემი ნამუშევრები და შემომთავაზეს მარჯანიშვილის თეატრში რაიმეს დადგმა. ასე, შემთხვევით, მოვხვდი ამ თეატრში.

**— და მალე მთავარი რეჟისორის ადგილიც დაიკავე, რომელიც „ჯინსების თაობასთან“ დაკავშირებული სკანდალის გამო დატოვე. ეს პროტესტის ნიშნად ჩაიდინე?**

— ეს არ იყო არც პროტესტი და არც გაბრაზება. როდესაც გარკვეული პოსტი ან თანამდებობა გიჭირავს, უნდა გქონდეს უფლება, აკეთო ის, რაც გინდა. მე ისეთი პროფესია მაქვს, სადაც „სკამს“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს არ არის ტიტული. არსად მსოფლიოში ასეთი ტიტულები არ არსებობს, გარდა ერთი გენიალური „ტიტულისა“ — არტისტი, რომლის ტარების უფლება ან გაქვს, ან — არა.

**— „ჯინსების თაობა“ მაინც დაიდგა, ოღონდ — „თავისუფალ თეატრში“. თეატრის შეცვლის გამო, ალბათ სპექტაკლშიც ბევრი რამის შეცვლა მოგიწია. კმაყოფილი თუ ხარ შედეგით?**

— კმაყოფილი ვარ იმით, რომ დავდგი ეს სპექტაკლი. ამას წინათ, ლაშა ბუღაძის ერთ-ერთი ნაწარმოების გამო სკანდალი ატყდა. დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი მეც, როდესაც მითხრეს, რომ ამ სპექტაკლის დადგმა ახლა არ შეიძლება. ვერასდროს გავიგებ, რატომ არ შეიძლება... ჩემი აზრით, ხელოვნება ის სფეროა, სადაც თუ გინდა, უნდა დაამუშავო, თანაც დაამუშავო იმდენი, რამდენიც არავის დაუმუშავებია... მე რომ ლენინის ან სტალინის ეპოქაში მეცხოვრა, სადაც რაღაცის თქმა არ შეიძლებოდა, აუცილებლად დავდგამდი სპექტაკლს იმაზე, რისი თქმაც არ შეიძლებოდა. დღეს ბევრად საშინელი სიტუაციაა: გეუბნებიან — რაც გინდა, ის ილაპარაკე, — მაგრამ არის კი სალაპარაკო და ილაპარაკებ ისე, რომ ასმა კაცმა მოგისმინოს, ან თუნდაც ათმა?.. თვითმფრინავის ბიჭების თემა უცებ მტკივნეული აღმოჩნდა ჩემთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ახლობლებთან, მეგობრებთან, მშობლებთან დავიწყე სიარული და იმ ბიჭების ხასიათებში გარკვევა. ისინიც მეუბნებოდნენ: ვინ დაგადგმევინებსო? — მაგრამ მე აზრადაც არ მომსვლია, რომ არ დამადგმევინებდნენ. ძალიან მიხარია, რომ ეს სპექტაკლი სეზონის ჰიტი გახდა და ახალგაზრდობა მის სანახავად დადის. კარგად გამოგვივიდა თუ ცუდად, ხალხმა განსაჯოს.

**— ამ თემაზე საუბარი ბიჭების ახლობლებს ალბათ ძალიან გაუჭირდათ, არა?**

— რა თქმა უნდა, ემოცია იყო. სანამ სპექტაკლს საჯაროდ გამოვიტანდით, ბიჭების ახლობლები მოვიწვიეთ და მე და დათო ტურაშვილმა ვთხოვეთ: ვნახოთ სპექტაკლი და თუ თქვენ იტყვით, რომ მას მხატვრული ღირებულება აქვს, სპექტაკლი იარსებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი —

გზაგადაღობილ ნიჭიერ მეუღლესთან – ქეთი ენდელაძესთან ერთად



და, ეს ხალხი იყო არათუ აღელვებული, არამედ ბედნიერი... ბიჭების ნაქონი ნივთები გვაჩუქეს. მაგალითად, მე მაქვს ბიბლია, რომელიც გეგას ციხეში ჰქონდა. მიქაბერიძეები ძალიან მეგობრობდნენ ირაკლი კონტრიძესთან, რომელიც სპექტაკლში მათ შვილს თამაშობს...

— **მარჯანიშვილის თეატრში ამ როლებს სხვა მსახიობები ითამაშებდნენ. რა რეაქცია ჰქონდათ მათ, როცა ამ სპექტაკლის ჩაშლის შესახებ შეიტყვეს?**

— მათ ეშინოდათ ამ სპექტაკლში თამაშის. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, როდესაც გავაცნობიერე, რომ ისინიც მათსავით აზროვნებდნენ, ვინც მეუბნებოდა — არ დადგაო; მანამდე მეგონა, რომ ჩვენ ერთნაირად ვაზროვნებდით... როდესაც „თავისუფალ თეატრში" უკვე დაწყებული გვქონდა რეპეტიციები, რამდენიმე ადამიანი მოვიდა და მითხრა: ჩვენ მზად ვართ, გვერდში დაგიდგეთო. მაშინ ძალიან მტკივნეული ფრაზა ვუთხარი: თქვენნაირი ადამიანები იმ თვითმფრინავში ალბათ არ ისხდნენ-მეთქი... ალბათ მოვა დრო და ისინიც „ჩასხდებიან" — თუმცა, გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ...

— **შენ ლელა წურწუმიას და მაია ჯაბუას სოლო კონცერტები დადგი. რამდენად ახლო დგას თეატრისა და კონცერტის რეჟისურა?**

— აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებია. რომ გითხრა, ეს საქმე ძალიან მომწონს-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ მაია და, მით უმეტეს ლელა, ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანები არიან (დოი ლელა წურწუმიას შვილის — მარიამის ნათლიაა. — ავტ.). როცა ადამიანს სჭირდები, არ შეიძლება მხარში არ ამოუდგე. სიმართლე რომ გითხრა, ლელას, ჩემი აზრით, რეჟისორი არ სჭირდება: მან ზუსტად იცის, როდის რა უნდა და როდის რა არის საჭირო. რაც შეეხება მაიას — იგი აბსოლუტურად მიმნდობია. ამის გამო მე უხეშადაც კი ჩავერიე მის რეპერტუარში. ისიც წყნარად მომყვებოდა ყველაფერში და მეუბნებოდა: რაც გინდა, როგორც გინდა, ისე გავაკეთოთო... სიამოვნებით გავუკეთებ კონცერტს დათო ხუჯაძეს, მარტო იმიტომ, რომ იგი ჩემი მეგობარია. სიამოვნებით გავუკეთებდი კონცერტს მადონას, ბიორკს, მაგრამ ეტ შჰოპ ოყს-ის კონცერტის გაკეთების სურვილი ნამდვილად არ მაქვს.

— **პანკისის ხეობაში გამართული ჩვენების რეჟისურაც იმიტომ იკისრე, რომ მაკა ასათიანი შენი მეგობარია?**

— ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მხოლოდ მეგობრობამ არ გამაკეთებინა ეს საქმე. არასდროს გამიკეთებია და არც დავდგამ მოდის ჩვენებას. მაგრამ მაკას კოსტიუმები იყო სუფთა თეატრალური. ამის გამო, არამც თუ დავთანხმდი, არამედ თავიდანვე დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ ჩვენება სადმე საშიშ ადგილას მოგვეწყო, რადგან თვითონ კოსტიუმები იყო შიშის მომგვრელი. გაჩნდა პანკისის იდეა, რაზეც თავიდან ბევრი ვიცინეთ, რადგან არარეალურად გვეჩვენებოდა. კარგია, რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ასეთი ხუმრობაც რეალობად შეიძლება იქცეს.

— **პირადად შენ, რისი თქმა გინდოდა ამ აქციით?**

— პანკისში მე თვითონ რომ არ ვყოფილიყავი, სკეპტიკური დამოკიდებულება მექნებოდა; ალბათ ვიფიქრებდი: წავიდნენ ეს გიჟი ქალები და თვითონაც არ იციან რა უნდათ... მაგრამ როდესაც ასეთ დაძაბულ და საშიშ ადგილას ზეიმი მოვაწყვეთ, ამას ჩემთვის დიდი ემოციური დატვირთვა ჰქონდა. ვფიქრობ, თუ რაიმე გადაგვარჩენს, მხოლოდ ხელოვნება. ეკონომისტებად და პოლიტიკოსებად რომ არ ვვარგივართ, ეს ყველამ ვიცით, ხელოვანები კი, არცთუ ისე ურიგოები ვართ. ქართველებს კარგად გამოგვდის ღვინის სმა, ქალებთან ფლირტი და ზოგჯერ ხელოვნება.

— **დოი, რამდენიმე სიტყვით შენი მეუღლე და შვილები გაგვაცანი...**

— მეუღლე — ქეთი ენდელაძეა. გვყავს ორი შვილი: 4 წლის ანა და 1 წლის თეიმურაზი. ჩემი მეუღლე არტისტი იყო, მაგრამ ვთხოვე, პროფესია გამოეცვალა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. ახლა ასპირანტურის პირველი გამოცდა ჩააბარა.

— **რატომ სთხოვე პროფესიის გამოცვლა?**

— ძალიან კარგად ვიცნობ არტისტებს და არ მინდა, ოჯახშიც თეატრი მქონდეს. ოჯახში მინდა ოჯახი იყოს.

— **დოი აზიატია?**

— საშინელი, უაზრობამდე აზიატი. არსებობს რაღაც ღირებულებები, რაც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მათ შორის არის ოჯახი, რომელსაც არაფერი უნდა შეეხოს.

— **იგივე რომ ეთხოვა ქეთის შენთვის, დასთანხმდებოდი?**

— ალბათ ვერა, რადგან მე სხვა არაფერი ვიცი. რეჟისურაზე უკეთესად ლურსმნის ჩაჭედება რომ გამომდიოდეს, მაშინ მეწაღე ვიქნებოდი ალბათ. არა, პროფესიას ვერ შევიცვლიდი, რადგან სხვა არაფერი გამომდის, სამწუხაროდ.

— **ე.ი. „ვინუჟდენში" ხარ, რეჟისორი იყო?**

— ჰო, აი, ეგ არის — „ვინუჟდენი" ვარ, რომ რეჟისორი ვიყო.

— **მეუღლე სად და როგორ გაიცანი?**

— გავიცანი, როცა 15 წლის იყო. მერე, სამი წლის განმავლობაში, სულ ოთხჯერ მყავდა ნანახი. ერთ მშვენიერ დღეს მივედი ოფიციალური განცხადებით. მოსაფიქრებლად ცოტა დრო ჰქონდა, რადგან გასტროლებზე მივდიოდი, პოლონეთსა და რუმინეთში... ჩვენი სასიყვარულო ფლირტი სამი დღე გაგრძელდა. გასტროლებიდან დავბრუნდი და შევირთე კიდეც.



ლელა წურწუმიასთან ერთად

— **აზიატი დოი ეჭვიანიც ხომ არ არის?**

— საშინელი. ვეჭვიანობ აბსოლუტურად ყველაფერზე, იმიტომ კი არა, რომ საბაბს მაძლევენ, უბრალოდ, ბუნებით ვარ ეჭვიანი. განსაკუთრებით, სამეგობროში ვარ ეჭვიანი. ურთიერთობაში, პატარა ნიუანსებსაც კი ვაქცევ ყურადღებას: ჩემთვის მნიშვნელობა აქვს, როგორ მომესალმება ადამიანი, ხელს როგორ ჩამომართმევს. ვეჭვიანობ იმაზე, რომ ჩემი მეგობრები არ მაძლევენ იმდენ სითბოს, რამდენსაც მე ვაძლევ მათ.

— **როგორი მამა ხარ?**

— ცუდი, რადგან შვილებისთვის ვერ ვიცლი. მათი აღზრდით, დედაა დაკავებული, განსაკუთრებით კი — ბებიები, რომელიც დიდი რაოდენობით გვყავს...

— **დაბოლოს — რაზე მუშაობ ამჟამად?**

— ახლა ვმუშაობ ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაზე — „შელოცვა რადიოთი". კოსტიუმებსა და სცენის დიზაინს მაკა ასათიანი აკეთებს, მუსიკას — ნიკა მემანიშვილი. სად დაიდგმება სპექტაკლი, ჯერჯერობით არ ვიცი, რადგან ეს პროექტი დამოკიდებულია ფინანსებზე. თავდაპირველად, მარჯანიშვილის თეატრში ვაპირებდით, შემდეგ დაფინანსებას დაგვპირდნენ და ოპერის თეატრში გვთხოვეს დადგმა, მაგრამ არჩევნებმა ყველაფერი არივ-დარია და სად რა როგორ განხორციელდება, არ ვიცი. იმედი მაქვს, რაღაც საშუალება გამოჩნდება და ბოლომდე მივიყვანთ ამ პროექტს. ■



***ამას წინათ, რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის გადაცემაში მაყურებელთა წინაშე სახელგანთქმული ექსტრასენსი ჯუნა დავითაშვილი გამოდიოდა. საუბრისას, სხვა კითხვებთან ერთად, თბილისს შეეხნენ და მან, პროტესტის ნიშნად, პირდაპირი ეთერი დატოვა, მანამდე კი, რამდენიმე მკვახე სიტყვაც კი არ დაიშურა ჟურნალისტისთვის...***

# რატომ სძულს ჯუნა დავითაშვილს თბილისი?

*მაია კახიძე*

*მოსკოვიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქალბატონ ჯუნას სიტყვის გაგონება არ სურს თბილისზე და თბილისელებზე. ამის მიზეზი, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებია, სადაც მას შარლატანი და ექიმბაში უწოდეს და უსამართლოდ ატკინეს გული, ხოლო ყოფილი მეუღლის ბინა, რომელიც მათ ერთადერთ შვილს ეკუთვნოდა, — სხვას გადასცესო. ჯუნა დავითაშვილი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის არმავირელია და არა თბილისელი. არადა, სამედიცინო ინსტიტუტი თბილისში დაამთავრა.*

*რამდენჯერმე ვცადე ქალბატონ ჯუნას ტელეფონით დავკავშირებოდი, მაგრამ ჩემი ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა: ერთადერთი ვაჟის, ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მას ტელეფონის ნომრები შეუცვლია. ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიაში, სადაც ქალბატონი ჯუნა მოღვაწეობს, ზარებზე თანაშემწე პასუხობს და პასუხიც მხოლოდ ორი აქვს: ჯუნა იუვაშევნა არ არის, ან — არავისთან სურს საუბარიო... ბოლოს გადავწყვიტე, ჯუნა დავითაშვილის თბილისელ ახლობლებს დავკავშირებოდი და ლუდმილა მამულაშვილს ვესტუმრე:*

— **ლუდა, თქვენ და ჯუნა როდიდან ახლობლობთ?**

— თითქმის ოცდაათი წლის წინ გავიცანით ერთმანეთი თბილისში.

— **მართალია, რომ ჯუნა დავითაშვილი მიმტანად მუშაობდა კაფეში?**

— ჯუნა კაფე „მეტროში“ მუშაობდა, რომელიც ახლანდელი ცენტრალური ტელეგრაფის ადგილზე მდებარეობდა, ოღონდ — ბარმენად.

— **თუ იცით, სკოლის მერე სად გააგრძელა სწავლა და საერთოდ, როგორ მოხვდა თბილისში?**

— კინემატოგრაფიის ტექნიკუმი დაამთავრა რუსეთში და თბილისში გაანაწილეს სამუშაოდ. მაშინ, ძირითადად, განაწილებით მუშაობდნენ, უმაღლესში სწავლის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირის სისტემა იყო ასეთი, მაგრამ თბილისში ჩამოსული ჯუნა სამსახურში არ მიიღეს, რის გამოც ძალიან სტკიოდა გული. ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩენილმა ახალგაზრდა გოგომ იწვნია ცხოვრების უკუღმართობა, თუმცა ფარ-ხმალი არ დაყარა და როგორც შეძლო, ისე გააგრძელა გზა...

— **რატომ დარჩა თბილისში? როგორც ვიცი, ქალაქ არმავირში დაიბადა. არ მოისურვა იქ დაბრუნება?**

— მართალია, არმავირში დაიბადა, მაგრამ როგორც ჩანს, თბილისი მოეწონა და დარჩა.

— **სად ცხოვრობდა?**

— მთაწმინდაზე. მისი მეუღლე კი, საბურთალოზე, პავლოვის ქუჩაზე.

— **ვინ იყო მისი მეუღლე?**

— ვიქტორ დავითაშვილი. სხვათა შორის, სწორედ კაფე „მეტროში“ გაიცნეს ერთმანეთი. მერე რა, რომ კაფეში მუშაობდა? ძალიან ჭკვიანი გოგო იყო, უზომოდ ბევრს კითხულობდა, ნებისმიერ საკითხზე, ისეთი პასუხის გაცემა იცოდა, გაოცებას ვერ ფარავდნენ მისი შორსმჭვრეტელობისა და იდეალური აზროვნების გამო. ყველა იხიბლებოდა მასთან ურთიერთობით, მათ შორის იყო ვიქტორ დავითაშვილიც. იმდენი იარა კაფე „მეტროში“, სანამ საბოლოოდ არ მოინადირა ჯუნას გული. მათი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და დაქორწინდნენ კიდეც. ზღაპრული სიყვარულით უყვარდა ვიქტორს ჯუნა.

— **და ჯუნამაც, ქმრის პატივსაცემად შეიცვალა გვარი?**

— რა თქმა უნდა. განქორწინების მერეც, ქმრის გვარი დაიტოვა პატივისცემის ნიშნად.

— **ჯუნას ნამდვილი გვარი?**

— იქნებ, არ არის საჭირო, რა ვიცი... სახელი კი, ევგენია გახლავთ.

— **რა მოხდა ცოლ-ქმარს შორის, რატომ დაშორდნენ, თუკი ზღაპრული სიყვარულით დაქორწინდნენ?**

— ძნელია პირად საკითხებში ჩარევა და დასკვნის გაკეთება, მაგრამ ჩემი აზრით, ჯუნამ თავისი თავი მეცნიერებას მიუძღვნა და მე მგონი, ეს იყო მთავარი მიზეზი. მიზეზი არა განქორწინებისა, არამედ — მომავალი ცხოვრებისა.





— **კი, მაგრამ, ბევრი მეცნიერი ქალბატონი ვიცი, ოჯახი რომ აქვს...**

— ჯუნა განსხვავებული და განსაკუთრებული ფენომენით დააჯილდოვა ღმერთმა და ამიტომ ანაცვალა ყველაფერი მეცნიერებას.

— **ჯუნას მეუღლე რა პროფესიის იყო?**

— არ ვიცი, რა წოდება ჰქონდა ვიქტორს, მაგრამ უშიშროებაში მუშაობდა.

— **მათი ვაჟი თბილისში დაიბადა?**

— დიახ, ვახტანგი თბილისში დაიბადა, მაგრამ ვახტანგი ჯუნასა და ვიქტორის მეორე შვილია. პირველი შვილი, გოგონა შეეძინათ, მაგრამ სულ პატარა გარდაიცვალა. ვახტანგს კი, ჩემს მეორე შვილად ვთვლიდი, ჩემ თვალწინ გაიზარდა. საოცარი ბიჭი იყო ვახო. ვინც მას იცნობდა, მერწმუნეთ, შეუძლებელია, ამ მართლაც უკეთილშობილესი ბიჭის დავიწყება და რომ იცოდეთ, რა დღეში ვარ მისი გარდაცვალების შემდეგ...

— **რამდენი წლის იყო ვახტანგი?**

— 1975 წელს დაიბადა. მალე მისი დაბადების დღე გათენდება, მაგრამ — მის გარეშე. 22 ივლისს 27 წელი შეუსრულდებოდა...

— **ქართული ენა თუ იცოდა ვახტანგმა?**

— ვახო ოთხი წლის იყო, ჯუნამ რომ წაიყვანა აქედან, მაგრამ ქართული მაინც არ დაჰვიწყნია. რაც უნდა გეთქვა ქართულად, ყველაფერი ესმოდა. საერთოდ, ,,ხუთოსანი‘‘ მოსწავლე იყო, უმაღლესიც წარჩინებით დაამთავრა.

— **მამასთან თუ ჩამოდიოდა ხოლმე?**

— ვიქტორიც ჩადიოდა მოსკოვში და ვახტანგიც ესტუმრებოდა ხოლმე. მოსკოვში ჩასულ მამას დიდი სიყვარულით ხვდებოდა. სულ ერთად იყვნენ, ერთად დადიოდნენ. ვახო თავისი გემოვნებით ყიდულობდა მამისთვის ჩასაცმელ-დასახურს. ძალიან უხაროდა, მამას რაიმეს რომ გაუკეთებდა... ჯუნა მეც ძალიან დამეხმარა, ოთხი შვილი გამაზრდევინა... ბოლოს, ოთხი წლის წინ ჩამოვიდა ვახო თბილისში. სხვათა შორის, აეროპორტში ვარდიკო ნადიბაიძეც დახვდა (საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი) და არავის დაანება ვახტანგის მასპინძლობა. რა თქმა უნდა, ჩემთანაც იყო ვახო. მერე გავაცილეთ, მაგრამ რა ვიცოდი, უკანასკნელი თუ იქნებოდა მისი ჩამოსვლა... შემდეგ, მეც ვიყავი მოსკოვში. თბილისისკენ მომავალი, ჩვეული სიყვარულით დავემშვიდობე... საშინელებაა, გაუსაძლისი ტკივილია, ჩემი გაზრდილი ბიჭი რომ სამარეშია და დარდისგან აღარ ვიცი, რა ვქნა. ის ისეთი ჭკვიანი, თბილი, მოსიყვარულე და მოაზროვნე ახალგაზრდა იყო... დედა როგორ უყვარდა?! დედის თანდასწრებით სიგარეტსაც კი არ ეწეოდა. იცით, დედაშვილის ამგვარი სიყვარული არც წიგნში წამიკითხავს და არც კინოში მინახავს, საოცარი სანახავები იყვნენ ერთად... ვახტანგი შესანიშნავად წერდა, ხატავდა, მუსიკალურიც დაამთავრა, უკრავდა კიდეც. ვახოს ნახატები მოსკოვში, შინ უკიდია ჯუნას. ათასში ერთხელ, თუნდაც ოდნავ რომ ეგრძნო ჯუნას შეუძლოდ თავი, ვახტანგი არავის დაანებებდა დედის მიერ მოვლას. თავს დასტრიალებდა, მზრუნველობას არ აკლებდა... ასეთი ბიჭი იყო, მას სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლო. ძალიან მოსწონდა და ამაყობდა დედის შექმნილი სიმღერებით, ნახატებით... ჯუნა საუცხოოდ ხატავს. მის ერთ სიმღერას, რომელიც ირინა პონაროვსკაიამ შეასრულა, — ,,სიყვარულის პლანეტას‘‘ — ერთ-ერთი კონკურსის ,,გრან-პრი‘‘ ხვდა წილად. ჯუნას ნიჭი უსაზღვროა. სხვათა შორის, ის სამედიცინო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკია, არაჩვეულებრივი მასპინძელი და ქალი-ლეგენდა, გენიოსი... ვახოც რა დიდებულად აღზარდა...

— **ისეთი ტკივილით მიყვებით ვახტანგზე, ასე მგონია, რომ სწორედ თქვენ ბრძანდებით ვახტანგის ძიძა.**

— არა, მაგრამ მრავალი წელი მე ვედექი ჯუნას გვერდით. ვახტანგის გარდაცვალებამ ისევე დამცა თავზარი, როგორც საკუთარი შვილის უბედურებამ. შოკში ჩავვარდი და დიდხანს ვერ მოვედი გონს. ძალიან მიჭირს იმის წარმოდგენა, როგორ სუნთქავს ჯუნა შვილის გარეშე. მე მგონია, რომ ჯუნა დავითაშვილისთვის ეს სამყარო აღარ არსებობს...

— **მაინტერესებს, ვიქტორ დავითაშვილმა ან ჯუნამ მეორე ოჯახები თუ შექმნეს?**

— ჯუნა აღარ გათხოვილა, მაგრამ ვიქტორმა კარგა ხნის მერე შეირთო ცოლი... თითქმის ოთხი წელია, რაც ვიქტორი გარდაიცვალა, თბილისშია დაკრძალული. ვახტანგი კი მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე განისვენებს.

— **როგორც ვიცი, ქალბატონ ჯუნას, არც აქ აკლდა პაციენტები, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მან ოჯახიც დატოვა, თბილისიც და მოსკოვს გაემგზავრა. მაინც რა მოხდა იმ პერიოდში, რატომ მიიღო ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება?**

— იმიტომ გადაწყვიტა გამგზავრება, რომ იქ მეტი გასაქანი ექნებოდა მის ნიჭს: საუკეთესო პირობები შესთავაზეს, თანაც საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და პირადად ლეონიდ ბრეჟნევმა მიიწვია და თქვენ მის ადგილზე რას იზამდით?

— **ალბათ მთელ პოლიტბიუროს უტარებდა სეანსებს, არა?**

— ჯუნას ისეთი ხელები და ცოდნა აქვს, კომპიუტერი ვერ დასვამს მისნაირ უტყუარ დიაგნოზს. პირადად ჩემ თვალ-



წინ იმდენი ადამიანი გადაურჩენია და ისეთი სასწაულები გაუკეთებია, რომ ყველაფრის მოყოლა შორს წაგვიყვანდა. ჯუნა ბორის ელცინსაც მკურნალობდა, რობერტ როჟდესტვენსკის, მარჩელო მასტროიანის, ნასტასია კინსკის, რობერტ დე ნიროს, ფედერიკო ფელინის, მის მეუღლეს — ჯულიეტა მაზინას და რომის პაპს... ასე რომ, მთელი მსოფლიო იცნობს ჯუნა დავითაშვილს, რომელმაც უამრავი სიკეთე დათესა და კიდევ უამრავს დასთესს...



როგორც შევიტყვეთ, შვილის გარდაცვალების შემდეგ, ჯუნა დავითაშვილი საშინელ განცდებშია. ამბობენ, პაციენტებსაც აღარ იღებს და მხოლოდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მის მიერვე დაარსებულ, ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიაში — „ჯუნა". აკადემია მოსკოვის ცენტრში, არბატზე მდებარეობს. ჯუნა დავითაშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა ბიოკორექტორი — „ჯუნა-1". ამ ფიზიოთერაპიულ აპარატს კარდიოლოგიაში, გინეკოლოგიაში, პედიატრიასა და უროლოგიაში, სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ იყენებენ. მას უამრავი საერთაშორისო თუ ეროვნული ჯილდო და წოდება აქვს, მაგრამ ყველაზე ხშირად, ასირიელთა დედოფალს უწოდებენ.

აკადემიკოს ჯუნა დავითაშვილისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღე 2001 წლის 6 დეკემბერს გათენდა, როდესაც მოსკოვში, სპირიდონოვას ქუჩაზე, ავტოავარიაში მოჰყვა მისი ერთადერთი შვილი. ვახტანგ დავითაშვილის „ვოლგას" ქვეითად მოსიარულემ გადაურბინა, ვახტანგმა მას უბედურება აარიდა, თავად კი, ავტომობილს შეეჯახა. იმ მანქანაში მყოფი მგზავრები და მძღოლი უვნებლად გადარჩნენ, ვახტანგი კი სერიოზულად დაშავდა. რამდენიმე მნიშვნელოვან ტრავმასთან ერთად, თავის არეში ჰემატომა განუვითარდა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი, საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ დედამ ექიმებს არ დანება შვილზე ზრუნვა და შინ წაიყვანა. მთელი თვე არ მოსცილებია საყვარელი ვაჟის სარეცელს. საკუთარი მეთოდებით მკურნალობდა. მოსკოველი ექიმები თავისას არ იშლიდნენ — ამტკიცებდნენ, რომ ასეთი ტრავმების დროს, ორთვიანი წოლითი რეჟიმი იყო საჭირო. მაგრამ ჯუნა დავითაშვილმა სამ კვირაში ფეხზე დააყენა თავისი შვილი. ვახტანგს ჰემატომაც გაუქრა, რამდენიმე დღეში ყავარჯენიც უნდა გადაეგდო და სრულიად გამოჯანმრთელდებოდა, რომ არა საბედისწერო ნაბიჯი: ის რუსულ აბანოში წავიდა, ისე, რომ ოჯახის წევრებმა არც იცოდნენ ამის შესახებ. ორი დღის შემდეგ კი, 26 წლის ვახტანგი გარდაიცვალა, დიაგნოზის თანახმად, გულ-სისხლძარღვთა დისტონიით.



თავის ყველა ინტერვიუში ჯუნა დავითაშვილი მუდამ დიდი ხალისით საუბრობდა ვაჟიშვილზე. დღეს კი, არც ერთ ჟურნალისტს არ იკარებს და ეს გასაგებიცაა. აქვე ვიტყვით, რომ ჯუნამ სხვა დროსაც დაიხსნა შვილი სიკვდილის კლანჭებიდან: 7 წლის ვახტანგს სარკომა განუვითარდა. სამი თვის განმავლობაში ჯუნამ დაამარცხა საშინელი დაავადება. თითქმის ოცი წლის შემდეგაც გამოსტაცა ხელიდან უბედურებას, თუმცაღა ვახტანგ დავითაშვილი ბედისწერას მაინც ვერ გაექცა...

ერთი თვის წინ, თბილისში დაბრუნდა ხანგრძლივი პერიოდით მოსკოვში წასული მომღერალი **გია სურამელაშვილი**, რომელმაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გაიცნო ჯუნა დავითაშვილი. აი, რა გვიამბო გიამ:

— მოსკოვში მოღვაწეობის დროს, ერთ მშვენიერ დღეს დამიძახეს და მითხრეს: ქალბატონმა ჯუნამ გრაფის ტიტული გიბოძათ და ცერემონიალზე უნდა მობრძანდეთო. რა თქმა უნდა, გაოცება ვერ დავმალე. არ ვიცი, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ ამ საინტერესო წინადადებით, მართლაც მოვიხიბლე. სხვათა შორის, ქალბატონმა ჯუნამ გრაფის ტიტული სოსო პავლიაშვილსა და თემურ თათარაშვილსაც უბოძა.

— **ჰქონდა ამის უფლება ჯუნა დავითაშვილს?**

— დანამდვილებით არაფერი ვიცი, თუმცა ვფიქრობ, რომ ჰქონდა, — წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალბატონი ჯუნა ამას არ იზამდა: ის ადამიანი არ გახლავთ, შეუფერებელი რამ გააკეთოს... მას საოცრად დიდ პატივს სცემენ, ძალიან უყვართ და ემადლიერებიან. არაჩვეულებრივად ლამაზი საღამო გვაჩუქა ქართველებს. ასე რომ, დღეს, სწორედ ჯუნა დავითაშვილის ძალისხმევით გახლავართ გრაფის ტიტულის მფლობელი. მაქვს ოფიციალური სიგელი გერბით და ა.შ.

— **ბოლოს, როდის შეხვდი მას?**

— თავის დაბადების დღეზე მიმიპატიჟა. ზღაპრულ გარემოში აღმოვჩნდი. შესანიშნავი საზოგადოება ჰყავდა მიწვეული. მე მასთან ცეკვის პატივი მხვდა წილად. ქალბატონი ჯუნა უზადო მოცეკვავეა — გრაციოზული და ჰაეროვანი. მერე, რამდენიმე ტელეარხმა გადასცა კიდეც რეპორტაჟი მისი დაბადების დღიდან და ჩვენი ცეკვაც აჩვენეს... ახლა, როგორც ვიცი, თითქმის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. დასანანია, რაც ქალბატონი ჯუნას შვილს შეემთხვა. შვილის დაღუპვა უდიდესია ტრაგედიაა ყველა მშობლისთვის. მეც ვაჟიშვილის მამა ვარ და ამდენად, ძალიან კარგად მესმის მისი. ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი ტრაგედიისგან.

— **იმაზე რა შეგიძლია თქვა — ჯუნას თბილისი შესძულდაო, რომ ამბობენ?**

— არ ვიცი, არაფერი მსმენია ამის თაობაზე, მაგრამ თუკი ასეთი ხმა გავრცელდა, ესე იგი ჯუნა დავითაშვილს აქვს კიდეც მიზეზი, თორემ ჩვენი შეხვედრების დროს მას არაფერი ემჩნეოდა, თბილისის ან ქართველების მიმართ სიძულვილისა... ■



**აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას არცთუ ისე შორეულ წარსულში ჩამოცილებული ბატონი თემურ ქორიძე ამ ინტერვიუზე ხანგრძლივი სატელეფონო „დებატების“ შემდეგღა დავითანხმე. ჩემმა რესპონდენტმა სასაუბროდ გლდანის ერთ-ერთ მიკრორაიონში მდებარე, ჩიტის ბუდისოდენა საკუთარ ბინაში მიმიწვია. ქალაქის ამ გარეუბანს ბატონი თემური „გეტოდ“ მოიხსენიებს. მართალია, თავად იუარა, მაგრამ მე მაინც ვეჭვობ, რომ მისთვის დღეს მთელი თბილისიც „გეტოა“, რადგან, პროვინციულ სიმშვიდეს თავშეფარებული, დედაქალაქისკენ იშვიათად თუ იხედება...**

# „ამ კედლებს იმდენი რამ ახსოვს: მარტო ზვიადთან საუბრები რად ღირდა!..“

*რუსუდან ლებანიძე*

**— ბატონო თემურ, მოდით, ჯერ მკითხველს ვუთხრათ, ვინ არის დღეს თემურ ქორიძე: პოლიტიკოსი, ლიტერატორი, პუბლიცისტი თუ კიდევ სხვა ვინმე?**

– ამ წუთში, მხოლოდ ლიტერატორი და პუბლიცისტი ვარ.

**— მაგრამ ახლახან ხმა რომ დაირხა — ბატონმა ასლანმა რაღაც თანამდებობაზე დანიშნაო?**

– არა, მე არანაირი თანამდებობა არ მაქვს და არც მაინტერესებს. როგორც გითხარით, ლიტერატორი ვარ, ბევრს ვკითხულობ, შედარებით ნაკლებს ვწერ...

**— და ძველებურად ბევრს აკრიტიკებთ, ხომ?.. როგორც ვიცი, სტუდენტობიდანვე დაუნდობელი კრიტიკა გიყვარდათ და ამ მხრივ განსაკუთრებით ლექტორები გყავდათ ამოჩემებულები...**

– ლექტორების კრიტიკას რაც შეეხება... კი... ესეც იყო... მე უნივერსიტეტის სტუდენტი საბჭოთა პერიოდში ვიყავი, სამოცდაათიან წლებში. მაშინ კი, მოგეხსენებათ, ყველაფერი და მათ შორის სასწავლო პროცესიც იდეოლოგიზებული იყო... ისე, განსაკუთრებული შეხლა-შემოხლა ლექტორებთან კი არა, მაინც უფრო, პარტკომებთან მქონდა ხოლმე... მეორე კურსზე რომ ვიყავი, უნივერსიტეტიდან საერთოდაც მრიცხავდნენ...

**— ასეთი რა დააშავეთ?**

– გარიცხვა, ასე ვთქვათ, იდეოლოგიური



მოსაზრებით გადამიწყვიტეს. უზბეკეთში, ყამირზე სამუშაოდ წასული სამი ქართველი ახალგაზრდა მოკლეს, რასაც ჩვენში ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამის თაობაზე უნივერსიტეტში საჯაროდ და, თანაც, ძალიან რადიკალურად გამოსვლა მე მომიწია, რის გამოც შედგა პროექტი: „გაირიცხოს და მიეცეს საქმეს შემდგომი მსვლელობა“. დასაკითხად უშიშროების სამინისტროში წამიყვანეს, სადაც ყველაფერი და, განსაკუთრებით, მისი დერეფნები იმდენად პირქუში მომეჩვენა, რომ მართალი გითხრათ, გული შემიქანდა. უფრო მეტიც: ვიფიქრე, რომ უკან საერთოდაც ველარ გამოვბრუნდებოდი... შემდეგ, რა თქმა უნდა, იყო გაუთავებელი ახსნა-განმარტებების წერა, რომ მსგავს საქციელს აღარასოდეს ჩავიდენდი და ასე შემდეგ...

**— ესე იგი დანებდით?**

– რა არის, იცით?.. ნამდვილად არ ღირდა... მე არ მიმაჩნია ასეთი რაღაცები ზნეობრივ ცოდვად... თუკი დაწერ, წესიერად მოვიქცევიო – მერე რა? ამით რა იცვლება?.. საერთოდ, რაც ასაკში შედიხარ ადამიანი, მით უფრო ლმობიერი ხდები. ასაკი საერთოდაც ამშვენებს ადამიანს, სიბერე – განსაკუთრებით... შოპენჰაუერი, მაგალითად, ამბობდა, რომ, საერთოდაც, სიბრძნე მხოლოდ 70 წლის შემდეგღა მოდის – მანამდე ადამიანს ამის იმედი არ უნდა ჰქონდესო... იცით, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ყოველთვის ასაკით ჩემზე უფროს ადამიანებთან ვმეგობრობდი. ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, ჩემი სათაყვანებელი ლიტერატორი აკაკი გაწერელია იყო: ის 75 წლის იყო, მე – 25-ის, მაგრამ უდიდესი მეგობრობა კი გვაკავშირებდა... მიუხედავად იმისა, რომ ბატონი აკაკი საოცრად დახვეწილი არისტოკრატი, ნამდვილი დენდი იყო, შეეძლო, სარდაფის სახინკლეშიც ჩამომყოლოდა და იქ გველოთავა კიდეც... სხვათა შორის, ბატონი აკაკი ზვიად გამსახურდიას ნათლია იყო, კონსტანტინესთანაც უდიდესი მეგობრობა აკავშირებდა...

**— რაკი თავადაც ახსენეთ, მოდით, ზვიად გამსახურდიას ცოტა კიდევ „მივუახლოვდეთ...“**

– სიამოვნებით... ბუნებრივია, ზვიადზე ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობისას დადიოდა ლეგენდები. მახსოვს, როცა ლექციის

წასაკითხად უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შემოდიოდა, კიბის ორივე მხარე თვალანთებული გოგონებით ივსებოდა. ის კი, ვითომც აქ არაფერიო, დინჯად და აუჩქარებლად მოირწეოდა... ზვიადს ნამდვილად დაუწუნარი მამაკაცური გემოვნება ჰქონდა და ამ მხრივაც საკმაოდ ჯანსაღი გრძნობებისა და ემოციების პატრონი იყო... უშუალოდ ერთმანეთი 1981 წელს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამართულ კონსტანტინე გამსახურდიას საღამოზე გავიცანით. საოცარი საღამო იყო. მე სიტყვით გამოსვლა მომიხდა. შემდეგ სუფრასთან ერთად მოვხვდით და იქიდან დავმეგობრდით. ლიტერატურის ინსტიტუტშიც ერთად ვმუშაობდით. საოცარი დრო იყო... მახსოვს, ზვიადი რომ შემოდიოდა ლიტერატურის ინსტიტუტში, ზოგი საერთოდაც იმალებოდა, რომ მისთვის გამარჯობის თქმაში არ გამოეჭირათ...

— **თქვენ?**

— სხვანაირად არ გამიგოთ და... ამას მოგვიანებით, თავად ზვიადიც უსვამდა ხაზს: შენ რაღაც განსაკუთრებით დემონსტრაციულადაც კი მესალმებოდი, რაც მაშინ საკმაოდ საშიში იყოო...

— **არ მითხრათ ახლა, სულ არ მეშინოდაო...**

— თავს დევგმირობაზე ნამდვილად არ ვდებ, მაგრამ იცით, რა არის? შიში, როგორც ასეთი... სიკვდილის შიში ნამდვილად არ მაქვს... ინფარქტი გადავიტანე, ავტოკატასტროფაშიც მოვყევი, ერთხელ ისე მცემეს, სასიკვდილოდ გამიმეტეს... იცით, საავადმყოფოში ინფარქტის დიაგნოზით როცა მოვხვდი, ჩემთან ერთად, პალატაში, ერთი კაცი იწვა, რომელიც, სიკვდილის შიშით, მთელი ორი თვე ფეხზე არ ამდგარა, მე მეათე დღეს ავდექი... სასიკვდილოდ გამიმეტეს-მეთქი, რომ გითხარით — აქ, ჩემი სახლის სადარბაზოში დამხვდნენ... ფეხზე ზვიადმა წამომაყენა. კარგა ხანს, ყოველ საღამოს მოდიოდა ჩემთან. საოცარი ნუგეში იცოდა, ქრისტიანული ნუგეში... ფსალმუნებს მიკითხავდა... დიდი ადამიანი იყო, ძალიან დიდი... თანაც, ძალიან მარტოსულიც... ერთი შეხედვით, ალბათ, პარადოქსია არა — პრეზიდენტი და მარტოსული?.. უფრო სწორად...

— **ასეთი კაცი და პრეზიდენტიო — გინდოდათ გეთქვათ, ხომ?**

— დიახ, დიახ... აი, ეგ არის მთავარი პარადოქსი... თუმცა, ესეც მისი ბედისწერა იყო... 1992 წლის ბოლოს, როცა მოწინააღმდეგეები ზვიადს უკვე განსაკუთრებით უტევდნენ, მივიდა მასთან ერთი ჩვენი მწერალი... ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი და უთხრა: ზვიად, შენ გადაღლილი კაცი ხარ. ამდენი ციხე, გადასახლება, ამდენი დევნა... მოდი, ახლა, წადი საზღვარგარეთ ერთი წლით. დაისვენე, იმკურნალე, შემდეგ დაბრუნდი და აქ დაგხვდება შენი პრეზიდენტობა და გააგრძელეო... ამას, ყველაფერს, ბატონი ჭაბუაც წერს ერთგან, ოღონდ, რატომღაც, ზვიადმა რა უპასუხა, იგი აღარ იხსენებს. ზვიადმა კი უთხრა: ჭაბუა, ხომ იცი, რომ შენზე ნაკლებად წიგნი არ მიყვარს. მთელი ჩემი ცხოვრება, წიგნი, მეცნიერება და ლიტერატურა იყო... ნამდვილად არ მსიამოვნებს აქ ჯდომა...



მაცალეთ ექვსი თვე — სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლება და ყველა რესპუბლიკას ერთად გვაღიარებენ... მერე შენი თქმა რად მინდა, მე თვითონ წავალ. უამრავი საქმე მაქვს საკეთებელი და წიგნი დასაწერიო... ეს იყო ნოემბერში, დეკემბერში კი ომი დაიწყო... შემდეგ, თავადაც კარგად იცით, რა დღეებიც დაგვიდგა... საერთოდაც, ცოდვიანი იყო მთელი მეოცე საუკუნე და ზვიადის მკვლელობით კიდევ ერთი ცოდვა მიიმატა... თანაც, ეს ხომ, პირველ რიგში, იდეისთვის მკვლელობა იყო, რასაც დღეს ზვიადის მტრებიც კი აღიარებენ... სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მეტამორფოზებს მაინც ბატონი ედუარდ შევარდნაძე განიცდის ხოლმე: ზვიადი მისთვის ხან ტერორისტი და ფაშისტია, ხანაც — ეროვნული გმირი... ანუ როცა რა სჭირდება...

— **პოლიტიკაც ხომ ეგ არის...**

— არა, ეს პოლიტიკა კი არა, წმინდა წყლის ავანტიურიზმია... ისე, რომ არა 1992 წლის სისხლიანი ამბები, ნამდვილი გადატრიალება საქართველოში დღეს მოხდებოდა. ის დღეები ხალხს ძალიან მწარედ დაამახსოვრდა...

— **უშუალოდ 22 დეკემბერს სად იყავით და რას აკეთებდით?**

— მთავრობის სახლში... მთავრობის სახლში ვიყავი... შემდეგ, უბრალოდ, ზვიადმა მთხოვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მივსულიყავი. მეტიც — მთხოვა, სახლშიც გამევლო მასთან — მის ოჯახს ხომ ყურადღება სჭირდებოდა... ასე რომ, ხან უზენაეს საბჭოში ვიყავი, ხან გარეთ გამოვდიოდი და გვიან ღამით, ისევ უკან შევდიოდი... ბევრჯერ — ტყვიების წვიმაშიც... საერთოდ კი, რაც მაშინ მოხდა, ბევრად უფრო ცოდვილი აქტი იყო, ვიდრე უბრალოდ, სახელმწიფო გადატრიალება... ისე როგორ უნდა გძულდეს ადამიანს შენი ქვეყანა, რომ იმ გადატრიალებისა და სისხლის ღვრის შემდეგ, ისეთი მონსტრი შექმნა, როგორიც დღეს საქართველოა? ეს ხომ სახელმწიფო აღარ არის... ასეთ პირობებში ხომ ადამიანს მარტო ხელისუფლების კი არა, საერთოდ სახელმწიფოსადმი, როგორც ინსტიტუტისადმი, უჩნდება სრული უნდობლობა, მეტიც — სიძულვილი.

— **სხვათა შორის, ერთმა რუსმა პოლიტოლოგმა ამაზე ძალიან ზუსტად შენიშნა:** Родину люблю, государство ненавижу!

— დიახ, დიახ, სწორედ ეგრეა!.. და წინაც საკმაოდ მძიმე პერსპექტივა გველოდება. არც პოსტშევარდნაძისტული ეპოქა იქნება ადვილი...

— **აი, ეგ იქნება ძნელი თუ იქნება!**

— და იცით, რატომ? არ შეიძლება, პრეზიდენტის სავარძელი, პრეზიდენტობა ტრფობის საგანი იყოს! ტრფობით მშვენიერ ქალს უნდა ეტრფოდე, პრეზიდენტი კი საჭიროა დიდ საქმეთა აღსასრულებლად! ასეთი პრეზიდენტი კი საქართველოს არც დღეს ჰყავს და არც ხვალ ეყოლება, სააკაშვილისა და მისთანების სახით...

— **ისე, ბატონო თემურ, ცოტა ტენდენციური ხომ არ ხართ? პრეზიდენტობა და პირველკაცობა დღევანდელ საქართველოში არა ერთს და ორს უნდა, თქვენ კი, რატომღაც, მარტო მიხეილ სააკაშვილი ამოიჩემეთ...**

— ამოჩემებაში რას გულისხმობთ?

— **თუნდაც იმ მწარე სიტყვებს, რომელიც მასზე პრესაში დაწერეთ.**

— არა, მე იქ სააკაშვილზე კი არა, მის წიგნზე დავწერე. თქვენ თუ წაგიკითხავთ ის წიგნი?

— **არა, მე მხოლოდ იმ წიგნზე თქვენი გამოხმაურება წავიკითხე...**

— ჰო-ო-ო... სრული სურათის შესაქმნელად წიგნიც უთუოდ უნდა წაიკითხოთ. მე კი ამჯერად მხოლოდ ერთ მომენტზე შევჩერდები. წიგნში მოხმობილია ვინმე კენზერის (ალბათ, ჟურნალისტია) წერილი, რომელიც მას სააკაშვილზე დაუწერია „ნიუ-იორკ თაიმსში", სააკაშვილს კი ის თავის წიგნში შეუტანია. ეს დაახლოებით იგივეა, თქვენ რომ მე სადღეგრძელო მომიძღვნათ და მე ის, ჩემს წიგნში შევიტანო... ჰოდა, ბატონი კენზერის აზრით, სააკაშვილი არის „საქართველოს დამფუძნებელი მამა", მისი „მომავალი პრეზიდენტი" და „ქართული პოლიტიკის სუპერვარსკვლავი". თანაც, კენზერი იქვე ერთი ქართველი ჟურნალისტის აზრსაც იმოწმებს იმის თაობაზე, რომ ქართული პოლიტიკა „ნამდვილი ჯუნგლებია". ყოველივე

ზემოთ ნათქვამიდან კი, ლოგიკურად გამოდის შემდეგი დასკვნა: თუ ქართული პოლიტიკა ჯუნგლებია, მიხეილ სააკაშვილი კი — ქართული პოლიტიკის სუპერვარსკვლავი, მაშინ ის ჯუნგლების სუპერვარსკვლავი ყოფილა და ჩემს წერილსაც ასე დავარქვი: „ჯუნგლების სუპერვარსკვლავი“... ეს იყო და ეს...

— **ისე, დღევანდელი ქართული პოლიტიკა ჯუნგლებს, მგონი, მართლა ჩამოჰგავს...**

— არა, მე ჯუნგლებს ვერ დავარქმევდი — დღევანდელი ქართული პოლიტიკა უფრო, კარგად ორგანიზებული კრიმინალური სამყაროა, რომლის ლიდერებსაც იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომ კარგად თუ გამოჩხრეკ, შეიძლება, ეშაფოტზეც სულ ადვილად გააგზავნო...

— **ყველას იმეტებთ თუ მაინც არის თითო-ოროლა გამონაკლისი? თუნდაც ბატონ ასლან აბაშიძეზე რას იტყოდით?**

— იცით, რა არის?.. ჯერ ერთი, იდეალიზაციას ნამდვილად არ მოვყვები, მაგრამ ისეც არ შეიძლება, რომ ადამიანს კარგი დაუკარგო... ასლან აბაშიძემ იდეალურად გამოიყენა ყველა ის რესურსი, რომელიც შეიძლებოდა იმ პირობებში ქართული საქმის სასიკეთოდ წარემართა... თუკი, მაგალითად, შევარდნაძემ რუსის ჯარი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საბრძოლველად და საქართველოს დასაქცევად დარაზმა, ასლან აბაშიძემ იგივე რუსის ჯარი, რომელიც აჭარაში დგას, აჭარის მოსახლეობის დასაცავად გამოიყენა, თორემ იქაც არანაკლები უბედურება დატრიალდებოდა. მოგეხსენებათ, როგორ ტკბილ ლუკმად აღიქვამდნენ და დღესაც აღიქვამენ ბათუმსა და მთელ აჭარას...

— **ისე, ბატონო თემურ, არ მიგაჩნიათ, რომ ცოტა უცნაური „ნახტომი“ გამოგივიდათ, როცა ზვიად გამსახურდიადან პირდაპირ ასლან აბაშიძეზე გადაერთეთ?**

— სულაც არა. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ზვიადს ასლანის როგორი სიყვარული ჰქონდა. კონსტანტინე გამსახურდია და მემედ აბაშიძეც დიდი მეგობრები იყვნენ. შემდეგ ეს მეგობრობა შთამომავლებმა გააგრძელეს...

— **გასაგებია. მოდით, ისევ ქართული პოლიტიკის მომავალს დავუბრუნდეთ. კიდევ ვის მოიაზრებთ იქ?**

— სახელმწიფოებრივი აზროვნების სიღრმით, დღევანდელ საქართველოში ალექსანდრე ჭაჭიას ბადალი არ ჰყავს...

— **ჭაჭიასთან ოპონენტებს სხვა პრეტენზიები აქვთ: შინაგანად ქართველი არ არისო. ზოგი პირდაპირ კრემლის აგენტსაც უწოდებს...**

— ნუ, ეგ ჩვეულებრივი ამბავია... ზოგიერთებმა ზვიად გამსახურდიასგან მარტო ეგ თუ ისწავლეს... იცით, ერთხელ, ზვიადს რომ უკვე ბევრი უკიჟინებდა — ყველას კრემლის აგეტს ნუ ეძახიო, — ნოდარ წულეისკირმა რა თქვა? ზვიადს იმდენი აბრაზებს, ყველას დედას ხომ არ შეაგინებს, ჰოდა, „კრემლის აგენტი“ მისთვის დედის გინებასავითააო... საერთოდ კი, იცით, რა არის? ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს ქართველები ვართ, ძალიან ძნელია ნამდვილი არჩევანის გაკეთება. მით უფრო, რომ პოლიტიკური სცენა აგრერიგადაა გადაჭედილი ავანტიურისტებით. ძველ რომში ასეთ დროს იცით, რას აკეთებდნენ? როცა ქვეყანას ძლიერ გაუჭირდებოდა — სტიქიური უბედურება მოხდებოდა, ანდა დესტაბილიზაციის, ომის საშიშროება შეიქმნებოდა — ორი ან სამი წლით, დიქტატორს ირჩევდნენ ხოლმე, რომელსაც განსაკუთრებულ უფლებებსაც აძლევდნენ. ოღონდ, მერე, როცა ყველაფერი მოწესრიგდებოდა, ის დიქტატორი თავის სავარძელს ტოვებდა, ისე, როგორც ეს, ვთქვათ, სულამ გააკეთა...

— **ბატონო თემურ, აი, ახლა, თვალს ვავლებ თქვენს ვიწრო ბინას და ვფიქრობ: კი, ცხადია, ადამიანს საკუთარი „ბუდე“, ყველა სასახლეს ურჩევნია, მაგრამ ნუთუ არ გქონდათ იმის საშუალება, რომ თქვენი ყოფა ამაზე თუნდაც ოდნავ უკეთესად მოგეწყოთ?**

— კი, მქონდა. თანაც, ხელისუფლებაში მოსვლის მესამე დღესვე — ზვიადმა ხომ ძალიან კარგად იცოდა ჩემი საბინაო პირობები. ამიტომ ჯერ სამოთახიანი გამოთავისუფლებული ბინა უნდა მოეცათ, შემდეგ — ახალი ბინა ნიკოლაძის ქუჩაზე, მაგრამ... იცით, რა არის? მაშინ ჩვენ ამაზე არ ვფიქრობდით. ამ მხრივ ჩვენი ხელისუფლება ნამდვილად იდეალური ხელისუფლება იყო... თანაც ამ კედლებს იმდენი რამ ახსოვს: მარტო ზვიადთან საუბრები რად ღირდა, ხანდახან გვიან ღამემდეც რომ გაგრძელებულა!.. ხან კონიაკსაც ერთად შევექცეოდით...

— **მაშ, რატომღა იუარეთ, როცა გითხარით, — გავიგე, ქეიფი და თამადობაც გყვარებიათ-მეთქი?**

— ატმოსფეროს გააჩნია... დღეს საქართველოში ყველა თამადაა... საერთოდ, ძალზე უცნაური რამაა თამადობის ინსტიტუტი: ზოგჯერ, ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, სულ მთლად უბირი კაციც კი ჩინებულად თამადობს ხოლმე. იმიტომ, რომ ამის დიდი ტრადიცია, წესი და რიგი გვაქვს. საუკუნეები გვიცხოვრია ასე...

— **თქვენს პირად ცხოვრებაში დღემდე რატომ არავინ ჩანს?**

— გახსოვთ სიტყვები: „იყვნენ და ყველას გამოვეთხოვე, აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“-ო?.. ცხადია, ეს ისე, ნახევრად ხუმრობით... სხვათა შორის, მე მეუღლე მყავდა, მაგრამ მერე... მერე იმდენად შევეჩვიე ჩემს დამოუკიდებლობას, რომ..

— **ქალბატონები თუ გემეგობრებიან?**

— კი. რამდენიმე მართლაც კარგი დაქალი მყავს, ძალიან საინტერესოებიც არიან.

— **და-ძმა თუ გყავთ?**

— ორი ძმა, ძმისშვილები და ძმის შვილიშვილებიც კი მყავს...

— **მშობლები?**

— დედა მყავს, სამტრედიაში ცხოვრობს. მამა დამეღუპა... უბედური შემთხვევა მოხდა — მანქანამ გაიტანა... იცით, მე ის კაცი არ დავასჯევინე... სამი შვილი ჰყავდა... მისმა გაშვებამ უდიდესი შვება მომგვარა...

— **დედათქვენი თქვენი ცხოვრებით კმაყოფილია თუ როგორც ყველა დედა, უკეთესს გისურვებდათ?**

— ჩემი ცხოვრება ხომ, პირველ რიგში, ჩემი ცხოვრებაა... ისე კი, რატომ არ უნდა იყოს კმაყოფილი? ჭირვეული ბავშვობაშიც კი არ ვყოფილვარ და ჩემი ოჯახისთვის არასდროს არავითარი ზიანი არ მიმიყენებია... ■


ეროვნული ძალების ერთ-ერთ თავყრილობაზე

# ანუ „ფიროსმანებითაა" თბილისი სავსე, ოღონდ მათ სხვა კიბის ქვეშ სძინავთ...

ნანა ქიბიშაური

**— ქალბატონო თამრიკო, რით ახსნით იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ქართული მხატვრებისა თუ საერთოდ მხატვრობის შესახებ, საზოგადოებას ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს?**

— საუბარი მინდა დავიწყო იმით, რომ დღეს საქართველოში მუზა ნამდვილად არ დუმს. უბრალოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველდღიური საზრუნავით შეჭირვებულ ხალხს არ სცალია იმისათვის, რომ მას ყური დაუგდოს, აღიაროს და დააფასოს. თანამედროვე ქართული მხატვრობა ისეა აფეთქებული, როგორც არასდროს. ტყუილად კი არ წაიღო დიტერ ბოდენმა საქართველოდან მხოლოდ ნახატები. ის, რაც დღეს აქ ყველაზე ფასეულია. რაც ხდება პოეზიაში იციან მხოლოდ პოეტებმა. რაც ხდება მხატვრობაში იციან მხოლოდ მხატვრებმა, რომლებიც ერთმანეთის გამოფენებზე დადიან და შთაბეჭდილების წიგნში ჩანაწერებსაც აკეთებენ. დღეს საგამოფენო დარბაზების პრობლემა აღარ დგას, მაგრამ ამ დარბაზებში მხოლოდ ერთი და იგივე ხალხი დადის. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ამოიჩემებენ რამდენიმე ესტრადის თუ ტელევარსკვლავს და მათ უწევენ პოპულარიზაციას. ამ დროს გვერდზე რჩებიან ის მწერლები თუ მხატვრები, რომლებიც არანაკლებ საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ და უფრო ღირებულ ქართულ კულტურას ქმნიან. უფრო დიდები და უფრო მოკრძალებულები არიან. ჩუმად უცდიან თავის დროს. აღიარება კი, ხშირად მას შემდეგ მოდის, როდესაც ისინი ამქვეყნად უკვე აღარ არიან, ან თავისი ჭეშმარიტი მოწოდებიდან, ცხოვრებამ სხვა რელსებზე გადაიყვანა. საქართველო აი ასეთი „ახალი" ფიროსმანებითაა სავსე. ოღონდ მათ სხვა კიბის ქვეშ სძინავთ.



**თბილისში სალონური შეხვედრების კიდევ ერთი კერა გაჩნდა. თამრიკო გეჯაძის სახლის კარი ღიაა, როგორც ხელოვანთათვის, ასევე მათი შემოქმედებისა თუ ნიჭის თაყვანისმცემლებისათვის. მოკლედ მათთვის, ვისაც შეუძლია ისაუბროს ხელოვნებაზე და სული პოეზიისა თუ მხატვრობის იმ ნიმუშებით დაიპუროს, რომლითაც ასე მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი თანამედროვე კულტურა. თამრიკო გეჯაძე დოცენტია. მუშაობს პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრაზე. მის ოჯახში მეგობართა თავყრილობები საოჯახო პოეზიის საღამოს სტატუსს ვერ გასცდებოდა, რომ არა ერთი სამწუხარო ფაქტი: თამრიკო გეჯაძემ აღმოაჩინა, რომ მისმა სტუდენტებმა ფიროსმანის გარდა, არც ერთი ქართველი მხატვრის გვარი არ იცოდნენ.**



**— ძალიან ბევრ შემოქმედს მასპინძლობთ, რა აქვთ მათ საერთო, ან რას ნიშნავს მათთვის თქვენი სალონი?**

— გავრცელებული აზრია, რომ პოეტები და მხატვრები ცოტა „თავისებურები" არიან. რა იგულისხმება ამ სიტყვის უკან?! ჩემი აზრით, მათი საერთო თავისებურება სამყაროს სხვანაირად აღქმაშია. ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანები ბავშვური გულუბრყვილობით და საოცარი მოკრძალებულობით გამოირჩევიან. უნდა ნახოთ, როგორ მორიდებულად კითხულობს მიშა ქვლივიძე თავის ახალ ლექსებს და დროდადრო როგორ გამოაპარებს ხოლმე თვალს ჩვენკენ — აბა, მოგვეწონა თუ არა მისი ლექსი. რამდენი ხანია თურმე რეზი თვარაძეს უნდოდა ემღერა ერთი უძველესი ხალხური სიმღერა, რომელიც მისთვის მამა-

მისს უსწავლებია და როგორ ვერ ბედავდა ამის ხმამაღლა გაცხადებას. დავით მჭედლური, ეთერ თათარაიძე, ედუარდ უგულავა, შარლოტა კვანტალიანი ისე ღელავენ ხოლმე, თითქოს პირველად კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს ხმამაღლა. ვერავინ იფიქრებს, რომ ისინი 9-10 კრებულის ავტორები არიან. საოცარი ადამიანია გოდერძი ჩოხელი. საოცარი სითბო მოდის მისი ლექსებიდან. სანამ კითხვის მეორე ნაწილზე გადავიდოდე ჯერ იმას გეტყვით, რას ნიშნავს ჩემთვის ის საღამოები და სალონური ურთიერთობები, რომელსაც საქართველოში ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს არის ჩემთვის საშუალება, ვუთხრა ჩემთვის პატივსაცემ ადამიანებს, რომ მე ისინი მახსოვს, მიყვარს, ვკითხულობ მათ შემოქმედებას და ვაფასებ მათ ნიჭს. მივდივარ ადამიანთან და ვეუბნები: მე მიმაჩნია, რომ თქვენ დიდი მხატვარი ხართ, გეპატიჟებით ჩემს სალონში! შემოქმედს აღიარება ბავშვივით უხარია. ისინი თავისთვის ხომ არ ქმნიან თუნდაც ნახატებს, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მისი შემოქმედება ხალხმა ნახოს. ვცდილობ, ჩემი წილი ყურადღება არ მოვაკლო ჩვენი დროის დიდ ადამიანებს, რომლებიც შეიძლება ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ მათი მასშტაბურობის შესახებ, ბევრმა ვერც გაიგოს. რას ნიშნავს მათთვის ჩემი სალონი? — როგორც ნუგზარ შატაიძე ამბობს, ეს მათთვის უფრო მეტია, ვიდრე ჰონორარი. ასე რომ, ასეთი საღამოები სასურველი კი არა, აუცილებელია. მოფერება ყველას სჭირდება.

— **სალონური საღამოები მხოლოდ ჩაის და ყავის თანხლებით მიმდინარეობს, თუ ბოლოს, ტრადიციული ქართული სუფრის სახეს იღებს?**

— ჩაი, ყავა და ბუტერბროდები — მხოლოდ ამით ვუმასპინძლდები ჩემს სტუმრებს. თუმცა, გამასპინძლების ეს მეთოდი და მენიუ ჩვენს მამაკაცებს ვატყობ რომ დიდად არ აღაფრთოვანებს. ამის შესახებ ბევრს ხუმრობენ ხოლმე. ამ ბუტერბროდებმა ისე მოაბეზრა მათ თავი, რომ სალონის მუდმივმა წევრებმა იუმორისტული კრებულიც კი გამოსცეს, რომელსაც „ბუტერბროდიადა“ უწოდეს და რომელშიც ავტორმა დიდი სევდა ჩააქსოვა. ლ. აზმაიფარაშვილის ელეგია ასე ჟღერს:



*ვიდექ მარტოკა და მთების ჩრდილში*
*დავწერე ლექსი —*
*აყლდა მარილი.*
*ოხ, ღმერთო ჩემო,*
*სულ ბუტერბროდი,*
*როსდა გვეღირსოს*
*ჩვენ პურმარილი.*

— **სალონურ საღამოებზე მხოლოდ ხელოვნებაზე საუბრით შემოიფარგლებით ხოლმე თუ სხვა სფეროებსაც ეხებით?**

— ერთადერთი თემა, რომელიც ტაბუდადებულია არის პოლიტიკა და პოლიტიკოსები. შემოქმედები ამბობენ, რომ ერთმანეთთან შეხვედრა და საუბარი იმიტომ უხარიათ, რომ რამდენიმე საათით მაინც დაივიწყონ ის პრობლემები, რომელშიც სწორედ პოლიტიკოსთა „წყალობით“ აღმოჩნდა თითოეული ჩვენთაგანი. ჩემს სალონში მხოლოდ კულტურასა და ხელოვნებაზე საუბრობენ და დამერწმუნეთ, საღამო ნამდვილად არ არის მოსაწყენი.

— **თქვენთან როგორ მოიყარა თავი ამდენმა ნახატმა, თან საკმაოდ ძვირად ღირებული ტილოების კოლექცია გაქვთ, არ გეშინიათ გაქურდვის?**

— ნახატების ნაწილი შევიძინე, ნაწილი კი ნაჩუქარია. ამ კოლექციაში რამდენიმე ტილო მართლაც ძვირად ღირებულია და თუ ჩემს სახლში ისეთი ქურდი შემოიპარება, რომელსაც შეუძლია 200-ზე მეტი ნახატიდან საუკეთესო ამოარჩიოს, იმ ქურდს პოლიციაში არ ვუჩივლებ.

— **ძალიან ბევრი მხატვარი სანაპიროზე და რუსთაველზე დგას და საკუთარ ნამუშევრებს ყიდის. რას ამბობენ ისინი, ასხვავებს თუ არა საზოგადოება რამდენად მაღალი მხატვრული ღირებულების ფერწერულ ტილოსთან აქვს საქმე?**

— ფერწერული ნამუშევრის შეფასება შეუძლია მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს, მათ, ვისაც რაღაც შეხება აქვს მხატვრობასთან. უმრავლესობა მხოლოდ საკუთარი გემოვნების კარნახით ყიდულობს ტილოს. სანაპიროზე გაჭირვებამ მართლაც ბევრი მხატვარი გაიყვანა. იქ მდგომ მხატვრებში იმხელა საპროტესტო ენერგია გროვდება, რომ ერთი ადამიანი მას ვერ დაიტევს. ისინი ხატავენ და ჩვენც გვიზიარებენ იმას, რასაც განიცდიან. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ისინი დროს არ კარგავდნენ ქუჩაში დგომით და საკუთარ სახელოსნოში მუშაობდნენ, მაგრამ სწორედ ამის შედეგია თანამედროვე „აჯანყებული მხატვრობა“. ის, რაც საქართველოში ხდება, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ნიჭს ვერ დააკავებს ვერაფერი და ჭეშმარიტი ხელოვნება არანაირ პირობებს არ ეპუება.

■



# როგორ დავიცვათ თავი

## უფროსის რისხვისგან?

მიუხედავად იმისა, გვსურს ჩვენ თუ არა, ადამიანს სამუშაოსთან დაკავშირებით თითქმის იმდენივე პრობლემა უჩნდება, რამდენიც პირად ცხოვრებაში. ზოგიერთს სამუშაო საერთოდ არა აქვს, ზოგს სამუშაო კი აქვს, მაგრამ მიაჩნია, რომ უკეთესი შეეფერება: ან ცოტას უხდიან, ან სამუშაო სიამოვნებას არ ანიჭებს. ზოგიერთებს კი სამუშაოც მოსწონთ, ანაზღაურებაც ნორმალური აქვთ, მაგრამ სამწუხაროდ, უფროსებთან ურთიერთობას ვერ ამყარებენ.



მაშინ, როცა ადამიანი ყველა შესაძლო, ჩვეულებრივ მეთოდებს ამოწურავს და სამუშაოზე მშვიდობიან სიტუაციას მაინც ვერ დაამყარებს, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, იქნებ არსებობს რაიმე საოცარი, უნივერსალური მეთოდი, რომლის



მეშვეობითაც უფროსთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება მოხერხდება.

საოცარია, მაგრამ სამუშაოზე უფროსის და ქვეშევრდომის ურთიერთობებს ეზოთერული ლიტერატურა ნაკლებად იხილავს. ალბათ იმიტომ, რომ ძველ დროში სამუშაო ყველას ჰყოფნიდა, თითქმის ყველა სამუშაო მძიმე იყო, ამიტომ სამსახურებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უზენაესი ძალების გამოყენებას აზრი არ ჰქონდა. ყველაფერი საკმაოდ მარტივად იყო: ის, ვინც მონად ან გლეხად დაიბადა, ვაჭარი, რაინდი ან დიდგვაროვანი ვერაფრით გახდებოდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ უძველეს ეგვიპტეში არსებობდა „უფროსის“ მოსარჯულებელი მეთოდი. განრისხებული ფარაონის დასაშოშმინებლად, საჭირო იყო, ღიმილით შეეჩერებინათ მზერა ფარაონის „მესამე თვალზე“ (შუბლზე, წარბებს შორის), რომ ფარაონის რისხვა მომენტალურად ქრებოდა.

მოგვიანებით, ქვეშევრდომის და უფროსის ურთიერთობის კლასიკური მაგალითი პეტრე პირველმა თავის „საზღვაო განაწესში“ მოიყვანა. „ქვეშევრდომი მოვალეა, იქცეოდეს ძრწოლვით, იერი კი მოსულელო და მკვირცხლი ჰქონდეს, რათა თავისი გამომეტყველებით უფროსი საქმეს არ მოაცდინოს“.

ამავე პერიოდში გავრცელებული იყო საკმაოდ არარეალური მეთოდი, რომლითაც გლეხს თავადის კეთილგანწყობის მოპოვება შეეძლო. ამისთვის გლეხი გზაჯვარედინზე უნდა დამდგარიყო და მოეცადა მანამდე, ვიდრე შეხვდებოდა ერთ ცხენზე ამხედრებულ ორ მხედარს.

ზემდგომის კეთილგანწყობის კიდევ ერთი მეთოდის თანახმად, საჭირო იყო ახალი ფეხსაცმლის ყიდვა და საღამომდე გაუხდელად ტარება. სახლში დაბრუნების შემდეგ, ფეხსაცმლის ძირები თასში უნდა გარეცხილიყო და ეს ნარეცხი წყალი ქილაში უნდა ჩასხმულიყო. მეორე დღეს წყლიანი ქილა სამსახურში მიჰქონდათ და ქუჩაში, სამსახურის შენობის ნებისმიერ კუთხეს ასხამდნენ. აუცილებელი იყო ცარიელი ქილის იქვე დატოვება.

წყლის არნახულ ზეგავლენას ბევრი რელიგია და ეზოთერული ლიტერატურაც უსვამს ხაზს. თუ ადამიანს სამსახურიდან გაგდება ემუქრებოდა, მას თავის დასაცავად სახლიდან ის წყალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეზინის დაბალყელიანი ფეხსაცმელი | „მზე ... და მზე ბრე-თა...“ | თამაში: ... სულო გსურს | მრგვალი რბილი ქუდი | სასიგნალო დაფა სტადიონზე | პერანგზე შემოკერებული მაჯა | მწერა... ერიხ მა... |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პურეულის გასალეწი ადგილი | „... შექმს სიყვარულსა | წყლის ტრანსპორტი | „ძნელი ყოფილა თურმე ...“ | ყვავილი | ნაღების ყელეს ეწოდება ბლანმანჟე და არა ... | სასვენი ნიშანი, ჰორიზონტალ. ხაზი | გრ... |



უნდა მიეტანა, რომელიც სამი დღის მანძილზე საწოლთან, ფეხების მხარეს ედგა. ამ წყლით მას სამსახურში პირი უნდა დაებანა და თან დაეყოლებინა: „აქ ვიყავი და კვლავ აქ ვიქნები. აქ დავდიოდი და კვლავ აქ ვივლი“.

სხვათა შორის, უფროსზე თურმე სხვადასხვა სახის სიტყვიერი შელოცვაც მოქმედებს. ძირითადად, ეს სიმბოლური სახის სიტყვებია, რომელსაც ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად წარმოთქვამენ.

თურმე თუ ადრე ადამიანი შეამჩნევდა, რომ სამუშაოზე მის მიმართ შეთქმულება მზადდებოდა, ორმოცი მათხოვრისთვის მოწყალება უნდა მიეცა და თან თავისთვის ჩაელაპარაკა: „ვარჯულებ ლომის, გველის და ძაღლის გულებს. ლომმა არ დამიღრიალოს, გველმა არ დამგესლოს და ძაღლმა არ დამყეფოს“.

აღნიშნული პრობლემისგან შორს არც თანამედროვე მეცნიერ-ფსიქოლოგები არიან და ხალხს თავიანთ რჩევებს უზიარებენ.

იმისათვის, რომ უფროსის წინაშე შიშის გრძნობა დაძლიოთ (განსაკუთრებით მასთან საუბრის დროს), ძალიან სასარგებლო ყოფილა, საკუთარი თავის და უფროსის „გვერდიდან“ დანახვა. ამასთან გონებაში უნდა წარმოიდგინოთ, რომ მოქმედება სცენაზე ხდება და რაც აუცილებელია, ამ სცენაზე თქვენ გაცილებით უფრო დიდი და მაღალი უნდა იყოთ, ვიდრე თქვენი უფროსი. ამ ერთი შეხედვით უბრალო მეთოდს, თურმე საოცარი შედეგი მოაქვს.

თუ უფროსს ჩვევად აქვს ხელქვეითებთან უხეში საუბარი, მაშინ ეცადეთ, მის გარეგნობაში ან ქცევაში იპოვოთ რაიმე სასაცილო დეტალი და მასზე თქვენი ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაცია მოახდინოთ. შედეგი კი სახეზე იქნება, რადგან ის, რაც სასაცილოა, საშიში ნამდვილად აღარ არის.

თუ თქვენი უფროსი აგრესიული ქცევით გამოირჩევა, მაშინ შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რომ თქვენ შორის გამჭვირვალე, მაგრამ მყარი და მაგარი კედელია აღმართული. უფროსის მთელი რისხვა ამ კედელს მიენარცხება და თქვენ სრულიად უსაფრთხო სიტუაციაში აღმოჩნდებით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველანაირი რჩევა და ზეციური ძალების დახმარება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ თქვენ მართლაც კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მუშაკი ხართ და უფროსი დაუმსახურებლად გჩაგრავთ. ზარმაცს და გაუნათლებელს კი ვერავითარი რჩევა ვერ უშველის მანამ, სანამ იგი თვითონ არ მოისურვებს საკუთარი თავის შველას!

■



| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...ი ...ა ... | ნორდი — ჩრდილოეთი, ... — სამხრეთი | ხმა ღმთისა და ხმა ... | ერთ-ერთი რელიგიის დამაარსებელი | თამაში: ...-ტაფელა | კატა ... შესწვდა ძეხვსაო | ქონის მეთი | დაფასოებული სამკურნალო საშუალება | ლამის ფრენველი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ზე მაღალი ...ტუფი | მოურიდებელი, უტიფარი | კრუხის ბუდე | ქათმის ნობათი | გრუნტი ნიადაგი | „მაშველებით“ განთქმული პლაჟი |

# სატალავრე კიდობნიდან გუგულის მოფრენამდე

## ანუ ავეჯი და ხალხური რიტუალები

სალომე მოშიტაშვილი

დღეს ხან ევროპული ავეჯის რომელიმე სახლი გვიწვევს, ხან გერმანიიდან ჩამოტანილი კარადებით, არაბული ტახტებითა და ფრანგული სამზარეულოებით გვხიბლავენ. საძინებელ გარნიტურებს ხომ ნულარ იკითხავთ — „მონა ლიზათი“ დაწყებული და „ლუდოვიკოთი“ დამთავრებული, ისეთი სახელები აქვთ, თქვენი მოწონებული. თურქულ-ირანულ სამეულებს კი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადაეყრებით, ზედ შუა ქუჩაში გამოფენილსაც.

აი, ეროვნული, ქართული ავეჯი კი ტაბუდადებულივითაა. ადგილობრივი საწარმო-სამქროები („ცეხებს“ რომ ეძახიან) ჩვენთვის სასურველი ავეჯის დამზადებას უმთავრესად, უცხოური კატალოგების მიხედვით გვთავაზობენ.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, წარსულს ჩაბარდა ის განუმეორებელი ხალხური ორნამენტები, რომლითაც ჩვენი წინაპარი ამკობდა შესრულების დახვეწილი სტილითა და გემოვნებით გამორჩეულ ქართულ ავეჯს.

თუნდაც ის ფაქტი, რომ „ალზევანიდან ჩამოტანილ მარილსაც“ კი ჰქონდა საგანგებოდ სპეციალური ხისგან დამზადებული მოჩუქურთმებული და ორნამენტებიანი მრავალგვარი ჩასაყრელი-სათავსი, იმ დიდ კულტურაზე მეტყველებს, რომელიც ქართველი ხალხის ყოფის ძირითადი მახასიათებელია.

თუმცა, უმჯობესია, ქართული ხალხური ავეჯის და მასთან დაკავშირებული რიტუალების მკვლევარს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს, ეთნოლოგ **ლამარა ბედუკაძეს** მოვუსმინოთ:

*— იმ საჩუქართა შორის, რომელიც რომაელ ისტორიკოსთა ცნობით, ქართლის მეფეებს რომის იმპერატორებისთვის მიუძღვნიათ (ძვ.წ.აღ-ის I საუკუნიდან ვიდრე ახ.წ.აღ-ის II საუკუნემდე) ოქროს სარეცელიც იხსენიება. ამრიგად, თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში სახლის მიდამოწყობილობის აუცილებელ ელემენტს და მეფეთათვის მისართმევ ღირსეულ საჩუქარს ხალიჩა წარმოადგენდა, საქართველოში იმავე მიზნით ოქროს (ან ვერცხლის) დგამული ყოფილა გამოყენებული.*

**— ქალბატონო ლამარა, საინტერესოა, რატომ ამზადებდნენ მაინცდამაინც სარეცელს „სუვენირებად“?**

*— დასაწოლ ავეჯს განსაკუთრებული როლი და ადგილი მიეკუთვნება საერთოდ, ყოფაში. „დაბადების“ ქართულ თარგმანში, დასაწოლი ავეჯის მნიშვნელობით ცხედარი მოიხსენიება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ცხედარი ერთ დროს უფრო ჩვეულებრივ ლოგინსაც ნიშნავდა და აქედან ნაწარმოები თანამეცხედრე, მეუღლის მნიშვნელობით, ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ცხედარი სარეცელზე უნდა ყოფილიყო დაგებული“. ხალხური განმარტებით, ისტორიულ ცხედარს მერხი შეესატყვისება, ხოლო სარეცელს — ტახტი//ლოგინი (საწოლი). X საუკუნის წერილობით ძეგლებში უკვე ტახტი მოიხსენიება, როგორც სპარსეთიდან შემოსული, მეფისთვის განკუთვნილი საჯდომი, შემდგომ — უკვე საზოგადოდ, დასაწოლი ავეჯი.*



ტახტი ხევსურეთიდან

**— დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ტახტს მეფეთა საჯდომად მოიხსენიებს. როგორი იყო „სამეფო ტახტი“ და საერთოდ, როდიდან მკვიდრდება ყოფასა და ლექსიკაში ტახტი?**

*— საქართველოში X საუკუნიდან სპარსულმა და სპარსული ტიპის ტახტებმა მოიკიდა ფეხი, რომლის ანალოგიურებსაც ქართველი ხელოსნები არანაკლები ოსტატობით ქმნიდნენ. სამეფო ტახტები ხშირად ოქრო-ვერცხლითაც ირთვებოდა და ეროვნული ჩუქურთმებით იმკობოდა. მეფის სასახლიდან ტახტმა განზოგადებული სახე მიიღო და იგი სასხდომსა თუ დასაწოლს წარმოადგენდა. საწოლი ავეჯის სახით, ტახტი საძლეისოდ, საქართველოს მთიანეთშია შემონახული (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი).*

**— იქნებ ერთ-ერთი ასეთი ტახტი დაგვახასიათოთ.**

*— ჩვენს მთაში გავრცელებული ტახტის „აწყობა“ ასე ხდებოდა — ჯერ ფეხებს გამოთლიდნენ ცულით, ფიჭვის ან ცაცხვის ხისგან. ფეხის წინა მხარე მომრგვალებული იყო, დისკოსებური ფორმის. საწოლის თავი, როგორც წესი, ორივე მხრიდან დაჭრელებული იყო. ჩარჩოს, ორნამენტებით რთავდნენ. ძირში, რომელიც დასვრეტილი ან გამოწნული იყო, ჩალას, ქალის თმას ან ბალახს ჩააგებდნენ და ზედ ფარდაგს შლიდნენ...*

**— ტახტის ფეხები საკმაოდ მაღალი ჩანს...**

*— ამგვარი საწოლი დაცული იყო ნესტისგან. ტახტს ზოგჯერ ორსართულიანსაც ამზადებდნენ, „მაღლა საწოლაი“ პატარებს ეკუთვნოდა.*

**— ტახტის გარდა, კიდევ რა სახის ავეჯი მზადდებოდა?**

— ძირითადად, ეს იყო კიდობნები, ზანდუკები, სკივრები, სხვადასხვაგვარი სკამი, მერხები (მკლავიანი სკამი, ძელსკამის ტიპის), სავარძლები, ტაბლა-სუფრები, თარო-კარადები და ა.შ. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით კიდობნები გამოირჩეოდა. სურსათს დიდ კიდობანში ინახავდნენ, ტანსაცმლისას სატალავრეს უწოდებდნენ. ჯამ-ჭურჭლის შესანახმა კიდობანმა დროთა განმავლობაში კარადის სახე მიიღო და შესაბამისად, სახელიც შეიცვალა, კართანულას ეძახიან. ღია თაროები კი მთელ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. მასაც მოხელე აკეთებდა და ისე უნდა ყოფილიყო „ჩაბმული“, რომ რწევა არ დაეწყო. ყველაზე ძვირად კიდობანი და კარადა ფასობდა. ფშავ-ხევსურეთში „ოც ფუთ ჩამავალი“ კიდობანი ერთ ძროხად იყო შეფასებული.

**— ხალხური ავეჯი განსაკუთრებული შემკულობით გამოირჩევა, რას იტყვით იმ ორნამენტების შესახებ, რომელსაც ავეჯის ოსტატები იყენებდნენ?**

*— ორნამენტის შესატყვისად, მთაში ჭრელი ან ნაჭრელი იხმარება. „დურგლის გონება ცულის მოძრაობაში ჩნდებაო“, ამბობდნენ და იჭრებოდა სხვადასხვა სახის ორნამენტი — ნაქარგა, ნოქვის ჭრელი, ბულაური, ხარისთვალა, ციკნისყურა, ნავლუტა... „კაი ხელის“ ოსტატი ზოგჯერ დიდი ხნის წინ გაკეთებულ კიდობნებსაც „დააჭრელებდა“ თურმე და ახლაც, ზოგიერთ ოჯახში შეიძლება ნახოთ რესტავრირებული ძველებური კიდობნები თუ ტახტები, რომელიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ჩვენი წინაპრის — ხის ხელოსნების მაღალ ოსტატობაში.*

**— საინტერესოა ძველ სახლებში ავეჯის განლაგების წესები და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.**

*— ავეჯის განლაგება უკავშირდებოდა ოჯახში ქალისა და მამაკაცის ადგილს, მათ მოვალეობებს, ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილებას, გაყრას და ა.შ. ნიმუშად, ხევსურულ ტრადიციულ კალოიან სახლს მოვიყვანთ, რომლის პირველ სართულზე ერთ მხარეს საქონლის სადგომი იყო გამართული, მეორე მხარეს — კერა. მეორე სართული მამაკაცთა სადგომად და ხორბლისა და თივა-*

*ქრის საცავად ითვლებოდა. მესამე თვალი მღალ ბანს წარმოადგენდა, ანუ კალოს, სადაც ზამთარში ყინულზე პურს ლეწავდნენ (კალოც ამიტომ ერქვა). თუშები ასეთ სახლს ციხე-სახლს უწოდებდნენ...*

მთის სახლში კერა ორპირად იყო გაყოფილი, ერთი საკაცო, მეორე — სადედაკაცო. მოგვიანებით, როცა ბუხარი გაჩნდა, მოშლილი კერის (შუაცეცხლის) ადგილი კარგა ხანს კვლავ კერად მოიხსენიებოდა და რიგ სოფლებში საკიდელი დიდხანს ხელშეუხებლად ეკიდა.

კერის (ბუხრის) მარჯვენა მხარეს საკაცო მერხი უნდა მდგარიყო, მარცხენა მხარეს — საქალო.

თუ დედამთილი დიასახლისობდა, მისი სიკვდილის შემდეგ ეს მოვალეობა უფროს რძალს ეკისრებოდა. ყველა საქმე უფროს-უმცროსობის წესის დაცვით სრულდებოდა. ოჯახის უფროს მამაკაცს ,,საუფროსო" ადგილი ეჭირა კერასთან. როცა იგი სახლში შევიდოდა, ოჯახის წევრები ფეხზე წამოდგომით ხვდებოდნენ და მანამდე იდგნენ, ვიდრე უფროსი მისთვის განკუთვნილ სკამზე არ დაჯდებოდა. ეს ერთგვარი სკამ-ლოგინი (მერხი) გახლდათ, რომელსაც სამამაკაცო სკამი ჰქვია. სვანეთში დღესაც შეხვდებით ასეთ საუფროსო საკარცხულს. დაჯდომის განსაზღვრული წესებიც კი ყოფილა: ,,ისე უნდა დამჯდარიყო კაცი სკამის კიდეზე, რომ ზურგი არ მიექადნებინა. ფეხის ფეხზე გადადებაც სამრახისი იყო". ზნე-ჩვეულების მხატვრულ კოდექსში ამასაც ვკითხულობთ:

ნინ ჯდომით, უკან უყუხრით,
ზურგს ნუ მიჰყუდებ კედელსა,
ნურც თავს დაჰყიდებ, არ ჰგვანდეს,
თვალნაკლოებ იქრომჭედელსა...
ცალისა თეძოზედ არ დასჯდე,
რად ექვ ძნელის მისადებელსა...

ქალები და კაცები უფროს-უმცროსობის წესის დაცვით სხდებოდნენ. თუ ოჯახს ერთადერთი მამაკაცი ჰყავდა, მაშინ გრძელ სკამზე მარტო უნდა დამჯდარიყო, ქალები ამ სკამს ვერ შეეხებოდნენ (თავიანთი გრძელი სკამი ჰქონდათ). თუ ოჯახის უფროსი შინ არ იყო, მის ადგილზე მხოლოდ სტუმარს (მამაკაცს) თუ დასვამდნენ. საერთოდ, სტუმარი პირველ კაცად ითვლებოდა და იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელს ასაკით მისი სწორი ან უფროსი მამაკაცი შემოესწრებოდა, იგი თავის ადგილს შემოსწრებულს უთმობდა.

ახალგაზრდა ქალს საკაცო მხარეზე გადასვლა ეკრძალებოდა. თუ იგი მამაკაცის სკამზე დაჯდებოდა, ამით ოჯახის მფარველ ანგელოზთა გულისწყრომას გამოიწვევდა. ქალები, უმეტესწილად, ტყავის ბალიშებზე ისხდნენ (ტყავში გამოკრული იყო ბამბა ან მატყლი). ეს იმით იყო გამოწვეული, რომ რთვა, ჩეჩვა და ქსოვა მოკეცვით (ფეხმორთხმულ) ჯდომას ითხოვდა.

ადგილიდან საკაცო სკამის დაძვრა ტრადიციით იკრძალებოდა. იყო ისეთი ოჯახებიც, სადაც საკაცო სკამის მოვალეობას კედელთან ჩადგმული უბრალო ფიცარი ან კუნძი ასრულებდა. ვერც ამ კუნძს შეეხებოდა ვინმე.

განსხვავებული იყო საკაცო და საქალო ტაბლები. მთაში სპილენძის სამფეხა ტაბლებიც ჰქონდათ, რომელიც დალესტნელებს და ჩეჩნებს შემოჰქონდათ, სანაცვლოდ, მისივე წონა ერბო მიჰქონდათ: თითო ტაბლა ათ გირვანქამდე იწონიდა (ახლა ასეთ ტაბლებს და ძალიან ბევრ სპილენძის ნივთს ძნელად თუ იპოვით: რაც იყო, სულ ჯართის მიმღებ პუნქტებში ჩააბარეს).

სადიაცო მხარეს თარო-განჯინა იყო გამართული და კიდობნები ჩამწკრივებული. ჯამები, ხის კოვზები, სპილენძის და თიხის ჭურჭელი, პროდუქტი კიდობნებში და თაროებზე თავსდებოდა. საპურე და სატალავრე (ტანსაცმლის ჩასადები) კიდობნები გვერდიგვერდ იდგა.

ქალისა და კაცის ტანსაცმელს კიდობანში ერთად ვერ ჩააწყობდნენ. ამიტომ, ზოგან ცალ-ცალკე კიდობნები ჰქონდათ, ზოგან კიდევ — ორგანყოფილებიანი. თუ მხოლოდ ერთი და თანაც ერთთვლიანი კიდობანი ჰქონდათ, ამ შემთხვევაში ,,პრივილეგია" ქალის მხარეს იყო, — თავიანთ ტანსაცმელს კიდობანში აწყობდნენ, მამაკაცისას კი ქანდარაზე ჰკიდებდნენ.

ტანსაცმლის მოვლა ქალის ფუნქცია იყო. ქალები ხშირად ამზეურებდნენ ტანსაცმელს, სატალავრე კიდობანში ყრიდნენ თამბაქოს ფოთლებს, რაც ჩრჩილისგან იცავდა ქსოვილს. სატალავრე კიდობანში, კარადებსა და ერბოს საცავში შელოცვის ნაწილსაც ჩააგდებდნენ ხოლმე ,,ბედნიერების ნიშნად".

კიდობნისა და კარადის კარი ღია არ უნდა დაეტოვებინათ, ხვავი გამოილევაო.

საახალწლოდ ოჯახის დიასახლისი მრგვალ კვერს გამოაცხობდა და საპურე კიდობანში ჩადებდა — ხვავიანობა იცისო.

ძალზედ უჩვეულო მაგიური რიტუალი ჰქონიათ გუგულის მოფრენასთან დაკავშირებით. გუგულის მოფრენისას ოჯახის უფროსი მამაკაცი სახლიდან გაიპარებოდა და დედიშობილა(!) სამჯერ შემოუვლიდა იმ ხეს, რომელზეც გუგულს შენიშნავდა. ყოველ შემოვლაზე, ხისთვის ნაფოტი ან ქერქი უნდა შემოეთალა. ეს ნაფოტი კი ერბოს კასრში, პურის კიდობანში ან გოდორში უნდა ჩაეგდო — ესეც ოჯახის ხვავიანობის სიმბოლოდ ალიქმებოდა.

სვანეთში საუფროსო მერხსა თუ საკარცხულს მაგიური დანიშნულებითაც იყენებდნენ: მათზე ხდებოდა შესაწირი ზვარაკის დაკვლა. შესაწირავ ტახს მაჩუბში (სვანურ სახლს მაჩუბი ჰქვია), საუფროსო მერხზე კლავდნენ, საგანგებო ლოცვის შემდეგ. ასევე კლავდნენ საშობაო ღორსაც...

ოჯახის გაყრის დროს, ავეჯის გაყოფა კერასთან ხდებოდა. თუ ხევსურეთში ძმები ცოლის მოყვანისთანავე უნდა გაჰყროდნენ ოჯახს, ფშავში მამის სიცოცხლეში ვერ გაიყრებოდნენ.

გაყრისას საუფროსო სკამი და ქალიშვილის სამზითვო კიდობანი ხელშეუხებელი იყო, წილში არ შედიოდა. წილში არ შედიოდა ასევე რძლის მიერ მზითევში მოყოლილი ქონება... გაყრისას ასევე ხელშეუხებელი იყო საოჯახო ვარცლი, რომელსაც დიასახლისი განაგებდა. ერთი საყურადღებო დეტალიც: გაყრის პროცესში ,,მონაწილეობდა" მუცლადმყოფი ჩვილიც. ოჯახის წევრ ფეხმძიმე ქალისთვის იმ რაოდენობის ხორბალი უნდა მიეცათ დამატებით, რასაც პირთამდე სავსე საოჯახო ვარცლი დაიტევდა. ამ რიტუალის დროს ვარცლს უფროსი დიასახლისის გარდა, არავინ არ უნდა გაჰკარებოდა.

და კიდევ ერთი ხის ნივთი ყოფილა ხელშეუხებელი — ცომის საზელი ვარცლი...

ოჯახის უფროსები იმ ძმასთან რჩებოდნენ, რომელიც წილისყრის შემდეგ, ძველ სახლში მკვიდრდებოდა. მაგრამ დანარჩენი ვაჟებიც მოვალენი იყვნენ, მორიგეობით ერჩინათ მშობლები. ხალხის რწმენით, ,,ჩვეულების ძალით დიდი სირცხვილია, თუ შვილებმა დედ-მამა არ შეინახეს!.."

**P.S.** რა თქმა უნდა, წარსულს ჩაბარდა საუფროსო და სადიაცო სკამები, დიდი ტახტებიც, რომელზეც ხშირად მთელი ოჯახი იწვა. არც გუგულშემომჯდარი ხის გარშემო მორბენალ დედიშობილა მამაკაცის დანახვის ,,საშიშროება" გვემუქრება საქართველოს მთაში, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი თანამედროვე ავეჯის ოსტატები და დიზაინერები იმ ქართულ ჩუქურთმებსა და ორნამენტებს ან თუნდაც კიდობნებისა და ტახტ-სავარძლების სტილს მიუბრუნდებიან, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და ახლაც განცვიფრებაში მოვყავართ... ■


სვანური კიდობანი

# ინგლისელების მიერ მოგებული «დაკარგული თასი»

ალექსი რეხვიაშვილი

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ფეხბურთის სამშობლოდ წოდებულ ინგლისში გაიმართა, წინ უსწრებდა ერთგვარი დეტექტიურ-კურიოზული ამბავი. 1966 წლის 20 მარტს ბრიტანეთის ტელევიზია პროგრამა შეწყვიტა და მოსახლეობას უსიამოვნო ფაქტი ამცნო: დილის 11 საათზე ვესტმინსტერის სასახლიდან წესრიგის დამცველებს პირდაპირ ცხვირიდან ააცალეს ჟიულ რიმეს თასი. საბედნიეროდ „ნიკეს ოქროს ქალღმერთის“ ერთკვირიანი ძებნა წარმატებით დასრულდა. დაკარგული (მერვე მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებულისათვის გადასაცემი) ძვირფასი ჯილდო, შემთხვევით აღმოაჩინა უბრალო ეზოს ძაღლმა, რომელსაც თურმე ანცი ერქვა. ასე რომ, ინგლისელებს ჯერაც არ მოეპოვებინათ „ოქროს ქალღმერთ“ და კინაღამ უკვე არ დაკარგეს კიდეც იგი. არადა, ტურნირის მასპინძლებსა და მათი გუნდის მთავარ მწვრთნელს, ალფ რამსეის, ძალიან სერიოზული გეგმები ჰქონდათ.

მე-8 მუნდიალი 1966 წლის 11-30 ივლისს ჩატარდა და მასში კვლავ მსოფლიოს უძლიერესი თექვსმეტი ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. ტურნირი სენსაციურად დაიწყო. მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიის ნაკრებმა ქვეჯგუფიდან მეოთხედფინალში გასვლა ვერ შეძლო და ასპარეზობას ვადაზე ადრე გამოეთიშა. თუმცა „ფეხბურთის ჯადოქრები“ სამშობლოში თავიანთი მწვრთნელის, სახელგანთქმული ფეოლას გარეშე დაბრუნდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ განრისხებული ტორსიდა ბრაზილიელთა მთავარ მწვრთნელს მოკვლით ემუქრებოდა. საყვარელი გუნდის მოულოდნელი მარცხით აღშფოთებულმა ბრაზილიელმა გულშემატკივრებმა ფეოლას ფიტული დაწვეს, შემდეგ კი, მისი სახლიც დაარბიეს. ყვითელმაისურიანთა შეშინებულმა თავკაცმა ევროპაში ხანგრძლივი შეყოვნების შემდეგ, მხოლოდ მაშინ გაბედა სამშობლოში ჩუმად დაბრუნება, როცა ბრაზილიელ გულშემატკივრებს მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი მარცხი ასე თუ ისე მიავიწყდათ.



ინგლისის ეროვნული ნაკრები

1966 წლის მსოფლო ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად იქცა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვება (1:0) იტალიელებზე. აზიელები მეოთხედფინალში გავიდნენ, „სკუადრა აძურა“ კი, ასპარეზობას გამოეთიშა.

მერვე მუნდიალზე ფიასკო განიცადეს სამხრეთამერიკულმა გუნდებმა, რომლებიც საპრიზო ადგილების მოპოვების გარეშე დაბრუნდნენ თავიანთ კონტინენტზე. სკანდალური აღმოჩნდა ინგლის-არგენტინის მეოთხედფინალური შეხვედრა, რომელშიც დასავლეთგერმანელმა მსაჯმა, კრაიტლაინმა სამხრეთამერიკელთა გუნდის კაპიტანს, რატინის წითელი ბარათი უჩვენა, თუმცა, არგენტინელი ფეხბურთელი თავისი ნებით არ ტოვებდა მოედანს და მის გასაყვანად პოლიციელთა ჩარევა გახდა საჭირო. სკანდალურად მიმდინარეობდა გფრ-ურუგვაის ასევე მეოთხედფინალური მატჩიც, რომელშიც ინგლისელმა არბიტრმა, ფინიმ თავისი გერმანელი კოლეგის „პატივისცემა“ არ დაივიწყა და მოედნიდან ორი ურუგვაიელი ფეხბურთელი გააძევა. რა თქმა უნდა ევროპელებს 9 ურუგვაელის დამარცხება არ გაუჭირდებოდათ და ის მატჩი ანგარიშით 4:0 მოიგეს. სამხრეთამერიკულმა პრესამ კი, ევროპა მათ წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულა, თუმცა ევროპა-სამხრეთ ამერიკის „ომი“ ამით არ დასრულებულა. ინგლისელთა მწვრთნელმა, ალფ რამსეიმ სატელევიზიო ინტერვიუში არგენტინელ ფეხბურთელებს ცხოველები უწოდა, რასაც საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა, ბუენოს-აირესში კი, ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ინგლისის საელჩოზე მიიტანეს იერიში.

მძაფრი ემოციების (ოღონდ, უკვე საფეხბურთო) ფონზე მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კორეასა და პორტუგალიას შორის გამართული მეოთხედფინალური მატჩი. უკვე 25-ე წუთზე აზიელები ევროპელებს 3:0-ს უგებდნენ, თუმცა ლეგენდარული ეუსებიოს წყალობით, პორტუგალიელთა გუნდმა მაინც შეძლო გამარჯვება (5:3). მომდევნო დღეს, ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში დაიბეჭდა



კარბახალი

სტატია სახელწოდებით: „ეუსებიო-კსდრ 5:3!“

მერვე მუნდიალის მშვენებად იქცა ინგლის-პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩი, რომელშიც ორივე გუნდის ფეხბურთელებმა მართლაც ლამაზი, ტექნიკური და კორექტული ფეხბურთი უჩვენეს გულშემატკივრებს. პირველი საჯარიმო დარტყმა ამ შეხვედრაში მხოლოდ 22-ე წუთზე დაინიშნა. მატჩის შემდეგ, ფრანგმა მსაჯმა, შვინტემ აღნიშნა: იმ ეპიზოდშიც შემეძლო არ დამესტვინა, მაგრამ ფეხბურთელებისთვისა და მაყურებლებისთვის, მოედანზე ჩემი არსებობის შესახებ მინდოდა შემეხსენებინა. მიუხედავად ამისა, იმ მატჩში შვინტეს მსაჯობით პორტუგალიელები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ. სამხრეთ-დასავლეთ ევროპელები 0:2 აგებდნენ და თამაშის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ეუსებიომ პენალტით შემცირა ანგარიშის სხვაობა. ორი წუთის შემდეგ კი, ინგლისელმა მცველმა ტორესის თავიდან ხელით მოხსნა ბურთი, თუმცა ამ შემთხვევაში, ფრანგ არბიტრს, მოედანზე თავისი ყოფნის ამბავი „არ შეუხსენებია“ მაყურებლებისა და ფეხბურთელებისათვის. „რატომ არ დანიშნა მან პენალტი?“ — მივარდნილა პორტუგალიელთა აღშფოთებული მწვრთნელი, გლორია ფიფას კომისართან. „თქვენ ძალიან ბევრი მოინდომეთ. პუბლიკა ჯერაც არ დაწყნარებულა პირველი პენალტის შემდეგ,“ — მშვიდად უპასუხია მატჩის კომისარს.



ფინალი. ინგლისი-გერმანია. 1966წ

მესამე ადგილისათვის მატჩში საბჭოთა ნაკრები პორტუგალიელებთან დამარცხდა (1:2). ფინალურ შეხვედრაში კი, ინგლისის გუნდმა გერმანიის ნაკრებს დამატებით დროში სძლია (4:2) და პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მატჩის გმირი გახდა მასპინძელთა ფორვარდი ჰერსტი, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა (დღემდე, მის გარდა, ფინალურ შეხვედრაში სამი გოლი არავის გაუტანია). სანუკვარი „ჟიულ რიმეს თასი“ ინგლისელთა კაპიტან ბობი მურს დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ გადასცა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ეუსებიო გახდა (9 გატანილი გოლით).

1966 წლის მუნდიალის ფინალი მეორასე მატჩი იყო მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. მერვე მუნდიალი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მასში მონაწილე მეკარეებმა ვერც ერთი პენალტი ვერ აიღეს. ინგლისში ჩატარებული მსოფლიო პირველობა რიგით მეხუთე აღმოჩნდა მექსიკელთა მეკარე ანტონიო კარბახალისათვის (1950, 1954, 1958, 1962, 1966) და მეოთხე ბრაზილიელთა მცველის, ჯალმა სანტოსისათვის (1954, 1958, 1962, 1966). ამ ჩემპიონატზე კვლავ მარცხი განიცადა საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონის, იური ჯორკაეფის მამა, ჟან ჯორკაეფი. ■

# მუნდიალის „ჰიტ-აღლუმი“

*ალექსი რეხვიაშვილი*

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ყოველთვის გრძელდება ხოლმე კამათი ამა თუ იმ მატჩის, ეპიზოდის, ვარსკვლავთა წარმატება-წარუმატებლობის შესახებ. სპორტული ჟურნალისტები დაგროვილ შთაბეჭდილებებს მკითხველსა თუ ტელემაყურებელს უზიარებენ და ათასგვარ რეიტინგსაც ადგენენ. ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის ალბათ უინტერესო არ იქნება ერთ-ერთი ასეთი საფეხბურთო „ჰიტ-აღლუმი“, რომელშიც თავისი ადგილი მონახეს არა მარტო მეჩვიდმეტე მუნდიალის გმირებმა, არამედ ანტიგმირებმაც და საერთოდ ყველამ, ვინც კი კორეა-იაპონიის მოედნებზე რაიმეთი მაინც დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს. მაშ ასე: მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. რონალდო (ბრაზილია). მიუხედავად იმისა, რომ

მსოფლიო ჩემპიონატზე დამსწრე ჟურნალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით ტურნირის საუკეთესო მოთამაშისათვის ფირმა adidas-ის მიერ დაწესებული ჯილდო, „ოქროს ბურთი“ გერმანელთა მეკარე ოლივერ კანს გადაეცემა (გამოკითხულ 592 ჟურნალისტიდან, 147-მა კანი დაასახელა) და არა რონალდოს, ბრაზილიელ ვარსკვლავს ფეხბურთის სპეციალისტების, გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების მაინც საკმაოდ დიდი ნაწილი ანიჭებს უპირატესობას (რონალდომ 126 ხმა მიიღო). ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის წარმოდგენილ „ჰიტ-აღლუმში“ სწორედ „კიჭაა“ დასახელებული საუკეთესო მოთამაშედ. მან ხომ შესანიშნავად ჩაატარა მეჩვიდმეტე მსოფლიო ჩემპიონატი და 8 გოლიც გაიტანა (მათ შორის 2 ბურთი — ფინალურ მატჩში — სწორედ კანს). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1974 წლის მუნდიალის შემდეგ, რომელზეც პოლონელმა გჟეგოჟ ლიატომ 7 გოლი გაიტანა, ეს რეკორდი აღარავის მოუხსნია.

### ჩემპიონატის აღმოჩენა. მარკუსი (ბრაზილია)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონატებზე არც ერთ მეკარეს ასე დამაჯერებლად არ უთამაშია (თუ არ ჩავთვლით 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონ, ტაფარელს, რომელიც ასევე გამორჩეული იყო ბრაზილიის ნაკრების არსებობის მანძილზე). მარკუსმა ქვეჯგუფის მატჩებში სამი გოლი გაუშვა, თუმცა მომდევნო შეხვედრებში იგი უფრო და უფრო აუმჯობესებდა თამაშს. დარჩენილ ოთხ შეხვედრაში კი, ბრაზილიელთა კარში მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს. ამ შემთხვევაშიც მარკუსი ყველაზე ნაკლებად „ტყუოდა“, რადგან ოუენთან ორთაბრძოლისას ლუსიომ უხეში შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც ინგლისელი ფორვარდი ბრაზილიელი გოლკიპერის პირისპირ აღმოჩნდა.

### მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო გოლი. რონალდო (ბრაზილია).

ახლა უკვე ზედმეტია იმაზე კამათი, რონალდინიომ საჯარიმოდან ბურთი შეგნებულად გაგზავნა დევიდ სიმენის კარში, თუ მას უბრალოდ ჩაწოდება სურდა, ბურთი კი, კარისკენ წავიდა და მისი აღება წინ გამოსულმა ინგლისელთა მეკარემ ველარ



შეძლო. ფაქტია, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველის დარტყმული ბურთი საოცარი ტრაექტორიით წავიდა და ალბიონელთა კარის „ცხრიანში“ შეიჭრა.

**ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელი. გუს ჰიდინგი (კორა).**

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სამხრეთ კორეის ნაკრები ნახევარფინალში მსაჯთა დახმარებით გავიდა, მათ ჰოლანდიელ თავკაცს, გუს ჰიდინგს დიდ დამსახურებას მაინც ვერ დავუკარგავთ. მან უამრავი კორეელი ფეხბურთელისაგან საუკეთესონი ამოარჩია, გუნდში მკაცრი დისციპლინა დაამყარა, საფეხბურთო მოედანზე კორეელი ერის საუკეთესო თვისებების რეალიზება შეძლო და შედეგიც სახეზეა — გუნდმა, რომელიც ვერასოდეს გადიოდა ქვეჯგუფიდან, მეჩვიდმეტე მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

**ჩემპიონატის გუნდი-აღმოჩენა. სენეგალის ეროვნული ნაკრები.**

როდესაც ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ნაწილისათვის უცნობი ქვეყნის გუნდმა ჩემპიონატის გახსნით მატჩში საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა (1:0), ეს შედეგი ბევრმა სენსაციურ შემთხვევითობად აღიქვა, თუმცა ფრანგი ბრუნო მეციუს მიერ დამოძღვრილი სენეგალელების თამაშმა მომდევნო შეხვედრებში ყველა დაარწმუნა, რომ არავითარ შემთხვევითობას 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონებზე გამარჯვებისას ადგილი არ ჰქონია.

**ჩემპიონატის მწვრთნელი-აღმოჩენა. შენოლ გიუნეში (თურქეთი).**

ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, რომ თურქეთის ეროვნული ნაკრების ფინალურ ტურნირზე მოხვედრა, არა გიუნეშის, არამედ მისი წინამორბედი მწვრთნელების — მუსტაფა დენიზლისა და ფატიჰ თერიმის დამსახურება იყო. ყველასათვის უცნობმა 50 წლის გიუნეშმა კი (რომელიც წარსულში საკმაოდ კარგი მეკარე ყოფილა და ისეთი კლუბების ღირსებას იცავდა, როგორიც „ბურსასპორი“ და „ისთამბულსპორია“), თურქეთის გუნდი ისეთ სიმაღლეზე აიყვანა (თანაც მსაჯთა ყოველგვარი დახმარების გარეშე), როგორზეც მის წინამორბედ მწვრთნელებს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ.

**ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი. კორეა-თურქეთი (2:3).**

მესამე ადგილისათვის შეხვედრაში არც მასპინძელ აზიელებს და არც გაევროპელებულ აზიელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და გულშემატკივრებს გახსნილი, შემტევი და სწრაფი თამაში უჩვენეს.

ჩემპიონატის იმედგაცრუება. ფრანგი ფორვარდების, ტიერი ანრისა და დევიდ ტრეზეგეს ტანდემი. ამ თავდამსხმელებისაგან, რომლებსაც ინგლისსა და იტალიაში ბრწყინვალე საფეხბურთო სეზონი ჰქონდათ ჩატარებული და, როგორც იტყვიან, ძალების სრული გაფურჩქვნის ხანაში იმყოფებოდნენ, ფეხბურთის სპეციალისტებიცა და გულშემატკივრებიც ყველაზე მეტს მოელოდნენ, თუმცა, ანრისა და ტრეზეგეს თამაშის წყალობით, ფრანგთა გუნდმა გოლის გაუტანლად დატოვა მეჩვიდმეტე მუნდიალი.

**ჩემპიონატის გუნდი-იმედგაცრუება. არგენტინის ეროვნული ნაკრები.**

იაპონიის სტადიონებზე ამ გუნდის თამაშით მხოლოდ შვედებმა და ინგლისელებმა იხეირეს (თუმცა დროებით). ყველაზე დიდი მოგება კი, თეთრ-ცისფერმაისურიანთა უხეირო თამაშის შედეგად მაინც ტოტალიზატორებმა და იმ გულშემატკივრებმა ნახეს, რომლებიც ისე, გასართობად, მხოლოდ რისკის მძაფრი შეგრძნების სურვილის გამო ან სასწაულის მოლოდინში, ფსონს არგენტინელთა საწინააღმდეგოდ დებდნენ (იგივე შეიძლება ითქვას ფრანგთა გუნდზეც).

**ჩემპიონატის მწვრთნელი-იმედგაცრუება. ოლეგ რომანცევი (რუსეთი)**

რუსეთის ნაკრების თავკაცის სათამაშო ტაქტიკას, იაპონიასა და ბელგიასთან ჩატარებული მატჩების შემდეგ „ლაჩრული“ უწოდეს. რომანცევმა ვერ შეძლო სრულად გამოეყენებინა თავისი მოთამაშეების პოტენციალი. გარდა ამისა, მან დისციპლინირებული იაპონელი მასპინძლები და ჟურნალისტები იმითაც გაანაწყენა, რომ პრესკონფერენციებს უარყოფდა.

**ჩემპიონატის „მსახიობი“. რივალდო (ბრაზილია).**

აბა მუნდიალის საუკეთესო მსახიობის ტიტული ვის უნდა რგებოდა, თუ არა რივალდოს, რომელმაც თურქეთთან ჩატარებულ მატჩში ხელები სახეზე აიფარა და გამწარებული ადამიანის მანერებით დაიწყო გორაობა მინდორზე, მას შემდეგ, რაც მისი გამომწვევი საქციელით (რივალდოს დრო გაჰყავდა) აღშფოთებულმა თურქმა ფეხბურთელმა ბურთი მუხლზე მიარტყა. ამ ქმედებით რივალდომ კარგად „გააცურა“ მატჩის არბიტრი, რის გამოც თურქები რიცხობრივ უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

**ჩემპიონატის ვარცხნილობა. რონალდო (ბრაზილია).**

მეჩვიდმეტე მუნდიალზე ძალიან ცოტა იყო ლამაზი მატჩი და ფეხბურთის დიდოსტატებისა თუ ფავორიტად აღიარებული გუნდების დასამახსოვრებელი თამაშები, თუმცა, ეს ჩემპიონატი მაინც გამოირჩეოდა... ფეხბურთელთა ნაირ-ნაირი ვარცხნილობით. ჰოდა, „კიჭასაც“ რაღა უნდა ექნა? — ორიგინალური რომ ყოფილიყო, ადგა და თმა ისე დაიყენა, როგორც მანამდე სხვას არავის ჰქონია კორეა-იაპონიის მოედნებზე.

**ჩემპიონატის ქმედება. დემარკუს ბიზლი (აშშ).**

გერმანია-აშშ-ის მეოთხედფინალურ მატჩში ამერიკელთა 20 წლის სათადარიგო ნახევარმცველს, ბიზლის მოსაქმება მონსდომებია. თუმცა, ისეთი დაინტრიგებული ყოფილა შეხვედრის მსვლელობით, რომ შორს არ წასულა და იქვე, „მოფარებულ ადგილას“ აღუსრულებია კიდეც საწადელი. ამერიკელი ფეხბურთელის ქმედება მილიონობით ტელემაყურებლისათვის შეუმჩნეველი დარჩა, რადგან ეს ყველაფერი მხოლოდ გერმანული საკაბელო ტელევიზიის,SAT-1-ის ოპერატორმა

დააფიქსირა.

**ჩემპიონატის „მსაჯი". ჰამალ ჰანდური (ეგვიპტე).**

ამ ნომინაციაში ეგვიპტელი მსაჯის გამარჯვება, რა თქმა უნდა, ირონიაა, რაც, ცხადია, ესპანელ გულშემატკივრებში სალაღობო თემა ნამდვილად ვერ იქნება. ალბათ მიხვდით, საუბარი სწორედ იმ არბიტრზეა, რომლის წყალობითაც (აგრეთვე გვერდითი მსაჯების დახმარებით, უგანდელი და ტრინიდადელი) ესპანელები სამშობლოში დაბრუნდნენ, ხოლო სამხრეთ კორეელები კი, ნახევარფინალში გავიდნენ.

**გუნდიდან დათხოვნა. ან ჩუნ ხვანი (კორეა).**

მას შემდეგ, რაც ან ჩუნ ხვანმა იტალიელებს „ოქროს გოლი" გაუტანა, მისი კლუბის, „პერუჯას" პრეზიდენტმა, ლუჩანო გაუჩიმ საჯაროდ განაცხადა, რომ კორეელ ფეხბურთელთან კონტრაქტს წყვეტდა, რადგან „სკუადრა აძურას" დამსამარებელი კაცის ადგილი მის გუნდში აღარ იყო. ანი ალბათ როგორმე მოძებნის ახალ კლუბს, მაგრამ საინტერესოა, რა აზრი შექმნება საფეხბურთო საზოგადოებრიობას გაუჩის შესახებ?..

**ჩემპიონატის მამები და შვილები. ჩა (კორეა) და მალდინი (იტალია)**

კორეის გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა სათადარიგო თავდამსხმელი ჩა დუ რი, რომელიც ცნობილი კორეელი ფეხბურთელის, ბუმ კუნ ჩას ვაჟიშვილია. ბუმ კუნ ჩა 80-იან წლებში გერმანიაში გამოდიოდა, თუმცა მას არასოდეს მიუღწევია ისეთი წარმატებისათვის, როგორსაც მისმა ვაჟიშვილმა მიაღწია ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. აი, „სკუადრა აძურას" მცველმა, პაოლო მალდინიმ კი, გაცილებით უარესი შედეგი უჩვენა, ვიდრე მამამისმა ჩეზარემ პარაგვაელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მერვედფინალურ მატჩში ტანმაღალ პაოლოს მასზე გაცილებით ტანმორჩილმა ან ჩუნ ხვანმა აჯობა თავით თამაშისას, რის გამოც იტალია ტურნირს გამოეთხოვა. ჩეზარე მალდინის დამოძღვრილმა პარაგვაის ნაკრებმა კი, ასევე მერვედფინალში, მინიმალური ანგარიშით (0:1) დათმო შეხვედრა ჩემპიონატის ფინალისტ, გერმანიასთან.

**გადადგომა. ლუიშ ფელიპე სქოლარი (ბრაზილია)**

ყველასათვის გასაკვირად და ბრაზილის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელთა თხოვნის მიუხედავად, ტრიუმფალურად ჩატარებული ტურნირის შემდეგ, მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ლუიშ ფელიპე სქოლარიმ.

**გაძევება. ტიერი ანრი (საფრანგეთი).**

უზიდანოდ დარჩენილი ფრანგები ურუგვაისთან მატჩში ყველაზე დიდ იმედებს ანრიზე ამყარებდნენ, რომლის მოედნიდან გაძევებამაც ალბათ დიდად განაპირობა ასპარეზობიდან „მამლაყინწების" გამოთიშვა.

**ჩემპიონატის შეცდომა. ოლივერ კანი (გერმანია) — ბრაზილიასთან ფინალურ მატჩში.**

ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარებულმა ოლივერ კანმა მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა ტურნირზე, როდესაც რივალდოს მიერ დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა, რის შემდეგაც რონალდომ ანგარიში გახსნა. „ეს შეცდომა არ ყოფილა, უბრალოდ ბურთი იყო სრიალა", — განაცხადა გერმანელთა მწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა მატჩის შემდეგ ისე კი, ვინ იცის როგორ წარიმართებოდა ორთაბრძოლა, კანს ეს ბურთი ხელში რომ აეღო.



**ჩავარდნა. ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი).**

პარაგვაელთა მეკარისაგან გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრ სასწაულს ელოდა, თუმცა მოულოდნელად, მან ძალზე სუსტად იასპარეზა. „ჩილავერტი მეკარე კი არა, კლოუნია. მას ყბედობა უფრო ეხერხება, ვიდრე კარში დგომა", — ფეხბურთის ზოგიერთი სპეციალისტისა და გულშემატკივრის მსგავსი შეხედულება პარაგვაელ მეკარეზე მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ალბათ კიდევ უფრო განმტკიცდება.



**ჩემპიონატის „ელვა". ნელსონ კუევასი (პარაგვაი).**

არგენტინული „რივერ პლეიტის" 22 წლის ფორვარდმა, ნელსონ კუევასმა სლოვენიელებთან მატჩში გაიბრწყინა, როდესაც მან მოწინააღმდეგის კარში ორი ულამაზესი გოლი გაიტანა და თავისი გუნდი მერვედფინალში გაიყვანა. სამწუხაროდ, შემდეგ მან ტრავმა მიიღო და გერმანიასთან მერვედფინალურ შეხვედრაში მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოვიდა მინდორზე.

**ჩახუტება. გუს ჰიდინგი და ჰამალ ჰანდური.**

კორეა-ესპანეთის სკანდალურ მატჩში მსაჯობით თვით გუს ჰიდინგიც უკმაყოფილო იყო. თუმცა, კორეელთა მიმართ გამალ განდური, რბილად რომ ვთქვათ, კეთილად იყო განწყობილი. ერთერთ ეპიზოდში ჰიდინგმა არაკორექტულად მიმართა არბიტრს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იუმორის კარგი გრძნობა გამოავლინა და კორეელთა თავკაცს გადაეხვია, რაც იმის საბაბი გახდა, რომ ჰიდინგსა და განდურს ესპანეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდეს ბრალი.

**ჩემპიონატის სირცხვილი. შეხლა-შემოხლა მოსკოვში, მანეჟის მოედანზე 9 ივნისს.**

უსახური თამაშის გარდა, რუსეთმა გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე იმითაც „გამოიჩინა თავი", რომ იაპონიასთან მატჩის შემდეგ, მოსკოვში გულშემატკივრებ-

მა მასობრივი დარბევა მოაწყვეს. ამ ფაქტმა მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებრიობაში დიდი გამოხმაურება პოვა, რადგან თვით კორეა-იაპონიაში, ყველასათვის მოულოდნელად, ტურნირი სრული სიმშვიდის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ჩემპიონატის კურიოზი. მაისურის გამოცვლა ედმილსონის მიერ. ვინც ფინალური მატჩი იხილა, ალბათ არასოდეს დაავიწყდება ეპიზოდი, როდესაც კოლორიტულმა კოლინამ ბრაზილიელ ედმილსონს მაისურის გამოცვლა უბრძანა, ეს უკანასკნელი კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ისე გაიბლანდა ჩასაცმელ ახალ მაისურსა და მის სარჩულში, როგორც ობობას მსხვერპლი აბლაბუდაში ეხვევა და თანაგუნდელის დახმარების გარეშე ჩაცმა ველარ შეძლო. ცხადია, ამ ფაქტმა ყველა გაამხიარულა: ტრიბუნებზე მსხდომი ათეულობით ათასი გულშემატკივარიც, ბრაზილიელი ფეხბურთელებიც და წარმოიდგინეთ, თავად მრისხანე კოლინაც. იცინოდნენ გერმანელი ფეხბურთელებიც, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ სულ რაღაც რამდენიმე ათეული წუთის შემდეგ, მაისურგამოცვლილი ედმილსონი მსოფლიო თასს აღმართავდა.

**ჩემპიონატის ეგზოტიკა. მსაჯები „მესამე სამყაროს“ ქვეყნებიდან.**

ფიფას თავკაცებმა ფეხბურთის დიდი მასშტაბით პოპულარიზაცია განიზრახეს და მსაჯები ეგზოტიკური ქვეყნებიდანაც მოიწვიეს. ვერ გეტყვით, ამ მეთოდმა რამდენად გაამართლა და რამდენად გაიზარდა ,,მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ფეხბურთის პოპულარობა, მაგრამ მუნდიალმა კი ნამდვილად იზარალა ფიფას ასეთი გადაწყვეტილებით, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს მსაჯები ძალიან უხეშ შეცდომებს უშვებდნენ. აი, ფეხბურთის გულშემატკივრებმა კი, ალბათ ნამდვილად გაიღრმავეს ცოდნა გეოგრაფიაში, მას შემდეგ, რაც შეიტყვეს ისეთი ქვეყნების არსებობის შესახებ, როგორებიც ტრინიდადი და ტობაგო, ვანუატუ ან ანტიგუა და ბარბუდაა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბენინელი კოფი კოჯი თურმე ფინალური მატჩის მომსახურების პრეტენდენტიც ყოფილა, მაგრამ საბედნიეროდ, მოგვიანებით ფიფას სამსაჯო კომიტეტს ასეთ რისკზე წასვლა და საპასუხისმგებლო შეხვედრის მისთვის მინდობა გადაუფიქრებია. ■

## სენეგალის ნაკრების გმირი სამშობლოში გაქურდეს



სენეგალის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე, 24 წლის პაპ ბუბა დიოპი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე სამი გოლი გაიტანა, კვლავ მოექცა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში. საფრანგეთის ნაკრების კარში გატანილი სენსაციური გამარჯვების მომტანი გოლის ავტორი მშობლიურ ქალაქ რუფისკში იმყოფებოდა, სადაც მის პატივსაცემად სპეციალური ცერემონიალი მოაწყვეს და საპატიო მოქალაქის წოდებაც მიანიჭეს. სწორედ ზეიმის დროს, დიოპს ჩანთა მოჰპარეს, რომელშიც ფეხბურთელს ორი მობილური ტელეფონი, ავტომობილის გასაღები და 460 ევრო ედო. მიუხედავად ამ უსიამოვნო ფაქტისა, სენეგალის ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველის საზეიმო განწყობილება არ შეცვლილა და მან განაცხადა, რომ ბედნიერად გრძნობს თავს მისდამი ასეთი დიდი პატივისცემის გამო. აქვე იმასაც დავძენთ, რომ დიოპს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფეხბურთის რუს გულშემატკივრებზე და მოსკოვის ერთ-ერთ ბანკს მისი სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირის ჩატარებაც განუზრახავს. ■

## ზიკო შეიძლება იაპონიის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში




წარსულში ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს, ზიკოს იაპონიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს. 49 წლის ბრაზილიელმა ფეხბურთის სპეციალისტმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება იაპონიის ფეხბურთის ფედერაციასთან და თუ იგი გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდება, ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოამზადებს. თავად იაპონელები ამ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ ამჟამად ზიკო გუნდ ,,კასიმა ანტლერსის“ ტექნიკური დირექტორია, რომლის შემადგენლობაშიც წლების წინ თავადაც თამაშობდა, ხოლო შემდგომ მწვრთნელადაც მუშაობდა. ზიკო სამ მსოფლიო ჩემპიონატში (1978, 1982, 1986) მონაწილეობდა. 1998 წელს კი, საფრანგეთში ბრაზილიელთა გუნდის ტექნიკური კოორდინატორი იყო. ■

## ბარიკელოსა და შუმახერის შეხვედრა




სილვერსტოუნში რუბენს ბარიკელო თავის თანაგუნდელ მიხაელ შუმახერს რონალდოს მაისურში გამოწყობილი ეახლა, რომელსაც ზურგზე ბრაზილია-გერმანიის ფინალური მატჩის ანგარიში – ,,2:0“ ეწერა. როგორც შემდგომში გაირკვა, გერმანელთა გამარჯვების შემთხვევაში, შუმახერიც ანალოგიურად აპირებდა ბრაზილიელ პილოტთან შეხვედრას, თუმცა... ,,მე მზად მქონდა ასეთივე მაისური, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ჩაცმის საბაბი აღარ მომეცა“, – სინანულით განაცხადა გერმანელმა მრბოლელმა. ■



# ცხოვრება ნიკიტამდე და ნიკიტას შემდეგ

„თუ შეიძლება ნიკიტასნაირად შემჭერით თმა" – ითხოვდა 12 წლის წინ ყოველი მეორე ფრანგი ქალი. ამგვარი პოპულარობა მსახიობისთვის ყველაზე სასიამოვნო რამ არის. ამ აზრს ფრანგი მსახიობი ან პარიოც იზიარებს. საიდუმლო სუპერაგენტის როლმა ფილმში – „მას ერქვა ნიკიტა", ან პარიო ერთხელ და სამუდამოდ აქცია კინოვარსკვლავად.

ან პარიო ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო და პარიზის გარეუბნის, სენ მანდეს ძველ რესპექტაბელურ სახლში, აკვანში იწვა, როცა მისი ბრწყინვალე მომავლის კონტურები უკვე იკვეთებოდა: მანამდე, გოგონას მამას დიდი ხნის მანძილზე აღარ ენახა, რომ მერკურს, ვენერასა და მთვარეს ერთად მოეყარათ თავი, რომელიმე ადამიანის ასტროლოგიურ რუკაზე. არადა, ანის მამა ამ საქმეში კარგად ერკვეოდა – ის პოპულარული პროფესიონალი ასტროლოგი იყო და ზუსტი პროგნოზის მისაღებად, მასთან ყოველდღიურად, ურიცხვი კლიენტი მიემართებოდა პარიზიდან. კლიენტების მეორე ტალღა – უმეტესად, ქალბატონები – ანის დედასთან დგებოდნენ რიგში: ის ექიმი-დიეტოლოგი იყო და მისი წყალობით წონის დაკლებას ის ადამიანებიც კი ახერხებდნენ, ვისაც ზედმეტი კილოგრამების დაკარგვის ყოველგვარი იმედი ჰქონდა გადაწურული.

ანი ბავშვობიდან ადვოკატის კარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ მამის მიერ შედგენილი ჰოროსკოპი არაორაზროვნად მიუთითებდა: „ყველაზე მეტად, კუროებს ხელოვნების დარგში უმართლებთ, თუ ისინი შესაბამის განათლებას მიიღებენ". მშობლებმაც გოგონა კლასიკური ცეკვისა და მხატვრული კითხვის სკოლაში მიაბარეს. ბალეტის გაკვეთილები ანის არ მოსწონდა. გოგონა 17 წლის იყო, როცა რეჟისორმა მიშელ ლანგმა ფილმში – „სასტუმრო პლაჟთან" გადასაღებად მიიწვია. ამ ფილმს მრავალი უმნიშვნელო როლი მოჰყვა, რომელსაც პარიოსთვის დიდი წარმატება არ მოუტანია. ცოტა ხანში, მსახიობი თავად ალენ დელონმა მიიწვია თავის სარეჟისორო ფილმებში მონაწილეობის მისაღებად. ცხადია, ამ პოლიციურ ბოევიკებში ნამდვილ ვარსკვლავად თავად დელონი გვევლინებოდა, ან პარიო კი მის ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ სამუშაო მაინც საინტერესო და მიმზიდველი გახლდათ. ანი და ალენი ფილმებში უმეტესად საყვარლებს ასახიერებდნენ, ამიტომაც მათი სასიყვარულო ურთიერთობაც გარდაუვალი იყო.



**„მას ერქვა ნიკიტა", 1990**

ახლა პარიოს არ უყვარს დელონის გახსენება, რადგან მაშინ, ალენმა ანის, იმედები არ გაუმართლა – მის გამო ცოლი ვერ მიატოვა... სასიყვარულო დრამით მიყენებული ტრავმის მოშუშება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა მსახიობის ცხოვრებაში რეჟისორი ლიუკ ბესონი გაჩნდა. იმ დროიდან მოყოლებული, ან პარიო თავის ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს – „ლიუკამდე და ლიუკის შემდეგ".

ალბათ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლიუკ ბესონს ალენ დელონისთვის ქალის წართმევა არ დასჭირვებია. ბესონმა არაფერი იცოდა დელონისა და პარიოს არც პირადი და არც პროფესიული ურთიერთობის შესახებ, რადგან იგი დელონის ფილმებს საერთოდ არ უყურებდა. „რატომ უნდა დავხარჯო დრო რაღაც სისულელეებზე?!" – დაახლოებით ასეთი აზრი ჰქონდა ბესონს დელონის ფილმებზე...

ერთხელ, დასვენების დროს, ბესონმა თურმე ტელევიზორი ჩართო და ეკრანზე სუსტი აღნაგობის ლამაზი გოგონა იხილა, რომელიც თავგამოდებით აქებდა ნატუ-

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეორა დვალის

**უბის წიგნაკიდან:**

1. ლონდონის ტაუერი 900 წლისაა.
2. ვასო გოძიაშვილს 4 ცოლი ჰყავდა.
3. ფინეთს ევროპულ იაპონიას ეძახიან.
4. სიგარეტი ქოლესტერინს ანეიტრალებს.
5. ამ ზამთარს, გაზით მოწამვლისგან, თბილისში 26 კაცი დაიღუპა.
6. რუსი მეიგავე ივანე კრილოვი ღარიბი ოფიცრის ოჯახში დაიბადა.



7. უკრაინაში მდებარე დაბა – დელოვოე, ევროპის გეოგრაფიული ცენტრია.
8. სპეციალისტების აზრით, +7 გრადუსი შამპანურის იდეალური ტემპერატურაა.
9. ბელორუსიაში ეროვნული ვალუტის ასიან კუპიურაზე მგელია გამოსახული, სომხეთში – არარატის მთა.
10. ეიფელის კოშკის მშენებლობა 1887 წლის 28 იანვარს დაიწყო და 2 წელი და 2 თვე გაგრძელდა.
11. რუსი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი ნიუ-იორკში გარდაიცვალა და ქალაქ ვენეციაშია დასაფლავებული.
12. სასმელი წყლის მარაგის ყველაზე დიდი რაოდენობა დედამიწაზე, ანტარქტიდაში არის კონცენტრირებული.
13. კოჩაბამბა საკურორტო ქალაქია ბოლივიაში, კოჩეჩუმი – მდინარე რუსეთში, კრკონოშე – მთები ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში.
14. საკუთარ საიუბილეო საღამოზე ოთარ მეღვინეთუხუცესი, სანამ მაყურებელს მიმართავდა, სცენაზე გაკრულ პლაკატს დააკვირდა, სადაც მისი პორტრეტი იყო გამოსახული მეფე გიორგის როლში და თქვა: „მართლა ასეთი რომ ვყოფილიყავი, გურანდას ჩემს თავს ვინ დაუტოვებდა!“
15. ზურიკელა ვაშალომიძეს მისი ძაღლი მურადა ყველგან თან დაჰყვებოდა, რის გამოც სოფელში სულძაღლიანს ეძახდნენ. P.S. ოლღა ბებიამ მურადა ოთხი წველა ყველის საფასურად სიმონა მეწისქვილისგან იყიდა.
16. მოცარტმა ოპერა „დონ ჟუანის“ დადგმისას კონსულტანტად ჯაკომო კაზანოვა მიიწვია.
17. კაცი, რომელმაც კურდღელი მოაშინაურა, შექმნა ფერმა და მათი ტყავით ქუდებს კერავდა, გვარად ბოცვერი იყო.
18. აშშ-ის გერბზე გამოსახულ თეთრთავა არწივს თეოდორ რუზველტი გაფხორილ სვავს ეძახდა. მისი აზრით, თავისი ქვეყნის გერბზე დათვი გრიზლი უნდა ყო-







**ლიუკ ბესონთან ერთად კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1991 წ**

რალური შალის ნაწარმს. ბესონმა მაშინვე თავის ასისტენტს დაურეკა, მოდელის გვარის დადგენა და კინოსტუდიაში მისი მიწვევა დაავალა. რაოდენ დიდი იყო რეჟისორის გაოცება, როცა შეიტყო, რომ სინამდვილეში ის მსახიობი იყო და საკმაოდ ბევრი როლიც ჰქონდა ნათამაშები.

კინოსტუდიაში ვიზიტს მოჰყვა ის, რომ რამდენიმე დღეში ანი სულმოუთქმელად უყვებოდა მშობლებს ბესონთან შეხვედრისა და მის ახალ ფილმში შემოთავაზებული როლის შესახებ. რამდენიმე წუთის განმავლობაში გოგონამ ხუთჯერ მოიხსენია სახელგანთქმული რეჟისორი სახელით: „ლიუკს მიაჩნია...“, „ლიუკს არ უყვარს...“ ანის მამამ ტაქტიანად დაადგინა ბესონის დაბადების თარიღი და ასტროლოგიურ რუკას ჩახედა. კუროს და თევზებს (სწორედ ზოდიაქოს ამ ნიშნის ქვეშ არის დაბადებული ლიუკ ბესონი) იდეალური ოჯახური წყვილი უნდა შეექმნათ. ასეც მოხდა. ბესონმა საყვარელ ქალს ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნა – სპეციალურად მისთვის დაწერა სცენარი – „მას ერქვა ნიკიტა“.

რეჟისორის მეგობრები ირწმუნებიან, რომ ლიუკი საშინელი დიქტატორია, როგორც გადაღებებზე, ისე პირად ცხოვრებაშიც. მან აიძულა პარიო, გაძლიერებული ტემპით შეესწავლა ძიუდო. მას შემდეგ, რაც მსახიობს დაახლოებით ასჯერ ანარცხებდნენ ხალიჩაზე ზურგით, პარიო კიდევ ტირში მიდიოდა და სროლაში ვარჯიშობდა. სამაგიეროდ, შედეგმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა: სუპერაგენტ ნიკიტას როლისთვის ან პარიომ უმაღლესი ფრანგული კინემატოგრაფიული ჯილდო – „სეზარი“ მიიღო. ამ წარმატების შემდეგ, მამა ანს აფრთხილებდა, რომ ბუნებით ეჭვიან თევზებს საოცრად გააღიზიანებდა პარიოს უამრავი თაყვანისმცემელი სხვა რეჟისორებისა და პროდიუსერების მიწვევები და გამუდმებული სატელეფონო ზარები. მართლაც, ლიუკისა და ანის ქორწინებას ბზარი ნიკიტას პოპულარობამ გაუჩინა.

„ნიკიტას“ გადაღების პერიოდში ლიუკისა და ანის გოგონა, ჟულიეტი ჯერ კიდევ პატარა იყო. მამის მიერ გადაღებული ფილმი მან მოგვიანებით იხილა და საშინლად განიცადა დედის გმირის მიერ გადატანილი ტანჯვა-წამება. ახლა ჟულიეტი 15 წლისაა. ანი აღნიშნავს, რომ ხშირი გადაღებების გამო, კარგი დედობის გაწევას ვერ ახერხებს, რადგან სახლიდან დილით ადრე გადის და შინ მაშინ ბრუნდება, როცა შვილს უკვე სძინავს. „ბევრ ჩემს კოლეგას



**გადასაღებ მოედანზე რეჟისორ კატრინ ბრეასთან ერთად, 2002**



„განგსტერები“, 2002

მიაჩნია, რომ მსახიობისთვის ოჯახი ზედმეტი ფუფუნებაა, — აღნიშნავს პარიო. — ამ აზრს ვერ გავიზიარებ. შვილი ის ნავსაყუდელია, რომელიც ერთ ადგილზე მაჩერებს. მისი ხათრით დაბადების დღესა და შობას ვზეიმობ, შვებულებას კი ზღვის პირას ვატარებ ხოლმე. ამასთანავე, მინდა შთავუნერგო პატივისცემის გრძნობა იმ საქმისადმი, რომელსაც ვემსახურები და მთელი ცხოვრება მივუძღვენი“.

ან პარიოს მაინცდამაინც არ უყვარს თავისი მონაწილეობით გადაღებული ფილმების ყურება. თურმე კინოთეატრში ჯერ ახლო მეგობარს აგზავნის ხოლმე, შემდეგ კი, დაფეთებული ფურცლავს გაზეთებს და ძრწოლვით ეცნობა თავისი ფილმის რეცენზიებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდის ფილმის სანახავად, თუ მისი ნამუშევარი დადებითადაა შეფასებული. ის ყოველთვის ღელავს იმის გამო, თუ რა გამოუვა: მსახიობის პროფესია სრულ თავგანწირვას მოითხოვს, თუმცა, როგორც არ უნდა დაიხარჯო, შედეგი მაინც არასდროსაა წინასწარ ცნობილი.

ან პარიო კატეგორიულ უარს აცხადებს ჰოლივუდურ ბლოკბასტერებში მონაწილეობაზე. ამერიკაშიც და საფრანგეთშიც ის მხოლოდ ისეთ ფილმებში მონაწილეობაზე თანხმდება, რომელიც მხოლოდ კომერციული წარმატების მისაღწევად არ არის გათვალისწინებული და მხატვრული ღირებულებაც აქვს.



მსახიობის ბოლო ფილმია — „სექსი კომედიაა“, რომელიც „არტ-კინოს“ კატეგორიას მიეკუთვნება — ე.ი. „კინო რჩეული მაყურებლისთვის“. ფილმი რეჟისორ კატრინ ბრეას ეკუთვნის. პარიო აღნიშნავს, რომ ამ რეჟისორთან მუშაობამ მას სრული შემოქმედებითი თავისუფლება მისცა. როლის მიხედვით, მას იდეალური გარეგნობა არ უნდა ჰქონოდა, ამიტომაც პარიოს უმაკიაჟოდ იღებდნენ, და მის თმასაც არ ეკარებოდა სტილისტი. მთელი ფილმის განმავლობაში ანის გმირს ერთი და იგივე ტანსაცმელი აცვია, — რეჟისორმა მას კოსტიუმის გამოცვლა აუკრძალა. საერთო ჯამში, პარიოს თქმით, ამ როლზე მუშაობამ მას უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

„მე მხოლოდ მაშინ ვცხოვრობ ჩემი ნამდვილი ცხოვრებით, როცა კინოში მიღებენ — ე.ი. იმ მოკლე პერიოდში, რომელიც იწყება სიტყვით — „ვიღებთ!“ და მთავრდება სიტყვით — „გადაღებულია“. რაც შეეხება პირად ცხოვრებას — მამაკაცებისადმი მხოლოდ ხანმოკლე ლტოლვას — ვნების „ფრაგმენტებს“ განვიცდი ხოლმე...“ ■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ელჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ფილიყო გამოსახული.



19. ლექსის მხატვრული კითხვის სიძნელე მურმან ჯინორიამ ერთი წინადადებით დაახასიათა: „ამ დროს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვინმეს სცენაზე დასახვრეტად გავყავდე.“

20. მშვენიერი ყმაწვილი განიმედი ზევსმა თავის არწივს მოატაცებინა და მერიქიფედ დაიყენა.

21. ალექსანდრე ბასილაიას მიერ დადგმულ „რწყილსა და ჭიანჭველაში“ ღორი კახელი იყო, მუხა — ხევსური, ყვავი — თბილისელი, კატა — ოსი, ძროხა — მეგრელი (კვარაცხელიას ჯიშის), რწყილი — გურული და ჭიანჭველა — რაჭველი.

22. მსოფლიოში პირველი შუქნიშანი XIX საუკუნის 50-იან წლებში, ინგლისში გაჩნდა. იგი გაზზე მუშაობდა და რამდენიმე წლის შემდეგ აფეთქდა. მისი ელექტროანალოგი მხოლოდ 1920 წელს ბერლინში გააკეთეს.

23. ინგლისელი ქართველოლოგი მარჯორი უორდროპი მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ქართული მან საქართველოში ჩამოუსვლელად, IX საუკუნის სახარებით ისწავლა. საქართველოში რომ ჩამოვიდა, ძირძველი ქართულით ესაუბრებოდა ქართველებს, მაგრამ აწუხებდა, რომ აქაურებს მისი ბევრი არაფერი ესმოდათ. P.S. ამ ქალბატონმა 40 წელი იცოცხლა, აქედან ოცი წელი ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს თარგმნიდა.

24. „ხვალ მომიწევს დილით ადრე ადგომა, წელს ხუთ მაისს მოუწია აღდგომა და წითლად თუ არ შევღებე კვერცხები, ახლობლების საფლავებთან შევრცხვები. მთავარია, გულს არ ავნონ ცხიმებმა, გაზაფხულზე მოუხშირეს წვიმებმა, თან გარშემო რამდენია საბაბი, გაგასინჯოს ხინკალი და ქაბაბი. გსურს თუ არა, მოიმატებ წონაში, სისმურში გავიჩითეთ ზონაში, ერთხელ უკვე ისე დააზანზარა, რომ სახლების ნახევარი დაბზარა. ის, ვინც არის მურტალ დეპრესიაში, კვირას წავა ალბათ ეკლესიაში და ეცდება, როგორც ნაღდი ქართველი, რომ დაუნთოს ქრისტეს თაფლის სანთელი. მე კი, როგორც სექტანტ-იეღოველი, შველას პოეზიისაგან მოველი, და ვიშოვო საარსებო რომ ფული, ლექსი უნდა ვწერო კოტესტროფული.“ — ვინც ამ ლექსის ავტორი ვერ იცნო, აუცილებლად დაგვირეკეთ ჟურნალ „გზის“ რედაქციაში. ■



რუსუდან ბერიძე

# ლანდების ცეკვა

*დასაწყისი იხ. „გზა“, №25-27*

გამომძიებლებმა სცენას თვალი ვეღარ მოსწყვიტეს. ამდენი ლამაზი ქალი ხომ ერთად კარგა ხანია, აღარ ენახათ. მაინც რა კარგები იყვნენ... ერთმანეთზე უკეთესები... ძვლებიანად ჩასაკნატუნებლები...

ლუკა სიბნელეში სკამს წამოედო და ერთი გულიანადაც შეიგინა. „ახია ჩემზე, სცენაზე მიშტერებას, არ მირჩევნია, წინ დავიხედო და ცხვირ-პირი არ დავიმტვრიო?“ — გაიფიქრა და უცბად ისიც დააფიქსირა, რომ ძლივძლივობით გადაჩვეულ გინებასაც ძველებურად უშინაურდებოდა, რამაც ხასიათი მთლად გაუფუჭა...

ამასობაში როიალის დაკვრის ხმაც შეწყდა. როგორც ჩანს, საცეკვაო ნომერი დასრულდა. ჩამოწოლილ სიჩუმეს ახლა მხოლოდ მოცეკვავეების ხშირი სუნთქვალა არღვევდა. ოფლში გაწუწული და გვარიანად დაღლილი გოგონები სულს ძლივს ითქვამდნენ. მოქნილ სხეულებზე შემოტმასნილი კოსტიუმები კი ათასფრად უბრწყინავდათ.

— რა იყო ეს? ყველაზე მიყრუებული სოფლის დამწყები მოცეკვავეებიც კი, მგონი, თქვენზე მოქნილად მოძრაობენ! — გაისმა უცბად მამაკაცის რაღაც უცნაურად წაწვრილებული და უკმაყოფილო ხმა.

ლუკა სიბნელეს კიდევ უფრო გულმოდგინედ დააკვირდა და ახლაღა შეამჩნია, რომ სცენაზე ასასვლელ კიბესთან მიდგმულ პატარა მაგიდას ჩია მამაკაცი უჯდა.

გაბრაზებულმა ჯუჯამ მოკლე ფეხები ჰაერში ნერვიულად აათამაშა, სიგარეტი გაშმაგებით მოქაჩა და განაგრძო:

— ეს ცეკვა კიდევ ერთხელ გავიაროთ და, ამჯერად, მეტი გრძნობითაც, თორემ... აბა, ქეთი, დაიწყე...

გაისმა როიალის ხმა და კაცუნამ მუსიკას მაგიდაზე მუშტის ბრაგუნიც რიტმულადააყოლა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ გოგონები სასწრაფოდ დაეწყვნენ და როგორც კი ჯუჯამ რვამდე დაითვალა, მწყობრად ამოძრავდნენ. ლუკას მათი ცეკვა სავსებით პროფესიული მოეჩვენა. მაგრამ ეს თავხედი ქონდრისკაცი, როგორც ჩანს, ასე არ ფიქრობდა, რადგან მოცეკვავეებს მხოლოდ კრიტიკულ შენიშვნებს აძლევდა. „იქნებ, ეს არის აჩი?“ — გაიფიქრა ლუკამ და მაშინვე ყვირილიც მოესმა:

— თავი უფრო მაღლა ასწიე, მაკა! ნუ გეშინია, არ მოგწყდება, საკმაოდ მსუბუქია! ზიზი, შენ რაღას მობუზულხარ, მორიგმა საყვარელმა ხომ არ მიგატოვა? ლალა, შე გაფუჭებულო, რასაც ახლა შენ აკეთებ, მაგას ვითომ ნახტომი ჰქვია?.. ანი, ისევ დაგავიწყდა, რომ ეს სოლო არ არის? სხვებსაც უყურე და ისე იმოძრავე!

— წამო ერთი, ახლოს მივიდეთ. — უთხრა ლუკამ ვაჟას და ორივემ დარბაზში მდგარ მაგიდებს შორის დაიწყო გზის გაკვალვა. როცა მათი ჩრდილები იმ მაგიდასაც დაეცა, რომელსაც ქონდრისკაცი უჯდა, ეს უკანასკნელი ისევ აყვირდა:

— თქვენ ვინღა ხართ და აქ საიდან გაჩნდით, ვერ ხედავთ, რომ რეპეტიცია მიდის?! შემდეგ ისევ სცენაზე გადაერთო:

— თიკო, წელში გასწორდი და ცოტა იმოძრავე კიდეც, თორემ მეშინია, სცენაზე არ ჩამოგეძინოს!

როცა ჯუჯამ თავზე წამომდგარ უცნობებს კიდევ ერთხელ ამოხედა, ლუკამ თვალი თვალში გაუყარა. დაფეთებული ქონდრისკაცი ჯერ ფეხზე წამოხტა, შემდეგ უმწეოდ ისევ სკამზე მიესვენა. ანთებული სიგარეტი მექანიკურად გადაამტვრია, ხელის კანკალით ახალს მოუკიდა, ნერვიულად მოქაჩა და როცა დაბერილი ნესტოებიდან ბოლი ბარაქიანად გამოუშვა, ოდნავ შვებით ამოისუნთქა და თავშეკავებულად იკითხა:

— ბატონებო, ნეტავ აქ რამ მოგიყვანათ? ვერ ხედავთ, რომ საქმით ვარ დაკავებული და ვგონებ, კანონიც არაფრით დამირღვევია.

— თქვენ ბრძანდებით არჩილ ნებიერიძე? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ვაჟამ.

— გახლავართ. — თავი ნერვიულად დაუქნია ქონდრისკაცმა, — მაინც, რა გნებავთ ჩემგან, რამ შეგაწუხათ?

— ჩვენ აქ მარი მხეიძის საქმესთან დაკავშირებით ვართ, — საქმეში ოდნავი სიცხადე შეიტანა ლუკამ.

— შეგიძლიათ გადასცეთ მაგ ქალბატონს, რომ ჩემთან აღარ მუშაობს! და, საერთოდაც, ნურავის ექნება იმის იმედი, რომ აჩი ნებიერიძე რამეს აპატიებს. ვაპატიებ კი არა...

— მარი მხეიძე მკვდარია! — სიტყვა აღარ გააგრძელებინა ლუკამ და მაშინვე ისიც შენიშნა, ქონდრისკაცს ისედაც უფერულ სახეზე მთლად მიწისფერი როგორ დაედო.

— ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ მარი მხეიძე შოუს გოგონების მკვლელის მორიგი მსხვერპლი გახდა, — განაგრძო ლუკამ, — ძალიან მიკვირს, რომ თქვენ აქამდე ამის შესახებ არაფერი იცით. ნუთუ, ანი ახვლედიანმა და ლალა ყენიამაც არაფერი გითხრეს? გუშინ ხომ მოკლულის გვამი სწორედ ქალბატონმა ანიმ ამოიცნო და ამ დროს ქალბატონი ლალაც თან ახლდა...

აჩიმ პატარა ხელი მელოტ თავში ისე გამეტებით შემოიკრა, თითქოს, მისი სხეულის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი კი არა, ის მაგიდა ყოფილიყო, ცოტა ხნის წინ მუშტებს გულიანად რომ უბრახუნებდა...

— გუშინ ანი და ლალა კლუბში საერთოდაც არ ყოფილან, — წამოიკნავლა აჩიმ, — დღეს კი რეპეტიციაზეც დაიგვიანეს... დარბაზში დაფეთებულები შემოცვივდნენ და რაღაცის თქმასაც აპირებდნენ, მაგრამ ხმა ჩავაწყვეტინე და სცენაზე ასვლა ვუბრძანე... ორივე მაშინვე დამემორჩილა. იმიტომ, რომ კარგად იციან, ყოველი ასეთი გაცდენა-დაგვიანება როგორ მაცოფებს!.. ესე იგი, მარი მკვდარია?.. ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!..

აჩის შეშფოთებულ შეძახილზე მუსიკა შეწყდა. გაოგნებული მოცეკვავეები ადგილზე გაშეშდნენ: ნეტავ, ისეთი რა მოხდა, რომ აჩიმ ჩვენი ლანძღვა-გინება შეწყვიტა და ღმერთიც კი გაახსენდაო...

— იქნებ, გულმა დაარტყა? — წაიჩურჩულა იმედგაჩენილმა ქეთიმ...

გოგონები ისევ ჩაბნელებულ დარბაზს დააშტერდნენ... უცნობები პირველმა ლალამ ამოიცნო და ჩაფიქრებულ ანის ლამის საზეიმოდაც გამოუცხადა: ლუკა.. ლუკაა აქ... შემდეგ დანარჩენებს მიუბრუნდა და მომხდარ უბედურებაზე სხაპასხუპით უამბო. სცენაზე ატეხილი ჩურჩული სულ მალე საერთო გუგუნში გადაიზარდა.

მაგიდასთან დახრილი ლუკა და ვაჟა ხმაურზე წელში გასწორდნენ. აჩი კი მაშინვე წამოხტა და ორივეს სცენაზე აუძღვა. როგორც კი მამაკაცებმა სცენაზე ფეხი შედგეს, გუგუნიც მაშინვე შეწყდა. ყველა, მათკენ მომავალ პოლიციელებს უყურებდა.

— ვფიქრობ, უკვე ყველამ ყველაფერი იცით, — მიუგდო მოცეკვავეებს აჩიმ, — თქვენ კი, ძვირფასო ქალბატონებო, — მრისხანედ გადახედა ანის და ლალას, — ამ ინფორმაციის მოწოდება ბევრად ადრეც შეგეძლოთ...

— ჩვენ კი ვცადეთ, მაგრამ თქვენ ხმა ჩაგვაწყვეტინეთ და რა უნდა გვექნა?! — არ შეეპუა ლალა.

— კარგი, კარგი, ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, — უგერგილოდ დაეთანხმა აჩი ლალას. შემდეგ ანის მიუბრუნდა და ხმაში უჩვეულო სითბოც გაერია:

— ანი, ჩემო კარგო, თავს როგორ გრძნობ?

აჩის მოულოდნელმა ყურადღებამ ანი სულ მთლად დააბნია. მან პროდიუსერს თავი დაუკრა, მაგრამ თქმით ველარაფერი თქვა, რადგან ყელში რაღაც მიებჯინა და ცრემლი წასკდა...

ანი საკუთარი თავშეკავებითა და თავდაჭერილობით ყოველთვის განსაკუთრებით ამაყობდა. იმიტომ, რომ ამას საკუთარ თავზე ხანგრძლივი და თავგამოდებული მუშაობის შედეგად მიაღწია. მაგრამ „ერთმა უზრდელმა და უხეშმა პოლიციელმა“, მგონი, ყველაფერი წყალში ჩაუყარა. ყოველ შემთხვევაში, ლუკას გამოჩენის შემდეგ ანი თავს ველარაფრით იმორჩილებდა... აი, ახლაც, იმის ნაცვლად, რომ აჩისთვის მშვიდი და გაწონასწორებული პასუხი გაეცა, ტირილს მოჰყვა. შემდეგ იატაკზე უმწეოდ დაეშვა და თავი ხელებში ჩარგო...

ლუკა მოცეკვავეებს წინა მკვლელობების ამბებს ეკითხებოდა და თან თითოეულის ვინაობას ინიშნავდა. ასე რომ, ცოტა ხანში ყველა მოცეკვავის გვარი და სახელი იცოდა. ანი კი ისევ იატაკზე იჯდა. უცბად, ვიღაცა მხარზე ნაზად შეეხო. ანი შეკრთა და მაღლა აიხედა. მის წინ შოუს ახალბედა მოცეკვავე, ზიზი იდგა და თანაგრძნობით უღიმოდა: „რა ცუდია, რომ ამხელა უბედურების გადატანა მარტოს მოგიხდა. თავად ხომ ყოველთვის ყველას მხარში უდგახარ... განა დამავიწყდა, აქ რომ მოვედი, როგორი მოუქნელი ვიყავი და როგორ მეხმარებოდი...

ანის თვალები აუწყლიანდა და ზიზის მადლიერი მზერა მიაპყრო. „გმადლობთ, ჩემო კარგო...“ — წარმოთქვა ბოლოს.

ზიზის სხვა მოცეკვავეებიც შემოუერთდნენ. ისინი ანის მხარზე ხელს მზრუნველად უთათუნებდნენ და გამამხნევებელ სიტყვებსაც ეუბნებოდნენ. მის წინ, ერთი წამით, საიდანღაც მოულოდნელად გამოჩენილი თაზოც კი შედგა, ამ მოცეკვავეს ხომ ანი სასტიკად ვერ იტანდა, მანაც რაღაც თანაგრძნობის მსგავსი ჩაიბურტყუნა და მაშინვე გაეცალა. „მაინც, რა კარგები არიან ყველანი“, — გულში სითბო ჩაეღვარა ანის... მაგრამ უცბად ლუკას ცივ გამოხედვას წააწყდა და ისევ მოიბუზა. ლუკამ თავისი მძიმე ტორი მბრძანებლურად დაუქნია და ქალი თავისკენ მიიხმო. ანი ფეხზე დამფრთხალი წამოიმართა.

სანამ ანი მთელ სცენას გადაკვეთდა და ლუკამდე მიაღწევდა, გზად ვიღაცის ძლიერმა ხელმა შეაჩერა და მეორე ხელით მკლავზე ნაზად შეეხო. ქალი მოულოდნელობისგან ადგილზე გაშეშდა:

— ოჰ, მამუკა, შენა ხარ? — შვებით ამოისუნთქა ანიმ. — როგორ შემაშინე! — აქ საიდანღა გაჩნდი? დღეს ხომ მხოლოდ გოგონები გავდივართ რეპეტიციას?..

— მაპატიე, ჩემო კარგო, — შეპარვით დაიწყო მამუკამ, — შენი შეშინება ნამდვილად არ მიფიქრია. უბრალოდ, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შენ ამქვეყნად ყველაზე შესანიშნავი ქალბატონი ხარ!

— კარგი ერთი... შენც იტყვი რა... — თავი მორცხვად დახარა ანიმ. — თუმცა, ბოლოს თვალი მაინც გაუსწორა და ნაზადაც გაუღიმა: „გმადლობ, ჩემო კარგო...“

მამუკა დაიხარა და ანის შუბლზე ნაზად ეამბორა. შემდეგ ხელით მის მხარს მზრუნველად ჩამოჰყვა, ქალის მშვენიერი ხელის მტევანი ორივე ხელში მოიმწყვდია, ცოტა ხანს ასე იდგა, შემდეგ ლამაზი თითები სათითაოდ დაუკოცნა და ლამის დემონსტრაციულადაც კი გაეცალა...

ლუკას ამ სცენისთვის თვალი წამითაც კი არ მოუშორებია. ... „ეს კაცი, ეტყობა, ამ „უკარება“ ქალბატონის საყვარელია, თანაც, არა ერთადერთი“, — დაასკვნა ბოლოს ბოღმამორეულმა. ამასობაში, მამუკას სიტყვებით ფრთაშესხმული ანიც მიუახლოვდა:

— ბატონო ლუკა, მგონი მიხმობდით ხომ?

— მგონი... — მიუგდო გაგულისებულმა ლუკამ — აგერ, იმ კაცს ხომ ხედავთ, — დარბაზში გამოჩენილ მესამე პოლიციელზე ანიშნა, — ეგ სასამართლო ექსპერტი ქურდიანია და თითის ანაბეჭდები უნდა აგიღოთ...

როგორც კი ანის სასამართლოს ექსპერტისკენ მიუთითა, ლუკამ თავი ისევ ქაღალდებში ჩარგო — აქაოდა, საუბარი დამთავრებულიაო. ანი ჯერ მოულოდნელობისგან გაშეშდა, შემდეგ წელში საგანგებოდ გასწორდა და დემონსტრაციულად გაეცალა.

ცოტა ხანში ლუკას ვაჟას ხმა შემოესმა. „ეს აბსოლუტურად ფორმალური პროცედურაა, — მშვიდად უხსნიდა ის ანის, — უბრალოდ, მარი მხეიძის ბინის დათვალიერებისა და ანაბეჭდების აღების შემდეგ, ვალდებულნი ვართ, ყველა მისი ახლობლისა თუ ნაცნობ-მეგობრის ანაბეჭდებიც ავიღოთ, რათა დამნაშავის თითის ანაბეჭდებისგან მათი გამოცალკევება და გამორიცხვაც შევძლოთ. ამიტომაც, თქვენ და ლალა, როგორც გარდაცვლილის უახლოესი მეგობრები, გამოსარიცხთა პირველი კანდიდატები ხართ...“

— ეს კი უკვე მართლა მეტისმეტია! — იჭექა უცბად ანიმ, ისევ ლუკასკენ გამოენთო. თავზე სწრაფად წაადგა და იისფერი თვალები სიძულვილით დააკვესა:

— როგორ ბედავთ, ჩემში იოტისოდენა ეჭვიც კი შეიტანოთ და ისიც კი იფიქროთ, რომ მარის მკვლელობასთან რაიმე კავშირი მაქვს?! — უყვირა მან ნერვიუ-



ლობისგან ჩახლეჩილი ხმით, — ვინ მოგცათ ამის უფლება?..

ლუკამ ერთი გემრიელად შეიგინა, რითაც ანი საბოლოოდ გააოგნა. შემდეგ იქვე მდგარი სკამი შემოაბრუნა და დამფრთხალი ქალი ზედ ლამის ძალით დასვა. ანის, სუსტი მხრები ციებიანივით უთროთოდა. ლუკას გული მოეწურა, პიჯაკი სასწრაფოდ გაიძრო და მოახურა. შემდეგ მისი ნაზი ხელები საკუთარ ტორებში მოიმწყვდია და, ინსტინქტურად, სულის შებერვაც დაუწყო. თან ჩურჩულით უხსნიდა: თითის ანაბეჭდების აღება ნამდვილად ფორმალობაა, თორემ აბა, თქვენი რაიმეში დადანაშაულება რა ვაჟკაცობა იქნებოდაო...

ლუკას პიჯაკში და, რაც მთავარია, ხელებში წუთით ჩამთბარი ანი ისევ ფეხზე წამოხტა:

— ვაჟკაცი რომ იყოთ, ამ უსიამოვნო პროცედურას ნამდვილად ამაცილებდით! თუმცა, ვაჟკაცი კი არა, ნამდვილი სადისტი ხართ! — ამ სიტყვებზე ანიმ, თითქოს საომრად ემზადებაო, პაწია მუშტებიც კი მოუღერა, — თქვენ ხომ ჩემი შეურაცხყოფა აშკარად სიამოვნებას განიჭებთ!

უცბად ლუკამ ხელი ისე აღმართა, თითქოს ქალისთვის შემოკვრას აპირებსო. დამფრთხალმა ანიმ ინსტინქტურად უკანაც კი დაიხია. ლუკას ხელი ჰაერში გაუშეშდა და ქალს თვალი თვალში გაუყარა:

— ძალიან ვწუხვარ, თუ ყველაფერი ასე გაიგეთ. თუმცა, ეს მხოლოდ თქვენი პრობლემაა, რადგან პირადად მე, თქვენი დადანაშაულება აზრადაც კი არ მომსვლია, — ჩამომარცვლა მან და „უფუნქციოდ“ დარჩენილი ტორი, გრუზა შავ თმაზე ნერვიულად გადაისვა.

ანის თვალები ცრემლით აევსო, ნიკაპი ბავშვივით აუკანკალდა. ძალიან უნდოდა, ლუკასთვის ყველა ის საშინელი სიტყვა ერთად ეთქვა, რომელიც თავად იცოდა ან სხვისგან გაეგონა, მაგრამ ასეთი საქციელის გულუბრყვილობას მალევე მიხვდა, ამიტომ პიჯაკი სიტყვის უთქმელად დაუბრუნა და გაეცალა.

— მაინც რა უცხო, რა იისფერი თვალები აქვს! — კიდევ ერთხელ გააკეთა აღმოჩენა ლუკამ და მიმავალ ქალს თვალი მოქნილ სხეულზეც გულმოდგინედ ააყოლ-ჩააყოლა. ბოლოს თავი ისე გაიქნია, თითქოს ყველა გარეშე აზრი მიმოფანტაო: „რა დროს თვალებია, მანიაკი მკვლელი მყავს საპოვნელი და დასაჭერი... თანაც, ვინ იცის, იქნებ, ის ახლა სწორედ აქ, ამ დარბაზშია?..“ ამ, ერთი შეხედვით, უცნაური აზრის შემდეგ, ლუკა საბოლოოდ გამოერკვა და ცოტა ხანში ისევ მოცეკვავეთა სიას ჩაუკირკიტა...

პოლიციელებმა დაკითხვა საკმაოდ გვიან დაასრულეს და კლუბიდან გუდანაბადიც აიკრეს. თუმცა, დაბნეული მოცეკვავეები და მთლად გაოგნებული მათი იმპრესარიო, ამის შემდეგაც კარგა ხანს ერთ ადგილზე მდუმარედ იდგნენ. ბოლოს საერთო დუმილი ისევ აჩიმ დაარღვია:

— მარი მხეიძის დაკრძალვის ხარჯებს კლუბი გაიღებს. გაარკვიეთ, ვინმე ახლობელი თუ ჰყავდა და შეატყობინეთ — ძლივს ამოღერღა მან შეცვლილი ხმით და იქაურობას ლასლასით გაეცალა.

აჩის გასვლა და დანარჩენების აჩოჩქოლება ერთი იყო. ყველანი ისევ ანის და ლალას შემოეხვივნენ და აყაყანდნენ. ცოტა ხანში, საერთო ხმაურს მამაკაცის უცნაურად რბილი და გულში ჩამწვდომი ხმა გამოეყო. ეს კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მოხდენილი და ნიჭიერი მოცეკვავე, დიტო სხიერელი იყო:

— ჩემო კარგებო, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ დღეს ჩემი დაბადების დღეა და, ერთი კვირის წინათ, ყველა უკლებლივაც დაგპატიჟეთ? ძალიან ვწუხვარ, რომ ამასობაში თავს ამხელა უბედურება დაგვატყდა, მაგრამ რა გაეწყობა, სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთისგან რამ გაყო?! წავედით ჩემთან, საყვარელ მარის სული მოვიხსენიოთ და სიცოცხლე გავაგრძელოთ...

დიტო სხიერელი დაბადების დღეს, ბებია-ბაბუის დანატოვარ ძველებურ ფართო ბინაში აღნიშნავდა. თუმცა, თავად დიტოსთვის ეს მარტო ბინა კი არა, ყველა მისი ფარული ვნების უტყვი მოწმე და თავშესაფარიც იყო.

მარის შესანდობარს ერთი-ორი სევდიანი სადღეგრძელო კიდევ მოჰყვა, შემდეგ კი, სასმელმა გაიტანა თავისი თუ საერთო დაძაბულობამ მიაღწია კულმინაციას, სუფრაზე ჯერ ხმაურმა იმატა, შემდეგ, ნელ-ნელა, კიდეც წამოიშალნენ. ვიღაცამ მუსიკა ჩართო და ერთმანეთს ჩაკონილმა რამდენიმე წყვილმა ცეკვა დაიწყო, დანარჩენები კი — ვინ სად და ვინ ვისთან განმარტოვდნენ...

კუთხეში მარტო მიმჯდარმა ანიმ მთელი ამ ხნის მანძილზე ვერაფრით მოიშორა აზრი, რომ ეს ყველაფერი უკვე მრავალჯერ ნანახი და განცდილიც ჰქონდა. ფიქრებით თავისი თბილისური ცხოვრების პირველ წლებს გადასწვდა: პირველი გატაცება, პირველი კოცნა, პირველი მამაკაცი... ზაზას ხომ ის ლამის ყოველ საღამოს სწორედ ასეთ დაბადების დღეებსა თუ სხვა წვეულებებზე დაჰყავდა... სუფრას სუფრა ცვლიდა, სიტყვებს სიტყვები... შემდეგ გიგი გამოჩნდა... გიგის ლაშა მოჰყვა... ლაშას შემდეგ, ერთხანს, ყველაფერი გაუფერულდა... ბოლოს კი, საერთოდაც, ერთმანეთში აირია: კარგად ნაცნობი, იმწუთას გაცნობილი თუ საერთოდ, უცნობი ადამიანების სიმპათიური თუ უსიმპათიო სახეები, მათი მკაცრი თუ ექსტრავაგანტური ჩაცმულობა, დამაინტრიგებელი ჩურჩული თუ ხმაურიანი შეძახილები, იდუმალი ღიმილი თუ უცბად აფეთქებული და ნერვიულ ხარხარში გადაზრდილი სიცილი...

უკვე ათი წელია, ანი ასე ცხოვრობდა და, გაოცებული იმასაც აფიქსირებდა, რომ წლიდან წლამდე, საკუთარ თავში სულ უფრო იკეტებოდა, უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა და, ზოგჯერ, უბრალო წვრილმანსაც კი, მისთვის გულის მოკვლა სულ ადვილად შეეძლო.

ასეთ წუთებში ანისთვის ერთადერთი ხსნა ცეკვა იყო. ოღონდ — თავად ცეკვა და არა ცეკვაზე საუბარი. რადგან იმ

წრეში, სადაც ის ტრიალებდა, ცეკვაზე საუბრებიც ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორც ნებისმიერი სხვა რამ. მთელი ათი წლის მანძილზე, ამ საუბრებში მხოლოდ იმ პროგრამების დასახელებები თუ იცვლებოდა, რომელშიც მას და მის მეგობრებს მონაწილეობა სურდათ ან მხოლოდ ოცნება შეეძლოთ.

ფიქრებში ჩაძირულმა ანიმ ახლაღა შენიშნა, რომ ოთახში თითქმის ბნელოდა. როგორც ჩანს, ან ქალაქში გამოერთოთ დენი, ან ვიღაცის „მზრუნველ" ხელს მანამდე ზომაზე მეტად გაჩახჩახებული ჭაღის უკლებლივ ყველა ნათურა ჩაექრო და ახლა ოთახს, ფანჯრებთან თითქოს საგანგებოდ მომდგარი სავსე მთვარეღა ანათებდა.

უცბად სიბნელეს ვიღაცის სილუეტი გამოეყო და მის წინ გაჩერდა. ეს დიტო იყო:

— ანი, საყვარელო, რატომ მოგიწყენია? გინდა, ვიცეკვოთ?

— ოღონდ, ახლა არა, დიტო, ახლა ეს ჩემს ძალებს ნამდვილად აღემატება. — სევდიანად მიუგო ანიმ.

— რა გაეწყობა... ახალი ცეკვა „დავამხეცე" და მინდოდა, პირველად შენთვის მეჩვენებინა...

ანის, სიტყვა „დავამხეცე", დიტოს ზომაზე მეტად დახვეწილი ლექსიკონიდან სრულიად ამოვარდნილი მოეჩვენა, მაგრამ შენიშვნის მიცემის თავი ნამდვილად არ ჰქონდა, ამიტომ, თავადაც მხარი აუბა:

— ასეთი მაინც, რა „დაამხეცე"?

— წამომყევი და გიჩვენებ.

ანი ნელ-ნელა წამოიმართა. დიტომ ის მაშინვე ოთახის შუაგულისკენ გაიტაცა და მკლავები ისე ფაქიზად შემოხვია, რომ ანიმ უცაბედად დანანებითაც კი გაიფიქრა: „რა მოხდებოდა, ცისფერი რომ არ იყოს!.. ასეთ სასიამოვნო და ყურადღებიან მამაკაცს კიდევ სად შევხვდები?.. დიტოსთან, რომ შეიძლებოდეს, ცივი და უკარება ქალის როლზეც კი უარს ვიტყოდი..." შემდეგ საკუთარ ფიქრზე თავადვე გაეცინა: „მიდი, მიდი, ითვალთმაქცე და თავიც მოიტყუე. დიტოზე ასე ხომ მხოლოდ იმიტომ ფიქრობ, რომ ცისფერია. აბა, მის ნაცვლად ასპროცენტიან მაგარ მამაკაცს ჰყავდე გულში ჩაკრული, რა ელდა გეცემოდა და მისგან თავდასაღწევად რას აღარ მოიფიქრებდი..."

ფიქრიდან დიტოს შენიშვნამ გამოიყვანა:

— ჩემო ძვირფასო, ჩახუტებით ნამდვილად კარგად მეხუტები, მაგრამ ამ ცეკვას ცოტა მოძრაობაც რომ სჭირდება?.. — წასჩურჩულა მან და სახეზე მრავლისმეტყველმა ღიმილმა გადაურბინა.

— შენ რა, დიტო... დედამ არ გასწავლა, რომ ქალს არასოდეს არ უნდა დასცინო? განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მას შენგან მხოლოდ ცეკვის სწავლა უნდა და სხვა არაფერი? — არ შეეპუა ანი.

— ეჰ, ჩემო კარგო, დედაჩემმა ისიც მასწავლა, რომ ქალი უკაცოდ ისევე არ ვარგა, როგორც კაცი უქალოდ. თუმცა, პირადად მე, ამაზე ცოტა სხვა აზრისა ვარ... ქალის და მამაკაცის ურთიერთობაზე გეუბნები, თორემ თავად სექსი... უფრო ზუსტად კი ჯერ სიყვარული და შემდეგ სექსი ჩემთვის ნამდვილად ყველაფერია...

ანი დიტოს ისე მიაშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო: „მაინც, ასეთი რა სახადი სჭირს დიდს და პატარას, გადახრილს თუ გადმოხრილს, რომ სექსის გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენიათ? ნეტავ, მე ცხოვრებაში მართლაც ყველაზე მთავარს ხომ არ ვუშვებ ხელიდან?.. მაგრამ, იქნებ, ჩემ გარშემო შეთქმულთა მთელი გუნდია შეკრებილი, რათა გზას ამაცდინონ და რის ვაი-ვაგლახით აღდგენილი სულიერი წონასწორობაც ხელახლა დამირღვიონ?!.."

დიტო მართლაც ბრწყინვალე პარტნიორი იყო. მის მკლავებს საბოლოოდ მინებებულმა და ნეტარებით თვალებმილულულმა ანიმ ფიქრი შეწყვიტა და ყველა დარდიც, თითქოს, გულიდან სამუდამოდ გადაეყარა... მაგრამ, ცოტა ხანში, როცა ანიმ, დიტოს დახმარებით ახალი ცეკვის ყველაზე რთული ილეთის შესრულება დაიწყო და მთელი ტანით უკან გადაიხარა, უკვე საკმაოდ ნაცნობი, საშინლად ცივი და გამჭოლი მზერაც დაიჭირა. ანი დაფეთდა და იმის ნაცვლად, რომ რამდენიმე წამში წელში გრაციოზულად გასწორებულიყო, ისე გადაქანდა, რომ ცოტაც და, ისიც და დიტოც იატაკზე ზღართანს მოადენდნენ. დიტო ამას ნამდვილად არ ელოდა, მაგრამ მაინც იმარჯვა და წონასწორობა რის ვაივაგლახით შეინარჩუნა:

— რას შვრები? — უყვირა მან ანის, — გინდა, რომ კისრები მოვიტეხოთ? ასეთი მაინც რა დაინახე? — ამ სიტყვებზე ოთახს თვალი მოავლო და ლამის უკვე მხიარულადაც კი განაგრძო — ოჰო! „ჩვენი მილიცია", მგონი, მართლა გვიცავს... ეს ხომ ბატონი გამომძიებელია... ნეტავ, აქეთ რომელ ნიავს გამოჰყვა?

იმ წუთში ლუკაც სწორედ ასეთ კითხვას უსვამდა საკუთარ თავს: „მაინც რამ ამაცუნდრუკა ამხელა კაცი?! გადარეული ლალას სიტყვებს რომ აჰყვები და გამთენიისას სრულიად უცხო კომპანიაში ამოჰყოფ თავს. ბრიყვი ხარ, აბა რა ხარ?! თანაც, კომპანიაცაა და კომპანიაც..."

მართლაც, ოთახში შესვლისთანავე თვით ამ უსაშველოდ ჭრელი თავყრილობის ფონზეც კი, ლუკას ზედმეტად გამომწვევად ჩაცმულმა და შეღებილმა ქალმა დაადგა თვალი და გულმოდგინედაც „აეწება". „მაინც, რა სანახავი ვიქნებით ერთად? — გაიფიქრა ლუკამ, — პიჯაკში ჩაჭედილი და ყელში ჰალსტუხწაჭერილი პოლიციელი და ნახევრად შიშველი და გვარიანად ჩაკაიფებული გაურკვეველი წარმომავლობის არსება."

თავად „არსება" დროს უქმად ნამდვილად არ კარგავდა. ცალი ხელით რომ ლუკას მხარში ჩაჰფრენოდა, მეორეთი რაღაც გაურკვეველ სითხეს პირდაპირ ბოთლიდან ყლურწავდა და მუსიკის ხმაზე უაზროდ ირხევ-იკლაკნებოდა. „ისე, კაიფზე მწყრალად არც დანარჩენები უნდა იყვნენ". — თვალი მოავლო ლუკამ შუქის ანთების შემდეგ ფეხზე ზლაზვნით წამომდგარ წყვილებს, რომლებმაც ხელში შერჩენილი სიგარეტების სასწრაფოდ ჩაქრობა და დამალვა დაიწყეს. — სად არიან ჩვენი, ნარკომანებზე მონადირე ბიჭები? ამდენ და ასეთ ნადავლს ხელს, აბა, სხვაგან სად გამოჰკრავდნენ?.."

— ბატონო ლუკა, დიდი ხანია, რაც აქ ხართ? ისე გავერთე, რომ თქვენი გამოჩენა ვერ შევნიშნე, — გამოიყვანა ფიქრებიდან ლალას ზარივით ხმამ.

მან ლუკას ხელკავი გამოსდო და დანარჩენებს აუწყა: „ბიჭებო და გოგონებო! ჩვენთან სტუმრად არის გამომძიებელი და ჩვენი დიდი ძმა და მეგობარი, ლუკა ძიძიგური!" ამ სიტყვებზე ლუკამ არაერთი გაოცებული მზერა დაიჭირა და იმასაც მიხვდა, რომ უმეტესობა თავად მას კი არა, სიტუაციისთვის სრულიად შეუფერებელ მის ჩაცმულობას უფრო მიშტერებოდა — „ჰმ, მეგობარიო?! — გაჰკრა რაღაცამ გულში, — ამათი მეგობრობაღა მაკლდა. თუმცა, საერთოდ კი მყავს მეგობრები, ანდა ოდესმე მყოლია?.."

მეგობრები კი არა, ლუკას საკუთარი მშობლებიც არასოდეს ენახა და ამიტომ, როგორც თავად მიიჩნევდა, არც არასოდეს ჰყოლია. ბავშვთა სახლში გაიზარდა. ასეთ სახლებში ბავშვებს, პირველ რიგში, წესრიგსა და მორჩილებას აჩვევენ. მეგობრები და ახლობლები კი, ყველამ საკუთარი ინიციატივით უნდა გაიჩინოს. ლუკამ საკუთარი ინიციატივით ნამდვილად ვერავინ გაიჩინა და ისიც საბოლოოდ დაასკვნა, რომ ადამიანებთან დაახლოების უნარი საერთოდ არა მაქვსო...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# BMW ახალი როდსტერის ცდებს ატარებს








გერმანელი ფოტოგრაფები ამტკიცებენ, რომ BMW-ს უახლესი და ამდენად, სუპერ-საიდუმლო როდსტერის – Z4-ის ფირზე აღბეჭდვა მოახერხეს. ეს ივნისის შუა რიცხვებში მოხდა, როდესაც მოდელს ნიურბურგრინგის პოლიგონზე ცდიდნენ და მისი ფოტოსურათი უმალ გამოაქვეყნა ცნობილმა გერმანულმა საავტომობილო ჟურნალმა „აუტობილდმა“. როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, კონცერნმა ოფიციალურად არ დაადასტურა – მართლა Z4-ია ამ ფოტოზე აღბეჭდილი თუ არა.

ახალი „ბე-ემ-ვე“ ავტობაზარზე 2003 წლის გაზაფხულზე უნდა გამოჩნდეს და თავის წინამორბედ Z3-ს შეცვლის. თავიდან მომხმარებელს კუპეს შესთავაზებენ, მოგვიანებით კი – როდსტერს. უკვე ცნობილია, რომ Z4-ის საფუძველს ორი კონცეპტუალური მოდელი – X Coupe (პირველად ნაჩვენები იყო დეტროიტის მოტორ-შოუზე 2001 წლის იანვარში) და კაბრიოლეტი CS1 (მისი პრემიერა ჟენევის ავტოსალონზე წლევანდელ გაზაფხულზე შედგა) წარმოადგენს. მოდელი ძირითადად, ორი მომენტით გამოირჩევა: ჯერ ერთი, ის მე-5 სერიის ახალი სედანის პლატფორმას ეფუძნება (ჯერჯერობით ასევე გასაიდუმლოებულია; მისი დებიუტი ფრანკფურტის ავტოსალონზე 2003 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი) და მეორე – ზომით Z3-ზე გაცილებით დიდი იქნება. რაც შეეხება ძრავებს – სიმძლავრისთვის ბავარიელები არაფერს იშურებენ: ამ მანქანისთვის განკუთვნილი ყველაზე სუსტი – 6-ცილინდრიანი, 3 ლ სამუშაო მოცულობის ძრავა 231 ცხ.ძ-ს განავითარებს. საშუალო სეგმენტში ორი 8-ცილინდრიანი აგრეგატია: 3.6 ლ-იანი (272 ცხ.ძ.) და 4.4 ლ-იანი (333 ცხ.ძ.). უმძლავრესი ძრავის ტექნიკური მახასიათებლები კი ასეთია: 5.5 ლ მოცულობის 10-ცილინდრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 500 ცხ.ძ-ს აღწევს.

ორივე კონცეპტ-კარის დიზაინი „ბე-ემ-ვე“-ს მთავარ დიზაინერს, კრის ბენგლს ეკუთვნის, რომელიც ახალი როდსტერის გარეგნულ იერზეც მუშაობს. აქვე უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება ყველასათვის მისაღები როდია. განსაკუთრებით საკამათო აღმოჩნდა მე-7 სერიის ახალი ლიმუზინის რევოლუციური დიზაინი, აშშ-ში კი, სულ ცოტა ხნის წინ, მრავლისმეტყველი ინტერნეტ-საიტიც კი გაჩნდა: „შეაჩერეთ კრის ბენგლი!“ თუმცა, BMW-ს საბაზრო მაჩვენებლებზე ამ ყველაფერს უარყოფითი გავლენა ჯერჯერობით არ მოუხდენია – ბავარიული მანქანები კვლავ უდიდესი მოთხოვნით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. ■

# სუპერეკონომიური Polo




სულ ახლახან, „ფოლკსვაგენმა“ ბაზარზე ე.წ. FSI-ს (პირდაპირი შეშხეფების) სისტემით შემუშავებული სუპერეკონომიური ძრავით აღჭურვილი ახალი Polo გამოუშვა. ამგვარი აგრეგატით აქამდე, Lupo-სა და Golf-ს აწარმოებდნენ. ძრავის სიმძლავრე 86 ცხ.ძ., მაქსიმალური სიჩქარე 178 კმ/სთ, 100 კმ/სთ სიჩქარემდე „აგორების“ დრო კი – 12,1 წმ-ა. FSI ძრავა სტანდარტულზე (75 ცხ.ძ.) უფრო ეკონომიურია ქალაქის პირობებში, მაგრამ ავტომაგისტრალზე პრაქტიკულად, იმდენივე საწვავს ხარჯავს. ბენზინის ეკონომია საშუალოდ, ყოველ 100 კმ-ზე 0,6 ლ-მდე შეადგენს. Polo FSI-ს ფასი 13.275 ევრო – ე.ი. 75 ცხ.ძ-ანზე 775 ევროთი ნაკლები იქნება. ანგარიშიანმა გერმანელებმა უკვე გამოთვალეს, რომ ფასში სხვაობის კომპენსირება მხოლოდ 6 წელიწადში იქნება შესაძლებელი და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველწლიურად 20 ათას კმ-ს გაივლი. ■





# Mazda ევროპის დალაშქვრას აპირებს

მალე ევროპაში განახლებული იაპონური ვენის – Mazda MPV-ის გაყიდვა დაიწყება. ამ მანქანის მთავარი თავისებურება დიზელის ძრავაა, რადგან ბოლო დრომდე, „მაზდა“ თავის ავტომობილებს მხოლოდ ბენზინის ძრავით აწარმოებდა და ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მის პოზიციებზე ევროპულ ბაზარზე, რადგან ყოველი მესამე ვენი, რომელიც ამ კონტინენტზე იყიდება, – დიზელისძრავიანია. ახლა იაპონელი ავტომწარმოებლები დაკარგულის ანაზღაურებას ცდილობენ: სპეციალისტთა აზრით, ახალი „მაზდის“ აგრეგატი ნაკლებად ხმაურიანია, ელასტიკურობითა და ეკონომიურობითაც გამოირჩევა.

ავტომობილი ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფით არის აღჭურვილი, კომფორტულობით კი, სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ამ კლასის მანქანებს შორეული მოგზაურობის მოყვარული მომხმარებელი უყენებს: მას ვრცელი სალონი, კარგი სტანდარტული კომპლექტაცია (უსაფრთხოების 4 ბალიში, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, კონდიციონერი, ვერტიკალურად რეგულირებადი საჭე, ფანჯრის ელექტროამწეები) აქვს.

სარეალიზაციო ქსელში ამ ავტომობილის ორი ვარიანტი იქნება წარმოდგენილი: ხუთ და შვიდადგილიანი. ფირმა ძალზედ სერიოზულ გეგმებს ისახავს ევროპულ ბაზართან მიმართებაში: თუ შარშან, ამ ბაზრის უმსხვილეს – გერმანულ სეგმენტში იაპონელებმა მხოლოდ 1456 MPV-ის გაყიდვა მოახერხეს, წლეულს ისინი 2300-ის რეალიზაციას აპირებენ, შემდგომში კი, 4000-ან ნიშნულზე ასვლის იმედიც აქვთ. ორგანიზაციულად, „მაზდა“ ამერიკული კორპორაცია „ფორდის“ შემადგენლობაში შედის, რომელიც იაპონელ პარტნიორს, როგორც მოდური და ტექნიკურად სრულყოფილი ავტომობილების მწარმოებელს, ისე აღიქვამს. ამის კიდევ ერთ მაგალითად, სპორტული კუპე – Mazda RX-8 უნდა იქცეს, რომელიც ე.წ. ვანკელის როტორული ტიპის ძრავით აღიჭურვება. ■

# უნივერსალური Ford-ი



მადრიდში ამ ცოტა ხნის წინ გამართულ ავტოსალონზე კორპორაცია „ფორდმა“ თავისი ახალი ნამუშევარი – მრავალფუნქციური, სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი თოურნეო ჩონნეცტ-ი წარმოადგინა. ეს მანქანა მინი-სატვირთოს პლატფორმაზეა დამონტაჟებული, ამიტომ საუცხოო გამძლეობით გამოირჩევა. სალონში ორიდან (როცა უკანა სავარძლები დაკეცილია) ხუთ მგზავრამდე დაეტევა. ავტომობილი უნივერსალურობის პრეტენზიას აცხადებს: ის მსხვილგაბარიტიანი საგნების გადასაზიდადაც გამოდგება და საოჯახო მოგზაურობისთვისაც. სტანდარტულ კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების ორი ბალიში, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, დამატებით კი, მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს მინის ელექტროამწეები, ტონირებული მინები, კონდიციონერი და აუდიოსისტემა. კორპორაციას ჯერ არ გამოუცხადებია, თუ რომელი ძრავებით აღიჭურვება Tourneo Connect-ი, მაგრამ სპეციალისტთა ვარაუდით, გეზი დიზელის ძრავისკენ იქნება აღებული.

მანქანას თურქეთის ქალაქ იზმირის მახლობლად მდებარე ქარხანაში გამოუშვებენ. რეალიზაცია უკვე წლევანდელ შემოდგომაზე, თურქეთში, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში დაიწყება. 2003 წლის დამდეგისთვის, მანქანა ევროპის სხვა ქვეყნებშიც გამოჩნდება.

ამ ახალი ავტომობილის მთავარ კონკურენტებად ფრანგულ Renault Kangoo-ს და Fiat Doblo-ს მიიჩნევენ, რომელიც სტაბილური მოთხოვნილებით სარგებლობს ევროპულ ბაზარზე. ამის გამო, სპეციალისტთა პროგნოზით, საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში, სადაც ორი დასახელებული მოდელი განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს, მომხმარებელს თოურნეო ჩონნეცტ-ის დაგრძელებულ ვერსიას შესთავაზებენ, რომელიც საგრძნობლად სჯაბნის კონკურენტებს სალონის სიხალვათით. ■

*მსოფლიოს ისტორია სავსეა სახელისუფლებო ინტრიგებით. საზოგადოებრივი წყობის მიუხედავად, ბრძოლა ძალაუფლებისთვის ხშირად, ათასგვარი ბინძური ხერხით მიმდინარეობდა. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ინტრიგები და დაპირისპირებები მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე (ჩვ.წ.აღ-მდე III — ახ.წ.აღ-ით XVIII ს.ს.) თან სდევდა ყველა ფეოდალურ თუ საერთო ეროვნულ სამეფო კარს. ამ მოვლენას ქართლის სამეფოს წარმოქმნისთანავე, ძვ.წ.აღ-ის III საუკუნიდან ვხვდებით. იგი აზოსა და ფარნავაზის დროიდან დაიწყო და ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის მეფობის ბოლო წლებში დასრულდა. დასრულდა სამეფო კარზე, თორემ სახელისუფლებო ოლიმპზე — ნურას უკაცრავად. თუმცა ამჯერად, სამთავროებისა და სამეფოების მაგალითებით შემოვიფარგლებით...*

კახა მაისურაძე



უფლისციხის ნაქალაქარი

# ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე

*დასაწყისი იხ. „გზა" №27*

## ადრეფეოდალური ხანა (V-X ს.ს)

395 წლიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან რომის ნაცვლად, საქართველოს, ბიზანტიის იმპერია დაუმეზობლდა. ამ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში ეგრისის ძლიერი სამეფო არსებობდა. ინტრიგების უმთავრესი ნაკადი ამიერიდან, სწორედ მასზე წამოვიდა. V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, პრისკე პანიონელის ცნობით, იმპერატორ მარკიანეს დროს (450-458), ეგრისის მეფე გუბაზი ბიზანტიას აუჯანყდა. იმპერატორმა ჯარი გააგზავნა ეგრისის წინააღმდეგ, მაგრამ წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების გამო, უკანვე გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ბიზანტია ეგრისზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში, გუბაზ პირველმა დასახმარებლად ირანის შაჰს მიმართა, მაგრამ შაჰისგან, ჰუნებთან და კიდარებთან (მომთაბარე ტომები) გაფთრებული ბრძოლების გამო, უარი მიიღო. მაშინ ეგრისის მეფემ დათმობაზე წასვლა ამჯობინა: კონსტანტინოპოლში (ბიზანტიის დედაქალაქი) საგანგებო დელეგაცია მიავლინა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება შესთავაზა. იმპერატორმა მარკიანემ საგარეო საკითხების დარგში თავისი მრჩევლის, მაგისტროს ევფემიოსის პირით, გუბაზს ასეთი რამ შეუთვალა: ან თვითონ დაეთმო ტახტი თავისი თანამოსაყდრე უფლისწულ წათეს სასარგებლოდ, ან აეძულებინა წათე, ტახტის მემკვიდრეობაზე საბოლოოდ აეღო ხელი. ბიზანტიას განზრახული ჰქონდა, ამით შუღლი ჩამოეგდო მამა-შვილს შორის, მაგრამ ამაოდ. გუბაზმა ამჯობინა, თავად ეთქვა უარი ტახტზე და იგი შვილისთვის დაეთმო.

მსგავსი ინტრიგები გამეორდა ეგრისის სამეფო კარზე – გუბაზ მეორეს (VI საუკუნის 40-50-იანი წლები) დროს. მოვლენების ეპიცენტრში ამჯერად სასანიდური ირანის შაჰინ შაჰი ხოსრო პირველი იდგა. მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველო კტეზიფონის (ირანის იმდროინდელი დედაქალაქი) ინტერესებში მოექცა, ეგრისის კოლონიზაციის მიზნით, ხოსრომ გუბაზ მეორის მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით ეგრისში 300 რჩეული ირანელი გააგზავნა, ფაბრიზის მეთაურობით. ფაბრიზს უშუალოდ გუბაზის მკვლელობის ორგანიზება უნდა მოეწყო, მაგრამ მკვლელის ვინაობა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ფაბრიზი, თავის მხრივ, ერთ ადგილობრივ წარჩინებულს, ფარსმანს დაუკავშირდა. ამ კაცს გუბაზ მეფესთან დიდი ხნის მტრობა ჰქონდა და ირანელთა თვალში საკმაოდ საიმედოდ ითვლებოდა.

ფარსმანმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს წინადადება მისთვის ძალზედ სასიხარულოც იყო, ფარულად კი, გუბაზ მეფეს აცნობა – გაფრთხილდი, ირანელებს შენი



**რაცხა ნაქალაქარს გავს აგი ბლოკით ნაშენები კედელი...**





მოკვლა სურთო.

გუბაზი მალე დარწმუნდა, რომ ამ პერიოდისთვის, ბიზანტიის საწინააღმდეგოდ მიმართულ ირან-ეგრისის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მხოლოდ ფარსი იყო. მალე „ლაზთა მეფემ“ ირანის საწინააღმდეგოდ, კვლავ ბიზანტიის მფარველობა მიიღო. მაგრამ ახლა, მორიგი ინტრიგები ბიზანტიის საიმპერატორო და ეგრისის სამეფო სახლებს შორის დაიწყო და ამის ინიციატორი უკვე ეგრისის მეფე იყო. გუბაზი ტელეფისის ციხესთან ირანელებთან ბიზანტიური ჯარების მიერ განცდილი მარცხით იყო აღშფოთებული. მან იუსტინიანე კეისრის წინაშე, სრულ უმოქმედობაში ბრალი დასდო სტრატეგოს ბესას. კეისარმა ბესა ეგრისის მთავარსარდლობიდან გადააყენა და მთელი ქონებაც ჩამოართვა, რამაც ბესას კოლეგები — სტრატეგოსები: მარტინე და რუსტიკე, მტრულად განაწყო გუბაზის მიმართ. ახლა უკვე მათ დააბეზღეს გუბაზი კეისართან: ეგრისის მეფემ კვლავ გვიღალატა, ირანელებს ემხრობაო. ხოლო როცა ამითაც არაფერი გამოუვიდათ, 554 წელს, ვითომდა სათათბიროდ, მეფე ხობის წყალთან შეიტყუეს და ვერაგულად მოკლეს. დამნაშავეთა დასჯის მიზნით, კეისარმა კავკასიაში ანასტასი სენატორი გამოგზავნა და ე.წ. „ატიკური სასამართლო“ მოაწყო. რუსტიკეს და მის ძმას, იოანეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მარტინე კი აიძულეს, თანამდებობიდან გადამდგარიყო.

მერვე საუკუნის მიწურულს, დასავლეთ საქართველოში, აფხაზი ერისთავების ინიციატივით ახალი ე.წ. აფხაზთა სამეფო ჩამოყალიბდა, რომელმაც მეცხრე საუკუნის პირველი ნახევრიდან, ბიზანტიის იმპერიისგან სრული დამოუკიდებლობა მიიღო. თუმცა, შიდასახელმწიფოებრივი ინტრიგებისაგან დაზღვეული არც აღნიშნული სამეფო იყო.

868 წელს გარდაიცვალა ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I. გიორგის შემდეგ ტახტზე მისი ძმის, დემეტრეს მცირეწლოვანი ვაჟი — ბაგრატი უნდა ასულიყო, მაგრამ მის გამეფებას წინ აღუდგა გიორგის ახალდაქვრივებული დედოფალი, რომელიც ტახტის მემკვიდრის მოკვლის მიზნით დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მთავარს — იოანე შავლიანს (საყვარელი). კიდობნის ყუთით ზღვაში გადაგდებული ბაგრატი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და თავი კონსტანტინოპოლში, იმპერატორის კარს შეაფარა. აფხაზთა სამეფოს ტახტი იოანე შავლიანმა დაიკავა, ხოლო იოანეს შემდეგ, მისი ვაჟი ადარნესე გამეფდა. მაგრამ შავლიანთა მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა: 887 წელს, ბიზანტიელთა დიდი ჯარით ბაგრატი ეგრის-აფხაზეთში დაბრუნდა, მოკლა ადარნესე და მამისეული ტახტი 20-წლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ დაიბრუნა.

ინტრიგები, ბრძოლა ხელისუფლებისთვის და ამით გამოწვეული მტრობა ბაგრატის მემკვიდრის — კონსტანტინე მესამის (893-922) დროსაც აქტიურად გაგრძელდა. 904 წელს მან უფლისციხე აიღო და ქართლს დაუუფლა. საპასუხოდ, ტაო-კლარჯეთის მეფემ, ადარნესე მეორემ სომეხთა მეფე სუმბატთან ერთად, ალყა შემოარტყა და შემდეგ აიღო უფლისციხე. შემდეგ, ვითომდა მოლაპარაკების გასამართავად თავისთან მიიწვია მეფე და დაატყვევა. თუმცა, ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, კონსტანტინემ ქართლი კვლავ დაიბრუნა; სამაგიეროდ, ახლა თვითონ ჩაება ინტრიგებში. კახეთის მეფე კვირიკე პირველს, ჰერეთის (ქიზიყი და საინგილო) მეფის ადარნასე პატრიკის დამხობა სურდა. მან მეზობლის წინააღმდეგ დამოუკიდებლად გალაშქრება ვერ გაბედა და დახმარება ეგრის-აფხაზეთის მეფეს სთხოვა. კონსტანტინე აფხაზთა ჯარით ჰერეთში შეიჭრა. კახელ-აფხაზთა გაერთიანებულმა ჯარმა ჰერეთის უმნიშვნელოვანესი ციხეები: არიში, გავაზი და ორჭობი დაიკავა. ადარნასე პატრიკი საბოლოოდ დამარცხდა და მალე, კვირიკესა და კონსტანტინეს სრული მორჩილება გამოუცხადა.

ტახტისთვის დაუნდობელმა ბრძოლამ განსაკუთრებით სასტიკი ფორმები მაინც დასავლეთ საქართველოს მეფის — გიორგი მეორის (922-957) პერიოდში შეიძინა. ყოველივე იმით დაიწყო, რომ ოკუპირებულ შიდა ქართლში, გიორგი მეფემ ერისთავად, უშუალოდ თავისი ვაჟი — კონსტანტინე უფლისწული დანიშნა, მაგრამ კონსტანტინე ერისთავობას დიდხანს არ დასჯერდა: ქართლში სეპარატისტულად განწყობილ აზნაურთა წაქეზებით, ტახტის დასაუფლებლად მამის წინააღმდეგ აჯანყდა. გიორგი მეფემ ჯარი შეკრიბა და ურჩი შვილის წინააღმდეგ გაილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში კონსტანტინე სასტიკად დამარცხდა. მამამ შვილი შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.

შიდა ქართლის პოზიციების განმტკიცების შემდეგ, აფხაზთა სამეფომ კახეთის დაპყრობაც განიზრახა. საამისოდ ხელსაყრელი ნიადაგი, იმდროინდელ კახეთში გაჩაღებულმა შინადინასტიურმა ბრძოლებმაც მოამზადა. X საუკუნის 20-იან წლებში, გიორგი მეორე კახეთში შეიჭრა. კახთა მეფე კვირიკე მეორემ აფხაზთა მეფეს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მას ღვიძლმა ძმამ, შურტამ უღალატა, რომელმაც მტერს მთავარი ციხე-ქალაქი — უჯარმა ჩააბარა. მომხდარმა აიძულა კვირიკე მეორე, გარკვეული ხნით თავი დაეხარა გიორგი მეფის წინაშე.

967 წლიდან, დასავლეთ საქართველოში დემეტრე მესამე გამეფდა. ჯერ კიდევ მანამ, მამამისმა — გიორგი მეორემ, ორი მისი ძმა, ბაგრატი და თეოდოსი ბიზანტიაში გაგზავნა, მოსალოდნელი ინტრიგების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ დემეტრეს გამეფების შემდეგ, მოწინააღმდეგე ბანაკმა უკანვე დააბრუნა თეოდოსი, რომელსაც ძმის წინააღმდეგ ბრძოლაში: მესხეთის, ქართლისა და კახეთის აზნაურობამაც აქტიურად დაუჭირა მხარი. თუმცა, დემეტრე მეფემ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგენი, შემდეგ მოტყუებით შეიპყრო თვით თეოდოსი და ღვიძლ ძმას თვალები დათხარა.

კურიოზი ის იყო, რომ დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ (გიორგი მეორეს ყველა მემკვიდრის უშვილოდ გადაგების გამო) ტახტზე ისევ თვალდამწვარი თეოდოსი ავიდა, ხოლო სამეფოს ტახტზე შექმნილმა ამ მდგომარეობამ, მნიშვნელოვნად დააჩქარა ჯერ აფხაზთა და ტაო-კლარჯეთის, შემდეგ — მთელი საქართველოს გაერთიანება.

P.S. X-XV საუკუნეებში მომხდარ სახელისუფლებო ინტრიგებზე საუბარს მომდევნო ნომერში განვაგრძობთ. ■



## „კრიმანჭული“ „კომპიუტერული“ სიმღერა ეგონათ

უკრაინის ქალაქ დონეცკში დასრულდა IV საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს სკიფი“, რომელშიც ქართველი მომღერალი ილონა ასლანიშვილი მონაწილეობდა („გზის“ წინა ნომერში ამის შესახებ უკვე გაცნობეთ). ჟიურის თავმჯდომარე იოსიფ კობზონი იყო, ჟიურის შემადგენლობაში კი, პოპულარული მოსკოველი მომღერალი ვალერი მელაძე. ეს ფესტივალი დონეცკის სამოცდაათი წლის იუბილეს დაემთხვა, რომელიც გრანდიოზული შოუთი აღინიშნა. ფესტივალი უზარმაზარი აეროსტატის გაშვებით დაიწყო, რაც „ოქროს სკიფის“ მონაწილეებს ანდეს. როგორც ილონა ასლანიშვილმა გაგვიმხილა, მან ამ დროს დიდი შიში განიცადა...

ილონას მიერ შესრულებულ „კრიმანჭულს“ დიდი მოწონება ხვდა წილად. თუმცა, მსმენელებმა რატომღაც ჩათვალეს, რომ ამ სიმღერაში ძირითად როლს კომპიუტერი ასრულებდა, ამიტომ მეორე ტურში ილონამ ფონოგრამისა და აკომპანიმენტის გარეშე იმღერა. მან გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო საუკეთესოთა შორის“. ეს არის ჩვეულებრივი „გრან-პრი“, რომელსაც ფულადი პრემია არ ახლავს.

კონკურსის შემდეგ, ილონა ასლანიშვილმა რამდენიმე მიწვევა მიიღო. ის სექტემბრის ბოლოს უზბეკეთში, ხალხური თვითშემოქმედების ფესტივალზე „კრიმანჭულს“ შეასრულებს, შემდეგ, ჯერ ფრუნზეში, მოგვიანებით იუგოსლავიაში — „ზელენგრადის“ ფესტივალზე, ნოემბერში კი, პრაღაში — ვოკალისტთა კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. ■

## დათო ხუჯაძის შემოქმედება ზურაბ ჟვანიას მანქანის ფასად დაუჯდა



წლევანდელმა საარჩევნო კამპანიამ საკმაოდ მრავალფეროვანი მუსიკალური გაფორმების თანხლებით ჩაიარა (მხედველობაში გვაქვს პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად ჩატარებული მრავალი მუსიკალური აქცია) და თუ პოლიტიკოსთა დიდმა ნაწილმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შოუბიზნესის წარმომადგენლები უკმაყოფილონი არ დარჩენილან. მაგალითად, ოპოზიციონერთა გუნდის აქტიურმა „აგიტატორმა“ დათო ხუჯაძემ, მხოლოდ დაპირებებით „დასაჩუქრებული“ ქართველი მოსახლეობისაგან განსხვავებით, ზურაბ ჟვანიას გუნდისაგან LEXUS-ის მარკის ავტომობილი მიიღო. ჟვანიასთან შედარებით, საარჩევნო შოუპროგრამა ნაკლები დაუჯდებოდა ლევან გაჩეჩილაძეს: მის მხარდასაჭერად ხომ, ღვიძლი ძმა ირჯებოდა. რუსული ტელესერიალის — Бандитский Петербург-ის მუსიკაზე, ნიკო გომელაურის მიერ პატრიოტულ თემაზე სახელდახელოდ შექმნილი ტექსტი, „უცნობისა“ და „ახალ მემარჯვენეთა“ ნამდვილ ჰიტად იქცა. ■



## „უცნობმა“ ვაგონი მოტოციკლეტით შეცვალა

„უცნობს“ — გია გაჩეჩილაძეს „ვაგონით სეირნობა“ მობეზრდა და მატარებელი გაცილებით მომცრო ტრანსპორტით — BMW-ს მარკის მოტოციკლეტით შეცვალა. ორიგინალურობით მუდამ გამორჩეული „უცნობი“, რომელიც ხან „ვაგონით დაქრის“, ხან კუს ნაბიჯებით „მილოლავს“ და ხანაც „ფრთებს შლის და მიფრინავს“, უახლოეს მომავალში ახალ ამპლუაში მოგვევლინება და თუ თბილისის ქუჩებში როკერობას არ მიჰყო ხელი, შესაძლოა, ახალ კლიპში მაინც გამოგვეცხადოს, მოტოციკლეტის უნაგირზე ამხედრებული. ■



**ფრაზები**

**გენიალური**

ბერბიჭა ის კაცია, რომელსაც შინ აქვს მაგიდა და ტახტი, ოღონდ, ამ უკანასკნელის ისტორია პირველზე გაცილებით მდიდარია...

*ჰენრიკ იაგოძინსკი*









# ვის სამუდამო, ვის კი ჩვეულებრივი ტატუ...

თბილისში გაიხსნა მაკა ასათიანის „ტატუ-სტუდია", რომლის პრეზენტაცია კაფე „მაკა ასათიანში" გაიმართა. „ტუსოვკას" „კოქტეილის" ფორმა მიეცა, რათა ახლომდებარე სახლებში მცხოვრები ადამიანებისთვის სიმშვიდე არ დაერღვიათ. შეკრებილებმა უარი თქვეს ხმამაღალ შეძახილებსა და ხმაურიან მუსიკაზე. სტუმრებს გაუმასპინძლდნენ კოქტეილით „ტატუ", რომელიც სამი ფერის კოქტეილისგან შედგებოდა და ანჯღრევის შემდეგ, ტატუს ფერს (მოლურჯო-მოშავო) იღებდა.

პრეზენტაციაზე სამი კატეგორიის ტატუ გათამაშდა. ყველაზე ძვირად ღირებული – ე.წ. ტატუ, სამუდამოდ (ბოდი-არტი) დიზაინერმა თეონა თავართქილაძემ მოიგო.

რომა რცხილაძეს მთელი ტანის ტუშით შეღებვა ხვდა წილად; ესეც სამუდამოა, რადგან დროებითი ტატუ ამ სტუდიაში არ კეთდება. ჩვეულებრივი ტატუ (არა ფერადი) მოიგო რადიო „ფორტუნას" წამყვანმა, დიჯეი გვანცამ (კილასონიამ).

პრეზენტაციაზე ოძელამ თავისი ახალი კომპოზიცია შეასრულა; ტამტამებს ჯერ „შავი", შემდეგ რომა რცხილაძე აჰყვნენ.

ღამის სამ საათამდე უკეთებდნენ ტატუს ნიკა ლომიძეს. ასეთი ურთულესი ტატუ ჯერ თბილისში არ გაკეთებულა. ■

# „ორბელს" „ეწყინებოდა", ცისანას ახლებურად რომ არ აემღერებინა...

ამ ბოლო დროს, ცისანა სეფიაშვილი იშვიათად ჩანს სცენაზე. როგორც თავად გვაცნობა, ეს იმით აიხსნება, რომ ის თავის ახალ სიმღერებზე მუშაობს და უახლოეს მომავალში ალბომსაც გამოუშვებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მომღერალთა რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია, უფროსი თაობის კარგად ნაცნობ და საყვარელ სიმღერებსაც არ ივიწყებენ. ცისანამაც გადაწყვიტა, ახლებურად აემღერებინა ჯემალ სეფიაშვილისა და მედეა ძიძიგურის „სანთელი", და ასევე ამზადებს „ღრუბლის" რემიქსულ ვარიანტს. ამასთანავე, ალბომში შესულ ერთ-ერთ სიმღერაზე კლიპის გადაღებასაც აპირებს, თუმცა, ჯერ არ გადაუწყვეტია, საკუთრივ რომელს აირჩევს და ვინ იმუშავებს კლიპზე, როგორც რეჟისორი. ■



*რუბრიკა მოამზადეს*
*ლელა ჭანკოტაძემ და ნეკა ღადიანმა*

# კლიპები, სინგლები და დიდი ფეიერვერკი

პროდიუსერულმა ცენტრმა 5 Lines Production-მა „ელიტ კლუბში" ლევან ლაზარიშვილისა და ჯგუფ „ისინის" კლიპებისა და სინგლების ორიგინალური აქცია-პრეზენტაცია მოაწყო. სტუმრები კლუბთან შეიკრიბნენ, მაგრამ ის დაკეტილი დახვდათ და საღამოს ორგანიზატორებმა ყველანი „ნესკაფეს" ორსართულიან ავტობუსში მიიპატიჟეს. არავინ არ იცოდა, სად მიდიოდა. ავტობუსი „აკვაპარკს" რომ გასცდა, სტუმრები შეშფოთდნენ, ზოგმა იხუმრა კიდეც – გვიტაცებენო... ავტობუსს დაცვაც მიჰყვებოდა. ყველანი დამშვიდდნენ, როცა რესტორანი „ფაცხები" გამოჩნდა...



იმპროვიზებულ საჩვენებელ ეკრანზე სტუმრებს უჩვენეს კლიპები, რომლის რეჟისორი კახა ეფრემიძე გახლავთ. ლევან ლაზარიშვილის კლიპი – „თავს ამარიდებ", ძალიან სევდიანი აღმოჩნდა, ჯგუფ „ისინის" კლიპი „ისინი" კი – იუმორისტული. შემდეგ პროდიუსერმა ჰასანამ (მამუკა საკაშვილი) ყველანი „ფაცხებში" მიიწვია. სცენაზე სინგლების პრეზენტაცია გაიმართა.

საღამო აჩი ფურცელაძეს მიჰყავდა. ჯგუფმა „ისინი" სიმღერა „გაიხადე" შეასრულა და ბიჭები წელს ზემოთ გაშიშვლდნენ... ბოლოს, სტუმრებმა სუფრასთან გადაინაცვლეს, რომელსაც მამუკა ონაშვილი თამადობდა. მან ყველას სთხოვა – ცაში აიხედეთო, სადაც უზარმაზარი ფეიერვერკი გაიშალა. დასკვნით აკორდად, სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი – დიდი ტორტი ელოდა, რომელსაც ისინი ოვაციით შეეგებნენ. ■

# კაილი მინოუგის სექსუალურობის ახალი ეტაპი

პოპულარული ავსტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი დათანხმდა თავის ძველ მეგობარს, მახიობსა და ფოტოგრაფს ლაიზა ბის, შეშველმა გადაიღოს ფოტოსურათები. ლაიზა „ნიუს“ სტილში შესრულებული თავისი ნამუშევრების კოლექციის ალბომად გამოცემას აპირებს, რომელშიც სხვა ფოტოებთან ერთად, გაშიშვლებული იასმინ ლე ბონის, დიზაინერ ბრიუს ოლდფილდისა და „ბენეტონის“ შეფის, ფლავიო ბრიატორეს ფოტოები შევა. კაილის ამ გადაწყვეტილებას ბევრი, მადონას საქციელს ამსგავსებს, რომელმაც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თავისი წიგნი — „სექსი“ გამოსცა. ეს მით უფრო თვალში საცემია, რომ შარშან კაილიმ უკვე გამოიჩინა ზედმეტი ექსტრავაგანტურობა: მაშინ მომღერალმა ქალის თეთრეულის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ეს რეკლამა მეტისმეტად გამომწვევად მიიჩნიეს და ნაციონალური ტელევიზიით მისი ტრანსლირებაც კი აკრძალეს. მიუხედავად ამისა, 30-წამიან სარეკლამო კლიპს კარგა ხნის მანძილზე აჩვენებდნენ კინოთეატრებში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა ინტერნეტში. ■



# პოპულარულ მექალთანეს სიბერე შეეპარა



ჰოლივუდის ცნობილ მექალთანეს, ჯორჯ კლუნის 41 წელი შეუსრულდა და ამან თურმე მსახიობი ღრმად ჩააფიქრა. „ნუთუ, ეს მართლაც მე ვარ?! — უკვირს კლუნის. — ნუთუ, მე უკვე მეხუთე ათეულ წელში გადავაბიჯე? ეს ყველას შეიძლებოდა შემთხვეოდა, ოღონდ არა — მე! დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ 23 სულ ახლახან შემისრულდა“. არადა, მიუხედავად ასაკისა, კლუნის თაყვანისმცემელი, საკმაოდ ცნობილი ქალბატონების სია არ მცირდება. დასანანი კი მხოლოდ ის არის, რომ ბოლო დროს ვარსკვლავი უფრო უჩივის მუხლის ან ზურგის ტკივილებს. მიუხედავად იმისა, რომ არ იტყუება და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მართლა გაუჩნდა, ბევრი ამას კლუნის მორიგ ოინად მიიჩნევს და ირწმუნება, რომ ეს ხერხი მან ქალებში თანაგრძნობის მოპოვების მიზნით მოიგონა. ■

# ნატურალური ჩხუბი გადასაღებ მოედანზე



ფილმის — American Psycho-ს ვარსკვლავმა კრისტიან ბეილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მან და მისმა პარტნიორმა, მეთიუ მაკქონაჰიმ გადასაღებ მოედანზე ნამდვილი ჩხუბი გააჩაღეს. მისი თქმით, თანამედროვე ლონდონის ქუჩებში მოსიარულე გველეშაპის შესახებ ფილმის გადაღებისას მან და მეთიუმ უეცრად გადაწყვიტეს, რომ ჩხუბის სცენა მთელი სერიოზულობით ჩაეტარებინათ და ასეც მოიქცნენ. მათი აზრით, ამ ხერხის წყალობით ფილმს მეტი დამაჯერებლობა შეემატა. ■

# ნაომი კემპბელმა ქვედა საცვალიც დაკარგა და ფულიც

ამას წინათ, ქალის თეთრეულის მწარმოებელმა კომპანიამ Splendour-მა სუპერმოდელთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, ნაომის სარეკლამო პლაკატებზე და კატალოგებში კომპანიის ნაწარმი უნდა წარმოედგინა. პირველივე გადაღებაზე ოპერატორთა ჯგუფი მოდელს ერთ საათზე მეტხანს ელოდა, რადგან როგორც ცნობილია, ნაომის საერთოდ სჩვევია დაგვიანება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი — მოდელი ფოტოგადაღებაზე აშკარად ცუდი განწყობით გამოცხადდა და არც ფოტოგრაფის მითითებებს აქცევდა ყურადღებას. ეს ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ პოდიუმის დედოფალმა სარეკლამოდ განკუთვნილი ქვედა საცვლის ჩაცმაზე კატეგორიული უარი განაცხადა, სასწრაფოდ ჩაიცვა და სტუდია მიატოვა. კომპანიის იმედგაცრუებული ხელმძღვანელობა ნაომის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს, რომლითაც ჩაშლილი ფოტოგადაღების ღირებულების კომპენსაციას მოითხოვს და, ცხადია, არც მოდელის მიერ 3 საათში განმავლობაში გამომუშავებული 76 ათასი დოლარის გადახდას აპირებს მისთვის. ■



# ტომ კრუზმა მეხანძრეობა სცადა

როგორც კი ტომ კრუზის ერთ-ერთმა მეგობარმა, ამერიკის ტელევიზიის თოქ-შოუს წამყვანმა ჯეი ლენომ ძველი ავტომანქანის რესტავრაცია დაასრულა, მაშინვე ტომს ამ ავტომანქანით გასეირნება შესთავაზა. მანქანა სახანძრო იყო და გახალისებულმა ვარსკვლავმა გვერდით თავისი ახლანდელი მეგობარი — პენელოპა კრუსი და ორი ნაშვილები ბავშვი 9 წლის იზაბელა და 7 წლის კონორი მოისვა. მხიარულმა კომპანიამ, სახანძრო მანქანის ზანზალაკის ხმის თანხლებით, ერთ-ერთ პარკს შემოუარა და გამაგრილებელი სასმელების საყიდლად, მაღაზიის წინ გაჩერდა. როგორც კი გაჩერებული მანქანიდან ტომ კრუზმა დააპირა გადმოსვლა, მან იქვე შეკრებილი ხალხის ყურადღება მიიქცია. გამვლელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა... მიუხედავად იმისა, რომ ტომ კრუზი ხალხთან სიახლოვეს არ უფრთხის, ამ შემთხვევაში ის მაინც შეშინდა, მანქანიდან არ გადმოვიდა, შეკრებილ ხალხს ხელი დაუქნია და მანქანაც დაძრა. ■

# ჯეკი ჩანი ჟიულ ვერნის რომანის ახალ ეკრანიზაციაში

კინემატოგრაფის „კამიკაძედ“ წოდებული ტრიუკების ოსტატი, ჯეკი ჩანი ჟიულ ვერნის წიგნის — „80 დღე დედამიწის გარშემო“ ეკრანიზაციაში მიიღებს მონაწილეობას. პირველი ფილმი, რომელიც ამ რომანის მიხედვით 1956 წელს გადაიღეს, კინოკლასიკაში შევიდა. ახალ სურათში სიუჟეტი ოდნავ შეიცვლება და სწორედ რომანის იმ პერსონაჟის — პასპარტუს, წინა პლანზე წამოწევა მოხდება, რომლის განსახიერებაც ჯეკი ჩანს შესთავაზეს. პროექტის დაფინანსება უცნობმა დენვერელმა მილიარდერმა იკისრა, დამდგმელ რეჟისორად კი ფრენკ კორაჩი მოგვევლინება. ■

# ბრიტნი სპირსი რესტორანს ხსნის

სულ ახლახან თინეიჯერების კერპმა ბრიტნი სპირსმა ნიუ-ორკში საკუთარი რესტორანი გახსნა. 500 რჩეულ სტუმარს შორის იყვნენ: ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი და ცნობილი მილიონერი დონალდ ტრამპი. მიუხედავად რესტორნის მფლობელის ვარსკვლავური სტატუსისა, დაწესებულების მენიუ და გაფორმება განსაკუთრებული ორიგინალურობით არ გამოირჩევა. როგორც აღმოჩნდა, ბრიტნის სურდა, რესტორანში ისეთივე გარემო შეექმნა, როგორიც მისი მშობლიური ლუიზიანას შტატის რესტორნებში სუფევს. გახსნის ცერემონია ბრიტნის 300.000 დოლარი დაუჯდა. ■



# ჯორჯ მაიკლი პოლიტიკურმა სატირამ გაიტაცა

ჯორჯ მაიკლმა თავისი კომპოზიციის Shoot The Dog-ისთვის ცოტა არ იყოს უცნაური ანიმაციური ვიდეოკლიპი გადაიღო, რომელმაც შეიძლება რეპერ ემინემის სკანდალური კლიპებიც კი დაჩრდილოს. კლიპისა და სიმღერის პრეზენტაცია აგვისტოში უნდა შედგეს, ახალი ალბომი კი, სავარაუდოდ, წლის



ბოლოს გამოვა. თუმცა, ჯორჯ მაიკლს იმის ეჭვი ღრღნის, რომ სახელმწიფო არხებით კლიპის ჩვენება მისი გამოსვლისთანავე აიკრძალება: საქმე ის გახლავთ, რომ კლიპში ჯორჯ მაიკლი ბრიტანელი პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის მეუღლესთან — შერისთან ერთად წევს საწოლში, თავად ტონი ბლერი კი, ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის შინაური პუდელის სახით გვევლინება. „მაშფოთებს აშშ-ისა და ინგლისის ზედმეტი პოლიტიკური დაახლოება, — ამბობს მაიკლი, — რის გამოც ბრიტანეთი სულ უფრო საშიში ხდება... ისეთი სიმღერის შექმნა მსურდა, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს მიაპყრობდა ადამიანების ყურადღებას. შეიძლება, ეს სიმღერა აკრძალონ, მაგრამ მე ჩემი აზრის გამოხატვა და ამ პრობლემის გარშემო საზოგადოებაში დებატების გამოწვევა მსურდა“. ■

## ლეტიცია კასტა პოდიუმს უბრუნდება

კორსიკელმა ლეტიცია კასტამ, რომელიც ფრანგული ეროვნული სიმბოლოს – „მარიანას“ განსახიერებად იქცა, რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ, მოდის ბიზნესში დაბრუნება გადაწყვიტა. ტაიმაუტი მას შვილის დაბადების გამო დასჭირდა: მისი გოგონა ამ ქვეყანას შარშან ოქტომბერში მოევლინა. 24 წლის მოდელის ინტერესებს ამიერიდან ამერიკული სააგენტო IMG-ი და პირადად, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ან ნელსონი წარმოადგენენ. სხვათა შორის, ანი ჟიზელ ბიუნდხენის, ელიზაბეტ ჰერლის და ჰილარი სუონკის აგენტიცაა. საინტერესოა, რომ ლეტიცია კინოკარიერის გაგრძელებასაც აპირებს – მან უკვე მიიღო მონაწილეობა ოთხ ფილმში და მოწვევებსაც იღებს კინოპროდიუსერებისგან. მეტისმეტად დატვირთული განრიგის გამო, მოდელი ალბათ პოდიუმზე ვერ გავა, მაგრამ მისი ფოტო აუცილებლად დაიბეჭდება მოდის ჟურნალების გარეკანზე. ■



## ბრიუს უილისმა მონიკა ბელუჩი ქმარს წაართვა



ცნობილი იტალიელი მზეთუნახავი მსახიობის, მონიკა ბელუჩისა და მისი ქმრის, ასევე მსახიობის, ვენსან კასელის ოჯახურ ბედნიერებას, როგორც ჩანს, ბოლო მოეღო: მას შემდეგ, რაც წყვილი ერთმანეთს გაეყარა, ბელუჩის ხშირად ხედავენ ცნობილი ჰოლივუდელი ბერბიჭების კომპანიაში. უფრო კონკრეტულად – ბოლო დროს, მონიკას სახელს ბრიუს უილისს უკავშირებენ. მათი დაახლოება ჰავაის კუნძულებზე გადაღებული ფილმის – „მტრული ხსნის“ პერიოდს უკავშირდება. შემდეგ თებერვალში, მონიკა ბელუჩი ბრიუს უილისთან ერთად გამოცხადდა ფილმის – „ჰარტის მებრძოლების“ პრემიერაზე და ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა ხმა, რომ ამ ორი მსახიობის ურთიერთობა უბრალო მეგობრობის ფარგლებს სცილდებოდა, ამჟამად კი აქტიურად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მონიკა ბელუჩისა და ვენსან კასელის ოჯახის დანგრევა სწორედ ბრიუს უილისის „დამსახურებით“ მოხდა. ■

## პრინცი საყვარელმა მოდელმა კოცნით დაასაჩუქრა



ბრიტანეთის საგრაფო ჰემპშირში პოლოს საქველმოქმედო მატჩი გაიმართა. გამარჯვებას ბრიტანეთის ახალგაზრდა პრინცის – უილიამის გუნდმა მიაღწია. წარმატებით აღტაცებულ, გაოფლილ უფლისწულს წინ საკმაოდ სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა: გამარჯვება მისმა საყვარელმა მოდელმა კლაუდია შიფერმა მიულოცა. 20 წლის უილიამმა სუპერმოდელს რამდენიმე სიტყვა უთხრა და შემდეგ, ორივე ლოყა დაუკოცნა... კლაუდიამ და უილიამმა ერთმანეთი შარშან, უილიამის მამის – პრინც ჩარლზის ჰაიგროუვის მამულში გამართულ წვეულებაზე გაიცნეს. კლაუდია შიფერი ახლახან დაბრუნდა საქორწინო მოგზაურობიდან და საქველმოქმედო მატჩზე თავის ქმართან – კინოპროდიუსერ მეთიუ ვონთან ერთად, საზოგადოების წინაშე ახალი ვარცხნილობითაც წარდგა. ■

## ოზი ოზბორნის შვილი მანეკენი გახდა

ოზი ოზბორნის ქალიშვილი, კელი მოდელი გახდა, რამაც იმათი დიდი გაკვირვება შეიძლება გამოიწვიოს, ვინც კარგად იცნობდა კელის, რადგან გოგონა არასოდეს გამოირჩეოდა სილამაზით. არადა, ახლა ყველა აღნიშნავს, რომ კელი საოცრად მომხიბვლელია და მისმა „შარმმა“ უკვე მილიონობით ამერიკელი მოაჯადოვა, რომლებიც ყოველკვირა ტელევიზორის ეკრანიდან ეცნობიან ოზი ოზბორნის და მისი ნათესავების ცხოვრების ამსახველი ფილმის მორიგ სერიას. კელი ოზბორნმა ფეხსაცმლის ამერიკულ კომპანია Gandie's-თან გააფორმა კონტრაქტი, პირველ სარეკლამო კამპანიაშიც მიიღო მონაწილეობა და მიღწეული შედეგებით ფრიად კმაყოფილიც დარჩა. ■

მოამზადა მანანა ლოლობერიძე

# მაგარი კბილები რომ გქონდეთ...

*რუბრიკას უძღვება ექიმი*
*თამარ მამაცაშვილი*

## ტკივილი სასწორის თეფშებზე

ადამიანებს, რომლებიც სტომატოლოგის კაბინეტში პანიკაში ვარდებიან, ნოვოკაინიც კი ვერ უყუჩებს ტკივილს. ისინი კბილებს ნარკოზის ქვეშ მკურნალობენ. მათ კი, ვისაც თავის ხელში აყვანა შეუძლია, ადგილობრივი ანესთეზიაც კი არ სჭირდება. განცდების მედგრად გადატანის უნარი მხოლოდ ემოციური მდგომარეობით კი არ განისაზღვრება, არამედ, მეცნიერთა მტკიცებით, თითოეული ადამიანის მოთმინება გენებშია დაპროგრამებული. ვინც ზრუნავს ჯანმრთელობაზე, აუცილებლად უნდა იცოდეს საკუთარი ტკივილის ამტანობის ტიპი. ეს ცნობები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ინფორმაცია წონაზე, სიმაღლეზე, სისხლის ჯგუფზე და ორგანიზმის სხვა მახასიათებლებზე.

## როგორ დავადგინოთ?

ტკივილის აღქმის უნარის მიხედვით ბუნებამ ადამიანები 4 ე.წ. ნოციცეპტურ ანუ ტკივილამტანობის ჯგუფად დაყო. იმის დასადგენად, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის ადამიანი, მედიკოსები სპეციალურ ტკივილის გამზომ ხელსაწყოს – ალგეზიმეტრს იყენებენ. ცდის დროს თანდათანობით ზრდიან ელექტროდების ძალას, დაწოლის ინტენსივობას ან თბური გამაღიზიანებლის ტემპერატურას. ხელსაწყო აღნიშნავს გამაღიზიანებლის იმ ძალას, რომელიც ტკივილის სუსტ შეგრძნებას იწვევს. ეს ე.წ. ტკივილის ზღურბლია. შემდგომ უსიამოვნო შეგრძნებები მატულობს, ადამიანს მოთმინება ეყოფა. თქვენი პირადი რეკორდი ტკივილის ამტანობაა. ამ ტერმინით სპეციალისტები აღნიშნავენ ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას, რომელსაც თქვენ გაუძელით. ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობას კი ტკივილის ამტანობის ინტერვალს უწოდებენ. მისი სიდიდე განსაზღვრავს ადამიანის მზადყოფნას განსაცდელისადმი.

დადგინდა ერთი საინტერესო ფაქტი, რომ ტკივილის აღქმის უნარი წლების განმავლობაში ცვალებადობს. ყველაზე ნაზი ასაკი 10-დან 30 წლამდეა. ამ პერიოდში ადამიანები განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან ტკივილის შეგრძნებისადმი, თუმცა მას შედარებით იოლადაც იტანენ. უფრო ნაკლები ან მეტი ასაკის მქონე ადამიანებში ტკივილის მგრძნობელობა დაქვეითებულია, მაგრამ განცდების ატანა მათთვის გაცილებით უფრო რთულია.

ალგომეტრიული გამოკვლევის ჩატარება, რა თქმა უნდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა კბილის ექიმთან ან განაკაწრზე იოდი წაუსვამს, საკმაოდ დამაჯერებლად შეუძლია იმსჯელოს ტკივილამტანობის თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება. მსგავსი ინფორმაცია საკმაოდ მნიშვნელოვანია. მკურნალობის დანიშვნისას ექიმს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, როგორი რეაქცია ექნება პაციენტს მტკივნეულ მანიპულაციებზე. ეს დაგვეხმარება, განვსაზღვროთ წამლის მიღების ტიპი (აბებში თუ ინიექციის მეშვეობით), შევარჩიოთ შესაბამისი ანალგეტიკი (ტკივილგამაყუჩებელი) ინდივიდუალური დოზით და გაუტკივარების მეთოდი ქირურგიული ჩარევის დროს. ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოგვადგება. იგი თავიდან აგვაცილებს ბევრ ფსიქოლოგიურ პრობლემას: ტკივილამტანობის ტიპი ხომ მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების შინაგან წყობასთან.



## ტკივილის სარკის ოთხი ანარეკლი

1. პირველი ტიპის ადამიანებს უწოდებენ პრინცესას ცერცვის მარცვალზე – საკმაოდ დაბალი ზღურბლით და ტკივილამტანობის ინტერვალით გამოირჩევა. ამ ტიპის წარმომადგენელთათვის განცდები კატეგორიულად წინააღმდეგნაჩვენებია! იგი მწვავედ აღიქვამს ტკივილს (როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს) და თავისი ბუნებით არ შეუძლია მისი მოთმენა. ასეთებს „თხელკანიანებს" უწოდებენ. ისინი გაძლიერებული შთაბეჭდილებებით ხასიათდებიან, მიდრეკილი არიან მელანქოლიისა და მარტოობისაკენ. საპროცედურო ოთახში შესვლა მათთვის საწამებელი კამერის ზღურბლის გადაბიჯების ტოლფასია. მსგავს სიტუაციაში თავის ხელში აყვანის მოწოდებები შედეგს არ იძლევა: ფიზილოგიას ვერ შეებრძოლები!

მიიღეთ როგორც დანიშნულება: ერიდეთ ტრავმებს და, შეძლებისდაგვარად, მტკივნეულ სამედიცინო მანიპულაციებს. თუ მსგავსი რამ მაინც დაგჭირდათ, სთხოვეთ ექიმს, მიიღოთ გაძლიერებული ზომები განცდების მოსახსნელად. კბილში ბჟენის ჩასმა მხოლოდ ადგილობრივი ანესთეზიით შეიძლება, ხოლო კბილის ამოღება – ნარკოზით. იგივე შეეხება მცირე ქირურგიულ ჩარევებს: მაგალითად, ჩაზრდილი ფრჩხილის ან აპენდიციტის დროს. ეს ოპერაციები, ჩვეულებრივ, ადგილობრივი გაუტკივარებით კეთდება, მაგრამ თქვენ შემთხვევაში ზოგადი ნარკოზია საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მეტად მძიმე გართულება – ტკივილით გამოწვეული შოკი განვითარდეს.

2. მეორე ტიპის ადამიანებს ტკივილის დაბალი ზღურბლი და ტკივილამტანობის დიდი ინტერვალი ახასიათებს. ასეთები მეტად მგრძნობიარენი არიან ტკივილისადმი, მაგრამ, პირველი ტიპის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, მამაცურად იტანენ ტანჯვას. თუ თქვენ ამ ტიპს მიეკუთვნებით, ბუნებამ უხვად დაგაჯილდოვათ ღრმა მგრძნობელობით, ერთგულებით და თანაგრძნობის ტალანტით – ყველაფრით, რაც საჭიროა ყოფიერების სისავსის შეგრძნებისათვის.

გაითვალისწინეთ, რომ ტკივილის გადატანა ადვილდება თუ მის წინააღმდეგ მორალურად მოემზადებით.

3. მძინარე მზეთუნახავის ტიპი – გამოირჩევა მაღალი ზღურბლითა და ტკივილის ამტანობის დაბალი ინტერვალით. ამ ტიპის ადამიანი დასაწყისში შეიძლება უგრძნობი გეგონოთ, რადგან სუსტ ტკივილს იგი ვერ გრძნობს, მაგრამ საკმარისია ტკივილი ოდნავ გამწვავდეს, რომ დაუყოვნებლივ გამოხატავს ძლიერ რეაქციას. მოთმინების რეზერვი ასეთ ადამიანებს პრაქ-

ტიკულად არ გააჩნიათ. გარეგნული სიმშვიდის ნიღბის ქვეშ ისინი მალავენ დაძაბულ შინაგან ცხოვრებას, რომლის გამხატ-ულებაა ძლიერი ემოციური აფეთქებები: სიხარული, განრისხ-ება, ნაღველი.

ყველაზე მთავარია, განცდებმა წონასწორობა არ დაგაკარგვი-ნოთ. ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად მოადუღეთ დამ-ამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი მცენარეული ნაყენი შემდეგი მცენარეებისაგან: კატაბალახა, ყვავის კუდა, მელისა, კრაზანა (3:3:2:1). მიიღეთ ნაყენის 1/3 ჭიქა, 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

ისეთი პროცედურების დროს, რომელიც მოთმინებას საჭიროებს, ყური მიუგდეთ საკუთარ განცდებს. მაგალითად, კბილის ექიმთან ყოფნისას როდესაც ტკივილს იგრძნობთ, სთხოვეთ ექიმს შეწყვიტოს მკურნალობა და გაგიკეთოთ ადგ-ილობრივი ანესთეზია. წინააღმდეგ შემთხვევაში სტომატოლოგთან ვიზიტი შესაძლოა გულის წასვლით დამთავრდეს.

4. მეოთხე ტიპის ადამიანს მაღალი ზღურბლი და ტკივი-ლის ამტანობის დიდი ინტერვალი აქვს. ამ ტიპის ადამიანს არა აქვს ტკივილის შიში. ისინი გულგრილნიც კი არიან ფიზიკური განსაცდელის მიმართ. კბილის ამოღებაა საჭირო? კი ბატონო! ვენიდან სისხლის აღებაა აუცილებელი? სიამ-ოვნებით! ოპერაციის დროს კი, ნარკოზი არ სჭირდება! ამ ადამიანებს აქვთ უსიამოვნო შეგრძნებების სუსტი აღქმა და მოთმინების დიდი მარაგი. ისინი თავდაჯერებულები, ენერგიულე-ბი, მოძრავები, ლიდერის თვისებების მქონენი არიან. უყვართ თავის წარმოჩენა, ვერ იტანენ მარტოობას. მათგან გამოდიან კარგი სპორტსმენები, ჯარისკაცები, მეხანძრეები, მაგრამ — ცუდი ექიმები, რადგან ავადმყოფის ჩივილები მათთვის სათანა-დო ყურადღების ღირსი არ ხდება. სხვისი ტკივილის გასაგე-ბად, თავადაც უნდა გქონდეს განცდილი რაღაც მსგავსი, მა-გრამ ამ ტიპის წარმომადგენლებს ასეთი შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ამიტომ მათ ვურჩევთ, თანაგრძნობით მოეკიდონ ახლობელთა განცდებს. შესაძლოა მათთვის უცხოა ნერვიუ-ლობა ხელის გაჭრის ან უხეშად მიმართვის გამო, მაგრამ იგივეს მოთხოვნა სხვებისათვის უაზრობაა, რადგან სხვები ხომ სხვა ცომისგან არიან მოზელილნი. ■



## ვედური სამზარეულო

კერძი სიყვარულით უნდა მომზად-დეს — ეს ყველამ კარგად იცის. ამასთან, არა მხოლოდ საქმის სიყვარულით. არამედ იმ ადამიანების სიყვარულითაც, ვისთვისაც იგი მზადდება, მაგრამ სად არიან ასეთი მზარეულები? ყველაზე კეთილ და დიდ-სულოვან ადამიანებსაც კი არ შეუძლი-ათ თავიანთი ახლობლების სიყვარული ყოველდღიურად და ყოველ წუთს.

ინდურმა, ვედურმა სამზარეულომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწ-ყვიტა. მისი მზარეულები კერძს ამზადე-ბენ არა ადამიანებისათვის, არამედ მათი ღმერთისათვის — კრიშნასთვის.

კრიშნას მოძღვრებისაგან შორს მდგო-მი ადამიანებიც კი სიამოვნებით სტუმ-რობენ ამ საზოგადოების კაფეებსა და რესტორნებს, რადგან იციან, რომ იქ ყოველთვის ხარისხიან და გემრიელ კერ-ძებს ამზადებენ. პროდუქტების შერჩევის და მომზადების ტექნოლოგია ათასწლიან გამოცდილებას ეფუძნება და ყოველთვის საგულდაგულოდაა დაცული. უმთავრე-სი ტრადიცია კი ის არის, რომ კერძები მზადდება სულიერი კონცენტრირებისას და იმაზე ფიქრში, რომ ისინი ღმერ-თისთვისაა განკუთვნილი.

კრიშნაიტები დარწმუნებულნი არიან, რომ ღმერთისათვის მირთმეული საკვები ვეგეტარიანული უნდა იყოს. ამას რამ-დენიმე მიზეზი აქვს. პირველი მათ შორის — ეთიკურია: ცხოველები ღმერთმა შექმ-ნა და მას არ სურს, რომ ადამიანებმა აწამონ და შეჭამონ ისინი. ითვლება, რომ ასეთი საკვები ბინდავს გონებას და სულს ცოდვით ავსებს.

მეორე მიზეზი — ეკოლოგიურია. ერთი კილოგრამი ხორბლის მოყვანაზე 60 ლ წყალი იხარჯება, ხოლო ერთი კილო-გრამი ხორცის წარმოებაზე — 1500-დან 3000 ლ-მდე. მეცხოველეობა აბინძურებს წყლებს გაცილებით მეტად, ვიდრე ქიმი-ური წარმოება.

დაბოლოს, ჰიგიენური მიზეზი: თან-ამედროვე მეცხოველეობასა და ხორცის წარმოებაში დიდი რაოდენობით გამოიყ-ენება ისეთი პრეპარატები, რომელიც პო-ტენციურად საშიშია ადამიანისათვის; ასეთებია: ჰორმონები, ანტიბიოტიკები, ტრანკვილიზატორები... რისთვის და-ვანაგვიანოთ საკუთარი ორგანიზმი? — კითხულობენ ინდოელები.

ვედურ სამზარეულოსა და მართლმა-დიდებლურ სამარხვო კერძებს შორის განსხვავება ის არის, რომ ის არ კრძა-ლავს რძის პროდუქტების მიღებას. კრი-შნაიდები დარწმუნებულნი არიან, რომ ძროხის რძე ცხოველისგან მოცემული საჩუქარია და ამიტომ მეტად სასარგებ-ლო საკვებს წარმოადგენს. თაფლიანი რძე ითვლება საუკეთესო საკვებად სულისა და სხეულისათვის.

კიდევ ერთი განსხვავება: ქრისტიანობა-ში აკრძალულ პროდუქტთა შორის ყვე-ლაზე ნაკლებსახსნილოდ ითვლება თევზი. ამიტომ მარხვის შემსუბუქების დროს მოძღვრის კურთხევით დასაშვებია ხოლმე თევზეულის მიღება და არა რძის პროდუ-ქტებისა. კრიშნაიტები თევზს იმავე მიზეზ-ით არ ჭამენ, რომ ცოცხალ არსებას ზიანი არ მიაყენონ.

რაც შეეხება მცენარეულ კერძთა რეცეპტებს, ისინი სრულფასოვანი, გემრი-ელი და არომატულია. ვედურ კერძებში არაჩვეულებრივადაა გამოყენებული სხ-ვადასხვა სახის სუნელები.

### სწორი კვება აიურვედას მიხედვით

აიურვედა ჩვენამდე მოღწეული უძვე-ლესი ტრაქტატია მედიცინის, ჰიგიენისა და კვების შესახებ. სწორედ ეს უკა-ნასკნელი წარმოადგენს ჩვენი ინტერესის საგანს. აიურვედის მიხედვით სწორი კვება ფიზიკური ჯანმრთელობის აუცილებე-ლი პირობაა და სულიერი სიჯანსაღის საწყისია: იგი ადამიანს საკუთარი გრძნობე-ბის მოთოკვაში ეხმარება.

ვიკვებოთ ერთსა და იმავე დროს. საკვების ძირითადი მიღების დრო უნდა იყოს შუადღეს ოდნავ გადაცილებული პერიოდი, როცა მონელების პროცესები განსაკუთრებით აქტიურია. მსუბუქი წა-საუზმების შემდეგ არანაკლებ 3 საათი უნდა გავიდეს, ხოლო საფუძვლიანი სადი-ლის შემდეგ — 5 საათი. საათობრივი კვება შუალედებში წახემსების გარეშე აადვილებს მონელებას.

საკვები მშვიდ ვითარებაში უნდა მივი-ღოთ სასიამოვნო საუბრის თანხლებით. არ უნდა დაიწყოთ სადილობა, თუ აღელვე-ბული ან განაწყენებული ხართ. მით უმეტეს არ შეიძლება აღელვება და გა-ნაწყენება სადილობის დროს უსიამოვნო საუბრებით, ტელევიზორის ყურებით ან



გაზეთის კითხვით.

ერთ მიღებაზე უნდა მიირთვათ ის საკვები პროდუქტები, რომელიც შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, ბრინჯი და სხვა ბურღულეული კარგად ერწყმის ბოსტნეულს; რძის პროდუქტები (ხაჭო, არაჟანი, ყველი, კეფირი) — ბურღულეულს და ბოსტნეულს, მაგრამ ახალი რძე და ბოსტნეული შეუთავსებელია, როგორც რძე და მარცვლეული. ეცადეთ, არ გამოიყენოთ ერთად ბოსტნეული და ახალი ხილი (მათი ჭამა ცალ-ცალკე უმჯობესია). არ აურიოთ მჟავე ხილი ტკბილთან, ხოლო რძე — რძემჟავა პროდუქტებთან ან მჟავე ხილთან.

საკვების მომზადებისა და მიღებისას ჰიგიენის ყველა წესი უნდა იყოს დაცული. ვედურ კულტურაში მეტად მნიშვნელოვანია სისუფთავე — შინაგანიც და გარეგანიც.

ჭამეთ ზომიერად. ჩვენი ენერგია დამოკიდებულია არა მიღებული საკვების რაოდენობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად კარგად აითვისება იგი. ამისთვის კი საჭიროა, კუჭში საკმარისი თავისუფალი ადგილი იყოს. აიურვედა გირჩევთ, გაანახევროთ ის საკვები, რომლის შეჭმაც თქვენ შეგიძლიათ.

ნუ დაასხამთ წყალს „მონელების ცეცხლს". მონელების პროცესი აიურვედაში განიხილება, როგორც წვის ანალოგი. ჭამის წინ დალეული წყალი ამცირებს მადას და ზღუდავს მიღებული საკვების რაოდენობას. მცირე რაოდენობით სითხე ჭამის დროს ხელს უწყობს მონელებას, მაგრამ ჭამის შემდეგ დალევა აქრობს ცეცხლს და ართულებს მონელების პროცესს. ამიტომ ჭამის შემდეგ უნდა მოიცადოთ ერთი საათი მაინც, ვიდრე წყალს დალევდეთ.

გაუფრთხილდით საკვებს. აიურვედა ამბობს, რომ საჭიროების დღეებში ჩვენ დაგვაკლდება ზუსტად იმდენი საკვები, რამდენიც სიუხვის დროს გადავყარეთ. უნდა მოამზადოთ იმდენი, რამდენიც შეიძლება შეიჭამოს სადილზე. დარჩენილი კერძები უნდა შეინახოთ შემდეგი ტრაპეზისათვის. თუ მაინც მოგიწევთ გადაყრა, ნარჩენები უმჯობესია, ცხოველებს აჭამოთ.

დროდადრო სხეული საკვებისაგან დაასვენეთ. აიურვედას მიხედვით, მარხულობისას მხოლოდ წყალი უნდა სვათ. რეკომენდებული მარხვები კი 1-3 დღეს შეადგენს. ამასთან წყალი იმაზე მეტი არ უნდა დალიოთ, რაც წყურვილის მოკვლისთვისაა საჭირო. „მონელების ცეცხლი" მარხვის დროს წვავს ორგანიზმში დაგროვილ ნარჩენებს და ამ პროცესს ხელი არ უნდა შეუშალოთ.

## ვედური სამზარეულოს რეცეპტები

### ჩაპატი (ინდური პური)

ჩაპატი მთლიანი, გაუფრცქვნელი მარცვლების დაფქვისას მიღებული ფქვილისაგან მზადდება. მისი მიღება თავადაც შეგიძლიათ, თუკი ხორბლის მარცვლებს ყავის საფქვავში დაფქვავთ. ტრადიციულად ჩაპატი თბილ-თბილი მიიტანება სუფრასთან.

მასალა: 2,5 ჭიქა ფქვილი, 3/4 ჭიქა ოდნავ თბილი წყალი, 1/2 ჩ/კ მარილი, 2-3 ს/კ ნაღების კარაქი (გამდნარი).

თასში ჩაყარეთ ფქვილი და მარილი. თანდათანობით დაამატეთ წყალი, თან ზილეთ 5-10 წუთი, ვიდრე ცომი რბილი და ელასტიკური არ გახდება. გადააფარეთ სველი ტილო და დატოვეთ 30 წთ.

თუჯის ტაფა დადგით საშუალო ცეცხლზე. ცომი გაყავით 15 თანაბარ ნაწილად. თითოეული აგუნდავეთ და გააბრტყელეთ ისე, რომ მიიღოთ თხელი, 15 სმ დიამეტრის კვერი. მოათავსეთ ცხელ ტაფაზე. ორი წუთის შემდეგ, როდესაც მის ზედაპირზე ბუშტები გაჩნდება, გადააბრუნეთ და ერთ წუთში გადმოიღეთ ტაფიდან. ამის შემდეგ ფართობოლოებიანი მაშებით დაიჭირეთ ცეცხლის თავზე, ვიდრე ბურთივით არ გაიბერება. გამზადებული ჩაპატი კარგად გამომცხვარი და ორივე მხარეს ყავისფერი ლაქებით დაფარული უნდა იყოს. ცხელ კვერებს წაუსვით ნაღების კარაქი ერთ მხარეს და გადააფარეთ ჩაის ტილო სითბოს შესანარჩუნებლად.

### ქიჩრი (ბრინჯი ბოსტნეულით)

ეს გემრიელი და ნოყიერი კერძი სადილზე ან საუზმეზე მიაქვთ ჩაპატის კვერებთან, არაჟანთან ან მაწონთან ერთად. მისი მომზადებისათვის წვრილი მწვანე ლობიოა საჭირო, რომელსაც ჩვენში მაშას უწოდებენ და ჩვეულებრივ სუნელებთან ერთად იყიდება ბაზარში. მის ნაცვლად კი შეგიძლიათ დაჩურჩული ბარდა გამოიყენოთ.

მასალა: 250 გ ბრინჯი (გრძელი), 200 გ მაშა, 2 ლ წყალი, 2 საშუალო ზომის კარტოფილი, 0,5 კგ ყვავილოვანი კომბოსტო (შეიძლება ჩვეულებრივიც), 4 საშუალო ზომის პამიდორი, 70 გ ნაღების კარაქი 1 ჩ/კ ქონდარი, 2 ჩ/კ მარილი, 2 ჩ/კ ძირა, მწარე წიწაკა (გემოვნებით), 1/4 ჩ/კ დაფქული შავი პილპილი. 1 კონა რეჰანი

კარგად გარეცხილი მაშა (ან ბარდა) ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით 2 ლ წყალი, დაამატეთ ქონდარი და დადგით ცეცხლზე. ადუღების შემდეგ მოხადეთ ქაფი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 30 წთ. დაუმატეთ გარჩეული, გარეცხილი ბრინჯი, მარილი, ოთხკუთხედებად დაჭრილი კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო და პამიდორი, შემდეგ კი — ძირა, წიწაკა და კარაქის ნახევარი. აურიეთ და ხარშეთ მომზადებამდე (15-20 წთ). დაუმატეთ დარჩენილი კარაქი და წვრილად დაჭრილი რეჰანი. გადმოდგით ცეცხლიდან და სუფრაზე მიტანამდე დააყოვნეთ მცირე ხანს.

### კიტრის რაიტა

ეს კერძი შეუცვლელია ცხელ ამინდში. მის მოსამზადებლად მხოლოდ კიტრი და კეფირია საჭირო, ხოლო შედეგი — გასაოცარი.

მასალა: 5 ცალი საშუალო ზომის კიტრი.

1,5-2 ჭიქა ცივი კეფირი, 1,5 ჩ/კ ახალდაფქული შავი პილპილი, 1/4 ჩ/კ დაფქული წითელი წიწაკა.

კიტრი გარეცხეთ, თუ გსურთ, გაფრცქვენით (გაუფრცქვნელიც შეიძლება), წვრილად დაჭერით. თასში ჩაასხით კეფირი, დააყარეთ მარილი, წიწაკა, პილპილი და აურიეთ. დაუმატეთ დაჭრილი კიტრი. რაიტა გემრიელი და გამაგრილებელი კერძია.

### მიტხა ლასი (მაწვნის სასმელი)

მასალა: 1 ლ მაწონი ან კეფირი, 3 ჭიქა ცივი (მაცივრიდან გამოღებული) წყალი, 6 ს/კ შაქარი ან 5 ს/კ თაფლი, 1/4 ჩ/კ დაფქული ილი, ყინული (სურვილისამებრ).

ყველა კომპონენტი აურიეთ ერთმანეთში (ყინულის გარდა) და ათქვიფეთ მიქსერით, ვიდრე სასმელი არ აქაფდება. სუფრაზე მიიტანეთ მაღალი ჭიქებით ყინულთან ერთად.

■

# კითხვა პასუხი



**კითხვა: ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ სტრესი სასარგებლოა, რადგან ავარჯიშებს ორგანიზმის დამცავ ძალებს, ხოლო მეორეში — საპირისპირო რამ: ყველა დაავადებას სტრესი იწვევსო. რომელს დავუჯერო?**

პასუხი: დამტკიცებულია, რომ სტრესი დიდ როლს ასრულებს მრავალი დაავადების განვითარებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტრესის ხანგრძლივობა, არამედ მისი გამომწვევი მიზეზიც. ნიდერლანდელმა მეცნიერებმა ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: მოხალისეთა ერთ ჯგუფს უნდა გადაეტანა „აქტიური" სტრესი — მოკლე დროში უნდა გამკლავებოდა ურთულეს ტესტს ყურადღების კონცენტრაციასა და მეხსიერებაზე. მეორე ჯგუფს კი შეუქმნეს „პასიური" სტრესი — მათ საშინელებათა ფილმს აყურებინებდნენ. შემდეგ ორივე საკონტროლო ჯგუფს აუღეს ნერწყვის ანალიზი, რათა შეემოწმებინათ იმ ნივთიერებების ცვლილების დონე, რომელიც იმუნიტეტზე აგებს პასუხს. შედეგად პირველ ჯგუფში აღინიშნა იმუნოგლობულინ -ს რაოდენობის ზრდა, რაც ორგანიზმის დაცვითი ფუნქციის მობილიზაციას ნიშნავს. მეორე ჯგუფში კი, პირიქით, მისი საწყისი რაოდენობა შემცირდა. ამრიგად, გაკეთდა დასკვნა, რომ აქტიური და კონსტრუქციული სტრესი მართლაც ავარჯიშებს ჩვენს იმუნიტეტს. ხოლო პასიური სტრესი — მაგალითად, ძალადობის, კატასტროფის და სხვა ნეგატიური სცენების ხილვა კინოსა და ახალ ამბებში, თქვენს ჯანმრთელობას ნამდვილად არ უწყობს ხელს.

**კითხვა: დედაჩემს ათი წლის წინ აღმოაჩნდა კენჭები ნაღვლის ბუშტში. ამჟამად მას ექიმი ოპერაციას ურჩევს. როგორც ჩემთვის ცნობილია, არსებობს ოპერაციის მეთოდი, ე.წ. ლაპარასკოპია, რამდენად შეიძლება ამ მეთოდის გამყენება ნაღვლის ბუშტის ოპერირებისას?**

პასუხი: ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ნივთიერებათა ცვლის მოშლის გამო სანაღვლე გზებში კენჭების წარმოქმნით ხასიათდება. ეს დაავადება ჩვენს ქვეყანაში დღეს საკმაოდ გახშირებულია. ისეთი სიმპტომები, როგორიცაა უმადობა, გულისრევა, ადვილად დანაყრება, მუცლის შებერვა, ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში ცხიმიანი და ცხარე საკვების მიღების შემდეგ, მწარე ან ლითონის გემო პირში, ნადები ენაზე. კუჭის მოქმედების დარღვევა — კარგადაა ნაცნობი ბევრი ადამიანისათვის. ნაღვლის კენჭები უფრო ხშირად ნაღვლის ბუშტში ფორმირდება, შედარებით იშვიათად — სანაღვლე სადინარებშიც. ავადმყოფთა უმრავლესობაში დაავადება ხანგრძლივი დროის განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. იგი ქალებში უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში.

ამჟამად ლაპარასკოპიული ოპერაციები საშუალებას იძლევა, ამოიკვეთოს „კენჭებით გადაჭედილი" ნაღვლის ბუშტიც კი, სულ პატარა განაკვეთით, რაც ოპერაციას საკმაოდ დამზოგველს ხდის და აღდგენითი პროცესებიც მეტად ხანმოკლეა. ამიტომ აღნიშნული სიმპტომების არსებობისას დროულად მიმართეთ ექიმ-გასტროენტეროლოგს (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტს). ულტრაბგერითი გამოკვლევა დაადასტურებს თქვენს დიაგნოზს და შემდგომ შესაძლებელი იქნება, გადაწყდეს მკურნალობის ტაქტიკა.

**კითხვა: მყავს 65 წლის მეუღლე, რომელსაც დიდი ხანია პროსტატიტი აწუხებს. ბოლო ხანებში მდგომარეობა გაუმწვავდა, ჩააბარა ანალიზები და ქლამიდიოზი აღმოაჩნდა. ყველგან წერენს, რომ ეს დაავადება სქესობრივი გზით გადაეცემა, მაგრამ ჩვენს პირობებში ეს ყოვლად შეუძლებელია: ჩვენ მოხუცები ვართ, არსად არ ვმუშაობთ და შინ ვზივართ. მაშ როგორ გადაედო მეუღლეს ქლამიდიოზი?**

პასუხი: ქლამიდიების გავრცელების ძირითადი გზა მაინც სქესობრივია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით ეს დაავადება ვენერიულ დაავადებათა რიცხვს მიაკუთვნეს. მაგრამ დაინფიცირების მომენტიდან შესაძლოა, წლები გავიდა. რაც შეეხება თქვენი მეუღლის ჩივილებს, ინფექციის გარდა ალბათ მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინამდებარე ჯირკვლის ადენომა (კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია).

**კითხვა: პატარაობისას ბავშვები გაზაფხულობით ხშირად ვსვამდით ხოლმე არყის ხის წვენს. მახსოვს ბებია მეუბნებოდა: „არყის ხის წვენი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოაო". ახლა უკვე 62 წლის ვარ, არაფერს ვუჩივი; იქნებ მართლაც არყის ხის წვენის დამსახურებაა ჩემი ჯანმრთელობა? მაინტერესებს, როგორ მოქმედებს ეს წვენი ორგანიზმზე?**

პასუხი: არყის ხის წვენი მართლაც საუკეთესო ბუნებრივი სამკურნალო სასმელია. მასში ორგანიზმისათვის საჭირო მრავალი ნივთიერება შედის. დადგენილია, რომ არყის ხის წვენი შლის საშარდე გზებში არსებულ კენჭებს, ეფექტურია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლების, ანემიის, თავის ტკივილის, ბრონქიტის, ფილტვის ტუბერკულოზის, რევმატიზმის, რადიკულიტის, პოდაგრის, ართრიტის სამკურნალოდ. არყის ხის წვენი სასარგებლოა კანის დაავადებებისა და სხვადასხვა ანთებითი პროცესების დროს.

სამკურნალო მიზნით არყის ხის წვენს სვამენ ახალ აღებულს. მაცივარში მისი შენახვა 2 დღეზე მეტხანს არ შეიძლება. რეკომენდებულია 1 ჭიქა წვენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20-30 წუთით ადრე 2-3 კვირის განმავლობაში. ხალხში მას სვამენ შეუზღუდავი რაოდენობით.

წვენის შეგროვებისას ხეს ფრთხილად უნდა მოეპყროთ, ნუ გაუკეთებთ ღრმა განაკვეთს, რადგან წვენის ძირითადი რაოდენობა ზედაპირულ შრეში მოძრაობს. წვენის აღების შემდეგ გაკვეთის ადგილი პლასტელინით ან ცვილით უნდა დაიფაროს. ეს იცავს ხეს დაბინძურებისგან და შესაძლოა, შემდგომი დალპვისგანაც კი.

**კითხვა: ნაყინის ჭამის ან ცივი წყლის სმის დროს მეწყება თავის ტკივილი. არის რაიმე საშუალება ამ ტკივილის მოსახსნელად?**

პასუხი: ყველაფერი იმასთანაა დაკავშირებული, რომ ნერვი, რომელიც პირის სიღრმეშია მოთავსებული, ზედმეტად მგრძნობიარეა სიცივის მიმართ. იგი ღიზიანდება და იწვევს თავის ტკივილს. როდესაც ნაყინის დიდ ლუკმას ჩაკბეჩთ, გაღიზიანება ძლიერია. იგივე ხდება ცივი წყლის სმის დროსაც. ნერვი ნაკლებად გაღიზიანდება, თუ წყალს თანდათანობით მოწრუპავთ და ნაყინსაც ნელ-ნელა მიირთმევთ. საერთოდ კი ერიდეთ ცივ საჭმელ-სასმელს.

■



რადიაციული ... უკრაინაში

ბანდერასის პერსონაჟი

კ/ფ „...“ (მ...ბი)

ტროპიკული ხილი

რუსი მწერალი

სიმღერა სატრფოს ფანჯრის ქვეშ

„კოლა ბრუნიონი“ (ფრანგი მწერალი)

მგზავრთა გაყოფილება ავტობუსში

ადვილად მოსაშინაურებელი მტაცებელი ცხოველი

კათოლიკე მღვდელი

სიმებიანი საკრავების უბადლო ოსტატი

ბოლო წლების „აგენტი 007“

..., ბარაბანი

ვეტერანი ფრანგი გოლკიპერი

ცისარტყელის ქალღმერთი

მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა

წიწილების ხელოვნური გამომჩეკი აპარატი

ლექსში ბგერების გამეორება

..., გაუ... ლაპარაკი

აზარტული თამაში ბანქოში

...მკვიდრი

გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი

...ლექსი

ნულოვანი მასის ... ნაწილაკი

რუსული ავტომობილი

ღონისძიება (...) ... მიზნით

ზღაპრული ფრინველი

ნაბოკოვის რომანი

ყურძნის მტევნის ღერო

სცენის ... ქსოვილი

... საუბარი

...ხეული

შოტლანდიური ურჩხული

ფრანგი იმპრესიონისტი

დიდი ... თოკი

ტელემაქეს გამზრდელი

სამხედრო სამსახურიდან გამოქცეული

ამერიკელი მსახიობი ... მერფი

გამოცნობა ...

სავარძლის ...

...



შეადგინა რამაზ ალანიამ

20-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ.

# კვირის (15 – 21 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

## კირჩხიბი – 22/VI-22/VII



ყველაზე უკეთ ამ კვირაში ბავშვებთან (განსაკუთრებით თქვენს შვილებთან) და თქვენზე უმცროს ნათესავებთან ურთიერთობაში გამოიჩენთ თავს. თქვენ მათ იდეალურ ჭკუის დამრიგებლად, გონიერ მრჩევლად და საუკეთესო პედაგოგად მოევლინებით. რამდენადმე რთულ ტექნიკასთან შეხებას კი, სჯობს, ამ დღეებში თავი აარიდოთ.

## ლომი – 23/VII-23/VIII



დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ საიმისოდ, რომ თქვენს პროფესიონალურ სტატუსსა და ავტორიტეტს რაიმე ზიანი არ მიადგეს. ბოლოს და ბოლოს, წარმატებასაც მიაღწევთ, მაგრამ ის საკმაოდ ძვირად დაგიჯდებათ. იმის სურვილიც გაგიჩნდებათ, რომ ყველამ თქვენით აღტაცება გამოხატოს და თუ ამ მისწრაფებას მეტისმეტად დაჟინებით გამოხატავთ, შესაძლოა, დაცინვის ობიექტადაც კი იქცეთ.

## ქალწული – 24/VIII-23/IX



ორშაბათი და ოთხშაბათი ხელსაყრელია აზარტული თამაშებისა და ავანტიურებისთვის, რადგან ფორტუნა მუდამ თქვენს მხარეზე იქნება. და მაინც, ზომიერების გრძნობას ნუ დაკარგავთ. და საერთოდ, ამ კვირაში სჯობს, ყველაფერში ზომიერი იყოთ. უქმეებისთვის კი, შესაძლოა, ძალზედ სასიამოვნო და სასარგებლო ნაცნობი შეიძინოთ.

## .სასწორი – 24/IX-23/X



რაღაც ახალი საქმე იმდენად გაგიტაცებთ, რომ მეგობრებიც დაგავიწყდებათ და საოჯახო მოვალეობაც. გაფრთხილდით: ეს მუდამ დიდ რისკთან არის დაკავშირებული. უქმეების მოახლოებისას, მოგზაურობის პერსპექტივა გამოიკვეთება.

## ღრიანკალი – 24/X-22/XI



სიტყვა „პედანტურობა" საკმაოდ უსიამოვნო ასოციაციებს აღგიძრავთ, მაგრამ რა გაეწყობა: ამ კვირაში სწორედ ეს თვისება გამოგადგებათ ყველაზე მეტად. ყურადღების უმნიშვნელო მოდუნება ან მცირედი არაორგანიზებულობაც კი, უფროსობის რისხვისა ან ოჯახური უსიამოვნების მაპროვოცირებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

## მშვილდოსანი – 23/XI-21/XII



შესაძლოა, უახლოეს ადამიანთან გაგიფუჭდეთ ურთიერთობა. ამას რომ თავი აარიდოთ, საკმარისია, უფრო ხშირად იყოთ ერთად. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უცაბედად გაჩენილი ეჭვიანობის გრძნობა ჩაახშოთ. რაც შეეხება საქმიანობას – ამ მხრივ, მომავალი კვირა ძალზედ ნაყოფიერი იქნება თქვენთვის.

## თხის რქა – 22/XII-20/I



მზად იყავით იმისთვის, რომ სამსახურში ვიღაც თქვენ წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას მიჰყოფს ხელს, რომელშიც გაეხვევით კიდეც, თანაც ისე, რომ ამას საკმაოდ გვიან აღმოაჩენთ. შეეცადეთ, მშვიდად, ყოველგვარი ჩხუბის გარეშე დაელაპარაკოთ ამ ინტრიგის მთავარ მოქმედ პირებს. მთავარი ყურადღება კი, საკუთრივ სამუშაოს დაუთმეთ.

## მერწყული – 21/I-19/II



ეს კვირა თქვენთვის მოულოდნელი აღმოჩენებით აღინიშნება: ნივთები, რომელიც დიდი ხნის დაკარგული გეგონათ, თავისით გამოჩნდება. ასევე მოულოდნელად, თქვენს ცხოვრებაში ის ადამიანები შეიძლება გამოჩნდნენ, რომლებიც თითქმის მივიწყებული გყავდათ. ძველ საქმეებთან მიბრუნება სამსახურშიც მოგიწევთ.

## თევზები – 20/II-20/III



დიდი სიფრთხილე გამოიჩინეთ ყოველგვარი ინფორმაციისადმი, ნაკლებად დაუჯერეთ სიტყვებს და ყველა ცნობა გადაამოწმეთ: რეალური შანსი გაქვთ, სიცრუის ან უბრალოდ, შეცდომის მსხვერპლი გახდეთ, ამიტომ ზედმეტი სიფრთხილე არ გავნებთ. სჯობს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები, ხუთშაბათის ან პარასკევისთვის გადადოთ.

## ვერძი – 21/III-20/IV



თუ ფული რაღაც სარისკო პროექტებში გაქვთ დაბანდებული ან არცთუ ისე სანდო ადამიანებზე გაასესხეთ, შეეცადეთ, ხუთშაბათამდე დაიბრუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სულ დაკარგოთ. ეს კვირა არც ახალი კონტრაქტებისთვისაა ხელსაყრელი და იმ ადამიანთა წრის შეზღუდვასაც გირჩევთ, ვისთანაც ურთიერთობა მოგიწევთ.

## კურო – 21/IV-21/V



ივლისის ბოლომდე დარჩენილი მთელი პერიოდის • მანძილზე ჩემოდანი მზად უნდა გქონდეთ: ალბათ ხშირად მოგიწევთ მგზავრობა და ამ მხრივ, არც მომავალი კვირა იქნება გამონაკლისი. წარმოიდგინეთ, რომ სახლიდან გაუსვლელადაც კი, უამრავ ახალ და საინტერესო ადამიანთან მოგიწევთ კონტაქტი, კვირის ბოლოსთვის კი, რომანტიკული თავგადასავალიც გადაგხდებათ.

## მარჩბივი – 22/V-21/VI



კვირის დასაწყისი მნიშვნელოვანი ოფიციალური დოკუმენტების გასაფორმებლადაა ხელსაყრელი: ამ დღეებში, ნებისმიერ ინსტანციასთან ურთიერთობა თქვენთვის წარმატებით დაგვირგვინდება. გარდა ამისა, მომავალი კვირა მორიგი პარტნიორული ურთიერთობისთვის იქნება ხელსაყრელი.

# როგორი ხასიათი გაქვთ?

ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ხასიათით გამოირჩევა. ადამიანის დასახასიათებლად უმეტესად, სიტყვებს — „კარგს" ან „ცუდს" იშველიებენ, თუმცა, ხასიათი გაცილებით მრავალმხრივია და სრულფასოვნად მისი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და შესაბამისად, თქვენი ხასიათის შტრიხებსაც ადვილად დაადგენთ:



*1) როცა ნაცნობს ან მეგობარს ბარათს უგზავნით, ყოველთვის აწერთ თუ არა ქვეშ სრულად თქვენს სახელსა და გვარს?*

ა) დიახ, ყოველთვის – 2;

ბ) არა – 0;

გ) გააჩნია, ვის უგზავნით – 1.

*2) იყენებთ თუ არა ერთსა და იმავე კბილის პასტას და სუნამოს?*

ა) დიახ, მხოლოდ ერთხელ და საგულდაგულოდ შერჩეულს – 2;

ბ) ხშირად ცვლით – 0;

გ) ამას ყურადღებას არ აქცევთ – 1.

*3) სტუმრად ყოფნისას აქცევთ თუ არა ყურადღებას წვრილმან უწესრიგობას (მაგალითად, მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელს ან გადამწვარ ნათურას)?*

ა) დიახ, ყოველთვის – 2;

ბ) არა, ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევთ – 0;

გ) შეამჩნევთ, მაგრამ არ გამოხატავთ – 1.

*4) არის თუ არა თქვენს წიგნების კარადაში ისეთი წესრიგი, რომ საჭირო წიგნი რამდენიმე წამში იპოვოთ?*

ა) დიახ, რა თქმა უნდა – 2;

ბ) არა, საჭირო წიგნის მოძებნას რამდენიმე საათს ანდომებთ – 0;

გ) კარადას პერიოდულად ალაგებთ – 1.

*5) ინახავთ თუ არა ძველ, უსარგებლო ნივთებს, ისეთებს, როგორიცაა თეატრის ძველი ბილეთები ან სკოლის დროინდელი რვეულები?*

ა) დიახ – 2;

ბ) არა, უსარგებლო ნივთებს ადვილად ელევით – 0;

გ) მხოლოდ თქვენთვის სამახსოვრო წვრილმანებს ინახავთ – 1.

*6) იმზადებთ თუ არა საღამოობით, მეორე დილით ჩასაცმელ ტანსაცმელს?*

ა) დიახ – 2;

ბ) არა, ტანსაცმელს დილით ირჩევთ – 0;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი დღე გელით – 1.

*7) სახლიდან გამოსვლის შემდეგ, ფიქრობთ თუ არა იმაზე, რაიმე საყოფაცხოვრებო ნივთი ჩართული ხომ არ დამრჩაო?*

ა) დიახ, ხშირად – 2;

ბ) არასოდეს, სანამ სახლიდან გახვალთ, ყველაფერს საგულდაგულოდ ამოწმებთ – 0;

გ) იშვიათად – 1.

*8) გაქვთ თუ არა ტანსაცმელი ისეთ წესრიგში, რომ კარადიდან გამოღებისთანავე შეძლოთ მისი ჩაცმა?*

ა) დიახ – 2;

ბ) არა – 0;

გ) მხოლოდ გამოსასვლელი ტანსაცმელი – 1.

*9) ამოწმებთ თუ არა თქვენს საათზე დროს რადიოს სიგნალის მიხედვით?*

ა) დიახ, ყოველთვის – 2;

ბ) არა – 0;

გ) საათს კვირაში ერთხელ ასწორებთ – 1.

*10) გიყვართ თუ არა ნაცნობებისა და მეგობრებისთვის შენიშვნის მიცემა?*

ა) დიახ – 2;

ბ) არა – 0;

გ) მხოლოდ მაშინ, როცა მათი არასწორი ქცევა თქვენ გაზარალებთ – 1.

## დააჯამეთ ქულები

0–6 ქულა: იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებით, ვისთვისაც ყველაფერი სულერთია. მუდამ იმის იმედი გაქვთ, რომ რთული სიტუაციის დაძლევაში ვინმე დაგეხმარებათ, მაგრამ ეს იმედი ყოველთვის როდი მართლდება. მეგობრებს კი, თქვენი იმედი არა აქვთ, რადგან საიმედო ადამიანის იმიჯით არ სარგებლობთ. ალბათ ღირს დაფიქრდეთ, რამდენად კარგი და მისაღები ხასიათი გაქვთ.

7–10 ქულა: ერთი შეხედვით, მოწესრიგებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, მაგრამ ყველა, ძალიან მალე ხვდება, რომ ეს თქვენი ხასიათის მოჩვენებითი შტრიხია. სინამდვილეში, საკმაოდ ქარაფშუტა ადამიანი ხართ და არარეალური ოცნებები გაწუხებთ. ცოტაოდენი ნებისყოფა ნამდვილად არ გაწყენდათ.

11–16 ქულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარგი, გაწონასწორებული ხასიათი გაქვთ. გიყვართ წესრიგი, ცდილობთ, ყოველთვის შეასრულოთ დანაპირები. სიტუაციასაც მუდამ რეალურად აფასებთ.

17 და მეტი: ისეთი ხასიათი გაქვთ, რომ ყურადღებას უმნიშვნელო წვრილმანებზეც კი ამახვილებთ. მოითხოვთ, რომ თქვენი აზრი და შეხედულება ყველამ გაიზიაროს და მოიწონოს. ასეთი ხასიათით კი, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა ნამდვილად გაგიჭირდებათ.

# კონგრესმენი, ძაღლიც შეიძლება გახდეს



ფლორიდის შტატიდან კონგრესში წამოყენებულ კანდიდატს ქეთრინ ჰარისს მეტოქეობას ძაღლი პერსი გაუწევს. პერსის პატრონი, ჩარტერული ხომალდის კაპიტანი უეინ ჰენტნერი ამ გზით აშშ-ის საარჩევნო სისტემის წესების მიმართ პროტესტის გამოხატვას ცდილობს. ჰენტნერი დარწმუნებულია, რომ მოქმედი კანონის გამო, ბევრი რიგითი ამერიკელი მოქალაქე ქვეყნის პოლიტიკურ პროცესს ეთიშება. „იმედი გვაქვს, რომ ცნობილი პოლიტიკოსის მეტოქედ ძაღლის დასახელებით, ამომრჩეველთათვის თავისუფალი არჩევანის ფაქტობრივ არარსებობას მივაპყრობთ ყურადღებას“. ქეთრინ ჰერესი ფლორიდის შტატის სახელმწიფო მდივანია, რომელმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ■

# ერთმა გადაფურთხებამ კინაღამ თვითმფრინავი იმსხვერპლა

საინტერესო შემთხვევა მოხდა ავიაკომპანია China Southern Airlines-ის თვითმფრინავში. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავმა საჭირო სიმაღლეს მიაღწია და მგზავრებს უსაფრთხოების ღვედების შეხსნის ნება დართეს, ერთ-ერთმა მგზავრმა თავისი ადგილი დატოვა და სალონიდან გავიდა. რამდენიმე წუთში, მეორე მგზავრმა დაინახა, რომ იგი ავარიული გასასვლელის გაღებას ცდილობდა და განგაში ატეხა. ყვირილზე მივარდნილ ეკიპაჟის წევრებს ძალის გამოყენება არ დასჭირვებიათ, რადგან წესრიგის დამრღვევმა ავარიულ გასასვლელს თავი დაანება და სტიუარდესებს განუცხადა, რომ მას უბრალოდ გადაფურთხება სურდა და რადგან თვითმფრინავით პირველად მგზავრობდა, არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. ფრენის მანძილზე უსაფრთხოების მიზნით, ახალბედა მგზავრი მაინც მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ, ხოლო შანხაიში თვითმფრინავის დაშვების შემდეგ, პოლიციას ჩააბარეს. პოლიციელებმა კი გადაწვიტეს, რომ მომხდარ ინციდენტში დანაშაული თვით ეკიპაჟის წევრებს მიუძღოდათ, რადგან მათ არ აუხსნეს მგზავრს, როგორ უნდა მოიქცეს ის და რა არის აკრძალული ფრენის დროს. ■



# არაყი წამალს ცვლის

რუმინელმა ექიმებმა გულის დაავადებების მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს. ქალაქ კლუჟ-ნაპოკას სარეაბილიტაციო ცენტრის ექსპერტებმა 60 მოხალისე პაციენტზე ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლებსაც გულის დაავადებები ჰქონდათ გადატანილი. მკურნალობის კურსის შესაბამისად, ყოველ დილით ავადმყოფებს არყის ე.წ. „თერაპევტულ“ დოზას — 50 გ-ს ასმევდნენ. ექიმები აღნიშნავენ, რომ მცირე დოზით მიღებული ალკოჰოლი ორგანიზმს ზიანს არ აყენებს, სამაგიეროდ, მკვეთრად ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას. ექსპერიმენტის ჩასატარებლად ადგილობრივმა არყის ქარხანამ ცენტრს უსასყიდლოდ 100 ლიტრი არაყი გადასცა. ცენტრის პროფესორი აღნიშნავს, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი პაციენტების ჯიბის დაზოგვაცაა: „ჩვენ მცირე რაოდენობის ალკოჰოლის და ზოგიერთი ძვირად ღირებული მედიკამენტის მიღების შედეგები შევადარეთ ერთმანეთს და დავინახეთ, რომ ისინი პრაქტიკულად ერთნაირია“. მიღწეული წარმატების მიუხედავად ექიმებს მიაჩნიათ, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ეს ინფორმაცია გულით ავადმყოფებმა ისე არ უნდა მიიღონ, თითქოს აფთიაქის ნაცვლად, არყის შესაძენად უნდა გაიქცნენ...“ ■

# ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ლევან რამიშვილმა.

**ვულოცავთ ბატონ ლევანს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

## ცოტაცა, ცოტაცა და...

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (16 ივლისის) 13 საათამდე.


„ფანტაზია"
ცოტასა,
ცოტასა და...


„ფანტაზიორობს
მკითხველი"
უსარგებლო
ნივთი

# გამოვა 13 ივლისს!

ხ52/25




# ყველაზე გასართობი ჟურნალი